ზაქარია ჭიჭინაძე

ძართველი გრიგორიანები

(სომხის სარწმუნოების ქართველები)
ისტორიული მიმოხილვა
შავშელისა

***

სომხეთი საძართველოში

(სომხის სამღვდელოების და დაწნაკთა ოცნება)

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა,
კომენტარები და გამოკვლევა დაურთო
ქეთევან ქუთათელაძემ

მეორე გამოცემა

თბილისი
2014

შაპ
94 (479.22)
ჯ – 551

წიგნში წარმოდგენილია ქართველი მამულიშვილის საქარია ჯიჯინაძის ორი ნაშრომი, რომლებიც მან გასული საუკუნის დასაწყისში დაბეჭდა. ავტორი განიხილავს ე.წ. „გასომხების პრობლემას“. იგი ორი გზით ხორციელდებოდა. ერთ შემთხვევაში ეთნიკურ ქართველებს გადაწერდნენ სომხურ მოსოფიზიტურ სარწმუნოებაზე, რომელსაც ზ. ჯიჯინაძე „გრიგორიანობას“ უწოდებს, მეორე შემთხვევაში კი კათოლიკური აღმსარებლობის ქართველები გადაჰყავდათ სომხურ-კათოლიკურ სომხურენოვან ტიპიკონზე.

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია აგრეთვე, ქეთევან ქუთათელაძის ნაშრომი, რომელიც განიხილავს ზ. ჯიჯინაძის შრომებში დასმული „გასომხების“ საკითხის პოლიტიკურ საფუძვლებს. იგი ქართველი ერის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა, რადგან ამ პოლიტიკას ხელს უწყობდა რუსეთის იმპერია. ხელოვნურად გაზრდილი „სომხური“ ელემენტის საშუალებით იგი ცდილობდა ქართული ეთნო-კულტურული სივრცის დარღვევას.

© ზ. ჯიჯინაძე, ქ. ქუთათელაძე

ISBN 978-9941-0-6369-5

წიგნი ეძღვნება *ზაქარია ჭიჭინაძის* დაბადებიდან 160 წლისთავს

წინასიტყვაობა

100 წელზე მეტი გავიდა, რაც ზაქარია ჭიჭინაძემ „ქართველი გრიგორიანები“ (სომხის სარწმუნოების ქართველები), 1906 წელს დაბეჭდა თბილისში „შავშელის“ ფსევდონიმით. იგი ეხება ქართველთა „გასომხების“ საკითხს, ანუ სომხურ მონოფიზიტურ („გრიგორიანულ“) სარწმუნოებაზე ქართველთა დაწერას. 1916 წლის გაზეთ „სამშობლოს“ №332, 333, 334, 335 – ის ფურცლებზე კი ზ. ჭიჭინაძემ „გასომხების“ საკითხთან დაკავშირებით, დაბეჭდა ასევე, სტატიების ციკლი „სომხეთი საქართველოში“ (სომხის სამღვდელოების და დაშნაკია ოცნება), რომელიც ნაკლებად არის ცნობილი საზოგადოებისთვის. პრესის ფურცლებიდან ჩანს, რომ ეს საკითხი კვლავ აქტუალური იყო და საზოგადოების დიდ ყურადღებას იმსახურებდა. სათაური „ქართველი გრიგორიანები“ მრწამსის შეცვლას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს გულისხმობს, კერძოდ ქართული ენისა და ეროვნული ცნობიერების მოსპობას. სათაური „სომხეთი საქართველოში“ კი იმ შედეგზე მიუთითებს, რაც შეიძლება მოჰყოლოდა ამ პრობლემას, კერძოდ, ხელოვნურად გაზრდილი „სომხური“ მოსახლეობის საშუალებით, ადგილი ექნებოდა ტერიტორიის მითვისებას და შემდეგ მისი კუთვნილების საკითხის დაყენებას. ამრიგად, ეს ორი ნაშრომი თემატურად ერთმანეთს ავსებს.

XIX ს-ში „ერთმორწმუნე“ რუსეთი განსაკუთრებით მყარველობდა სომხურ ეკლესიას და სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე კონფესიურ პროცესებს მის სასარგებლოდ ახალისებდა, მაშინ როდესაც საქართველოს ეკლესიას

ავტოკეფალიას ართმევდა. ეს ანტიქართული პოლიტიკა მიმართული იყო ერთიანი ქართული ეთნო-კულტურული ორგანიზმის დასაშლელად. სომხური მოსახლეობის „გამრავლებას“ ეთნიკური სურათის ცვლილება უნდა გამოეწვია საქართველოში, რათა ხელი შესწყობოდა სომხური სახელმწიფოს აღდგენას კავკასიაში. საოცნებო სომხეთი – „დიდი არმენია“ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ხარჯზე უნდა აღდგენილიყო. საქართველო, რომელიც ზოგადკავკასიური კულტურის ცენტრი იყო, რუსეთის იმპერიისთვის ნაკლებად ერთგულ და დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა. ამიტომ ეს უკანასკნელი ცდილობდა ქართველების დისკრიმინაციის ფონზე დაეწინაურებინა სხვა ეთნიკური ელემენტი, რომელიც უფრო უერთგულებდა რუსეთს.

ზემოაღნიშნულ პრობლემაზე ილაარია ჭიჭინაძის შრომების გაცნობამ საშუალება მომცა დამესკვნა, რომ „გასომხება“ ხდებოდა ორი გზით: I – როდესაც ქართული მოსახლეობის ნაწილი სხვადასხვა მიზეზის გამო ფორმდებოდა, როგორც სომხური მონოფიზიტური სარწმუნოების აღმსარებელი, (ანუ ე.წ. „გრიგორიანი“), რომელთაც „სომხად“ აცხადებდნენ და II – როდესაც კათოლიკური აღმსარებლობის ეთნიკური ქართველების გადაწერა ხდებოდა კათოლიკე სომხების სომხურენოვან ტიპიკონზე, რომლის მიხედვით, საღვთისმეტყველო ენა არა ლათინური, არამედ სომხური იყო. ასეთ კათოლიკებს შემდეგ ეთნიკურად სომეხ კათოლიკებად მიიჩნევდნენ. ერთი სიტყვით, ორივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ქართველთა „გასომხებას“, ეთნიკურ ქართველებს სომეხი ეროვნების ადამიანებად აცხადებდნენ. ამას კი მოჰყვებოდა ხოლმე ტერიტორიების სადაოთ გამოცხადება, სადაც „სომხად“ დაწერილი ქართველებიც ცხოვრობდნენ.

გასომხების საკითხი საფრთხეს უქმნიდა ქართველი ერის ეთნო-კულტურულ სახეს, რადგან იგი მიზანმიმარ-

თ'ულად ძირკვავდა ქართულ ენას, რითაც გამანდგ'ურებელ დარტყმას აყენებდა ერის ცნობიერებას. „პირველი ნიშანი ერის ვინაობისა ენააო“ უთქვამს დიდ ილიას. ნებისმიერი ერისთვის ენა ეროვნული ცნობიერების მკვებავი და იდენტობის მთავარი იარაღია. ენის გაუქმება ერის სიკვდილს ი'წვევს. „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჯამი შეი'წირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“ (გ. მერჩ'ულე). ვფიქრობ, თქმაც არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ ღვთისმსახ'ურების ენა მ'შობლი'ური უნდა იყოს. გიორგი მერჩ'ულეს ამ ბრძნული გამონათქვამის გაგრძელება ილია ჭავჭავაძის ნათელი აზრია – „მამ'ული, ენა, სარ'წმუნოება“, ეს სამი სეგმენტი ერთმანეთზეა გადაჯაჭ'ული. გასომხების პოლიტიკის მთავარი პრობლემა და ხელის'შემ'შლელი ფაქტორი ქართული ენა იყო. ამიტომაც გასომხებულ ქართველებში ქართული ენა იწყ'ევდებოდა. ფაქტები მეტყველებენ, რომ მრევლს (იგ'ულისხმება, როგორც სომხურ-მონოფიზიტური, ასევე, სომხურ-კათოლიკ'ური) ღვთისმსახ'ურება სომხ'ურად არ ესმოდა, ამიტომ მათ ქართ'ული ასოებით და სომხური სიტყვებით ურიგებდნენ საღვთისმეტყველო ლიტერატ'ურას. მიუხედავად, ბევრი ქართველის ცნობიერების შეცვლისა, ენის საშ'უალებით, ბევრმა ცნობიერება მაინც შეინარჩ'უნა და იგი „სომხად“ მხოლოდ ი'ურიდი'ულ დოკ'უმენტებში ფიქსირდებოდა. ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, გასომხების პოლიტიკის დედააზრი იყო „დაცემ'ული სომხეთის“ აღდგენა საქართველო'ში. მიუხედავად ხანგრძლივი მცდელობისა, გასომხების პოლიტიკამ კრახი განიცადა. დღეს ეს საკითხი ნაკლებ პოპ'ულარ'ულია, გასომხებ'ულმა ქართველებმა კვლავ თავიანთი გვარები დაიბრ'უნეს.

ზაქარია ჭიჭინაძემ ამ შრომებით მოახდინა „გასომხების“ ფაქტების კონსტანტაცია და მის რეალ'ურობას გაუსვა ხაზი. მან დაასაბ'უთა, თუ რა პრობლემებს მოუ-

ტანდა იგი ქართველ ხალხს. ზაქარია ჭიჭინაძე მოვლენათა თვითმხილველია, პირველწყარო. ამ შრომებით მან წიგნისა და პრესის ფურცლებზე გადაიტანა ქართული საზოგადოების იმ ნაწილის გულისტკივილი, რომელიც ათვითცნობიერებდა ზემოაღნიშნულ ანტიქართულ პოლიტიკას. ზაქარია ჭიჭინაძემ, შეიძლება ითქვას, ამ შრომებით უდიდესი წვლილი შეიტანა XIX-XX სს-ის მიჯნაზე მიმდინარე ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, და ღრმა პატივისცემით ამ ღირსეული მამულიშვილის მიმართ, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული კულტურისა და მეცნიერების პოპულარიზაციის და განვითარების საქმეში, ჩემი მოკრძალებული წერილი და ეს წიგნი ზაქარია ჭიჭინაძის დაბადებიდან 160 წლისთავს ეძღვნება.

ნაშრომში ავტორის ენა და სტილი დაცულია.

ქეთევან ქუთათელაძე
ისტორიის დოქტორი
2014 წლის 14 იანვარი.

ქართველი გრიგორიანები

I.

ჩვენს დროში, გვაროვნობის შესახებ საუბარი ერთის მხრით მეტ ბარგად უნდა ჩაითვალოს. რა დროს გვაროვნობაზეა ლაპარაკი საჭირო, როცა ამის მაზანდა დიდი ხანია დაეარდა და სადაც კი დარჩა ეს რაიმე განსაკუთრებითის პირობებით, იქ ესეც დაეცემა, მომავლისთვის ცხადლივ დაილეწება. ევროპის განათლებულ ერთა შორის ბევრს მწერალთაგან გვაროვნობის შესახებ საუბარი თითქმის უარ ყოფილია, იქ საქმე კაცია, მისი ადამიანური ღირსება და არა გვაროვნება, ანუ ამის მეოხებით ერთის პირის მეორისაგან განცალკევება, დაშორება, ბოლოს სამუდამოდ მტრობის ჩამოგდება და ურთი-ერთ შორის გვაროვნობის გამაგრების ზიზღის გავრცელება. ასე იყო ძველად, ასე იყო საშუალო საუკუნოებში და თვით ჩვენს დროსაც, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ ასეთის მიდრეკილებით ვერც ერთი ერი ვერ წავიდა წინ და ყველას მომავალში მხოლოდ დედამიწის პირიდამ აღგვა მოევლინა და დალეწვა, ამაზედ ჩვენ სჯას არ დავიწყებთ, რადგანაც ეს ისტორიული ჭეშმარიტება განვითარებულს მკითხველს უჩვენოთაც ეცოდინება. მაშასადამე, კაცობრიობის უმთავრეს სახსარს და მის პროგრესიულ უკურნებელ მალამოს უნდა შეადგენდეს მხოლოდ ერის გონებით აღორძინება – მასში ნათელ მოქალაქობის დამკვიდრება, მეცნიერულის სოციალიზმით აღორძინებული მოქალაქური დემოკრატია, მერმისისათვის ჭეშმარიტ კომუნისტური წეს-წყობილების გავრცელება, კაცთა შორის ურთი ერთ პიროვნების პატივისცემის დაფარვა, პირად უფლების შემოფარგვლა, რენანის სიტყვისამებრ, მაცხოვრის ქადაგების მსგავსად უმაღლესი ძმური სიყვარული, ანუ ლუი ბლანის მსგავსად ნამდვილი იდეა-

ლური ძმობა, სიყვარული, თანასწორება და თავისუფლების დაარსება, ეს როგორც მან გამოხატა და ახსნა საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის პირველს ტომში.

მხოლოდ აი მაშინ შეეძლება კაცობრიობას, რომ თავის მოქმედებით და ინერციით ცხოვრების უმაღლეს წერტილს მიახწიოს, მისი მერმისისთვის ნათელი პროგრესიული გეგმა შეიმუშაოს და შეიდგინოს. უამისოდ, კი კაცობრიობამ რაც გინდ ბევრი იმეცადინოს და იღვაწოს თავის ძლიერების აღსაფრთოვანებლად და ერთის ტომის მეორეს ტომის წინაშე დაწინაურებას, წინ გასწრობას და გაძლიერებას, ეს იქნება მხოლოდ დროებით ლტოლვა ნატვრისა, ხოლო მომავლისთვის კი მას მტკიცე ნიადაგი არ მოჰყვება და მშრალად მონარუქებული ქადილი მშრალადვე დაშთება, პატარა ოცნებათ, ქარის წისქვილათ, რადგანაც ბოლოს სამხედრო პატრიოტობას ყველგან საძირკვლები გამოეცლება და იგი ისე უნაყოფოდ დაეცემა, როგორც დაეცნენ მრავალ ტომთა სამეფოთა გვარნი. ასეთ ოცნებას ევროპის ერთა შორის რამდენიმე სახელმწიფოთ გვართა დააღწიეს თავი და მათ ამის დაღწევით დროითვე მიაღწიეს უმაღლეს ცივილიზაციას, დიდს კულტურას. ამიტომ ჩვენც, როგორც მორჩილნი ევროპის განვითარების და ცხოვრებათა მხარეების ბაძვის, უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენს ცხოვრებაშიაც შემოვიტანოთ და დავამკვიდროთ ის წესები და მიდრეკილებანი, რაც იქ ძველადგანვე იყო აღორძინებული და წინ წასული. უამისოდ კი ვიტყვი, რომ ჩვენ წინ ვერ წავალთ და ყოველთვის და მშრალ მეოცნებეთ დავრჩებით და მის მეოხებით ბევრს სულის ასამაღლებელა და ცხოვრების გასამტკიცებელს წარმატებასაც მოვაკლდებით მშრალის სამხედროს პატრიოტობით, სასწაულებრივის მხარეებით და ეკლესიურის საქმეთა გვაროვნულის ტრადიციებით წინ ვერ წავალთ. ერთს საფეხურზედ გავჩერდებით და ბოლოს როგორც ბრბო ისე ავიგვებით ამ დედამიწის

პირიდგანა. ყველა ეს მოხდება იმ ერში ადვილად, სადაც რეალურს განათლებას მტკიცე საძირკველი არა აქვს დამკვიდრებული და ან სხვა და სხვა გვარის ტომთა წინაშე მკაცრათ არის აღორძინებული ერთმანეთის გვაროვნობის დამცირება, ერთმანეთის შეჭმა და მით სამუდამოთ მოსპობა ცხოვრების ასპარეზის გაგმაზედ. ჩვენ ეს გაგვახსენა შემდეგმა გარემოებამ, რომელ საგანზედ სჯა და კამათი ჩვენთვის საკმარისად საინტერესო უნდა იყოს.

1891 წ. სომხურ თვიურ ჟურნალ „მურჭში“ წერილი დაიბეჭდა ქართველთა შესახებ, სადაც დამწერი სხვათა შორის, ერთ ალაგას ასე საუბრობდა: „ქართველებს ძლიერ უყვარსთ სხვა და სხვა სარწმუნოების მექონ ხალხში ქართველ გვარის ერის გაჩენა. მაგალითებრ, ქართულ მწერლობაში კარგა ხანია რაც ავრცელებენ ქართველ მაჰმადიანთ არსებობას, ქართველ ებრაელთა, ქართველ კათოლიკეთა და ეხლა მათ ქართველი გრიგორიანებიც გააჩინეს, ამის საქმეც გააათავეს, მას მტკიცე ბეჭედი დააკრეს, დღეის შემდეგ ქართველებში, უეჭველი ქართველი სომხები, ანუ გრიგორიანებიც გაჩნდებიან, ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც ქართველებმა ამ საგანს თავიანთ ჭეშმარიტების ბეჭედი უკვე დაარტყეს-დაპლომბეს“. ეს წერილი სომხურს ჟურნალს „მურჭში“ გამოიწვია ერთის ქართველის წერილმა, რომელიც იმავ წლის გასვლით ივერიის ნომერში იყო დაბეჭდილი და რომელ წერილშიაც დამწერი საფუძვლიან და სამართლიანად სჯიდა ქუთათურ ქართველ გრიგორიანთა შესახებ. „მურჭის“ წერილი პირდაპირ ამ წერილის დამწერის წინააღმდეგ არის მიმართული და ნამეტურ სამხრეთ საქართველოზე, რომელიც „მოგზაურში“ დაიბეჭდა და რომელ წიგნაკმაც სჯა და კამათიც გამოიწვია. აქ ამაზედ არავინ იფიქროს, რომ მე ვითომც ამ წერილს ხსენებულის სჯა და კამათის მეოხებით ვწერდე, არა, ამ საგანზე წერა მე ადრიდგანვე მქონდა გაღვიძებული და მის შესრულებას

ყოველთვის ნატერით ვეტრფოდი, ხოლო მრავალ საქმეთა მიმდევრობამ არ მომცეს დროსედ ნატერის შესრულება. შეუსრულებლობა კი ჩემგან შეუძლებელი იყო, რადგანაც, რამდენი ხანიც გადიოდა, იმდენი ჩვენის სამშობლო ქვეყნის ასპარეზზედ, ჩვენ მემამულეთ შორის, დიდი განმასხვავებელი გვაროვნული კამათიც იბადებოდა, ერთის ტომის და მოდგმის შვილები. ერთის ენის და ქვეყნის მეზობელნი ურთიერთ შორის განსხვავებას და გაცალკევებას ქადაგებდნენ. ამის სრულს მაგალითს წარმოადგენს ქართლ-კახეთის სოფლებში მცხოვრებ ქართველთ ისეთ ჯგუფთ მცხოვრებთ, რომელთა რიცხვიც სარწმუნოებით, ანუ ეკლესიით გრიგორიანობას ეკუთვნიან და შთამომავლობით კი ქართველს, საქართველოს, მათი დედა ენა ქართული ენა არის, ძველადგანვე მათ ქართული ენა ჰქონიათ მიღებული და დამკვიდრებული.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენის ისტორიის თანახმად, ქრისტიანობის პირველ საუკუნოებში ქართველნი და ჰაოსიანნი ერთ სარწმუნოებას ვაღიარებდით, ერთი კათალიკოზი გვყვანდა, რომელიც ეჩმიაძინში იჯდა, დანარჩენი ეპისკოპოზნი კი, რომელნიც ქართველთათვის იყო საჭირო, ისინი ქართლის ქვეყნის კუთხეებში განაგებდნენ და მათი რიცხვიც ყოველთვის ქართველ გვარისაგან შედგებოდა, ხოლო კათალიკოზნი კი ყოველთვის ჰაოსიანის გვარის იყო. ორს საგვარეულო ერთ სამღვდელოთ შორის დროის განმავლობის მეოხებით მცირე უთანხმოება ჩამოვარდა ეკლესიური წეს-წყობილების და ცხოვრების შესახებ. ჰაოსიანთ სასულიერო წოდება თავისებურს გზას ადგა, ისევე ქართველნი. ბოლოს საქმე ისე მოეწყო, რომ როდესაც ბიზანტიაში უკანასკნელი მსოფლიო კრება მოხდა, იქ ჰაოსიანთ სამღვდელოებამ მონაწილეობა არ მიიღო. ეპისკოპოსთაგანი არავინ დაესწრნენ, ქართველთაგან კი თორმეტი ეპისკოპოზი დაესწრა. კრების გადა-

წყვეტილებას ქართველ ეპისკოპოსნი დიდ თანხმობას უცხადებდნენ, რაც კი კრებამ დაადგინა და გადასწყვიტა ეკლესიური ცხოვრების და წეს-წყობილების შესახებ, ყოველივე ქართველთ ერთ ხმად მიიღეს, რაც სხვებმა უარი ჰყვეს, ის ქართველთაც არ მიიღეს, რაც სხვებმა მიიღეს, ის ქართველთაც შეიწყნარეს, ასე და ამ გვარად, ქართველნი, ახალ მსოფლიო კრების ძალით ბერძენთ მოთანხმენი გამოჩნდნენ, მათი სარწმუნოების თანა-მორწმუნენი და ჰაოსიანები კი დაშთნენ ცალკე, მათ უკანასკნელ მსოფლიო კრებაში მონაწილეობა არ მიიღეს, მათ სამჯობინოდ დაინახეს ბერძნებისაგან შორს განდგომა, მათი ეკლესიის წესებთან არაფერი ერთობის ქონვა, ეს კარგიც იყო მათთვის და საქმეც. ჰაოსიანთ ეკლესია განცალკევებულად გამოჩნდა, ეს მოხერხება და განცალკევება მათის გვარისათვის დიდ განძათ ჩაითვალა, მის შემდეგ ჰაოსიანთ ეკლესია დღემდე დაშთა თავისუფლად და დამოუკიდებლათ სხვათა და ნამეტურ ბერძენთ ეკლესიის წინაშე. ამის სამზადისი მათ წინათვე ჰქონდათ გარკვეული. საბერძნეთიდამ საქართველოში დაბრუნებულ ქართველთ ეპისკოპოსებმა ქართველი ერი ბერძნის ეკლესიის წესების მოთანხმედ განაცხადეს, ერთ თანამორწმუნეთ, ჰაოსიანთაგან კი განეყოფილს. ქართველთ ეპისკოპოსთ განცხადება საქართველოში ქართველთ თითქმის ყველგან მიიღეს, სიტყვის უთქმელად, უკანასკნელ მსოფლიო კრებას სიამოვნებით დაემორჩილნენ, ბერძნების კავშირი და ნათესაობა დიდ სანუკვარ საქმეთ ალიარეს. ქართველ მღვდელ-მთავართ განცხადება და ქადილი ქართველთ შორის არ იქმნა შეწუნარებული მხოლოდ ბერდუჯის კუთხისკენ, ან სამხრეთ საქართველოს მცხოვრებ ქართველთაგან, რომელნიც თავიანთ მოსამსღვრეობით ჰაოსიანთ კუთხეებს ესამზღვრებოდნენ, ანუ დიდს და მცირე ნაწილის არმენიას. მხოლოდ ამათში ვერ მოიკიდა ახალმა სარწმუნოებრივმა განკარგუ-

ლებამ საძირკველი. ჰაოსიანებთან ახლოს მცხოვრებთ ქართველთ ასეთ ჰაოსიანთ ეკლესიის და მის მადიარებელთ რიცხვის ცხოვრებაც იწვევდა, ნამეტურ ნაოესავური კავშირი, რაც ამ ორ გვარს შორის ადრიდგანვე დაინერგა სარწმუნოების მხრით.

ბერდუჯელნი ქართველნი იტყოდნენ: „ჩვენ ასე ადვილად ვერ გადავალთ მამაპაპის სჯულიდამ და ვერ ვიწამებთ ახალს მოძღვრებას, ჩვენ დავშთებით ისევ ისე, როგორც ვყოფილვართ აქამდე, ერთის სჯულიდამ მეორეზედ გადასვალა სამძიმო იქნებაო“. ასე და ამ გვარად, ძირეულ ქართველ გვარის კარგა დიდი რიცხვი დარჩა იმ ეკლესიის კერძ, რომელ ეკლესიაც ჰაოსიანთ საკუთრებას შეადგენდა, ე.ი. ქართველ გვარის ერს სულიერი დაკავშირება უნდა მიეღო ჰაოსიანებთან ერთად. მართლაც ეს ასეც მოხდა და ნელნელა დროის განმავლობის მეოხებით ქართველნი სასტიკათ დაექვემდებარნენ ჰაოსიანთ ეკლესიის წესებს[1], ქართველნი განდრკენ ახალს მერჯულს ქართველთაგან, განირჩნენ მაოგან სასტიკათ, მის ნაცვლად იწყეს ჰაოსიანთ ეკლესიის წესებზედ მკვიდრად აღმოცენება. მალე ისე მოიმართა საქმე, რომ მთელ სამხრეთ საქართველოს ერს რბილსა და ძვალში ჰაოსიანთ ეკლესიის წესები და

---

[1] გულისხმობს სომხურ მონოფიზიტურ სარწმუნოებას. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: ზაზა ალექსიძის გამოკვლევები: „ქრისტოლოგია წიგნი“, სომხური ტექსტი, ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ. 1968; ეხტანესი, „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ. თბ. 1975; არსენ საფარელი, „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1980. ზ. ჭიჭინაძე, როგორც ჩანს, ამ საკითხთან დაკავშირებით, არ ფლობს ისტორიული წყაროებიდან მომდინარე ინფორმაციას და მხოლოდ სომეხ მკვლევართა მიერ ტენდენციურად გამოკვლეულ ნაშრომებს ეყრდნობა. საკითხის პოლიტიკურ საფუძველს ჩვენც განვიხილავთ შესავალ წერილში. (ქ.ქ.).

მაღიარებლობა ქვა კუთხედათ გარდაექცათ, ქართველთ საეკლესიო ენათ ჰაოსიანთ ენა შეიქმნა და მათს ენაზედ ეკლესიაში საეკლესიო წიგნების ხმარება და ჰაოსიანთ ლოცვა. ერთი სიტყვით, ქართველ გვარის ქართველი შკანასკნელ ქართველობისას ყოველივეს უნდა გამოსთხოვებოდა და პირდაპირ მის მაგიერ ჰაოსიანთ წესები, ენა და მიდრეკილებანი უნდა ჩაენერგა, რასაც თვით ჰაოსიანთ ეკლესიაც ამტკიცებდა და ნერგავდა მათში, იგი ისეთ საეკლესიო ძალად გარდიქცა და იმისთანა საკუთრებად ჰაოსიანთ ერის, რაც სხვა ტომის კაცთა რიცხვს უადვილესად ჰყლაპავდა, მათ გვარტომობას ისლამივით სპობდა. როგორც სამხრეთ საქართველო აღიარებდა ჰაოსიანთ ეკლესიის წესებს, ისევე აღიარებდა მთელი კახეთის ერიც, კახელნიც ასევე იტყოდნენ: „ძველ მამა-პაპათა სჯულიდან გარდამავლობას ვერ ვიტვირთებთ“. როგორც სამხრეთ საქართველოს ქართველნი, კახელნიც ისევე დაშთნენ ჰაოსიანთ ეკლესიის კერძ, ვითარცა სამხრეთ ქართველნი. ამიტომ ესეთი გარემოება დანარჩენ ქართველთ დიდათ აფიქრებდა. ასე, ქართლის ცხოვრების სიტყვით კახეთის ქართველობა მხოლოდ X საუკუნის დამდეგს იქმნა მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებული, ისიც ძალით და ძალაობით ქართველთ დინარ დედოფლის წყალობით და შრომით*)[2]. უნდა ითქვას, რომ კახეთში ჰაოსიანთ ეკლესიას მარტოდ ერი ემორჩილებოდა, მთავარნი და მეფენი კი მართლ-მადიდებლობას აღიარებდნენ[3].

---

[2] *) ქართ. ცხოვრება ტ. I. (ზ.ჭ.).

[3] ზ. ჭიჭინაძე ამ შემთხვევაშიც ფაქტობრივ უზუსტობას უშვებს და სიმხური ტენდენციური გამოკვლევების გავლენას განიცდის. იგი ჰერეთში განხორციელებულ მოვლენებს ასახელებს. როგორც ცნობილია, ჰერეთი ისტორიული მხარეა აღმოსავლეთ საქართველოში. იგი მოიცავდა შიგნიკახეთისა და გაღმამხარის ტერიტორიას საინგილოს ჩათვლით. ჰერეთის საერისთვო მოიცავდა ასევე, კამბეჩოვანს და დაღესტნის მოსაზღვრე მთიანეთს. ქართლის სამეფოს მიერ ჰერეთის ტერიტორიის პოლიტიკური შემომტკიცების პროცესში ჰერები ქართ-

ასე და ამ გვარად, ჩვენ რომ გავსინჯოთ პირველ დროის ქართველი ერის ეკლესიური ისტორია, გავეცნათ მისი გარემოება და ქართველთ პირობები, მაშინ ჩვენ ცხადათ დავრწმუნდებით, რომ ქართველთ თავიანთი გვარიდამ გარდამავლობა და გადასხვაფერება, გადაგვარება თვით ქრისტიანობის განმტკიცების შემდეგიდამვე მოჰვლენიათ კარს და მის მეოხებით საქართველოს კიდეებისაკენ. ძრიელ ბევრს ალაგას ქართველნი თავის გვაროვნობით სამუდამოდ მოსცილდებიან საქართველოს, ქართველობას, ქართულ ენას და მის ნაცვლად ჩაუნერგავთ ის ენა და

ველ ტომებთან ერთად ერთიან ეთნო-კულტურულ სივრცეში ჩამოყალიბდნენ. ჰერეთისთვის იბრძოდნენ „აფხაზთა“ სამეფოს მეფეები და კახეთის ქორეპისკოპოსები, შემდგომ ერთიანი საქართველოს მეფეები. XI ს-ის დასაწყისში კვირიკე III დიდიმა შეძლო კახეთისა და ჰერეთის გაერთიანება, რომელიც კახეთ-ჰერეთის სამეფოდ იწოდებოდა. კვირიკემ მეფის ტიტული მიიღო. კახეთ-ჰერეთის მეფის ტიტული „მეფე რანთა და კახთა“ იყო, რომელიც ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაშიც შეეიდა. ალბანეთის ტერიტორიებზე და ჰერეთში გაბატონებას სომხებიც ცდილობდნენ. ტაშირ-ძორაგეტის მეფეები, რომლებიც სომეხ ბაგრატუნთა უმცროსი შტოს წარმომადგენლები იყვნენ, „ალბანთა მეფეების“ ტიტულით იწოდებოდნენ. ამ მხარეში გაელენის მოპოვებისთვის სომეხ-ქართველთა ჭიდილი კონფესიური კუთხით მიმდინარეობდა, კერძოდ დიოფიზიტურ და მონოფიზიტურ ძალებს შორის. „მატიანე ქართლისა“ აღნიშნავს: „და ჰერეთსავე, მეფობამდე იშხანიკისსა (ჰერეთის მეფის ადარნასე პატრიკის ძე – ქ.ქ.), პირველნი ყოველნი იყვნეს მწუალებელნი; ხოლო იშხანიკ დისწული გურგენ ერისთავთ-ერისთავისა (გურგენ IV ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი, მაგისტროსი, ადარნასე II ძე), და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებელად, დინარ დედოფალმან“ („მატიანე ქართლისა“, ქართლის ხოვრება, I, თბ. 1955, გვ. 266). როგორც ჩანს, ეს კონფესიური ბრძოლა ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა. „მწუალებელნში“ რა თქმა უნდა, მონოფიზიტები იგულისხმება. მაგრამ, საბოლოოდ ჰერეთში მართლმადიდებლობამ გაიმარჯვა და ჰერეთი ქართლის ეკლესიას შეერწყა. ამ ფაქტს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჰერეთში ქართული ეთნო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებისთვის. ჰერეთი ზოგადქართული კულტურის ნაწილად იქცა. XV საუკუნიდან ტერმინი „ჰერეთი“ აღარ იხსენიება და მას ენაცვლება „კახეთი“. (ქ.ქ.).

წეს-ჩვეულებანი, რომელ ერის სასულიერო წიგნებიც მათს ეკლესიაში ყოფილა გამეფებული. ასე, რომ ქართველთა-განნი ძველადგანვე განერიცხნენ ქართველთა გვაროვნობას მრავლად და მათ პირდაპირ ჰაოსიანობა იწყეს. სამერმისოდ ნამდვილ ჰაოსიანად აღმოცენება. საქართველოში ქართველთ რიცხვი ძველადგანვე შესამჩნევი ყოფილა და მასთან მრავალ ალაგასაც. ასე იყო ეს და მის მოდავეთ არც ქართველები ხდებოდნენ, ძველად ქრისტიანობის ასპარეზი ქართველთათვის ერთი იყო; მასზედ ქართველთა გინდ კათოლიკის სჯულის ყოფილიყოს, გინდ გრიგორიანის და გინდ მართლმადიდებელი, ეს ორივ ერთი იყო მათთვის. ამ გარემოებას ქართველთ ცხოვრების საკმარისი მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რადგან მან თავისებური მახვილი მოინარუქა და ქართველ ერს ბევრნაირი ზარალიც მოუვიდა, დღეს, ქართველთ ძველი ინდიფერენტული შეხედულების ნაყოფი ცხადი არის და ქართველი ქველგან სარწმუნოების მეოხებით ჰკარგავს თავის გვარს, ენას და მამა-პაპათა ხსოვნას და მის სიყვარულს.

ბევრჯერ გვითქვამს და აქაც ვიტყვით, რომ ქართველ კაცს არა აქვს თავის საგვაროვნო ეკლესია, სარწმუნოება, თავის საკუთარს აგებულებაზედ დამკვიდრებული ძალა. ქართველი ერი ხან ერთის ერის უცხოების საკუთრებას ითვისებდა და ხან მეორესას, ყოველს შემთხვევაში კი მისთვის არც ერთი შთებოდა ფარსაგად და არც მეორე, ერთიც ხელს ავლებდა და მეორეც. ქართველმა მიიღო მართლმადიდებლობა და მის მეოხებით იგი ძველადგანვე გვაროვნობითაც დაუკავშირდა მათ და უკანასკნელ ასეთის დაკავშირების საშუალებით გადაგვარდნენ კიდეც[4]. გარდა

[4] ს. ჯიჯინაძე აქ გულისხმობს საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს, რომელიც გულისხმობს დიდი რელიგიების ეთნო-კულტურული სახის განსახღვრას. მართლმადიდებლობაში ავტორი ბერძნულ აღმსარებლობას გულისხმობს. მას ავიწყდება, რომ ქართველმა ერმა მართლმადიდებლური სარწმუნოება ეროვნული იდენტობის შენარჩუნების

ამისა. ქართველმა მიიღო მუსულმანობა, დაუკავშირდა თათრის ტომის სარწმუნოებას და მის საშუალებით და ზე გავლენით მან დაკარგა თავისი ყოველივე გვაროვნების და ენის და მის მაგიერ შეიკავშირა თათრის წესი, ზნე, ჩვეულება, ენა და თვისებაც კი. თავის მამაპაპათ მტრათ აღმოუნდა და მით ოთხი წილი ქართველობის ღვლეს გათათრებულია ყველაფრით. ესეთია ქართველი კაცის თვისება, ასე დუნეა მისი ბუნება და იგი დაკარგვის გარეშე სხვაგან ვერსათ იჩენს ძალას. ქართველმა მიიღო კათოლიკობა და მითაც არ დარჩა იგი ქართველათ, ერთმა ნაწილმა კათოლიკობის მეოხებით ჰაოსიანური ენა შეითვისა, მეორე ნაწილმა თათრული და მესამემ ქალდეური. ქართველი დაუკავშირდა გრიგორიანობას და უნდა ითქვას, რომ არც ამით იქმნა იგი განრინებული და მორჩენილი გვაროვნულის გადაყლაპვისაგან. დღეს მეტად დიდი რიცხვი ლაპარაკობს ქართველი ჰაოსიანურს ენაზედ. ქართველი კაცი სადაც კი წავა და ან გადასახლდება, უსათუოდ იქ მოიკიდებს ბინას, იქ გახდება მისი სამშობლოს მთა-ბარი და მის მამაპაპათა მოსაგონარი ყოველივე კი განელდება, გაქრება და მით დავიწყებას მიეცემა. ესეთი მიდრეკილება დღეს ქართველებს ცხადათ ეტყობათ. დღეს ქრთველნი ამბობენ თამამად – „სომეხმა ხმალი აიღო, ქართველმა სომხის დავთარი". ეს იქმნება ზოგიერთმა კიცხვით მიიღოს, ჩვენ კი ქებათ ჩავი-

---

მიზნით მიიღო. ძლიერი ფენომენის ქართული ენის და თვითმყოფადი კულტურის საშუალებით მას არ შექმნია „გაბერძნების" საფრთხე. ამ საკითხს მეორე და უფრო მნიშვნელოვანი მხარეც აქვს, რომელსაც ილ. ჭავჭავაძის სიტყვებით ვიტყოდით: „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა სხვათა შორის, ქართველი ერი ამისათვის უფროხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა" (ილ. ჭავჭავაძე. ა'ხრები, შეადგინა გ. კალანდარიშვილმა, თბ., 1989, გვ.15).

თვლით, სწორეთაც ასე უნდა იყოს, დროა უკვე რომ ქართველმაც თვალი გაახილოს, აიღოს ხელში სავაჭრო დავთარი და მის გზასა და კვალსაც შეუდგეს. დღეს ეს დავთარი და ანგარიში გახლავსთ ბევრისთვის ცხოვრების ასპარეზზედ იარაღად გამხდარი, უამისოდ ჩვენი დაწინაურება ერთის მხრით შეუძლებელიც გახდება. დავთრის აღება კაცს არას ავნებს, თუ ის თავის ეროვნულის დედა ჰაზრებით მტკიცედ დაშთება, არსად და არას დროს თავის ეინაობის ხსოვნას არ დაჰკარგავს. უამისოდ კი კაცი რა უნდა იყოს, ან იგი რას უნდა წარმოადგენდეს, არაფერს. დღესაც, თვით შუაგულ ქართლში, გრიგორიანთ სარწმუნოების მექონენი ქართველნი მოიძულებენ თვით ქართულს ენას და მის მაგიერ იწყებენ მათთვის უცხო ენაზედ საუბარს. ამასაც არ კმარულობენ და თვით ქართულს ენაზედ წერას, ან კითხვასაც აღარ სწავლობენ. საოცარია მეტად და მასთან სამწუხაროც, რომ შიგ შუა გულს ქართლში ნახავ ისეთ ქართველ ძირეულ გვარის კაცს, რომელმაც ქართული კითხვა არ იცის, ქართულის კითხვის გარდა რომ სიტყვა იყოს, მაშინ აღმოჩნდება, რომ მან ქართულ ენის გარდა სხვა არც კი იცის, მაგრამ როცა კითხვა ჩამოვარდება, მაშინ ის თავის თავს სხვა გვარისად აღიარებს, ქართველობის მას არაფერი სწამს! როგორ არის ეს დღეს და რანაირად მოსდის მას, უმეცრებით თუ მეცნიერულად. ამაზედ ჩვენ არას ვიტყვით, აქ საქმე მარტო ფაქტის, ანუ გარემოების პირობაა ანუსხვას შეეხება. ერთს ასეთს მთავარს საეკლესიო საგანს წარმოადგენს ქართლ-კახეთიმერეთის და მასთან მთელს საქართველოში მცხოვრებთ იმ მკვიდრთ ქართველთ საქმე, რომელნიც შთამომავლობით ქართველ ტომს ეკუთვნიან, ხოლო სარწმუნოებით გრიგორიანებს, რაის საშუალებითაც იგინი უკანასკნელ ტომიდამ გარდამავლობას სჩემობენ და ქართველობის უარ-ყოფას, რასაც თვით კლერიკალური ეკლესიაც უწყობს ხელს.

II

როცა ასეთ ქართველ გრიგორიანებზედ სადმე სიტყვა ჩამოვარდნილა, სჯა ამტყდარა და ბაასი, იქ თუ ყოფილა ვინმე ჰაოსიანთაგანი, იმას მაშინათვე თამამად უთქვამს, რომ საქართველოს გრიგორიანები ნამდვილი ჰაოსიანები არიანო და მათი შთამომავალნიო. სხვა-და-სხვა დროს ჰაიასტანიდამ საქართველოში გადმოსახლებულნი, ქართველებთან ერთად დასახლებულნი, უკანასკნელ ენით და ჩვეულებით გაქართველებულნიო, ხოლო ეკლესიის წესრიგით ძველს სარწმუნოებაზედ დაშთენილიო.

ეს გახლავსთ უმთავრესი საფუძველი ყველა ისეთ პირების, რომელნიც კი თავიანთ მოსაზრებას და შეხედულებას ასეთს საოცნებოს მოსაზრებაზედ ამყარებენ, საღს, ლოღიკურს მოსაზრებას უბრალო საგვაროვნო საკმელს უკმევენ, გამქრალს სამთელს უსინათლოდ უნთებენ, ყოველივე ცნობას და მოსაზრებას თავისებურად ახსნებენ, თვისებურად რთავენ და აკეკლუცებენ, ამის შნოც შესწევთ მათ, ამის ოსტატებიც არიან, ხოლო ეს ოსტატობა ერთობ უნაყოფოა. უნიადაგო და ფუჭი, საღს მოსაზრებას და კრიტიკას მკაცრად მოცილებული.

საქმე და საგანი რომ მკაცრად გავარკვიოთ და გავიცნოთ, ეს მაშინ კი ასე არ გამოვა. საქართველოს გრიგორიანებში ჩვენ ვნახავთ ბევრს ისეთებსაც, რომელნიც გრიგორიანობას მხოლოდ სარწმუნოებით ეკუთვნიან, თორემ გვაროვნობით იგინი ისეთივე ქართველები არიან როგორც ერთი და ორი ქართველი. ამას ცხადათ დაასაბუთებს ის გარემოება და სტატისტიკის ცოდნა, თუ სხვა-დ-სხვა დროს საქართველოში სომეხთა რიცხვი რა ზომის მოდიოდა და სახლდებოდა. ამ გარემოების ისტორიული სტატისტიკა ჩვენ შესწავლილი გვაქვს და

უეჭველია ამიტომ აქ ამაზედ ცილს არავინ დაგვწამებს, ჩვენს ცნობებს ჭეშმარიტებად მიიღებენ.

მოგეხსენებათ, რომ სამწუხაროდ სომეხთა დაცემა და ძირიან-ფესვიანად ამოგდება XII საუკ. დამდეგს მიეწერება. ამ დროს, სომხეთში, სომხებს ისე გაუჭირდათ, რომ იგინი სომხეთიდგან გადასახლდნენ პოლონეთს, ინდოეთს, საბერძნეთს, სპარსეთს და სხვაგანაც. ასევე მოხდა და დავით აღმაშენებელმა ქართლში გადმოასახლა 100 კომლი სომეხთ ოჯახებისა. ეს სომეხნი მაშინ დასახლდნენ გორს, ახალქალაქს, ახალგორს და ცხინვალს[5]. თითო სოფელში არა უმეტეს 20 კომლის. სხვა უცხო ქვეყნებში სომხები ასი და ორასი კომლობით მიდიოდნენ და საქართველოში კი მცირედ მოვიდნენ, მიზეზი ამისა ის იყო, რომ დავით აღმაშენებელს სომეხთა დაბრუნება სომხეთიდგან არ უნდოდა, იგი ამაგრებდა მათ და იმედს აძლევდა სომეხთა კვალად აღდგენის, სომხეთში ფეხის გამაგრებას და ამიტომ არსად გადასახლებას. ამას იგი მით უფრო საჭიროებდა, რადგანაც ჭკვიანი კაცი იყო, მას დიდათ ენატრებოდა, რომ საქართველოს მოსახლეთ სომხებს სომხეთში ფეხი

---

[5] დავით აღმაშენებლის მიერ მხოლოდ გორში სომხების ჩამოსახლების შესახებ ცნობას, ახახელებს სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაეცი, დაკონკრეტებული არ არის მოსახლეობის რაოდენობა. ამ ინფორმაციას არ გვაწვდის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. გორთან ერთად მოხსენიებული ახალქალაქი, ახალგორი და ცხინვალიც ეჭვს იწვევს. თუ აქ ზ. ჭიჭინაძე ჯავახეთის ახალქალაქს გულისხმობს, უკვე შეცდომაა, რადგან კომპაქტურად ჯავახეთში სომხური მოსახლეობის ჩასახლება 1828-1829 წწ-ის რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ხდება. თუ კი აქ იგულისხმება თეძამის ხეობის ახალქალაქი, რომელიც ზ. ჭიჭინაძის დროს გორის მაზრაში შედიოდა, ესეც შეუსაბამობას ქმნის, რადგან „მეფისქალაქად“ წოდებული ახალქალაქი უმეტესად რუსტომ მეფის მიერ იქნა დაარსებული. რაც შეეხება ცხინვალსა და ახალგორს, ისინიც უფრო გვიან მოიხსენიებიან ქართულ წყაროებში. ზ. ჭიჭინაძის მიერ გორთან ერთად ცხინვალის. ახალქალაქისა და ახალგორის დასახელება უფრო მისი დროიდან გამომდინარე უნდა იყოს და ავტორის ინტერპრეტაციას ასახავს. (ქ.ქ.).

გაემაგრებინათ. ქართველებს ქრისტიან მოსაზღვრეები ჰყოლოდათ მეზობლად.

მაშასადამე დავით აღმაშენებელი თუ ასე ფიქრობდა სომეხთა შესახებ, იგი მათ გადასახლებას აქა იქ ყოველთვის კრძალვით მოეპყრობოდა, სომეხთა დაპნევას და თუნდ საქართველოში გადმოსახლებას სულ არ შეუწყობდა ხელს, რადგანაც ეს გარემოება მის სახელმწიფო გამგეობის ნიჭიერებას შეადგენდა და სომეხთა გადმოსახლება საქართველოში რათ იქმნებოდა საჭირო, როცა იგი სომეხთა დამოუკიდებელ ცხოვრებას და სომხეთის არსებობას აუცილებლად ითხოვდა; სომხეთის არსებობა მას საქართველოს ძლიერებად მიაჩნდა და ამიტომ იგი სომეხთა დაპნევას დიდათაც ეკრძალებოდა, ერიდებოდა. ასე, რომ საქართველოში, დავით აღმაშენებლის დროს სულ 100 კომლი გდამოსახლდა და აქედამ ოც-ოცი კომლი იქმნა ზემოხსენებულს სოფლებსა და ქალაქებში დასახლებულნი.

ამ პირველ გდამოსახლებულ სომეხთა რიცხვის შესახებ სომეხთ მსწავლულნი სხვა აზრისანი არიან, მათის ფიქრით, კახეთის და ქართლის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი მთლად სომხებისაგან შესდგებაო. ამ მოსაზრებას ისინი აწინდელის ცნობების წყალობით ჰფიქრობენ, რადგანაც დღეს საქართველოში გრიგორიანთა რიცხვი ასეა გამრავლებულიო. ამიტომ ისინი ძველადაც მრავლად იქნებოდნენო. სხვა რამ ცნობები ამ პირველ გადმოსახლებულთა რიცხვის შესახებ მათ არაფერი აქვსთ[6]. ამ პირველ

---

[6] V-VI სს-ის სომხურ წყაროებში მოხსენიებული გუგარქის საპიტიახშოს, რომელსაც „ქართლის ცხოვრებაში" მოხსენიებული სამშვილდის საერისთავო ემთხვევა, სომხური პოლიტიკური ძალები ყოველთვის ცდილობდნენ ამ ტერიტორიის გაკონტროლებას. ამის მაგალითები მრავლად მოიპოვება „ქართლის ცხოვრებაში". სადაც შეტაკების არეალი ძირითადად ქვემო ქართლსა და ჯავახეთში ფიქსირდება. ქართლის მეფეები სამშვილდის საერისთავოს საუფლისწულოდ გადასცემდნენ, სამხრეთ საზღვრის დაცვიდან გამომდინარე, მისი განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობის

გამო. ამის დამადასტურებელი ფაქტია ყცროზიანთა გვარის დამკვიდრება სამშვილდეში, როდესაც ბაქარ მირიანის ძემ თავის ქმარს სპარს დიდგვაროვან ყცროზს სამშვილდე გადასცა. მათ გაერთიანებული ძალებით ღაამარცხეს სომხები.

სომხური მოსახლეობის საქართველოს სახელმწიფოში შემოსვლისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა V ს-ში, როდესაც ირანელი დამპყრობლების ხელშეწყობით შუშანიკ დედოფლის მიერ ცურტავში ღვთისმსახურების მეორე ენად სომხური დაწესდა. ასეთი წახალისება ხელს შეუწყობდა სომხური მოსახლეობის მიგრაციას საქართველოს სამხრეთ თემებში. შემდეგი ხელშემწყობი ფაქტორი სომხური მოსახლეობის შემოსვლისა უნდა ყოფილიყო IX-X სს-ში, როდესაც ანისის ბაგრატუნებმა მთახერხეს ქვემო ქართლის მიწების დიდი ნაწილის ანექსია და შემდეგ იქ ტაშირ-ძორაგეტის პოლიტიკურად და არა ეთნიკურად სომხური სამეფო დააარსეს. მთელი ეს დაპყრობილი მხარე სანაინის ეპარქიის შემადგენლობაში შეიყვანეს. ეს პროცესი ბუნებრივია, ხელს უწყობდა სომხური ეკლესიისა და კულტურის გავრცელებას. მაგრამ ისტორიული წყაროებიდან და შემდგომ განვითარებული ისტორიული ფაქტებიდან ჩანს, რომ ქართული ეპარქიებს ამ საუკუნეებში არსებობა არ შეუწყვეტია (ულია ბოლნელი, იოანე ბოლნელი, ანტონ თულაის ძე). რაც მიუთითებს აქ ქართული მრევლის არსებობაზე. ცალკეული შემთხვევები მონოფიზიტობიდან ქალკედონის რჯულზე გადასვლის ფაქტებისა მიუთითებს (გაგის ციხის მფლობელის დემეტრე მარჩხანის მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე გადასვლა, მისი შვილის გიორგი მთავარეპისკოპოსის ქართული წარწერა ვანანავანქის ტაძარზე), რომ ქართული ეკლესიის პოზიციები ამ მხარეში საკმაოდ მძლავრი იყო. (იხ. ქ. ქუთათელაძე, ქვემო ქართლი, პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 2001; კონფესიური ვითარება ქვემო ქართლში, ისტორიულ-ეთნოლოგიური შტუდიები, V, თბ., 2002; „ყცროზიანთა/ნათესავით პატიარშთა საგვარეულო ქვემო ქართლში, (IV-VIII სს.), „მესხეთი", VI, თბ., 2005).

შემდგომი ფაქტი სომხური მოსახლეობის ფართო მასშტაბიანი შემოსვლისა საქართველოს სახელმწიფოში, ადგილი ქონდა ალექსანდრე I დროს. თომას მეწოფეცი აღნიშნავს, რომ ადგილი ჰქონდა ღაახლოებით 6 000 კომლის შემოსვლას საქართველოში, როდესაც შაჰრუხმა 1435-1436 წლს სივნიეთი ღაარბია, რომელიც მანამდე ალექსანდრე I აიღო, უფრო ადრე კი (1431) ლორე. მეფემ იგი ბეშქენ ორბელიანს უწყალობა. ათასობით სომეხი მოაწყდა ლორეს, ალექსანდრე I იძულებული გახდა სახელმწიფო ნაკვეთი. არაერთგზის გვითქვამს, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველოში შემოსული სომხობა ჩვენთან ერთად ერკინებოდა მტერს და ჩვენთან ერთად იულიტებოდა. სომხური მოსახლეობის კომპაქტური ნამოსახლებები და

გადმოსახლებულთ რიცხვის შესახებ ჩვენი მატიანე 100 კომლს უჩვენებს და უნდა ითქვას, რომ ეს მართალიც იქმნება, ამას ეჭვი არ უნდა, ტყუილის თქმა მათთვის საჭირო არ იყო, არც იყო ამისი დრო, რომ მათ ტყუილები რამეში გამოეყენებინათ. ასე და ამ გვარად ჩვენ ვიცით. დავით აღმაშენებლისგან ქართლში სომეხთა 100 კომლი იქმნა დასახლებული. შენიშნულია, რომ 100 კომლში რამდენიმე აღებ-მიცემის პირიც რეულან და ამიტომ შემდეგ დროში მთელი მათი ჯგუფიც აღებ-მიცემას მიეცა. მერე ესენი ვაჭრობის ასპარეზზედ უფრო დახელოვდნენ – განვითარდნენ. ყველა ამათ თავ-თავის სოფლებში გააკეთეს სომეხთა ეკლესიები, ამისთვის სამეფოც აძლევდა დახმარებას.

ამავე დროს თფილისშიაც გადმოსახლდნენ რამდენიმე ოჯახი სომეხთა, რასაკვირველია ვაჭრობის მხრით, მათი რიცხვი თფილისში ისე განდიდნა, რომ მალე ეკლესიაც გაიკეთეს. თფილისში სომხებს XII საუკუნედამ აქვნდათ მხოლოდ ერთი საყდარი. სომეხთა პირველ გადასახლების ისტორია ასეთია. თუ მხედველობაში იმას ვიქონიებთ, რომ ივანე და ზაქარია მხარგრძელნი საქართველოში რომ მოვიდნენ, მაშინ მათ სომხეთიდგან სომეხთა ქმანიც გადმოჰყვნენ და მათთან დასახლდნენო, დიაღ ჩვენ ამ გარემოებას არ ვეწინააღმდეგებით. ხოლო ისიც ვიცით, რომ ივანესა და ზაქარიას წინაპრებს საქართველოში სომეხთა გლეხთაგანნი მხოლოდ ხელზედ მოსამსახურენი ჰყვანდნენ. სხვა არავინ, მხვნელ მთესველ გლეხთა რიცხვი მათ არ ჰყვანდათ, მათ უმეტესად მეფეთაგან სამსახურის გამო ქართველნი გლეხნი ეძლეოდათ ყმებათ.

დამხვდური ადგილობრივი ქართული მოსახლეობის გასომხება უფრო გვიან საუკუნეებში ხდებოდა, განსაკუთრებით, კი XIX ს-ში. სომხური მოსახლეობის ზუსტ მიგრაციაზე გვიან შუა სს-ში დეტალურ მიმოხილვას აკეთებს ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „საქართველოს ისტორია". (ქ.ქ.).

აი ასეთი გახლავსთ პირველ გადმოსახლების ცნობა და მათი რიცხვიც ერთობ მცირეა. XII საუკუნის ნახევრიდამ კი მაროლაცა და სომხებმა ვაჭრობისა და ხელოსნობის მხრით თფილისში იწყეს გადმოსახლება და ცხოვრება. ისიც მართალია, რომ თფილისში მცხოვრებ ვაჭარ სომხებს ხანდისხან სომხეთიდგან თანამემამულენიც მოსდევდნენ და საქართველოს მეფეს ეკედლებოდნენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც მათი რიცხვი იყო დიდი. სამს, ოთხს, ან ხუთს კომლს არ აღემატებოდა და ამიტომ მათ ახახლებდნენ თფილისის ახლო-მახლო სოფლებში, მაგალითებრ წუნეთს, ავჭალას, მცხეთას, წავკისს, ტაბახმელას, ვა'მლოვანს, კოდას და სხვაგანაც ამ დროს არიან დასახლებულნი და მერე გამრავლებულნი იქ. მცირე ოდენ ნაწილის დასახლება კახეთშიაც ამ დროს ეკუთვნის, სულ ორ სამ ალაგას. ჩვენ კარგა ვიცით, რომ სომეხთა მსწავლულნი ასეთ მოსაზრებას შორს გაურბიან და იგინი ემორჩილებიან სხვათა გულის თქმას, სხვათა ისტორიულს გამაცდუნებელს ცნებას, რაის წყალობითაც იგინი ცხარე პატრიოტულ მორევის ზვირთებშიაც სცურდებიან მით ყოველთვის მრავალნაირს საგვარეოვნო მტრობის შეცდომაშიაც არიან ჩავარდნილნი. შეიცდართ ალარ ესმით თავიანთი ვითარება და ამიტომ ხშირად უძლური ებრძვის უძლურს, ანუ დაჩაგრული სჩაგრავს დაჩაგრულს, იბრიყვებს და იკავებს მას, უძლური ძლიერის წინაშე ვერას აწყობს, მძლავრი ძლიერდება და მაგრდება. უძლური რაც უნდ მართალი იყოს, მაინც ვერას გააწყობს, უძლურ ოჯახს მძლავრი სჭამს, ჩვენ ქართველებს ასე გვიხდება. დღეს ქართველ კაცის ცხოვრებაც სწორედ ასეთს სურათს წარმოადგენს, ისე ადვილად დასარბევი არც ერთი კაცია როგორც ქართველი, ისე დასაჩაგრი ჩვენს დროში არც ერთი ერია, როგორც ქართველი.

მერე რას უნდა გვანდეს ის გარემოება, დაუძლურებული ერი თავისავე მსგავსად დამონებულს ერს ებრძოდეს. ბრძოლის გარეშე თვით მიწასედაც ართხამდეს? ასეთ გარემოებას არც ქართველნი ეწინააღმდეგებიან, ოგინი ყველას ნებას აძლევენ, რომ მათზედ ინავარდონ! ამ გულგრილობით გამოდის ის, რომ ქართველი ადვილად ეძლევა გადაგვარებას, იგი თვით აძლევს სხვათა ნებას, რომ მათ ქართველებს თვის თანამემამულენი მოაკილონ და მათში უცხოობა ჩააგდონ, ქართველს ამის შეგრძნება ძველადგანვე არ ჰქონდა შეგნებული და მიტომაც არის, რომ დღეს ქართველი საგვარტომო ასპარეზზე ერთობ უძლურია, მხატე, შეუგნებელი და სხვათა წინაშე ეროვნების დამთმობი. ასეთი უკულმართობა ქართველებს რამდენადაც უგულობით და გულგრილობით მოსდით, იმდენათვე ვითომც და მათ კოსმოპოლიტობისაც სცხიათ რამე. ხომ მოგეხსენებათ: ხანა კუჭისა არის, ჯიბისა, ერთმანეთის გადაწვისა და წართმევისა, ყველაზედ უფრო კი უძლურთ ყლაპვის, რომელ საქმის მოძღვრებასაც ხშირად დიდებულის დარვინის მოძღვრებითაც მოსჭენ და მით ამახინჯებენ თვით დიდებულ დარვინის მოძღვრებასაც.

ასეა ყველგან, სადაც განვითარება თავის ხომიერების წარმატებით არ იწევს წინ, ერში ნათელს მიდრეკილებას დიდ სინათლის გამაცისკროვნებულის სხივები არ ენიჭება. ქართველებიც როგორც წყალ-წაღებულნი, ვინ იცის რის მორევში არა ვცურავთ და ვტოპავთ. ყველაფერს ვეპოტინებით და არც ერთის სატოპის მეცნიერული ძალა კი არ შეგვწევს, ქართველებში ყველა მეცნიერია, ყველას ყელში ებჯინება სიბრძნე, მეცნიერებით აღჭურვილებმა აღარ იციან რა ქმნან, საით წავიდნენ, ვის ეცნენ, ვინ დასცენ, ვის წინ იღვაწონ, ასეთ დამთვრალ ქართველთათვის აღარც მათი სამშობლოა, აღარც მათი დატანჯული ერის ცხოვრება გახლავთ საყურადღებოთ, არც წარსული,

არც აწმო, არც მომავალი, ყველაფერზედ ხელი აქვსთ აღებული, მათთვის ყველაფერი გამქრალა, ყველაფერს ჩაილულის წყალი დაულევია, დღეინდელ ქართველს არ აცხოველებს მის ეროვნების სიყვარული, ქართველობა, ქართველთ უძველესი მნიშვნელობა, მათი კულტურა. ასე გაეთახსირდით, ასე დაეკნინდით და მიტომაც არის, რომ ჩვენს ქვეყანაში მოსულნი და შემოხიზნულნი ასე ცოცხით გვერეკებიან და გვეცლალებიან, ასეთ დასაგეელ ერისთვის აღარ არის დრო, რომ მან თავის ვინაობისა და ვითარებაზედაც იფიქროს. დღეინდელი ქართველი არის მხოლოდ სამწუხარო სერაფი მამულების გაყიდვის, შეჭმის, გაფლანგვის, ყომარბაზობის, დავი-დარაბის, ძმათა და გაჭირვებულთ არ გაკითხვის და ათასიც სხვანი.

ქართველთ წინაშე შექმნეს და გამოაქვეყნეს მეგრული ანბანი, მოგეხსენებათ ხომ მეგრელები. ამაზედ ქართველებს განმარტება და ახსნა აღარ დასჭირდებათ. მეცნიერულმა ენათ მეცნიერებამ უკვე შეიმუშავა და გამოაქვეყნა ჭეშმარიტება მეგრული ენის ნათესაობის და კილო-კავების ქართულს ენასთან. ეს ყველა მსწავლულისათვის ცხადი ჭეშმარიტება არის და ყოველმა ბრძენმა კარგად იცის ნათესაობა მეგრულის ენისა ქართული ენასთან. ამ საგანთა გამოცნობა და ისტორია ისეთს თვალ-ხილულს გეგმას შეადგენს, რომელსაც რამე ეჭვი და თუობა აღარ სჭირია. თემცა შესმენილ და „ენათ მეცნიერთა“ მცოდნეთათვის ეს დამტკიცებული ჭეშმარიტება უნდა იყოს და დაურღვეველი საძირკველი ყოველნაირის მართლმსაჯულების, მაგრამ დღეს, ჩვენი შორის, ამ სიმართლეს დიდი არაფერი ადგილი უკავია და ქართველის ერის წინაშე თვალხილულათ და თამამად შეიქმნა და გამოაქვეყნდა მეგრული ანბანი.

ვაი ჩვენს თავს და ვაი ქართველის ხსენებას, სადაც სიტყვა ქართველი შემხვდება, იქ უსათუოდ უნდა ვიგულისხმო სიტყვა ზარმაცობისა, უზრდელობისა, უჯიშო-

ბისა და ყოველნაირის ვერაგობის და უბედურობისა, ქართველი მხოლოდ ამის მსხვერპლია, ამის მონა არის, სხვა რამ საქმეთა მიხვედრა და მცნება ბუნებას მათთვის თითქოს არ დაუნიშნავს, არაფერი დაუდგენია. მეგრულ ანბანის შექმნა არის საგანი და გასაღები იმ კარისა, რითაც ქართული ენა უნდა განცალკევდეს მეგრელთაგან, იქ ქართული უნდა ამოვარდეს. მერე რასა ვსრუნავთ ამისთვის ჩვენ? არაფერს, სამწუხაროდ მეგრული ანბანი თვით ქართველისაგან შესდგა და მისგანვე გამოქვეყნდა მეგრული ანბანის ენის სხვაობა.

მეგრულს გარდა მოიგონეს აფხაზური ანბანიც. ვგონებთ ყველამ ვიცით აფხაზეთის კავშირი ქართლ-იმერეთთან. საქართველო იწოდებოდა აფხაზთ-საქართველოთ; ასევე „აფხაზთ იმერთ კათოლიკოსნი“ და აფხაზეთში ნაშენი ბაგრატ მესამის და მეოთხის, დავით აღმაშენებლის ტაძრებიც ხომ ცხადათ მოწმობს მათს ქართულ ენასთან ღვიძლს ნათესავობას, მაგრამ მაინც ბოროტებამ თავისი გაიტანა, ჯერეთ ისლამის მახვილმა მოგვაცილა იგინი და გაათათრეს და უკანასკნელ ენითაც განგვეთვისნენ და მთლად დაგველუპნენ. ისლამის მიღებამდე, ყოველმა აფხაზმა ქართული ენა, ისე იცოდა, როგორც აფხაზური, ღმერთს ქართული ლოცვებით ადიდებდენ. ქართულ საეკლესიო ენაც კი იცოდენ კარგად. სადღეისოთ იქ ქართული ენა ჯერეთ ისლამის მახვილმა დასცა და ახლა ჩვენი მთავრობის წინაშე ყოფილ ბოროტ პედაგოგებმა.

სვანური ანბანიც გააკეთეს, რადგანაც სვანებიც სხვა ხალხთ იცნეს, სვანების უცხოობა კი ვისმე კაცთაგან შეუძლებელია, ამას გვაჩვენებს მათი ლექსიკურად სიტყვების შესწავლა, სვანეთში დარჩენილი სხვა-და-სხვა ძველი საეკლესიო ნივთები და ნაშთები ხომ ცხადათ მოწმობენ იქ ქართული ენის სიმძლავრეს და სიწმინდეს, მაგრამ ამასთან საქმე არავის არა აქვს, მათთვის შეიქმნა

სვანური ანბანი, თუმცა ეს ანბანი დღესაც მკვდართა ჰყრია მაო'ში, მასზედ უბრალოდ დაკარგეს დრო და ფული, ამაზედ ჟურნალ-გაზეთებში სჯა და კამათი იყო ბევრჯერ. არც ეს გვაკმარეს და ერთ დროს ხელი მიჰყვეს სხვებსაც.

თუშურ ანბანსაც დაუწყეს ძიება და შედგენის ნატვრა.

ოსური ანბანიც ხომ შეადგინეს და წიგნების ბეჭდვაც დაიწყეს. ოსეთის ერის ნათესაობა მოყლის წარსულით, მის აგებულებით და ენით ცხადათ არის დამტკიცებული. ოსეთში ძველადგანვე იყო ქართული ანბანი გავრცელებული, XVIII საუკ. მათთვის ქართულის მხედრულის და ხუცურის ასოებით წიგნებიც იბეჭდებოდა, დღეს კი ყოველივე ამოვარდა მაო'ში. ოსები მოგვცილდნენ ხორციელად და სულიერადაც, ენითაც. ქართული ანბანი ნატამალობს მათ'ში.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, ქართული ანბანი ისეთის აღსავსეობით არის შედგენილი, რომ იგი ქართველთ საკუთრებას გარდა უტყუარს საკუთრებას შეადგენს ოსისაც, თუშის, აფხაზის, სვანის და სხვათაც. ქართველ ბრძენ კაცთა, როცა ქართული ანბანი შეუდგენიათ, მაშინ მათ სახეში ცხადათ ჰქონიათ გამოხატული კავკასიის კუთხეებსა და მთებში მცხოვრებთ მთიულთა ხმათა ვითარება და გამოხატულება. ქართული ანბანი ამ ხალხთათვის ისეთის სისრულით არის შედგენილი, რაც მასზედ უკეთესი სხვა არა იქმნება-რა. ამაზედ უკეთეს მათთვის ვერავინ რას მოიგონებს. ქართული ანბანი რამდენათაც ქართველის საკუთრებას შეადგენს იმდენივე საკუთრება გახლავსთ ოსების, სვანების, აფხაზების, მეგრელების და სხვათაცა. მათგან ამ ენის ძველი ანბანის დათმობა იქნება მამა-პაპათა შეურაცხოფვა, შეგინება იმ ბრძენ ქართველ მუშაკთ შრომისა ვინც კი ამისთვის იზრუნეს და ასეთი მშვენიერი სრული ანბანიც შეადგინეს და გამოაქვეყნეს.

განა სამწუხარო არ უნდა იყოს ეს თვით მთიელთათვის, რომ მათ რამდენიმე ათას წლის განმავლობაში პყრობილი ანბანი წაერთვათ ხელიდამა და მის მაგიერ სხვა მიეცათ. განა ამის ნება უნდა მისცენ მათ, რასაკვირველია არა, მაგრამ იგინი ისეთ მკონარეობაში შთავარდნენ და ისე დაიხვეწნენ ჩვენსავებ, რომ მათ ამ გარემოების საწინააღმდეგო ძალა სულ ვერ გამოიჩინეს. ვერაფერი პროტესტი გაუწიეს, განა სამართალია ესა? ასე დაქვეითება და დაბრიყვება განა შეიძლება კიდევ რამისა, რასაკვირველია არა, თვინიერ ქართველებისა. განა კანონია ეს, რომ ერს, რომელსაც ქართული ანბანი რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში ჰქავებია; რაც ქართველთ ისეთის სისრულით შეუდგენიათ, რაც მომავალში მთიელთათვისაც სრულ სახეთ შექმნილა, მთელს ქართველ მთიელთა კილოკავების და ხმათა და ბგერათა გამომხატველად, რომელ ანბანიც უამთა ვითარების წყალობით მათთვისაც ისეთივე საკუთრებად შეადგენს, როგორც თვით ქართველთათვის, დღეს კი ისეთ ერს, ხელიდამ ერთმევა ეს მამაპაპეული ბრძნული ნაშთი და ამ უბედურების ჟამს ქართველნი და მათთან ერთად მთიელნიც ხმას, კრინტს არ იღებენ. ამ საგანს ყურადღება უნდა მიექცეს აუცილებლად თუ ჩვენს სამოსწავლო ასპარეზზედ რიალური პედაგოგიკა მართავს და მბრძანებლობს.

ამაებს გარდა, ქართველთ წინაშე სხვა ტომთა და ძეთა ანბანის საქმეთა გოდოლნიც ახშენდნენ, ესენი არის შემდეგი:

ქართველ კათოლიკობა განეთვისა ქართველობას, XVIII საუკუნის ნახევარს, მათში ბევრს ალაგას ამოვარდა ქართული ენა და დღეს ისინი „ჰაი-კათოლიკებათ“ იწოდებიან. ამათი ისტორია ცხადია, კარგად სჩანს, რომ ქართველი კათოლიკენიც არიან.

ქართველ მაჰმადიანთა გარემოებაც ხომ მრავალ მხრივანია და გათახსირებული. ამათთვის დაარსდა „კავკასიის ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოება“ და მათ საქმეთათვის შეიკრიბა ფული, გამოიძებნა ძირითადი თანხა და დღეს კი ეს ფული მათ დანიშნისამებრ კი არ ხმარდებათ, არამედ მალაკნებს და სექტანტებს. ქართველ მაჰმადიანებში არაბული ანბანია გავრცელებული, თუმცა ბევრს ამ ენის და ანბანის არაფერი ესმისთ. უკანასკნელად ოცმა ნაწილმა დაკარგა ქართული ენა და წერა-კითხვა. დღეს მოელს ოსმალეთის საქართველოში მხოლოდ ბათუმს და ართვინის ოლქებში არის ქართულ მაჰმადიანთა შორის ქართული ენა შენახული. ბედმა ესენიც არ გვაკმარა, ახლა სხვაც ერთვის მას ზედ და ეს გახლავსთ შემდეგი.

ქართველ გრიგორიანობა საქართველოში ძველადგანვე არსებობს, ბევრის ჭეშმარიტის ცნობებით ცხადათ სჩანს, რომ საქართველოში უმეტეს ალაგას, გრიგორიანები ტომით ქართველნი არიან, მაგრამ ჟამთა ვითარების მეოხებით მათი ქართველობის ცნობები ისე გათახსირებულან და ისე გადაკეთებულა, რომ დღეს ამის მოსაზრება აღარავის აქვს, ყველა ისე ფიქრობს, რომ საქართველოს სომხები ნამდვილ ტომითაც სომხები არიანო, მაგრამ ეს არ გახლავსთ ნამდვილი. ასეა ქართველთ საქმე დაყენებული.

III

ყველამ ვიცით, რომ ქართლს, კახეთს, მესხეთს, ჯავახეთს და იმერეთს სომეხთა რიცხვი ძველადგანვე სცხოვრებდა, მათი რიცხვი პირველ დროს მცირე იყო და შემდეგ კი ისე იწყო მატება, რომ დღეს მთელი ქართლ-კახეთი და მასთან იმერეთიც სავსეა ქართველ

გრიგორიანებით, მათ ყველას კარგად ეტყობათ, რომ იგინი შთამომავლობით ნამდვილი ქართველები უნდა იყვნენ და არა სომეხნი, ყველა ეს კარგად ეტყობათ მათ, ვინც კი დააკვირდება, ყველა ცხადათ შენიშნავს, რომ თუ სულ არა, უმეტესი ნაწილი ამ გრიგორიანებისა უნდა იყვნენ ნამდვილ შთამომავლობით ქართველნი. ამას ეჭვი და ყოყმანი არ უნდა, თუ კი ვინმე დააკვირდება. სამწუხაროდ ამის დაკვირვება კი ქართველებს სრულებით არა აქვსთ, აქამდე ფიქრადაც არავის მოსვლია ქართველებში რომ ქართველთ შორის არიან ისეთი ქართველნიც, რომელნიც სარწმუნოებით გრიგორიანებს ეკუთვნიან.

ამიტომაც გახლავსთ და სულ მისი წყალობა არის, რომ ჰაოსიანთ მწერლები თამამად გაიძახიან, რომ ყველა ეს გლეხნი გვარ-ტომობით ჰაოსიანები არიანო. ესენი ამას გარდაწყვეტით ამბობენ და მთელ ქართლ-კახეთის ტექტია გლეხ-კაცობაში ერთსაც არ ხვდავენ ქართველ გვარისას, არამედ ყველას სომხად აღიარებენ. რატომ? — ესეც შეიძლება, რომ ასე იყოს, მაგრამ როცა ეს ასე არ არის, მაშინ ჩვენ რით უნდა ვიქმნეთ თაღლითის ასრით შეპყრობილნი და სავსენი. ყოველი მხარე ასეთ საგანთა და საქმეთა თხოულობს ნამდვილს ჭეშმარიტს ისტორიულ ცნობებს და არა სიცრუეს. ასეთი სიცრუე მისაღები არ არის საგვარტომო საქმეთა კითხვების განსაზღვრაში.

საოცრება არის ქართველი კაცის საქმე, იგი თავის ვინაობის განსაზღვრაში კოსმოპოლიტია, იგი ამის ძიებას არ ელტვის. იგი რა სარწმუნოებასაც დაუკავშირდება, იმავ დროდგან ქართულს ივიწყებს და ეთვისება იმ ერის ენას, ვისის სარწმუნოებასაც დაუკავშირდა. ასეა ქართველი კაცის გონება დაქვეითებული და იგი თავის გვარ-ტომობას ყოველთვის სარწმუნოების ქვეშ აჩრდილებს. ამის მიზეზი ჩვენის ფიქრით იმაში უნდა იფარებოდეს, რომ ქართველს არა აქვს თავისი საკუთარი საგვარტომო ეკლესია, მისი

ეკლესია დამოკიდებულია სხვათა წინაშე, ქართველი ხან ბერძენს ეკუთვნის და ხან სლავიანს. იგი სხვათა წესწყობილების შემყურებელია და სულ მისი წყალობა გახლავსთ, რომ ქართველს თავის თავი ხან ბერძნად მიაჩნია და ხან სლავიანად. ხან კი ქართველათაც. უნდა ითქვას, რომ ქართველთ შორის ეს იქნება იმ დრომდე, ვიდრე მათ'ში ეკლესიას თავის განკერძოებული სახე არ მიეცემა, ვიდრე იგი თავის სულის ძალას არ ჩაიდგავს, ან კიდევ ქართველი თუ სრულიად არ განთავისუფლდა ეკლესიურის წესებისაგან.

სამწუხაროდ, ეს მარტოდ ჩვენ'შია, ქართველებ'ში, თორემ ევროპაში ეს ასე არ არის, იქ სარწმუნოების მხარეები გვარტომობის აჩრდილ ქვეშ იფარება. ევროპის რომელიმე ერის გვარტომობის ერთ შორის რამდენიმე სარწმუნოების კაცი სცხოვრებს, მაგრამ არც ერთი მათგანი თქვენ არ გეტყვისთ, რომ იგი სხვა ტომს ეკუთვნის, ანუ იმ სარწმუნოების ერს და ენას, ვისი სარწმუნოებაც მას უკავია. მაგალითებრ საფრანგეთ'ში, ფრანცუზებთ შორის რამდენიმე სარწმუნოების მაღიარებელნი არიან, ზოგი ნემენცის სჯულს აღიარებს, ზოგი ინგლისის სჯულს, ზოგი სხვას, მაგრამ კითხვის დროს, არც ერთ მათგანი თქვენ არ გეტყვით, რომ იგი ფრანცუზი არ არის, ყველა იმას იტყვის, რომ იგი გვარტომობით ფრანცუზია, ხოლო ეკლესიით კი არა. ასევე გახლავსთ ნემენცებში, ამათ'ში არიან ისეთნიც, რომელნიც კათოლიკის სარწმუნოებას აღიარებს, მაგრამ არც ერთი იმათგანი არ გეტყვის, რომ იგი ნემენცი არ არის და კათოლიკეა, ასე ნათლად არის განსაზღვრული მათ'ში ამის საქმე, იქ ეკლესიას და მის წესებს თავისი გზა და კვალი აქვს და გვარტომობას კიდევ თავისი.

ეს მარტოდ ჩვენ'ში გახლავსთ, მარტოდ ჩვენ გახლავართ ასეთ შეცდომებ'ში ჩავარდნილი, დღეს, მთელმა საქართველოს ერმა რომ გრიგორიანთ სარწმუნოება

მიიღოს, მის შემდეგ იგიც თავის გვარტომობას, ე.ი. ქართველობას უნდა გამოეთხოვოს, თავისი ყოველივე დავიწყებას უნდა მისცეს, მისი აღარა გაიგონოს-რა, აღარა გაიხსენოს-რა და იმ დღიდან უნდა საყოველთაოდ იძახოს ყველგან, რომ იგი გრიგორიანია არა მარტო სჯულით, არამედ გვარტომობითაც და მათ დედა ენასაც სომხური ენა შეადგენს. ასეთ გრიგორიან ქართველს თქვენ ვეღარ ათქმევინებთ, რომ იგი ქართველია და მისი შთამომავალი, არამედ მეამიტად და უვიცურის სითამამით გეტყვის, რომ სომეხი ვარო.

შეიძლება, ვინ იცის, ეს სწორედ ასეც იყოს. მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ ამ გვარის ერის საქართველოში გადმოსახლების შემდეგ იმდენი ხანი გასულა, მათზედ ისეთი დიდი ცვლილებები მომხდარა, ბუნებას მათზედ ისეთი დიდი ზეგავლენა მოუხდენია და ისეთი ცვლილება, ცვლილება როგორც გარეგან, ისევე შინაგან, რაისა გამოძიება მისი, რომ საქართველოში მცხოვრები გრიგორიანები ნამდვილად სომხის გვარისა ვართ და არა ქართველიო, ეს ჩვენი ფიქრით მეტისმეტად უაღგილო უნდა იყოს და მასთან უმნიშვნელოც, საღს, ლოღიკურს მოსაზრების დასკვნას მკაცრათ მოცილებული, რადგანაც ამ გვაროვნების ძიების ნიშან-წყალი მკაცრად აღგვილა და მოსპობილა მათ შორის. რომ სომეხთ შორის ჩვენს წინააღმდეგ შური არ დაიბადოს, ამისთვის ვიტყვით გადაწყვეტით, რომ სომეხთა გადმოსახლების შემდეგ ერთობ დიდი ხანია გასული და ამიტომ მათი აქ ვინაობის ძებნა ქარის წისქვილს უნდა გვანდეს.

ჩვენ, ზემოთ მოკლედ მოვიყვანეთ ცნობა მის შესახებ, თუ XII საუკუნეში, სომხეთიდგან საქართველოში სომხების რამდენი მოსახელენი გადმოსახლდენ. ეხლა აქ ავნუსხავთ შემდეგ დროთა გარდმოსახლების ცნობებსაც. მეორე გარდმოსახლება სომეხთა საქართველოში შეეხება XV

საუკუნეს, ამ საუკუნის განმავლობაში თფილისში იჩინეს თავი და გამრავლდნენ კიდეც, იმ დრომდე მათ თფილისში ერთი მღვდელი ჰყავდათ მერე კი მეორე მღვდელიც დააწესეს. XV საუკუნის სომეხთა გარდმოსახლების მიზეზათ გახლდათ ოსმალთა მახვილი, სომეხთა დარბევა არმენიაში და მათგან ბიზანტიის იმპერიის დამხობა და განადგურება, ამ დროს მოსულ სომეხთა რიცხვის თფილის გარეშე დასახლებულ იქმნენ თითო ოროლა კომლნი აქა-იქ ისეთ სოფლებში, სადაც ძველად მოსულნი სომეხნი ესახლნენ და მათ თავიანთი საყდრებიც აქვნდათ, თფილის გარშემო სოფლებში სწორედ ამ დროს გამოსჩნდა თვალთ სანინოთ სომეხთა რიცხვი, მაგრამ არც ისე დიდათ, რომ მისი გაზვიადება შეიძლებოდეს, ეფრო თფილისში მცხოვრებ სომხებს მიემატნენ და იქ იჩინეს თავი. შემდეგ დროს საქართველოში სომეხთა რიცხვის გადმოსახლდენ XVI საუკუნის გასულს. ამ დროდგან იწყება მათი გამოჩენა თფილისში, ვაჭრობის ასპარეზზედ მოქალაქობით აღმოჩენა. შემდეგ გადმოსახლებულან კვალად XVII საუკუნის დასაწყისს, ამავე საუკუნეში თფილისში მათ გააკეთეს რამდენიმე საყდარი და ავლაბარში ხოჯი-ვანქის მონასტერი. ვანქი – სომხურად მონასტერს ნიშნავს, მაშასადამე ეს სამონასტრო ვინმე ხოჯასი ყოფილა. მაინც მას ისტორიაც ისეთი აქვს. მცირე ნაწილი სომეხთა გადმოსულ იქმნენ XVIII საუკუნის დამდეგსაც, მერე 1760 წლებში რამდენიმე კომლი, მეფე ერეკლეს ხერხით, 1780 წ. გადმოსახლდენ კიდევ და მათი ნაწილი დასახლებულ იქმნენ ავლაბარში ძველად მოსულ და დასახლებულ სომხებთანა. 1799 წ. გადმოსახლდნენ კვალად და 1800 წ. დასახლდნენ ბორჩალოს მაზრაში, შახრიმიანის მამულებზედ, რომელ მამულებიც მეფე ერეკლემ ანუქა შახრიმიანს და ამისთვის თავადის შვილობაც მიუბოძა. აი გატონებო სულ ეს გახლავსთ სომეხთა საქართველოში

გადმოსახლების სხვა-და-სხვა ხანად. ასე, რომ თითო გადმოსვლა შესდგებოდა 30 მოსახლისაგან.

როგორც მოდიოდნენ აქა, სათქმელია ისიც, საქართველოდამ ერთობ მრავლად მიდიოდნენ სხვა და სხვა ქვეყნებში ვაჭრობის მხრით და შემდეგ სულაც აღარ ბრუნდებოდენ. ასეთია მაგალითებრ ვლადიკავკაზის მხარე. საითაც სომხობა საქართველოდამ ერთობ მრავლად მიდიოდენ და სახლდებოდენ.

საქართველო'ში გადმოსულნი სომეხნი ქართველებთან ცხოვრებას უადვილესად ეწყობოდნენ და ეთვისებოდნენ. ეს ჰაზრი ადრე გაჩენთ „მშაკის" ერთ ფელეტონშიაც გამოთქვა გრიქორ არწრუნმა. ამაზედ მე მქონდა პირადათ ლაპარაკი და მან ასე სთქვა: სომხები ყოველთვის უფრო ეწყობოდნენ ქართველებთან ცხოვრებას, ვიდრე სხვა ტომის ერთან. დიახ ეს ასე იყო და ქართველები მართლაცა და სომხებს, როგორც მონათესავე დაცემულ ერის შთამომავალთ დიდ ქომაგობას უწენდნენ და პატივს აგებდნენ მოსახლეობის დროს, ქართველნი მათ უწენდნენ ყოველნაირ დახმარებას ნივთიერად, საქონლით, საკვებით, ერთის სიტყვით ცხოვრების მოსაწყობლის ყოველნაირის იარაღით და სახსრით, ქართველთ ასეთი თავაზი და სიბრალული ჰქონდათ მათი, რომ მათ აძლევდნენ საშუქრაი თვით კარგად ნაშენ ძველს ქართველთა ტაძრებს, ციხეებს, მამულებს, ტყეებს, სოფლებს და სხვანი.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ყოველ კეთილ მხარესთან ქართველნი არ ივიწყებდნენ სომეხთა გვარიშვილობით დაწინაურებასაც და მოქალაქობის გარეშე მათ აძლევდნენ თავადისშვილობას, აზნაურობას, სოფლებს, მამულებს და ქართველ გლეხებს ყმებათ. ასეთ წარმატებას და ამაღლებას შეხიზნულ სომხებს არსად აძლევდნენ და ანიჭებდნენ, საქართველო და მისი სამეფო გამგეობა მაგალითი იყო ამისი და მიტომაც გახლდათ, რომ სომხები

უფრო საქართველოს ეკუთვნებოდნენ და მის მოსამსახურეთ ცხოვრებასაც ნატრობდნენ, რასაც მართლაცა და მათთვის კარგი შედეგიც მოსდევდა. საქართველოში მათს წარმატებას დიდადთ უწყობდა ხელს ის გარემოებაც, რომ იგინი როგორც დაცემულ სამეფოს ტომთა ძენი, გარდასახლებისაგან გამოწვეულ მოგზაურობის წყალობით უადვილესად გამოსცდიდნენ სხვა და სხვა საადგილებ-მიცემო მოვლენათა და საქმეებს და მის საშუალებით უკანასკნელ ვაჭრობასაც ეწეოდნენ. საქართველოში მოსულნი სომეხნი კერძოთ ვაჭრობას მაინც და მაინც არ მისდევდნენ, არა მათ დარგს ჰმოსავდა და ანიჭებდა საქართველოს სამეფოს ჰუმანური გარემოების და წესების არსებობა, საქართველოს გამგეობა მათ დიდის გულმოდგინეობით უმხერდა, მათს პიროვნებას კაცურის ღირსებით ჰფარგლავდა, ცხოვრებისათვის ყოველ ნაირ გამგეობას ანიჭებდა. სომეხნიც როგორც თავისუფალნი ქართველთა შორის ვაჭრობას უფრო ადვილად ეწეობოდნენ და ეწეოდნენ.

სომეხთა რიცხვი საქართველოში რომ დიდის ოჯახობით არ მოდიოდნენ, ეს იქიდამაც დაისკვნება კარგად, რადგანაც სომეხნი ერთის მხრით საქართველოს შინის თვალითაც უმზერდნენ, ჰფიქრობდენ შინშიანობასა, იქმნება საქართველოსაც სომხეთის დღე დაადგეს, ოსმალებმა აიკლონ ისე, როგორც დაამხეს ბიზანტიის იმპერია და სხვა სამეფონიც და მერე მის შემდეგ სომხებსაც კვალად გვეწვიოს რამე უბედურება საქართველოში და ახლად მოგვიხდეს აერა და აქეთ-იქით წასვლაო. სულ ეს იყო მისი მიზეზები რომ სომეხნი სომხეთიდგან სახლდებოდნენ სპარსეთს, ოსმალეთს, ე.ი. საბერძნეთს და ნამეტურ კონსტანტინეპოლს, ბულგარეთს, პოლონეთს, ინდეთს, რუსეთს, იერუსალიმს, იტალიას, აბაშეთს, საფრანგეთს, ავსტრიას და ვინ იცის კიდევ რამდენ სხვა ადგილებში, ერთის სიტყვით მთელის ქვეყნის პირს ეძლეოდნენ გადასახლებას,

ევროპაში არ დარჩა არც ერთი კუთხე, რომ იქ სომეხნი არ გადასახლებულიყვნენ, ასევე აზიის სახელმწიფოებში და ინდოეთშიაც ხომ XVI საუკ. მეტად საკმარისი რიცხვი გადასახლდა, ისე, რომ 1795 წ. მადრესს, პირველი სომხური გაზეთი „აზდარარიც“ გამოვიდა, რედაქტორად იქაური მღვდელი ტერ-შმოვანი იყო.

გარდასახლებამ, მგზავრობამ და ათასნაირ განსაცდელმა ძველად ხვნა-თესვას შეჩვეულ ერში ვაჭრობის დარგიც დაბადა. რაღა ფიქრი უნდა, რომ კარდაკარ მოსიარულე ერისთვის ვაჭრობასა და აღებ-მიცემის გარეშე სხვა რაღა გახდებოდა საქმედ და საჭიროდ, არაფერი. სომხეთის დაცემამდე, სომეხი იყო თავისი ქვეყნის მფარველი და ამ მფარველობის გულისთვის მებრძოლიც, ამ დრომდე მათი ცხოვრების მოძრაობა შეჩხერებული იყო, ერთნაირს კალაპოტში მომწყვდეული, სომხეთის დაცემის შემდეგ-კი იგი გადიშალა, სხვანაირი ასპარეზი მოინარუქა, სომეხი კაცი მეომრობის მაგიერ ვაჭრობის მეტრფეთ აღმოსჩნდა, ხმლისა და მახვილის მაგიერ ხელში სავაჭრო დავთარი დაიჭირა, ამის ასპარეზედ განვითარდა კიდეც, ასეა თურმე ვაჭრობის განვითარება. მას ეწყობა და უადვილესად ეთვისება პოლიტიკურად დაქვემდებარებული ერი, ამასვე ვხედავთ ებრაელებსა და სომხებში. ამათში ამის დიდ მსგავსება არის და ამა'ხედ უარს ვერავინ იტყვის.

ამ გზითა და დარგით სომხები ყველგან წინ წავიდნენ, მათ ყველა ქვეყნებსა და სახელმწიფოებში თავიანთი სახე და სულის ძალა შეინარჩუნეს, ყველგან სომეხნი ერთობით სჩნდებოდნენ და იღწვოდნენ, ამ ერთობის ზედადგარათ მათთვის ყოველგან უაღრეს ძალათ მათი ეკლესია — ანუ საყდარი ცხადდებოდა, საყდარი სომხებს ერთად სჯგუფავდა, ყველა მათ ერთობის მტკიცე ხასიათს უნერგავდა, მათში საყდარი შთებოდა ეროს უძლიერეს სამახსოვრო ძალად, რომლის არსებობასთან დაკავშირებული

იყო თვით სომხეთის მოგონებაც და მასთან სომხის ერის მომავალ ცხოვრების წარმატების საქმენიც. სომეხთ ეკლესიის ასეთი პირობები საუკეთესოს მხარეებით ჰფარგლავდა სომხის გონებასა და მისწრაფებას, იგი ახალისებდა მათ და აწინაურებდა კიდეცაც თვით ცნობიერების ასპარესზედ. სულ ამისი წყალობა არის რომ სომეხი თავისი ვინაობით იგი საუკუნოების განმავლობაში დაურღვეველად და გადაუგვარებლად შთება თვით შორეულს აღმოსავლეთის და დასავლეთის სახელმწიფოთა ხალხებთ შორის.

სომეხი თუმცა ადვილათა ჰკარგავს სომხურს ენას და მის მაგიერ ითვისებს სხვისას, ხოლო რაც შეეხება სარწმუნოებას ეს კი მათში ხელ-შეუხელად და დაურღვეველად შთება, ამის მხრით სომეხი იქამდისინ მეცადინეა და ისეთი მოხერხებულია, რომ იგი უცხოთა წინაშე არამც თუ ჰკარგავს თავის სარწმუნოებას, არამედ მას ავრცელებს სხვა ტომის ერშიაცა და სხვანიც გადაჰყავსთ თავის სჯულზედ, ამის მაგალითებს ჩვენ ერთობ მრავლად ვხედავთ საქართველოში. საქართველოში სომეხთა მხნე სამღვდელო და საერო პირთაგან ისე იყო მოწყობილი საქმე, რომ ქართველნი მრავლად უერთდებოდნენ გრიგორიანთ სარწმუნოებას.

სომხის ერი თავის ქვეყნიდამ გარდასახლებამ და აქაიქ მგზავრობამ იგინი წინაც წასწია, ამ გარდასახლებით მათ გამოსცადეს დიდი შემთხვევები, მწარე წუთები, დევნა, ბევრს ალაგას გაცარცვა, სიღარიბე, გაჭირვება და ხანდისხან განწირულებამდისაც მისვლა, ყველა ეს კი მათს გონებას მომავლის ცხოვრებისთვის დიდის ოსტატურის სამზადისით ჰქარგავდა. მომავალში სომეხი ყველგან წინ მიდიოდა ცხოვრების მხრით, რადგანაც იგი ამისთვის ვაჭრობითაც წინაურდებოდა დიდათ, სხვათაგან დარბეულმა და დამონებულმა ერმა თავის ცხოვრებაში უპირველეს იარაღად და სახსრად ფული და მრეწველობის ასპარეზი

გაიხადეს საქმედ და იგინი მხოლოდ ამითღა იძიებდნენ მომავალში წინ წასვლას და ცხოვრებას. ასეთი მოსაზრება მათთვის მეტად სასარგებლოც იყო და თან საჭირო, აბა ასეთ მდგომარეობაში მყოფთ ერთათვის სხვა რა უნდა ყოფილიყოს საჭირო საქმეთ გამხდარი თუ არ მრეწველობა და ფული. სწორედ ეს გახლავსთ მიზეზი მისი რომ სომეხნი ყველგან დაწინაურდნენ და კიდეცაც წინაურდებიან.

ჩვენ-კი ქაერთველებმა, საქართველოს სამეფოს მფარველობის გულისთვის ბევრი რამ დაეკარგეთ, ბევრს რამ წარმატებას გამოვეთხოვეთ, მუსულმანთა მეოხებით საქმე ისე მოეწყო, რომ ჩვენ დრო აღარ გექონდა არც ვაჭრობისათვის, არც მრეწველობის და უკანასკნელ მეურნეობისათვისაც, ქართველთ მეურნეობას და სხვა ასეთებსაც მხოლოდ ცხოვრების მოთხოვნილების საჭიროების და კვალად მისდევდა. ყველა ასეთ საქმეთა და სამაგიეროდ ჩვენთვის ხმალი გახდა საჭირო, ხანჯალი და მშვილდისარი; ქართველი მხოლოდ თავის სამეფოს დაცვას უნდებოდა, მის თავდარიგს, ქართველისთვის მხოლოდ ომი, ომი შეიქმნა საქმედ, საქმედ ეს გაუხდათ, ავი იყო, თუ კარგი, საზარალო თუ სასარგებლო, სხვის შეგნება ქართველს აღარ ჰქონდა, მისთვის საჭიროებას შეადგენდა ქუდზედ კაცის ძახილით მდევრის ძებნა, ანუ მდევრების გაჩენა, რათა მით საქართველოს ერთობა უვნებლად დაეფერად. თვითონ მხოლოდ ამას აკვდებოდნენ, სომარ საქმეთა გაპიტალებას მისდევდნენ, სხვა რამ ცხოვრების საქმეთა ძიებას უცხო ტომის ძეთათვის სტოვებდნენ, ესეთ უცხო პირებათ საქართველოში სომხები იგულისხმებოდნენ და ამიტომ ქართველებს ესენი არც ომის ასპარეზედ გაჰყვანდათ და არც დიდის ხარჯით სტვირთავდენ. ასეთი გარემოება სომეხთაც მალამოსებ ეელინებოდა, გარემოება მათ აწინაურებდა, ეს ასეც იქმნებოდა ყველგან.

სომხებმა დაკარგეს თავიანთი მეფობა, ქვეყანა და იქ ყოფნის და ცხოვრების ძალა. მის მაგიერ მათ ყველა სავაჭრო და სამრეწველო საქმეებში წადგეს ფეხი წინა. ესეთი წარმატება მათთვის ერთის მხრით იქმნება კარგიც იყო, ვინ იცის, ამის განხილვაში ჩვენ ვერ შევალთ. ხოლო ვიტყვით იმასაც, რომ სომეხთა მსგავს მხვედრს ვერც ჩვენ ქართველები ავცდით, დღე და ღამე მუსულმანებთან ქვეყნის გულისთვის სისხლს ვღვრიდით, არავის არსად და არას დროს ერთ მტკაველ მიწასაც არ უთმობდით, ვწუდებოდით ამისთვის და მიტომ სხვა საქმეებს სომხებივით არ მივსდევდით, მაგრამ ვერც ამით გვეშველა რამე, უკანასკნელ რაკი ქრისტესაგან უშველელნი და უმწეონი შევმცირდით, ჩვენც დავეცით, ჩვენც მოგვევლინა მუსულმანთა მახვილის შედეგი, ვერც ჩვენ შევინახეთ ჩვენი წეს-წყობილება, ამის შეუნახველობა არც მოხდებოდა, რადგანაც აზიაში მუსულმანთა მახვილის დროშა ერთობ ფართოდ იშლებოდა. ასე და ამგვარად, ჩვენ დავკარგეთ ერთიც და მეორეც, ვერც ჩვენი წეს-წყობელება შევინახეთ და ვერც სხვა რამ სიკეთე მივიღეთ, უკანასკნელ წეს-წყობილების და ცხოვრების წესებითაც უკან ვრდომილნი მივეცით ხახა-მშრალს ფუჭე ცხოვრებას და მოქმედებას. ამის მხრით სომხები გვჯობიან ჩვენა, მართალია მათ თავიანთი მეფობა, ქვეყანა და ერთობა ადრე დაკარგეს, მიტომ მის მაგიერ მათ შეიძინეს ვაჭრობის ნიჭი, ხერხი, ღონე, თვალის გახილება, აღებ-მიცემა, ფული, ქარხნები და ბევრიც სხვა რამ, რაც ჩვენ ქართველებს ერთობ გვენატრება და რაც ხალხის ცხოვრებას დღეს კონკურენციით დიდს მეტოქობას უწევს.

ჩვენის მოსაზრების ცხადი დასკვნა ის გახლავსთ, რომ საქართველოში, როცა ქართველი ტომი უძლურებას მიეცა, მაშინ მაოზედ ვაჭრობას და მრეწველობას დიდი ზეგავლენა ექნებოდა და ამის წარმომადგენელნიც არა ერთს

და ორს გაჭირებულ ქართველ კაცს მიაქცევდენ თავის სჯულსა და წეს-წყობილებაზედ, ეს მაშინ ქართველთ შორის შეუმჩნეველადაც მოხდებოდა, რადგანაც ქართველი ერი საშუალ საუკუნოების შემდეგიდამ სარწმუნოებრივი კითხვის საქმეებში ინდიფერენტიზმს იჩენდა, მისთვის ყველა სჯული ერთი იყო, ოღონდ ქრისტიანი-კი ყოფილიყო და საქართველოში დაშთენილიყოს.

სომხები ვაჭრობას მისდევდნენ როგორც უცხო სახელმწიფოებში, ისევე საქართველოში, ამ გზით და ხერხით მათ დიდ უფლება მოიპოვეს თვით ბარბაროს ოსმალთა წინაშეც. ვაჭრობით და მრეწველობით ოსმალეთში ესენი გახდნენ სამაგალითონი, კონსტანტინეპოლს ამათ დახსნეს ქარხნები, სავაჭროები, კანტორები, ბანკები და ერთ დროს მთელი ოსმალეთი ხელში ჩაიგდეს, ამათვე მიიხიდეს მრავალ დაცემულ ერთა ყურადღება, მათ ეკედლებოდნენ მრავალნი გეემულნი და დაცემულ ტომთა ძენი. ასეთია მაგალითებრ ის გარემოება, რომ კონსტანტინეპოლს და ოსმალეთის სომხეთში, სომხები ძრიელ ხშირად ყიდულობდნენ ქართველთ ტყეებს და უკანასკნელ ასომხებდენ სარწმუნოებით. ისიც ხომ კარგად ვიცით, რომ ოსმალეთის ქალაქებში არსებობდა სავაჭრო ბაზრები სადაც ქართველთა ძენი აშკარად ისყიდებოდნენ, დანაყიდის სულ საქართველოდამ იყვნენ წაყვანილნი, ზოგი გოთაულებთაგან ტაციობით და ზოგნიც მებატონეთაგან დასყიდვით. საქართველოს დასაღუპათ ეს სენი ისე იყო წინ წასული, რომ დაყიდულებში ხშირად ერივნენ თვით უპირველ სახლის გვარისშვილის მეგვარენიც, რასაკვირველია ნაბიჭვრები, ნაყოფნი ჩვენის კეთილშობილთ ოჯახისშვილებისა; ასეთი პირები ოსმალეთში სომხებს ასობით უყიდნიათ და სწორედ ამათგანია სომეხი დადიანები, რომლის ერთი ფაშათაგანი დადიანი უკანასკნელ დრომდე ოსმალეთის შემძლე ფაშათ ირიცხებოდა. მაინც ოსმალეთში ვინც-კი იყვნენ სომეხთა-

განი ასეთი ფაშები ყველა იგინი ქართველთ შთამომავალნი იყვნენ, რადგანაც მთელი ოსმალეთი გათათრებულ ქართველთ გარეშე სავსეა თვით გასომხებულ ქართველებითაგანაც.

თუმცა ქართველებს დრო არ ჰქონდათ მრეწველობის და ვაჭრობის მართვის, მაგრამ მათში მცირედ მაინც არსებობდა ესა და ვიდრე ამის ასპარესზედ სომხები გაჩნდებოდნენ, მინამდე ქართველნიც იყვნენ აქა-იქ. ამის მაგალითია ის გარემოებაც, რომ კახეთში XVII საუკუნემდე სულ ქართველ გვარის აღებ-მიცემის ხალხი არსებობდა, ხოლო ამ საუკუნის დამდეგიდამ-კი იქ მცირედ აქა-იქ სომხებმაც იჩინეს თავი, რომელნიც ვაჭრობას იყვნენ შეჩვეულნი და იგინი მოელს კახეთში ვაჭრობასაც მისდევდნენ, მათი რიცხვი დიდი არ იყო. უფრო ქალაქებში მიეცნენ ცხოვრებას, მაგალითებრ სიღნაღს, თელავს. ასე რომ დღეინდელ სომეხთა რიცხვი რომელნიც კახეთში სცხოვრობენ, იგინი მოსულნი არიან საქართველოში XVII საუკუნეში, რასაკვირველია მცირედ და ზოგიც XVIII საუკ. განმავლობაში.

უნდა ითქვას, რომ კახეთშიაც სომეხთა[7] რიცხვი უდიდესად შესდგება ქართველთაგან და მათი შთამომავლობა ქართულია, მაგრამ ჟამთა ვითარების მეოხებით იგინიც გახეულან გადაგვარების ბადეში, ე.ი. გასომხებაში. ასევე გახლდათ მესხეთისკენ და რაც აქეთკენ სომხები სცხოვრებენ და კათოლიკენი უმეტესად ქართველის გვარისანი არიან. ჩვენ თამამად ვამბობთ ამას, არც ეჭვი უნდა, რადგან სინამდვილეს თვით ცნობები აჩენს, ვინც ამას არ დაიჯერებს, მაშინ იმან მიმოველოს მთელი საქართველოს კუთხეები, ნახოს აქა-იქ სოფლებში გრიგორიანთა რიცხვი და ის ამაზედ ცხადათ დარწმუნდება, რადგანაც იგი აქ ისეთ მიუვალს ადგილებში ჰპოვებს

[7] ამ შემთხვევაში სიტყვას კონფესიური დატვირთვა აქვს – (ქ.ქ).

ქართველთ გრიგორიანთა კვალს, სადაც სომეხთა რიცხვის კვალი იქ არას დროს შესულა, იქ სომეხთ მისვლა კი არა და თვით ადგილობრივ მცხოვრებ ქართველთაც არ ჰქონიათ ქალაქ ალაგებში მისვლა-მოსვლა და იგინი ცხოვრებით ყოველთვის დაკეტილს რკალში ყოფილან მოთავსებულნი. აბა ბძანეთ ახლა თქვენ ის, თუ აქ რა უნდათ სომხებს და მათ შთამომავალთ თუ არ ქართველებს და ნამდვილ ქართველთ შთამომავალთ, ხოლო გარე-მოებისაგან გრიგორიანობაზედ გადასულებს და უკანასკ-ნელ ამის საშუალებით გადაგვარებულთაც კი. სამწუხაროდ ეს გარემოება ჩვენში ისე შეუგნებლად მიდიოდა, რომ მას არ აკვირდებოდნენ თვით ქართველთ შეგნებულნი გვამნი, მეისტორიე მწერალნიც, თვით პლატონ იოსელიანიც კი ყველა ასეთ ქართველებს სჯულის გამო სომხებს უწოდებს. ამ გარემოებამ სხვათა ყურადღებაც მიიპყრო. პლ. იოსელიანისაგან ეს ხამი არ უნდა ყოფილიყოს. მას ასეთი წარმოდგენა ჰქონდა – გვაროვნებაზედ.

სულ ეს გახლავსთ და ამგვარი ცნობები, რომ სომეხთ მწერლები ასეთ გრიგორიანებს ნამდვილ სომხის შთამომავლად სთვლიან. ამის საფუძველს თვით ქართველთ მეისტორიეთა ცნობებზედ აფუძნებენ. ჩვენ რაღა გვეთქმის ამაზედ, როცა თვით ჩვენვე ვამახინჯებთ ყოველივეს. ასეთ სოფელთა ქართველობა კი არა და ზოგიერთ სომხის მსწავლულნი იმასაც გაიძახიან, რომ მთელი კახეთი დიდი სომხეთის ნაწილს შეადგენსო და აქ მცხოვრებ ქართველნიც მთლად სომხის შთამომავალნი არიანო. ამაზედ ბევრ გზის კამათიც ყოფილა. ეს დღესაც ხშირია და ევროპაში სომხის მსწავლულნი არამც თუ მარტოდ კახეთს ჰხვევენ ხელს, არამედ სამხრეთ საქართველოსაც კი არმენიად აღიარებენ, ამ 100 წლის განმავლობაში, სადაც კი ევროპაში კავკასიის ტომთა ქვეყნების შესახებ რუკა დაიხატა და დაიბეჭდა, იქ

სამხრეთ საქართველო სომხეთად არის ცნობილი, საქართველო და ქართველობა გამქრალია. კახელთა სომხათ აღიარების ფაქტათაც აი რა ხდება სომეხთა წინაშე.

მოგეხსენებათ, რომ პირველ საუკუნოებიდამ ქართველნი და სომეხნი ერთ სარწმუნოებას ვაღიარებდით. უკანასკნელ მსოფლიო კრების შემდეგ, საქართველოს ერი ბერძნებს მიემხრო სარწმუნოების მხრივ და სომხები კი არა. ქართველთ ბერძნის ეკკლესია აღიარეს და სომეხნი კი ძველს სჯულზედ დარჩნენ, ასე და ამ გვარად, ქართველ სასულიერო წოდებას და მის გარდაწყვეტილებას უნდა დამორჩილებოდა მთელი ქართველთ ტომი და მათ ახალი, მსოფლიო კრებისაგან დადგენილი სჯული უნდა მიეღოთ. ეს ახალი სჯული ქართველებში ყველამ არ მიიღო, ვინც არ მიიღო, მაშასადამე ის დაშთა ძველს მამა-პაპის სჯულზედ, ე.ი. სომხურზედ. ამათი მფლობელი უნდა ყოფილიყოს სომხის სამღვდელოება, ანუ ძველის სჯულის წარმომადგენ[ელი] მამანი. სწორედ ასეთი იყო კახეთის გარემოება, რომელიც სომხის სარწმუნოებით დაშთა კარგა ხანს და რომელსაც სომხის სამღვდელოება მწყემსიდა მათ განმათვისებლის მიმართვით. უკანასკნელი კი საქმე სახუმრო აღარ იყო, კახელთა სომხის სარწმუნოებით განთვისება იწყეს ქართველთაგან და გვაროვნულად გარდაქმნა, ამ გარემოების ყურადღება მიაპყრო კახეთის ბატონის ცოლმა დინარ დედოფალმა და X საუკუნის დამდეგს, კახელთ რიცხვი სრულიად დაუკავშირა ქართლის ახალს ეკლესიას[8], ხოლო შიგა და შიგ აქა-იქ დაშთენ ისეთ ქართველთ სოფლის მცხოვრებნი, რომლითაც სომხის, ანუ ძველს სარწმუნოებას აღიარებდნენ, ამათი რიცხვი იმდენად მცირე იყო, რომ მათ ამიტომ ქართველნი ხმასაც არ სცემდნენ. მათი არავის საფიქრი ჰქონდა, აი სწორედ დღეინდელი კახელთ სომეხთ რიცხვი შთამომავალია იმ ქართველთ

[8] ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი იხ. ზემოთ, შენიშვნა №3.

გრიგორიანებისა, რომელნიც ზემოხსენებულს რიცხვიდამ თითო-ოროლა დაშთენ კახეთის სოფლებში[9]. ეს სწორედ ასე გახლავსთ. ხოლო სომეხნი კი ყველა ამათ სომხათ აღიარებენ და ამ აღიარებას აფუძნებენ იმაზედ, რომ ყველა ამათ სომხის გვარები და სახელები აქვნდათ ძველადგანვეო. ამაზედაც ვიტყით რამეს რაცა საგანი და გარემოება კარგად აიხსნას.

ვინც კი ქართველთაგანი ძველადგანვე დაშთენ გრიგორიანთა ეკლესიის წინაშე, ყველა მათ სახელათა და გვარათაც იმ სახით და გზით ერქმეოდათ სახელები როგორც გრიგორიანთ ეკლესია ითხოვდა, მაგალითებრ ურთიერთის გასარჩევად ივანეს – ოჰანესი, გიორგის – გეურქა, მათეს – მათეოს და სხვაც ასე, ერთის სიტყვით სამღვდელობა მონათელის სჯულის საშუალებით ქართველებში იცავდა ნამდვილ ძირეულს სომხურს სახელებს და სულ ამის წყალობა გახლავსთ, რომ ჟამთა ვითარების წყალობით ქართველთ სომხის სახელები ეწოდა, სულ ამ გარემოების წყალობა არის, რომ ქართველებში გრიგორიანები ძველადგანვე გაჩნდნენ. მაგალითებრ XII საუკუნის ივანე და ზაქარია მხარგრძელნიც ქართველ გრიგორიანები იყვნენ[10]. ამათ სომხის ეკლესიის წესების არაფერი იცოდნენ. ამას ასაბუთებს შემდეგი გარემოებაც.

---

[9] ზ. ჭიჭინაძე, თავისი ინტერპრეტაციით, აქაც ცდილობს მის დროს არსებული რეალობის ფესვები შუა სს-ში ეძებოს. კახეთში სომხური ელემენტის შემოსვლას და ქართველთა გასომხებას გვიან შუა სს-ში ჰქონდა ადგილი. ჰერეთში შიმდინარე საეკლესიო საკითხებთან, მას არანაირი კავშირი არ აქვს. (ქ.ქ).

[10] სინამდვილეში, XIII ს-ის სომეხ ისტორიკოსთა (ვარდანი, კირაკოს განძაკეცი) ცნობით, მხარგრძელთა საგვარეულო იყო ქართული წარმომავლობის. კავკასიაში შემოსვლის მიზეზად გაქრისტიანებას ასახელებენ. მხარგრძელები XI ს-ის II ნახევარში მოვიდნენ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოში და მმართველ საგვარეულოს კვირიკიანებს დაექვემდებარნენ, მაოგან სამამულედ ხოჯორნი მიიღეს. XII ს-ში მხარგრძელები ორბელთა საგვარეულოს ვასალები იყვნენ 1177 წლის ორბელთა აჯანყების შემდეგ კი პოზიციები აიმაღლეს და

XII საუკუნეში, თამარ მეფის დროს, ქართველთა და სომეხ სასულიერო პირთა კამათი რომ გაიმართა სჯულის შესახებ, მაშინ ერთმა მხარგრძელთაგანმა ასე უთხრა ბერების კრებას: „მე სჯულებისა არაფერი ვიცი, თუ ვისი კარგია და მართალი და ვისი ტყუილი, მე მხედარი კაცი

გაბატონდნენ ლორე-ტაშირში, რომელიც მათ მამულად იქცა. გარდა ამისა, ისინი მამულებს ფლობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, ახლად შემოერთებულ სომხურ თემებში. სარგის მხარგრძელის (გიორგი III თანამედროვე) შვილებიდან უფროსი საქარია მხარგრძელი ამირსპასალარი იყო, უმცროსი ივანე კი მსახურთუხუცესი და შემდეგ ათაბაგი. სარწმუნოებით სომხურ - მონოფიზიტური მრწამსის აღმსარებელნი იყვნენ. სომხურ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ მათ ეწოდებათ არა მხარგრძელი, არამედ „ხაქარიდები“ და „მხარგრძელი“ მხოლოდ საგვარეულოს სელჭოდებაა. ვენ არ ვიზიარებთ სომხურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ თითქოს XII – XIII სს-ის მიჯნაზე ჩამოყალიბდა სომხური ვასალური სახელმწიფო, რომელიც საქართველოს მფარველობაში შედიოდა და მას „ზაქარიდები“ მართავდნენ. სინამდვილეში ისინი იყვნენ საქართველოს მეფის ერისთავთ-ერისთავები მონაჭირე საერისთავო ქვეყნებში და შემოერთებულ სომხურ თემებში. თქმცა, მოგვიანებით, მათ სამფლობელოების დიდი ნაწილი მამულობით დაიხვეჭეს. XII-XIII სს-ის მიჯნაზე ივანე მხარგრძელმა ქართული მართლმადიდებლური მრწამსი მიიღო. „როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო კარზე დაწინაურებულმა ივანე მხარგრძელმა, რომელიც დიდ თანამდებობებს ფლობდა, მოვლენებს თავიდანვე ალლო აკლო და ცდილობდა XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ძლიერების ზენიტში მყოფი მართლმადიდებელი ქართული მონარქიის მნიშვნელოვან სახედ წარმოჩენილიყო. როგორც დიდ ფეოდალებს ახასიათებდათ, თავისი ახალი მრწამსისა და ძალის გამოსაყენებლად ივანე მხარგრძელმა ახტალის მონასტერი დააარსა, სადაც მხარგრძელთა ამ შტოს სამწერველო და განსასვენებელიც იმყოფებოდა“ (ქ. ქუთათელაძე, სომეხ-ქართველთა კონფესიური ურთიერთობის ისტორიიდან XIII ს-ის დასაწყისში, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. VIII. თბ., 2008, გვ.98). ივანე ათაბაგი საბოლოოდ ბერად აღიკვეცა. როგორც ჩანს, სიცოცხლის უკანასკნელი დღეები მან მის მიერ დაარსებულ ახტალის ქართულ მონასტერში გაატარა. მართლმადიდებლობაზე გადასვლის საკითხი უფროსმა ძმამ ხაქარიამაც დააყენა, მაგრამ იგი სომეხი სამღვდელოების სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. (ქ.ქ.)

ვარ, მხედრობაში გაზრდილი, შეიკრიბენით და ისაუბრეთ, ვის საუბარსაც მართლად დავინახავთ, ჩვენც იმ სჯულს მივიღებთ". ეს ცნობა „ქართლის ცხოვრება"-შიაც არის მოყვანილი[11].

---

[11] „ისტორიანი და აზმანნი შარავანდედთანის" თანახმად, წირქის შემდეგ „ირება ზაქარია ამირსპასალარმან შეხებად და ალებად სეფისკუერისა. ხოლო მღდელთა არა მისცეს, რამეთუ იყო სარწმუნოებით სომეხი, შეჰუნებელთაგანი". ზაქარიას სეფისკვერი მაინც შეუჯამია, რასაც კათალიკოსი იოანე ალუშფოთებია. მან თავის აგრესია შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „ნეფსით არავინ მართლმადიდებელთაგანი იკადრებს მღდელმოქმედებასა სეფისკუერს თქუენ, შჯდგზის წყეულთა სომეხთა, მოცემად, მომჩაცებელი ძაღლიცა თუ იპოოს". ამის შემდეგ ამირსპასალარსა და კათალიკოზს შორის ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მწვავე კამათი დარბაზში, ანუ სასახლეში გამართულა. ზაქარია ამირსპასალარმა, რომელიც ჰგმობდა ქართველთა სარწმუნოებას, წინააღმდეგობა ვერ გაუწია იოანე კათალიკოსს და თავის პოზიცია შემდეგნაირად დააფიქსირა: „მე მელაშქრე, ვერ კეთილად მეცნიერ ვარ სიტყვსგებად შენდა, არამედ მოუწოდო მოძღუართა სარწმუნოებისა ჩუენისათა, რომელთა ჩემ წილ სირცხჳლეულ გყონ" („ისტორიანი და აზმანნი შარავანდედთანი", ქართლის ცხოვრება, თბ., II, იბ., 1959, გვ. 82). ამ საკითხთან დაკავშირებით, თბილისში საეკლესიო კრებაც კი მოიწვიეს (დაახლ. 1204 წელს), სადაც მხარეები, რათქმა უნდა ვერ შეთანხმდნენ. მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტება ზაქარიასაც უღიარებია („ისტორიანი და აზმანნი შარავანდედთანი", გვ. 90), მაგრამ მან სომეხთა რჯული საჯაროდ მაინც არ დათმო, რადგან იგი ახლოს იყო სომხურ სახოგადოებასთან და მასთან ურთიერთობის გამწვავება არ სურდა. მეორეს მხრივ, ზაქარია თვითონ ხედავდა, რომ მის ხელქვეით არსებული ქართული ჯარი საქართველოს მართლმადიდებელი მონარქიის სახეს წარმოადგენდა. საქართველოს ჯარების მთავარსარდალი და ნაწილობრივ სომხური მიწების მფლობელი ზაქარია ამირსპასალარი შემდეგ თვითონ ცდილობდა სომხური ჯარი და სახოგადოება მართლმადიდებლობასთან დაეახლოვებინა. 1199 წელს ქართველებმა ანისი აიღეს და შემდგომ წლებში სხვა სომხური ციხე-ქალაქები. ბუნებრივია, კონფესიური ერთობის საკითხი დღის წესრიგში კვლავ დადგებოდა. ამას თან ერთვოდა ისიც, რომ XII ს-ის II ნახევარში კილიკიის სომხურ სახელმწიფოს ხან მცირე აზიაში ჩამოყალიბებული ლათინური ეკლესია უჭერდა, ხან კი ბერძნული. მანაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საეკლესიო კრებებიც კი მოიწვია ლორესა (1205) და ანისში (1207) მაგრამ იგი სომეხ სახელმწიფოს სასულიერო პირთა სასტიკ

ასეთ პირებს კი, რომელთაც მხოლოდ სარწმუნოება აქუნდათ სომხის, ყველა სომხის ტომის კუთვნილებად სთვლიდა, აბა დავაკვირდეთ თუნდა იმ გარემოებას, თუ დღეინდელ არღუთაშვილებს რა სცხიათ სომხობის. არაფერი? იქნება სჯულით აკუთნონ თავიანთ თავი სომხობას, თორემ სხვა არაფრით იგინი მათ არ ეკუთვნიან. გარდა ამისა იგინივე ირიცხებიან ქართველ თავადიშვილათ, საქართველოს სამეფოსაგან დამტკიცებულად და მისავე კუთვნილებად. მაგრამ რომ ჰკითხოთ ვისმეს ამათ შესახებ, იგი გეტყვით, რომ სომხები არიანო. ასეთ წარჩინებულ გვარის ქართველ კრიგორიანები ძველად საქართველოში მრავლად ყოფილან, მერე მოსპობილან იგინი, ან აქეთ-იქით გარდახვეწილან. ჟამთა ვითარების წყალობით გვარებსაც გამოიცვლიდნენ. არის ისეთი მაგალითებიც, რომ საქართველოში, სხვა-და-სხვა სარწმუნოების ერთაც უცხოვრიათ, ნამეტურ თათრის შთამომავალთ, ესენი დაწინაურებულან საქართველოს მეფეთა წინაშე, შემდეგ ამათ ქრისტიანობაც მიუღიათ, თავითი რწმენით სომხის სარწმუნოებას მიჰკედლებიან. ამისთვის არც სამეფო პირნი გამხდარან წინააღმდეგნი, რადგანაც როგორც ვსთქვით ქართველ მეფენი და

წინააღმდეგობას წააწყდა. საკითხის საბოლოო გაშუქებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ანისის კრებაზე. ზაქარიას სულიერი მოძღვრის მხთარ გოშის მიერ წარმოთქმული სიტყვას, რომელსაც კირაკოს განძაკეცი გადმოგვცემს: „თქვენ ღელავთ ჩვენს ხალხზე, რომ ამ წეს-ჩვეულებების დახმარებით როგორმე არ შეცვიოს ქართველებს. მე კი ვღელავ ჩვენს მთავარსარდალზე, რომ იგი როგორმე თავისი ძმის მსგავსად არ გახდეს ქართველი, რასაც ასე იმეღვნებენ ქართველები" (Киракос Гандзакеци, История Армении, Москва, 1976, გვ. 125). „ქართველში" რა თქმა უნდა მართლმადიდებული იგულისხმება. ეფიქრობთ, სომეხი მოძღვრის სიტყვას კომენტარიც არ სჭირდება იმის თაობაზე, რომ ყველაფერ ამის უკან საქართველოს სამეფო კარი დგას". ამ საკითხთან დაკავშირებით, დაწვრილებით იხ.: ქეთევან ქუთათელაძე, სომეხ-ქართველთა კონფესიური ურთიერთობის ისტორიიდან XIII საუკუნის დასაწყისში, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, VIII, ობ., 2008. (ქ.ქ.).

ხალხნი სჯულზედ ინდიფერენტიულის შეხედულების იყვნენ. აი ასეთ სომხის მოდგმას ეკუთვნიან საქართველოს ახალნაურისშვილები – ყორღანაშვილები, რომელნიც საქართველოში მცხოვრებნი მონგოლების შთამომავლად ითვლებიან. მათ თავიანთი გვაროვნობის ისტორია არ იციან, ამიტომ იგინი თავიანთ ეინაობასაც სომხათ აღიარებენ.

საქართველოში, ქართველთ წინაშე სომხის სარწმუნოება სულაც არ იგმობოდა ეს ისე, როგორც იგი სხვაგან იყო, ქართველთ მეფენი ამ სჯულს ისე ადიდებდნენ და მფარველობდნენ, როგორც თავიანთს, მისი გარჩევა მათ არ ჰქონდათ, სომეხნი კი ამ პატივისცემას სხვანაირის თვალით უმზერდნენ. საქართველოს სამეფოს რომ მათზედ ცუდი, ანუ შემავიწროებელი წარმოდგენა ჰქონიყო, მაშინ არც ერთი სომეხიც არ დარჩებოდა საქართველოში თავის სჯულით ჩვენს დრომდე, რადგანაც ძველის ძველადგანვე ქართველთა და სომეხთა შორის ნათესავობა ხშირი იყო და ამ ნათესაობის განმტკიცებას აძლიერებდა ის პირობებიც, რომ საქართველოში, შვილი მონათლის დროს, ქრისტიანებთ შორის მამის სჯულზედ უნდა მონათლულიყოს. ასე: სომეხი ქართველ ქალს შეირთავდა, უსათუოდ შვილი მამის სჯულით უნდა მონათლულიყოს და არა ქართველის, თუმცა სახელმწიფო სჯული ქართული იყო. ეს გარემოება იქამდე თავისუფალი იყო, რომ არამც თუ მარტოდ მამის მეუფროსობით ინათლებოდა შვილი, არამედ ხანდიხან აქა იქ ქართველი რომ სომხის ქალს შეირთავდა, მოხდებოდა ისეთი შემთხვევა, რომ ქალი პირობას ჩამოართმევდა საქმროს, რომ ხოგი შვილები ჩემს სჯულზედაც მოინათლონო, ე.ი. სომხურად, თორემ არ გამოგყვები ცოლათო. ხშირად სიყვარულის წყალობით საქმროსაც პირობა მიუცია, თავის სჯული დაუთმია, შვილი სომხის სჯულით მოუნათლავთ ე.ი. დედის სჯულით, ხოლო გვარი კი მამის დაშთენია, ასეთია მაგალითებრ გამურელიძენი, დღეს

შან'შიევათ წოდებულნი, შაბური'შვილი, დღეს შაბუროვი, სანდაძე „მშაკით" სანდროიანცი, ღვინია'შვილი – ღვინიევ, მელვინოვი და მრავალნი სხვანი ენით დაუთვალავნი.

ქართველი ასეთის გულ-გრილის თვისების იყო სჯულზედ, მას ყველა ერთნაირ სჯულად მიაჩნდა ოღონდ ქრისტიანი კი ყოფილიყოს, თორემ ეს მისთვის სულ ერთი იყო. მუსულმანობას კი ადვილად ვერ ეთვისებოდა, ერს გარდა ქართველი სამღვდელოებაც ასეთი იყო. ქართველ სამღვდელოებას სა'შუალ საუკუნოების შემდეგ აღარაფერი ზრუნვა არ აქვნდა ქართველის ტომის სარწმუნოებრივი მხარეების და მათ მფარველობის. ქართველთ სამღვდელოების წინა'შე, ქართველთ შორის ადვილათ ავრცელებდნენ ყველა სარწმუნოებას. სარწმუნოების წყალობით ქარველთ ასხვაფერებდნენ კიდეც და ყველა ამაებს ქართველი სამღვდელოება კი თითქოს არ გრძნობდა, ყურადღებას არ აჰყრობდა. ამის ცხადი საბუთები ნათლად არის მოყვანილი მიხეილ თამარა'შვილის ცნობებში*[12]).

ახლა მოვიყვანთ ამის დასაბუთებელს ცნობებს. XVII საუკუნის დამდეგს, საქართველოში სცხოვრობდა წმ. ბასილის კრების არქიმანდრიტი ნიკიფორე ირბახი. მცოდნე ევროპიულის და აზიერის ენების, ქართველთ მეფეთა ელჩი, რამდენჯერმე ყოფილი ევროპის სახლმწიფოებში, რომში პაპის წინა'შე ამან კათოლიკური სარწმუნოება მიიღო. საქართველოს შესახებ „კონგრეგაციას" მრავალჯერ შესწერილა. სხვათა შორის ერთხელ მოახსენა „კონგრეგაციას", რომ საქართველო იქამდე მოუძლურდა, რომ იქ ქართველებს თათრობის გარეშე, ძრიელ მრავლად ასომხებენ კიდეცო. სომეხნი ქართველ მებატონეთაგან ყიდულობენ მათ გლეხებს და მერე ყველა ესენი თავიანთ სჯულზედ გადაჰყავთო, გადაჰყვანდათ წინეთ და დღესაც გადაჰყავთო,

*) ისტორია კათოლიკობისა საქართველოში მ. თამარაშვილისა, 1903 წ., თფილისი (ზ.ჭ).

ასეთ გასომხებული რიცხვი ეროობ დიდიაო. 1640 წ. საქართველოდამ აგუსტიანელების ორდენის ძმას ამბროსიოს „კონგრეგაციისათვის“ ასეთი წერილი მიუწერია:

„ჩვენი მონოსნები (ე.ი. ლათინის – ს.ჯ.) ამ ქრისტიან ქართველებში დიდს სიკეთეს ქმნას შეიძლებდნენ, რომ მათ შეძლება ჰქონდესთ ქართველთ სოფლების სყიდვის იმ გვარად, როგორც ამას სომხები სჩადიან. თუმცა ქართველებს სომხების დიდი სიმძულვარე აქვსთ, ნამეტურ სარწმუნოების მხრივ, გარნა როდესაც სომხების ყმები ხდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზედ. ქართველები უეჭველია დიდის სიამოვნებით მიიღებენ ლათინის წესსა, თუ ჩვენი ყმები გახდენ“.

ასეთ ცნობებს გარდა არის ისეთი ცნობებიც, რითაც ლათინის ბერები შესწივიან „კონგრეგაციას“, რომ ქართველების გაფრანგების საქმეში ძრიელ ხელს გვიშლიან აქაური სომხებიო. თვითონ რომ ქართველებს ასომხებენ მით არაფერია მათთვისო და ჩვენ თუ გავაფრანგეთ ვინმე, იმას კი გვიშლიან, ჩვენს საქმეში ერევიან და აღარ იციან თუ როგორ შეგვიშალონ ხელიო, თვით ქართველებს აშკარად ყიდულობენ, აშკარად გადაჰყავსთ თავიანთ სჯულზედ და ჩვენ კი გვიშლიანო. ბერები „კონგრეგაციას“ ამას მიტომ შესწივიან, რადგანაც მათგან ყურადღებას ითხოვენ. ესეთი შემთხვევები ქართველთ შორის მრავლად მომხდარა, სომხებს ძრიელ ხშირად გადუყვანიათ ქართველები თვის სჯულზედ, ქართველთ ნაყიდ ყმების ამათ საითაც უნდათ იქით წაიყვანდნენ და ამიტომ ძრიელ ხშირად მიერეკებოდნენ ქვემო ქვეყნებისაკენ და აქაც ასომხებდნენ უფრო თამამად და თავისუფლად. ამის ნიშანწყალია მისი ცნობები, რომ დღესაც ქვემო ქვეყნელთ სომხებთ შორის ძრიელ ხშირად შეხვდებით ისეთ სომხებს რომელთაც ქართული გვარები აქვსთ, მხოლოდ მცირედ გადაკეთებულნი, ანუ სომხურად გადასხვაფერებული.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ სომხის სამღვდელოება და ხალხი კათოლიკობას მტრობდა, მათ სასტიკად უმტიდნენ ქართველთ გაფრანგებას. სომეხნი ქართველებს აშინებდნენ, რომ თქვენ არ გაფრანგდეთ, თორემ ბოლოს ინანებთ, ფრანგები ბაყაყ ჭამიები არიანო, გველებსაც სჭამენო, სჯული ცუდი აქვსთ, მურდალიო. ბაყაყის მჭამლის ზიარება და ცხონება არ შეიძლებაო. გარდა ასეთის მტრობის იგინი კათოლიკეთ სამღვდელოების წინააღმდეგ ჰრაზმავდნენ თვით მათაერობასა და სამღვდელოებასაც, თუმცა ხშირადაც ვერას აწყობდნენ და ლათინის ბერების მაღალი შნო და გამჭრიახობა მათგან მოზღვავებულ მტრებთა წინაშე სასტიკ ფარათა და ხლმათა სდგებოდა. ამათი ენერგიული შრომა ქვეყნას სძლევდა და უკანონოდ გამოწვეულს ბოროტებასაც სასტიკად მუსრავდა. ლათინის პატრების ასეთი ენერგიული ცდა და შრომა რომ არ ეოფილიყოს, უამისოდ თქვენი მტერი მათზედ სომეხთა მტრობა დიდათ ინავარდებდა და იეფლებდა. მაგრამ ეს ასე ვერ ხდებოდა და სომეხთ სამღვდელოების წადილს ყოველთვის ძლევდა ლათინის ბერების ნიჭიერი ცდა. ასეთ მასალების მოყვანა აქ მეტი არ არის საჭირო, საგნის გასარკვევად აქ მოყვანილი სამი ცნობაც კმარა.

აქ ამაზედ ეჭვს ნურავინ იქონიებს, ქართველი რაკი ერთხელ დაუძლურდა, მერე მისი საქმეც უკუღმა წავიდა, მათ თვალთ წინ ნახევარ საქართველო გათათრდა, ნახევარმა ქართველობამ აიღო ხელი თავის მამა-პაპის სჯულსა და ანბანზედ და აბა გასომხებას რაღა დაუშლიდა, გასომხება ხომ იგივე გათათრება არ იყო, გასომხებაც იგივე ქრისტიანობა იყო, იგივე სჯული რაც ქართველების, ამისთვის ქართველებს დავა არ უნდა გაეწიათ. მიტომც იყო რომ ქართლსა და კახეთში სომეხთა რიცხვი ძველადგანვე იდგავდა ფეხს. დღეს ამ კუთხეებში მათს რიცხვს ფეხი კარგად აქვს გამაგრებული და მათ

შორის, ანუ ძირეულ ქართველთ გვერდით მარტივად იდგამს ფეხს სომხური ენა, მისი ტრფობა და გასომხებულ ქართველთ გადაგვარებაც. ყველა ამ საქმეთა მოხერხება ქართველთ წინაშე აშკარად ხდება, ამის ნაყოფი მათში დიდის ოსტატობით ითესება და ქართველნი კი მასზედ კრინტს, ხმასაც არ იღებენ, ყოველივეს უყურადღებოთ სტოვებენ და თვით ქართველ გრიგორიანებიც ისე გათახსირებულან, რომ მათ ერთი ცნობაც არ ებადებათ მის შესახებ, რომ იგინი ტომით ქართველები არიან და მხოლოდ სარწმუნოებით გრიგორიანები. ამ გარემოების წყალობით საქმე იქამდე მოეწყო, რომ დღეს უკვე ფეხი აიდგა აქა-იქ სომხურმა ენამ, საქართველოს ბევრს მიყრუებულს კუთხის მცხოვრებთ ქართველთ შორის თქვენ ადვილათ ჰპოვებთ ამის ცნობას და მათში იმასაც, რომ ისინი სომხები არიან, სომხის შთამომავალნი და არა საქართველოში მცხოვრებ ქართველთ გვარის მონათესავენი. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია მათში იმ საქმეთა პატივისცემის პირობები, რაის წყალობითაც მთელის საქართველოს სოფლებში მცხოვრები სომეხთა აღწერეს და ამ რამდენიმე წლის წინეთ „მურჭში“ მოათავსეს. იქ ყველა ამათ „ქართულად მოლაპარაკე სომხებს“ უწოდებენ, ანუ მათებურადვე „ვრაცა ხოს ჰაიოთ“. მაგრამ ეს არ გახლავსთ სწორე. იგი სახლს მოსაზრებას მკაცრად ეშესაბამება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართველთ შორის, გრიგორიანობა ისე არსათ ვრცელდებოდა, როგორც საქართველოს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში, ანუ დღეს სომხეთად[13] წოდებულისკენ. მიზეზები ამისი

---

[13] იგულისხმება ქარიოლის „სომხითი“ (ვახუშტი). ეს სახელი შუა სს-ში ეწოდებოდა ქვემო ქარიოლში შემავალ განიან-გარდაბნის ტერიტორიებს (სამშვილდისა და ხუნანის საერისთაოო ქვეყნები). სახელწოდება უკავშირდება IX ს-ის II ნახევარში ანისის ბაგრატუნების მიერ ქვემო ქარიოლის ტერიტორიის დიდი ნაწილის ანექსიას. ვახუშტი ბაგრატიონის თქმით, „...რამეთუ დაიპყრეს ბაგრატ

ცხადია, რადგანაც საქართველოს სამხრეთი ნაწილი მჭიდროდ არის მიკრული არმენიის ნაწილზედ. ამას რაღა ფიქრი უნდა რომ სომეხნი იქ უფრო აღვილათ იქონიებდნენ სარწმუნოებრივ გავლენას. მთელს ამ კუთხეში ვერ ნახავთ ერთ სოფელს, რომ იქ ქართველებთან ერთად და ან კერძოთ მთელი სოფელი სომხის მექონ სარწმუნოებით არ იყოს მოფენილი, ენით კი ყველა იგინი ქართველნი არიან, სრული ნიშან წყალი ქართველის გვარის და სახელებისა.

აი ეს სოფლებიც: ნავთლუხი, აქ არიან მრავალნი ქართველ გვარისანი გასომხებულნი, სოღანლუხს, კრწანისს, შინდისს, ტაბახმელას, ხატის თელეთს, წალაჰკურს,

---

მეფისამდე სომხითის მეფეთა ადგილი ესენი ამისთვს უწოდეს სომხითი" (ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 331) X ს-ში აქ ნამოქალაქარს ტაშირ-ძორაგეტის პოლიტიკურად და არა ეთნიკურად სომხური სამეფო, რომელსაც შირაკის ბაგრატუნთა უმცროსი შტო – კვირიკიან-ბაგრატუნია საგვარეულო მართავდა. მათ დედაქალაქად სამშვილდე გამოაცხადეს. რომელიც 1065 წელს ბაგრატ IV აიღო. სამეფოს ცენტრმა ლორეში გადაინაცვლა. იგი კვირიკიანებს სელჩუკებმა წაართვეს. 1118 წელს კი დავით აღმაშენებელმა საქართველოს შემოუერთა. სომხურ წყაროებში ეს მხარე ქართლის ნაწილად მოიაზრება. მაგ.: როდესაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მალიქ შაჰმა „მოაოჯრა სომხითი და წარვიდა", „ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანი იგივე ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნავს: „[დაარბია] ქართლი, ... და წარვიდა" (ქ. ქუთათელაძე, ქვემო ქართლი, პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 2001, გვ. 20). გვიან შუა სს-ში „სომხითი" ეწოდებოდა ქვემო ქართლის ნაწილს, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას დებედას ქვემო დინებიდან ფოლადაურის ხეობის ჩათვლით და ხრამის ქვემო დინებიდან ლელვარ-ლოქის მთამდე. X ს-ის სომხურ წყაროებში ამ სასაზღვრო მხარეს „ვრაც დაშტი" ქვია, რაც „ქართველთა ველს" ნიშნავს (ქ.ქ.).

ზაქარია ჭიჭინაძე „სომხეთს" სიტყვა „სამხრეთს" უკავშირებს – „სომეხთ მეისტორიენი და მოგზაურ მსწავლულნი იქმდის გაკადნიერდნენ, რომ სიტყვა „სამხრეთიდგან" შეცდომით წარმომდგარს სომხეთს ვერ დააკვირდნენ და სომხეთად ძველათვე მათ არმენია და ერმიანთა მიდგმის ქუხი გამოხატეს" (ზ. ჭიჭინაძე, სამხრეთი საქართველო, დმანისი III, თბ., 2001, გვ. 286). (ქ.ქ.).

თელეთის, კუმისის, ვაშლოვანის, ერტის, ღოუბანის, ბორბალოს, მუხათის, კოდას, მარაბდის, მარნეულს, ჭოლაგაურს, პატარა შულავერს, დიდს-შულავერს, ახტალას, მადანის, სპილენძის მადანის, დარბაზს, გოგრაშენს, ახბულახს, ვანაძურს, კოლაჩს, ბორნას, ლალკანათს, კარანდუხარს, ბაიტალოგლას, სოფელს, ზემო სარალს, ქვემო სარალს, ბაგანოს, ბოლნისს, და სხვაგანაც. ამ სოფლებს გარდა შამშადილს, ყაზახს, ბორჩალოს, ყარაბახის საზღვრად. შულავრისკენ და ბამბაკისკენ ქართველთა იყო 240 სოფელი. XVII საუკუნის შემდეგიდამ ეს სოფლები შემცირდა ქართველთ მცხოვრებთა რიცხვით, ყველა იგინი სპარსეთს იქმნენ გადასახლებულნი, მათ მოადგილეთ აქ გამრავლდნენ თათრები და სომხები, ჯამთა ვითარების წყალობით ამ სოფლებს ყველას საერთოდ შეეცვალათ ქართული სახელები და მის მაგიერ თათრული ეწოდათ. ამ სოფლებს ისე აქვსთ სახელები შეცვლილი, რომ ძნელათ მათ ქართულის რამეღა შეეტყოს, ზოგის ქართულ სახელებს ვახუშტიც მოიხსენიებს და ზოგსაც აქ დაშთენილ ქართველთ ძველ შთენილი ღაღადებენ. ასე ამგვარად მოისპო აქ ქართველთ ხსენება. ვინც კი შავს ბედს გადარჩა, არ გადასახლდა და იქ დაშთა, მათი ნაწილი ქართლის სამღვდელოებისაგან მიტოვებულ იქმნენ და ამიტომ უმეტესს ნაწილის მათი ზოგი სომხებს შეუერთდა და ზოგიც თათრებს, ზოგი ძალით, ზოგი ნებით, დროის წყალობით მათ ქართული ენაც დაივიწყეს და ასე და ამ გვარად ამ ვრცელს კუთხეში სადღეისოდ ამოვარდა ძირიან ფესვიანად ქართული ენა, ამის მაგალითია თვით წინწყაროს და წალკის ქართველთ ვითარება, რომელთაც ქრისტიანობა შეირჩინეს, მაგრამ ნაცვლად მის დაკარგეს ქართული ენა და დღეს თათრულად ლაპარაკობენ.

ჩვენი მოსაზრება რომ მართალია, ამას ასაბუთებს ის გარემოებაც რომ მთელ ამ კუთხის ადგილებთა მებატონეთა

რიცხვი ქართველთაგან შესდგება, უმეტესი ადგილები ეკუთვნის უპირველეს სახლი'შვილებს ქართველთ თავად-აზნაურებისას, მაგალითებრ: ბარათა'შვილებს, ორბელია-ნებს, ციცი'შვილებს, მუხრან ბატონს, არყუთა'შვილებს, ჯორა'შვილებს და სხვათა. აზნაურთ შანშე'შვილებს, ზავრი'შვილებს, საკინა'შვილებს და მრავალთაც სხვებს, ყველას მამულ'ში სომხეთის საზღვრამდე მრავლად სდგას ქართველთა ნა'შთინი: საყდარნი, ციხენი, კო'შკნი და სხვა რამ ძველთაგანნი ამ კუთხის ოდესმე ქართველთ საკუთ-რების ნიშან წყალთ. ძველადგანვე აქ რომ ქართველთ რიცხვი ცხადათ იყო მოფენილი, ეს ჩანს იქიდამაც, რომ ვახუშტი თავის გეოგრაფია'ში ბევრს ალაგას აღწერს ამ კუთხის სოფლის მცხოვრებთ, მათ რიცხვს სარწმუნოებითაც საზღვრავს და ბევრს ალაგას ამბობს, რომ ამ სოფელ'ში თუმც ქართველებთან სომხებიც სცხოვრობენო, მაგრამ მათ სომხების არაფერი აქვსთ, ქართ'ულად მოლაპარაკენი არიან და ქართ'ული კაცის ზნისა და ხასიათის მექონიო.

რაღა ფიქრი უნდა ამას რომ ეს ასე იქმნებოდა, ვინაიდგან ეს ქართველ-სომეხნი იმ დროს ახლად იქმნებოდნენ გრიგორიანობაზედ გადას'ულნი. დღეს კი ამ სოფლის ქართველთ შორის ეს ასე არ არის, აქ სომხური ყველამ იცის. წვენ ცნობების სრული სიმტკიცეა ის გარემოებაც, რომ მთელს ამ კუთხე'ში ძველად სამი საე-პისკოპოზო არსებობდა და ესენი მწყემსიდენ ამ კუთხეს ქართველთ და მით ვერც კი ჰყოფნიდნენ, დღეს კი მხოლოდ ერთი საბლალოჩინო არის, ამასაც ძლივს შეადგენს. ამ კუთხე'ში ხალხს გარდა უცხოელებმა დაიკავეს თვით დიდრონი ტაძრები ქართველთა და მისი მამულებიც, ვერანად ქცეულს კუთხეს ყოველთვის ასე ემართება. ამ კუთხე'ში დაშთენილს ქართველთ შემ'სვრილთ შთენი განცვიფრება'ში მოჰყავსთ თვით თანამედროვე მოგზაურნი,

დღეს აქაურს ძველს ქართველთ მონასტრებს რუსის ბერებმა დაუწყეს განახლება, მაგალითებრ განაახლეს – კაბენის მონასტერი კოჯორთან, ახტალისა და ახლა ბოლნისის სიონის განახლებასაც ჰფიქრობენ. ასეთია ამ ვრცელი კუთხის ვითარება ქართველთ ისტორიაში. ჩვენ არ ვიტყვით იმასაც რომ ვითომც აქეთ ნამდვილ სომხის შთამომავალთ რიცხვი არ იყოს, არა, ესეც მრავალი გახლავსთ და მასთან ნამდვილ სომეხთ შთამომავალნიც, მაგარამ იმასაც ვიტყვით რომ მათ გვერდით მოიპოვებიან ისეთ ქართველთ შთამომავალთ გრიგორიანებიც რომელთაც ჯამთა ვითარების წყალობით დაუკარგავთ ქართული ენა, ხნე, ხასიათი დროის წყალობით თვით სახის ნიშანიც წასვლიათ, წარხოცვიათ და დღეს ნამდვილ სომხებთან მათ ვერავინ განარჩევს, რადგანაც მათ გვარებიც ძირეულად შესცვლიათ.

ქართლში მცხოვრებ სომეხთა და ქართველ გრიგორიანებთა შესახებ ვიტყვით შემდეგს: XIX საუკუნის დამდეგს, ქართლში სომხები სცხოვრობდენ შემდეგ სოფლებში ქართველებთან ერთად და ზოგს ალაგას ცალკე: გორს, ახალგორს, ახალქალაქს და ცხინვალს ძველად გადმოსულნი. შემდეგ დროს ესენი გაჩნდნენ სოფ. წაქვას, იტრიას, ხანდაკს, სურამს, ოსიაურს, ვაყას, ატოცს, დირბს, ბრეთს, ურბნისს, რუისს, ტინის ხიდს, ახალ დაბას, ვარუანს, ზედქცეულს, შინდისს, თამარაშენს, ტყვიავს, კიწაქისა, სატლეს, არცევს, მეჯვრისხევს, ბურბუკს, სველნეთს, ხელთუბანს, ზერტს, უფლისციხეს, ჭალას, კასპს, ქარელს, ძელს, გრაკალს, ხოვლეს, ყარაგაჯს, ზემო ხანდაკს, სასირეთს, მეტეხს, ახალქალაქს, კაეთისხევს, ნორეთს, ურიათუბანს, ნიაბს, საღოლაშენს, ძეგვს, ნიჩბის, აეჭალას, წყნეთს, ცხეთას, დუშეთს, ტყვიავს, ძევერას, ახრისს, ლამის ყანას, დამპალას, მჭადის ჯვარს, ჩილერტს, ებნის, ანანურს, ფასანაურს, მუხრანს, დუეხს, ხაშურს, ალსს, ბერშუეთს

სხვა სოფლებ'ში. ზოგ'ში ოცი კომლი ცხოვრებს, ზოგ'ში მეტ ნაკლები ამათ აქ ჩვენ არ ვასახელებთ.

ეგონებთ, ამ სოფლებ'ში ჩვენ ბევრს ალაგას მოუხსენებელი დაგვრჩა ისეთი სოფლები, რომლებიც ქართლის ისეთ მიუვალს, მიერუეებულს კუთხეებ'ში სძევს, სადაც კაცი ადვილად ვერ მიუდგება. ეფიქრობთ მკითხველი უამისოთაც უნდა გაჰკვირდეს, რომ ქართლის სოფლებთ შორის სომეხთ რიცხვი ამდენ სოფლებთ შორის ეოფილა მოფენილი. ამ სოფლების ' მესახებ 'უნდა მოგახსენოთ, რომ აქ ყველა სოფლებ'ში სომხებს არა აქვსთ თავიანთი საკუთარი ეკლესიები, პატარა სოფლების ეკლესიები მიწერილია დიდს სოფლის ეკლესიებ'ზედ. მცხოვრებნი ქართველთ შორის ისე არიან არეულ-დარეულნი რომ მათი გარჩევა ყოვლად შეუძლებელია, შეუძლებელია მით უფრო, რადგანაც მათ'ში რამდენადაც სომხის შთამომავალნი მოიპოვებიან იმდენივე ნამდვილ ქართველის ტომის სომეხ გრიგორიანებიც არიან, ნამდვილ ქართველის მოდგმისანი.

ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც რაც სომხები საქართველო'ში მოდიოდნენ, თავის დღე'ში ამ მოსულთ ფეხი ამ მიერეებულს კუთხისაკენ არ წასულა, იქ ესენი არას დროს არ მიჰკარებიან საცხოვრებლად. სომხებს საქართველო'ში სულ რამდენსამე ალაგას ჰქონდათ ფეხი მოკიდებული და აქვე ჰქონდათ თავიანთი ეკლესიები, ჰყვანდათ მოძღვარნი. მოძღვართა რიცხვი იქამდის იყო მცირე რიცხვ მრავლობით, რომ მთელს საქართველო'ში მათ ერთი ეპისკოპოზიც არ ჰყვანდათ, ეპისკოპოზი რათ იქნებოდა საჭირო, როცა მათი ერის რიცხვი საქართველო'ში არც იყო დიდი. ხოლო ის კი უნდა ითქვას, ვინც იყვნენ მათ'ში ყველა იგინი იყვნენ მხნენი და მცდელნი, მჯობნი ქართველ სამღვდელოებაზედ და ცხარე მეტრფენი თავის თანამერჯულეთ გამრავლების და გაჩენის. გარდა ამისა მით უფრო მეტი

შნო შესწევდათ ერში სიყვარულის განთესვის, ერის დაახლოვების და მოქალაქურად გამცნების, ეს ხომ მოგეხსენებათ, რომ იგინი მოქალაქობით და მამულისშვილობით ქართველთა სამღვდელოებას ბევრად სჯობიან.

სომხის სამღვდელოება ყოველთვის უფრო თავისუფლად მოქმედებდა, ყოველთვის უფრო აყვარებდა მრევლს თავს. ვინემც ქართველთა, სომხის სამღვდელოების დევიზს ეს შეადგენდა, ძმათა სიყვარული, ქართველთა და სომეხთა შორის სრული მშვიდობა და პატივის სცემა, ერთმანეთის მფარველობა და გატანა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო მათგან, იგინი ნებას აძლევდნენ სომხებს რომ ამათ ქართველთ ეკლესიებში ევლოთ, იქ სადაც სომხის ეკლესიები არ იყო, თითქმის საზიარებლადაც კი მომზადებულიყვნენ, სეფისკვერიც აელოთ, ხოლო ზიარებით კი სომხის მღვდლისაგან უნდა ზიარებულიყოს, ეს კი არ დაეტოვებინა უყურადღებოთ. ამ გარემოებამ როგორც სომხები დაუახლოვა აქა იქ ქართველთ ისევე ქართველები მათ. საქმე ისე მოეწყო, რომ ქართველთა და სომეხთა ერთმანერთის ეკლესიებში უეჭვოთ იწყეს სიარული და ლოცვები, სხვა და სხვა დროს დღესასწაულების გადახდა საეროდ სადმე საყდრის გვერდით, ღამის თევა, ლხინი, აღთქმის დადება, შესრულება და სხვანი.

იყო ხოლმე ისეთი შემთხვევებიც, რომ ქართველი შეუთქვამდა, რომ ჩემი შვილი ამა და ამ სომხის ეკლესიას, ანუ ხატის ღღეობას უნდა მოვნათლოვო, მართლაც დანიშნულ დღესასწაულ დღეს რომელიმე სოფლიდამ წაიყვანდნენ იქ ქართველთ ყმაწვილს და სომხის მღვდელი მონათლავდა სომხურად. ამაზედ წინააღმდეგი არავინა სთქვას, მარტოდ თფილისს მახლობლივ თელეთის წმიდა გიორგში, კრწანისის ეკლესიაში და შავ-ნაბადას რამდენიმე ასი ქართველია მონათლული, თელეთის წყალობა არის, რომ მის გარშემო მთელი ქართველთ გრიგორიანები დღეს

თავიანთ თაეებს ნამდვილ სომხათ აღიარებენ. ასეთმა გარემოებამ საქართველო'ში 1830 წლამდე გასტანა. ამ საუკუნის საშუალებით დიდი ძალი ქართველობა მოესხლიტა თავის ვინაობას, ასეთ გათვისებულთ ქართველთა რიცხვით სავსეა თფილისი. მერე ისიც უნდა ითქვას, რომ ერთ დროს თელეთის წმიდა გიორგი, შავ-ნაბადა და კრწანისიც ქართველთა საყდრები იყო, მის გარშემო ქართველნი სცხოვრობდნენ, ხოლო ჟამთა ვითარების მეოხებით აქეთ ქართველთ სამღვდელოება უძლურ იქმნა, მათ მრევლის მოვლა აღარ შეეძლოთ, მრევლი კი არა და თვით ტაძრებსაც კი სტოვებდნენ უპატრონოდ, ოხრად, აღარც მოვლის თავი ჰქონდათ, აღარც სახსარი სარწმუნოებრივის ვითარების, მათს გამუდმებელს ვითარებას მხოლოდ მუსულმანთა მტრობა შეადგენდა, მათთან ომი და სისხლის ღვრა, საყდრის მოვლის და ქართველის სჯულით შემოფარგელისთვის აღარავის სცხელოდა.

ამით სარგებლობდნენ სომეხთა სამღვდელონი და იგინი მოგზაურობდენ სოფლიდან სოფელს, თვით მიევალს მიერუებულს ქართველთ სოფლებში და იქ ქართველებს ხშირად სომხურად უნათლავდენ ყმაწვილებს, აქორწინებდნენ. ამის მოდავე მათ წინაშე აღარავინ იყო, რადგანაც ქართველთ მის შეგნების ძალა აღარ შესწევდათ. მათთვის სულ ერთი იყო, ოღონდ ქართველი მოუნათლავი არ დარჩენილიყო, დაუსაფლავებელი, თორემ იგი ვისაც უნდა დაესაფლავებინა, გინდ ქართველს, გინდ სომეხს, ორივ ხომ ქრისტიანები იყვნენ. დღე დღეისად სომხის სამღვდელოების მხნე მეცადინეობამ და შრომამ საქართველოში, ქართველთ შორის, თვით ქართველთ გვართაგან სომეხნი ისე გაამრავლეს, იგინი ისე მოჰფინეს, რომ XVIII საუკუნეში, თითქმის ყველა ქართველთ სოფელში 3-5 სომხის მაღიარებელთა რიცხვი გაჩინეს და მათ ყველგან დანერგეს სომხის მოძრაობის სამერმისო ბჭე.

სომხის სამღვდელოებას რომ უფრო მძლავრად ემოქმედნა ქართველებზედ, ამიტომ იგი ახლა გადაბირებულ ქართველთ არ უშლიდნენ თვით ქართველთ საყდრებში სიარულს, ლოცვის მოსმენას და სიარებასაც კი. მხნე მოძღვართ მკლავები არამც თუ მარტოდ ქართველ ერს ეფინებოდა გარს და ეთვისებოდა, არამედ ესენი ეპატრონებოდნენ თვით ქართველთა დიდრონ ტაძრებსაც კი, ისეთ ტაძრებს როგორიც ახპატია, სანაინი, ბეთლემის მღვთისმშობელი, ბოლნისის სიონი, მიხაელის საყდარი და თელეთი დიდის მამულებით. მარტოდ თფილისში ქართველების ოთხი საყარი აქვსთ დაჩემებული და გასომხებული, ესენი არიან ფეთხაინი, წმ. მიხეილის საყდარი, დიდი მეიდნის თავზედ წმ. გიორგისა და მეტეხის აღმართზედ, პატარა საყდარი.

ქართლში, ქართველთ შორის, სადაც კი სომხის სჯულს ავრცელებდნენ, იქ მათ შორის, რასაკვირველია ყმაწვილებთა მონათვლის დროს, მათ სამღვდელოთ ქართველთ ოჯახებში თან შეჰქონდათ სომხური მამაკაცის და დედაკაცის სახელების დარქმევა და ამას გარეშე ზოგს გვარებსაც კი უცვლიდნენ. ყველა ეს იყო წესი მათის სჯულიერებისა, ხოლო ამ წესიერებასა კი განმათვისებელი ხასიათი ჰქონდა ქართველების თვით ქართველთაგან. მათ მცირედ უნდა შაესწავლად სომხის მღვდლის პატივისცემა და სომხური ენა, რაც სჯულის თავს მოვალეობას შეადგენდა. თუმც სომხის სამღვდელოება თანასწორი იყო სჯულის საქმის შეხედულებაში, უპირატესობის განმათვისებლობით კი მოქმედებდა ხალხში და სულ მისი წყალობა იყო რომ შიგ შუა გულს ქართლის სოფლებში ასე მრავლად დანერგეს სომხის მცნება, სომხური დედა ჰაზრების პატივისცემა. საქმე ისე მოეწყო, რომ დღეს, მთელს ქართლში ვეღარც ერთს ვერ ათქმევინებ, რომ იგი ქართველი გრიგორიანია, რომ მას მარტოდ სჯული აქვს

სომხისა და ენა და მოდგმა კი ქართველის, ამის ცნებაც კი არ არსებობს მათს თავში, თუმცა უმეტეს ნაწილს გვარი და სახელებიც ნამდვილი ქართული აქვსთ, მაგრამ მაინც ისე არიან გადაბირებულნი, რომ იგინი არც ამ გარემოებას აკვირდებიან.

აი ასეთია გარემოება ქართლში ქართველთ შორის გრიგორიანების ვრცელებისა და ვიტყვით იმასაც, რომ ესეთი გარემოება არამც თუ გლეხთა შორის იყო, არამედ თავად აზნაურებთ შორისაც, მაგალითებრ ხელოუბნის თუმანიშვილები უნდა იყვნენ ძველადგან მომდინარენი ქართველთაგან, ხოლო შემდეგ დროს დაკავშირებულნი გრიგორიანობასთან, ზოგნი კათოლიკობას. ესენი უნდა იყვნენ ძველადგან სამცხელნი, მამა-პაპით ხელოსნები, რაისა გამო მათ გვარადაც ოსმალურად თუმანიშვილები სწოდებიათ, ანუ ტუმანაშვილები. ეს გვარი ოსმალურად მეშარელე შვილს ნიშნავს ქართულად. ახალციხეში ოსმალებმა ასე იცოდნენ და რომელიმე ხელოსანს გვარად არქმევდნენ, რაც მას ხელობა ეკავა ხელში და ამუშავებდა. რაც შეეხება ბეგთა-ბეგის შვილებს ესენიც კი ქართველთ შთამომავალნი არიან, ხოლო დროის მეოხებით ქართლში დაკავშირებულნი უმრაველესობასთან ერთად სომხის სარწმუნოებას. ამას გარდა ქართლის თავადებთ შორის ირიცხებიან სომეხთ შთამომავალნი ბებუთაშვილები, ამატუნი, აბამელიქი, ხოჯამინასოვი. ბებუთაშვილები საქართველოში XVIII საუკ. გაჩნდნენ სომხეთიდგან და სხვანი კი შემდეგ, ხოლო ყველა ამათ თავადიშვილობა XVIII საუკ. მიიღეს. მაინც იგინი ისე დაკავშირებიან ქართველებს, რომ თვინიერ სარწმუნოების ყოველიეე დავიწყებიათ თავიანთი, უამისობა არ შეიძლებოდა მათგან, რადგან სომეხი არამც თუ თავის მოსიყვარულე ქრისტიან ქართველთ ძმათა წინაშე უნდა აღმოჩენილიყო ასე, არამედ იგი სომხურ ენას და ზნე-ხასიათებს სტოვებს თვით თავის მოსისხარ

მუსულმანთა გვერდით და ყოველივეს მათსას ითვისებს: ვინც ჩვენი მოსაზრების წინააღმდეგი იქმნება იმას ჩვენ ქვემოდ დავამშვიდებთ, სადაც ქართველთ გასომხებულ გვარებს მოუყვანთ და მასთან მის საკურნებელს მალამოსაც დაუსახელებ, რაც ბოლოს დროს იქმნა სოგიერთ სომეხთაგან გამოქვეყნებული, ასეთია მაგალითებრ ახალქალაქის სომეხთა მღვდლის ხუცი შვილის ცნობა, რომელმაც „მშაკში“ სრულიად უარჰყო თავისი გვაროვნობა და ყოველივე სომხად აღიარა. სხვას ყველას რომ ეკადროს, ხოლო ამ სულიერ მამას კი არ შეჰფერის ასე გაუკუღმართება და ღამურის ტყავში გახვევა. უნდა მოგახსენოთ, რომ ქართლი სავსეა ასეთ კან-გამოცვლილ ქართველთ ღამურებით და ჩვენც მიტომ შევადგინეთ ეს სამცნეველი ცნობა ასეთ ქართველთ ღამურათათვის. მღვდელმა ხუციანცმა თავის ვინაობის განსაზღვრაში არამც თუ ისტორიული ცოდნა აღმოიჩინა, არამედ სრული სიმხიარე და არაფრის ცოდნა.

მოკლედ უნდა ითქვას, რომ მთელს ქართლის, სომეხთ შთამომავალნი სცხოვრებენ მხოლოდ გორს, ახალ გორს, დუშეთს და მცირეც ორ სამ სოფელში, დანარჩენ ადგილებში ვინც კი სცხოვრებენ ისინი ქართველის ტომისანი გახლავან და ჟამთავითარების მეოხებით გასომხებულნი, ამას გარდაწყვეტით ვამბობთ. ასეთ გასომხებულთ რიცხვი მეტად დიდია თბილისში. თითქმის სომეხთა ნახევარი ქალაქში ასეთ ქართველთაგან შესდგება, მაგრამ ყველა მათ დავიწყებული აქვსთ თავიანთი ვინაობა და მის ისტორია. იგინი დღეს ნამდვილი „ჰაები“ არიან, თუმცა ჰაიკურათ არაფერი იციან. მთელ ქართლის ქართველ სომხობას დღეს თავის თავი ნამდვილ სომხად მიაჩნიათ, სომხეთიდგან მოსულებათ სთვლიან თავებს, თუმცა მათ ამისი არა ეტყობათ რა და გარეგან და შინაგან ნამდვილს ქართველს წარმოადგენენ. მათ ვერავინ რას შეამცნევს რომ

იგინი სომხები, ან მათი შთამომავალნი იყვნენ. საქართველოში 2600 წლის განმავლობაში, თვით ქართველ ურიებმა შეინახეს თავიანთი სულის ძალა და სახე, თვით მათ ეტყობათ დღესაც კარგად რომ იგინი ებრაელთ შთამომავალნი არიან და ნუ თუ სომხებს, რომელთა მოსვლა საქართველოში XVII საუკუნის იქით არ მისწვდება, ამათ კი არ უნდა შერჩენოდესთ; თავიანთი ნიშანწყალი? ეს შეუძლებელია.

მართლაც და ვინც ქართლში ნამდვილ სომხის შთამომავალია იმასაც ეტყობა თავის ვინაობის ბეჭედი და ვინც ქართველია იმასაც, საქმე აქ მხოლოდ დაკვირვება არის საჭირო და არა მითვისება და ვინაობის შეჭმა. ჩვენ ვამბობთ, რომ ქართლის სომხებში რამდენადაც სომხის მოდგმის შთამომავალნი არიან, ორი იმოდენი და მეტიც უტყუარად ქართველნი უნდა იყვნენ. ასეთ სომეხთა რიცხვს ჩვენ არამც თუ ქართლში ვპოვებთ, არამედ ძველად, ანუ იმ დროდამ, როცა სამცხე – მოსცილდა საქართველოს, თვით ქ. ახალციხესაც-კი, ქართველთ შორის ფრანგების გარეშე სომხის სარწმუნოებაც ვრცელდებოდა. XVII საუკ. ახალციხეში, ქართველთ შორის სომხის სჯული ისე მო(ე)ფინა, რომ ძველს ქალაქის ნაწილში, მათთვის ორი საყდარიც კი იქმნა გაკეთებულ-გადაახლებული, იქ სომხის საძირკველიც დამკვიდრდა.

სამცხე-საათაბაგოს დაცემამდე, მთელს კუთხესა და ნამეტურ ახალციხეში ნამდვილ სომეხთა რიცხვი სულ არ იყო. ახალციხეში სომხები გაჩნდნენ ქართველთაგან. ოსმალეთის სამფლობელო საქართველოში ქართველთა ოსმალებმა ძრიელ გაუჭირეს საქმე, ყველას ათათრებდნენ, გაუთათრებლივ არვის სტოვებდნენ, ქართველს ან სხვა სჯული უნდა მიეღო და ან უდა გათათრებულიყო, ორში ერთი ელოდა, ამ დროს ქართველთ იწყეს გაფრანგება და გასომხება. ქალაქის ზემო ნაწილის ქართველობა

გაფრანგდა და ქვემო ნაწილის, ანუ სადაც ქართველთ ებრაელნი სახლობენ, იმათ მახლობლათ მცხოვრებ ქართველნი კი გასომხდნენ, მაშინ ამ გასომხებულთ რიცხვი 300 კომლზედ მეტი იქმნებოდა, მათ ორი საყდარი აქვნდათ. ქართველებს როგორც გაფრანგებას არ უშლიდენ, ისევე გასომხებას, როგორც აფრანგებდნენ, ისევე ასომხებდნენ, ამას ნურავინ იუცხოვებს, შემდეგ დროებში, ახალციხეში ქართველთ სომეხთა-რიცხვი რამდენადაც მრავლდებოდა, იმდენადვე მცირდებოდა, რამდენადაც გასომხებულნი ქართველნი სამცხის ახალციხიდამ აქა იქ ოსმალეთის ქალაქებში მიდიოდნენ სავაჭროდ, სამუშაოდ და საცხოვრებლად, რადგანაც იქ მათ თვის თანა მერჯულენი ეგულებოდნენ და მეორე იქ უფრო ეადვილებოდათ ცხოვრება ვიდრე ახალციხეში, სადაც ოსმალეთს და საქართველოს ერის შორის მუდამ მტრობა იყო გამართული და ომებიც ხშირად ხდებოდა, ერთის სიტყვით ქართველებს ახალციხის აღებაზედ, ანუ უკან დაბრუნებაზედ ყოველთვის ეჭირათ თვალი, ეს გარემოება კი ადგილობრივ მცხოვრებთათვის არ იყო კარგი და გასომხებულ ქართველთაც ისე თვისთანამეტომეთა გვერდით არ ემარჯვებოდათ გამოსვლა, როგორც ოსმალეთისკენ, ეს რასაკვირველია ასეც იქმნებოდა, გასომხებულ ქრთველებს ქართლში, ქართველებთაგან ხშირად საყვედური მიეცემოდათ და ოსმალეთში მცხოვრებ სომეხთაგან კი ქება და დიდება, დახმარებაც კი ამისთვის, რომ იმათ გაფრანგების მაგიერ გასომხება ირჩიეს.

თამამად ვიტყვით, რაც ქართველთაგან გაფრანგებულა ასი იმდენი გასომხებულა, ახალციხე ერთ დროს გასომხებულ ქართველებით სავსე იყო, იქ ქართველთ რიცხვი გაფრანგებულ და გასომხებულ ქართველთაგან შესდგებოდა და ორივე კი მაინც სომხებათ იწოდებოდენ, სულ ეს გაემოება გახლდად მის მიზეზად, რომ ერთ დროს

ჩვენმა პლატონ იოსელიანმა, შეცდომით გაუყრთხილებლივ დასწერა, რომ ერთ დროს სომეხთა რიცხვი ახალციხეში რამდენიმე ათასი იყოფო. პ. იოსელიანი ფანატიკი იყო, იმას ქართველად მარტოდ ის მიაჩნდა ვინც კი მართლმადიდებელი, ანუ ბერძნის ეკლესიის იყო, ვინც არა და ის მისის ჰაზრით ქართველი არ იყო. იგი კათოლეკებსაც სომხებს უწოდებდა, თვით გორის და თყიბილისის კათოლიკენიც კი სომხათ მოიხსენია თავის ნაწერებში. ეს ცნობები სომხის მწერლებმა დაიხვეს ხელზე და სწერეს, რომ პ. იოსელიანის სიტყვით, ახალციხეში ერთ დროს სომეხთა რიცხვი რამდენიმე ათასი იყოფო. ჩვენ კი ვიტყვით აქ, რომ სომეხთა რიცხვი ძველად მესხეთსა და ჯავახეთში და თვით ახალციხეშიაც სახსენებლათაც არ იყო.

აქ სომხები გაჩნდნენ 1828 წლების შემდეგ, ოსმალეთიდამ გადმოსახლდნენ. დღემდე ახალციხეში კიდევ არის აქა იქ დაშთენილი ისეთ გასომხებულ ქართველთა რიცხვი, რომელთა დედა ენა ქართული არის. მხოლოდ გვარები კი გადაკეთებული აქვსთ, მცირე რიცხვი კია, ძველის ქართველი სომხები ერთ მხარეს სცხოვრებენ. რაც არის ესეც საკმარისია ჩვენის ცნობების დასამტკიცებლად. დღეს თუ მესხეთსა და ჯავახეთში სადმე სომხები სცხოვრებენ და იგინი ძველს მკვიდრთ რიცხვს ეკუთვნიან, ყველა იგინი ქართველის ტომისანი არიან და გარემოების წყალობით გრიგორიანობაზედ გადასულნი და ბოლოს ენითაც და გვარითაც გასომხებულნი. ასეთია მესხეთის და ჯავახეთის ქართველთ-სომეხთა ვითარება.

კახეთში სომხების მისვლა ეკუთვნის სამს ხანას XII საუკუნეს, XVI საუკ. და XVII საუკ. მხოლოდ მცირე რიცხვი კი, ასე რომ მათი აღნიშვნა 100 კომლზედ იქით არ წავა, იგინიც დასახლებულ იქმნენ თელავს, სიღნახს და საგარეჯოს. დანარჩენ ადგილებში შემდეგ გაჩნდნენ. დღეს კახეთ გარეთ, თუ შიგნით კახეთს სომხები სცხოვრებენ

შემდეგ სოფლებში: თელავს, სადაც დანიშნული აქვსთ ქართველთ ეკლესიაც, ქისტაურს, რჩეულეთს, ხორხელს, ალავერდს, ჯანიანს, ოჟიოს, არტო'სანს, არტოსანს მეორეს, აქ სომეხთ რიცხვი ძველად დასახლებულა რამდენიმე კომლი, რუის-პირს, აქაც ძველად დასახლებული რამდენიმე კომლი, ახატელს, ვარდის უბანს, გულგულას, კურდღელაურს, ტომიანს, წინანდალს, ნობაკურს, ქვემო სოდაშენს, კალაურს, შაშიანს, ურიათ-უბანს, მუკუსანს, ველისციხეს, ჩუმალაეს, კუჭატანს, სანოვარდს, პირის-ყანას[14], ფაშაანს, ირაკლის ციხეს, ნაფარეულს, სანკორეს, არჩაკას, ლალისყურს, ტახტის სოფელს, ახატელს, ფიჩხოვანს, ბახტრიანს, მატაანს, ყანდაურს, გავა'ს, (კუჭატანს, სანავარდეს, პირისყანას) ბაკურციხეს, ქალაქს, კარდანახს, ჯუგაანს, ტობაანს, პრასიანს, ო'საანს, სულკანას და სხვანი. იერის ხეობა'ზე სცხოვრებენ შემდეგ სოფლებში: კაკაბეთს, მანავს, გიორგი წმინდას, საგარეჯოს, ნინო წმინდას, პატარძეულს, კარბულახს, უჯარმას, ვეჯინს, ნორიოს, მარტყოფს, ახალ სოფელს, სართიჭალას, ნავთლუხს და სხვაგანაც აქა-იქ თითო-ოროლა კომლნი. ქისიყისკენ სცხოვრებენ შემდეგ ადგილებს: ქ. სიღნახს, გურჯაანს, ჩალაუბანს, მელაანს, ქოდალოს, ფხოველეს, 'ხიარას, აგრამას, ჯიმითს, ანაგას, ვაქირს, საქვაბოს, მაშხაარს, მირზაანს, მაჩხაანს, ფანიანს, მაღაროს, ნუკრიანს, ჭოტორს, ბოდბეს, ბოდბისჭხევს, კოდალს, ასნა'ურს, ახალ სიღნახს, ანუ ნასომხარს და სხვა სოფლებშიაც თითო ოროლი კომლი.

ცხადია, რომ ნასომხარში, სომხები უნდა ყოფილიყვნენ ძველადგანვე დასახელებულნი, ჰა'ხრის შედგენა ამასს გვასწავლის, მაგრამ ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ნამდვილ სომხების კი არა და გასომხებ'ულ ქართველების

[14] ამ სამ სოფელს კიდევ იმეორებს გავ'სა და ბაკურციხეს შორის (ქ.ქ.).

ყოფილიყვნენ, რის გამოც მას დაერქვა ქართველთაგან ნასომხარი. მაინც ამ ერთ სოფელზედ არ ღირს ლაპარაკი, ჩვენის საგნისთვის ზემოხსენებულ სოფლებიც კმარა. ანდა მოგახსენოთ, რომ ყველა ამ სოფლებში თუ ნამდვილად სომხის გვარის შთამომავალნი იყვნენ მცხოვრებნი, მაშინ გამოვა, რომ კახეთის ნახევარ მცხოვრებნი სომხები უნდა იყვნენ! ამას ჩვენ მით უფრო ვამბობთ, რადგანაც ბევრი სოფლები, სადაც თითო ოროლა კომლი სცხოვრებს სომეხთა ჩვენ ის სოფლები არ დავასახელეთ. ასევე ითქმის ქართლზედაც. დარწმუნებული ვარ, რომ ამაზედ არც ერთი ქართველი, რომელიც კი იცნობს ქართლისა და კახეთის მცხოვრებთ ქართველთ ვითარებას, ის ამაზედ ხელს არ მოგვიწერს, არ დაგვეთანხმება მასზედ რომ ეს ხალხი ჩვენ სომხის მოდგმისად ვაღიაროდ, არ დაგვეთანხმებიან მიტომ კი არა, რომ იგინი გვარ და ტომ ჭამიები იყვნენ და სომეხთ მითვისება უნდოდეთ. არამედ არ დაგვეთანხმებიან მიტომ რადგანაც ასეთი დათანხმება და მოსაზრება იქმნება უკანონო და უსამართლო.

კახეთში სომეხთა რიცხვს ფეხი გამაგრებული ჰქონდა თელავს, სიღნახს, საგარეჯოს და ორს თუ სამსაც სოფელში. დანარჩენში მათი რიცხვის ხსენებაც არ იყო, იქ მათსას კაცი ვერეის ნახავდა, ხოლო შეიძლებოდა ვაჭრობის მხრით, თითო ოროლა კაცი აქა-იქ დროებით მისული გენახათ. დანარჩენს ვერაფის ნახავდით, ყველას ზემოხსენებულს სოფლებში სადაც კი დღემდე სომხები სცხოვრებენ, ყველა იგინი ქართველები არიან შთამომავლობით. მათი ენაობა ქართველია, დედა-ენაც ქართული, ისინი ჯამთა-ვითარების მეოხებით და სომეხთა სამღვდელოების წყალობით არიან გრიგორიანობაზედ გადაყვანილი და მით გასომხებულნი. როგორც ოფილისის სომხის სამღვდელოება ქართლის ქართველებში ავრცელებდა სომხის სჯულს, იმასვე კახეთში თელავისა და სიღნაღის

სომეხთა სასულიერო წოდება ჩადიოდა და უპატრონოთ შთენილთ კახეთის გლეხკაცებს ასომხებდა. კახეთში რაც კი ქართველ გრიგორიანები არიან, ყველა იმისი სომხობასთან დაკავშირებული არიან XVII-XVIII საუკუნის დამლეგს. ამას ეჭვი არ უნდა, ტყუილ-უბრალოდ შეიძლება რომ სომხის ასგასერები გაგულისდნენ ამაზედ, გაგულისებიდამ არაფერი გამოვა, რაც მართალია ის უნდა სიმართლით იქმნეს აღიარებული და რაც ტყუილი ის კიდევ ისევე. ვგონებ ამ დასკვნაზედ დავას არ დაგვიწყებენ: მაინც აქ სადაო არაფერია, ეს ისტორიული მიმოსილვა არის.

სომხის ეკკლესია და მისი წესები არის ისე მოქარგულ მოწყობილი, რაისაგამო იგი გვართა ჭამიად უნდა ჩაითვალოს. როგორც ისლამი სჭამს გვარს და ყველას ათათრებს, ისევე გრიგორიანობა სჩადის. აი თუნდ დღეს, რომ მე მივიღო ეს სჯული, იმ დღიდან მე ნამდვილი სომეხი უნდა გავხდე ენით და ზნით, ქართული უნდა ყოველივე დავივიწყო, ვგმო ცხარედ და მის მაგიერ სომხური უნდა შევითვისო, ნამდვილ სომხობა უნდა დავიწყო. ასე გახლავსთ მთელი ქართლის და კახეთის გასომხებულ ქართველთ ეითარება. რაც აქ საზოგადოთ მიმოხილვა შევადგინეთ ქართველ-სომხებზეთ, ვგონებ ჩვენთვის საკმარისი უნდა იქმნეს, ჩვენ საკვირველად გვრჩება ის გარემოება, რომ ან კი სომხის მსნე სამღვდელოებას როგორ გადაურჩათ და მთელი საქართველოც კი ვერ გაასომხეს, ხომ ვიცით ისიც, რომ ჩვენი სამღვდელოება საუბედუროდ უკანასკნელ დროს ისე დაკნინდა და დაეცა რომ სომხის მხნე სამღვდელოება არამც თუ მარტოდ ქართველთ მდაბიოთა სიცოცხლეს შეისყიდდა, რომელთაც ცხოვრება ჰქონდათ გამწარებული, არამედ იგინი შეისყიდნენ თვით ქართველ მღვდლებს და მღვდელ მთავრებსაც და თუ საქმე გაჭირდებოდა მაშინ თვით კათალიკოსაც კი. ეს ნურავის ეწყინება, ჩვენში ყველამ კარგად ვიცით

ქართველი სამღვდელოების უძლურება და უმამულოსშვილობა. ქართველი სამღვდელო ოღონდ გააძლე, აჭამე, ასვი, ფული მიეცი და იგი არამც თუ თავის მრევლს დაგითმობს გადასარჯულებლად, არამედ თვითაც გამოგყვება უკან ისე როგორც მოინას ყელზედ საბელი მოაბან და ძალით წაიყვანონ სადმე.

ასე იყო ძველად ქართველი სამღვდელოება, ასევე გახლავთ დღესაც და სულ ამის წყალობა არის, ქართველი როგორც ძველად სთმობდა თავის სჯულს და ვინაობას, იგი ისევე სთმობს დღესაც და ეთვისება სხვა ტომის ერი. დღესაც ქართველი თავის უხერხობით და ბედასლობით მარტოდ კუჭის გზას ადგას და როგორც უძლებს ერთი ლუკმა პურისთვის დაეწყებული აქეს გვარიც, ენაც, ტომიც და ქვეყანაც. ქართველი ასეა გაფუჭებული და გაწუწკებული რომ იგი ფულზედ გაჰყიდის თვით თავის პიროვნებასაც, ცოლს, შვილებს დედას და მამასაც. ასე ვიყავით ძველადგანვე და აბა რაღა ფიქრი უნდა მას, რომ სომხებს ჩვენი შესყიდვა და გასომხებაც ეგონებთ არ გაუჭირდებოდათ, ამას იგინი ყოველთვის ადვილად მოახერხებდნენ.

ქართლსა და კახეთში მცხოვრებ სომხებთ შორის, რომ დიდი ნაწილი უნდა იყოს ქართველ გრიგორიანებისა ეს იქიდამაც კარგად სჩანს, რომ ქართველთა და სომეხთ შორის დიდი ერთობის ქსელია გაბმული. იგინი ერთმანეთისაგან არაფრით განირჩევიან, ლხინი, ჭირი და სხვა ამგვარები ერთად იციან, ჭამა, სმა და წესწყობილებაც ერთნაირი აქვსთ, ლაპარაკი, მიხვრა-მოხვრა და წესებიც ერთია, რასაკვირველია ქართული. ნათესავობა, მისვლა-მოსვლა, ქალის გათხოვება. დანათესავება და ნათლობაც ხშირად იციან. ამხანაგობა ყველანაირს საქმეებშიაც განურჩევლად სწარმოებს, მათში რამე გვაროვნული განხეთქილება სულ არ არსებობს ისე, ეს

როგორც სხვა წრის ხალხში გახლავსთ, ამათ დანათესაეებას და კაცთა შორის სიყვარულს ის გარემოებაც უფრო აფართოვებდა და ამტკიცებდა, რომ ქართველთ მეფეების დროს, შვილი ყოველთვის მამის სჯულისჳ ინათლებოდა, ამიტომ სომეხთაგან ქართველი ქალების შეროვა ერთობ ხშირი იყო, ეს გარემოება კიდევ მათში მტკიცე კავშირს ჰბადავდა, სომხის სჯულის მქონ ქართველთ რიცხვი საქართველოში თავისუფლად მრავლდებოდა, მათ ჩვენს დრომდე კარგად მოალწიეს, თუმცა XIX საუკუნის დამდეგიდამ მათს ასეთს ცხოვრებას კი სახე შეუცვალა, დაარღვია ის რაც კარგა ხანს მათში არსებობდა, თითქმის ნათესავობა კი არა და მეგობრობაც მოისპო, თვინიერ ქართულის ენის, ჯერ-ჯერობით მათს ერთს ტომობის ნიშნად მათში მხოლოდღა ქართული ენა არსებობს, თუმცა ისიც კი უნდა ითქვას, რომ ამ ბოლოს დროს ამასაც ეკლინება მართებური მახვილი, ქართული ენის დავარდნის და ამოფხვრის ნატერა მათში ხშირად სწარმოებს, შეიძლება მომავალში ესეც ამოვარდეს მათში. ენის გარდა სადღეისოდ ქართველ გრიგორიანებს თავიანთ ძველს ქართულს გვარსა და სახელებსაც უსხვაფერებენ, ახალს რაღაცა სომხურ გვარებს არქმევენ და მათ არწმუნებენ რომ თქვენი ძველი გვარი სომხური არის და დღეინდელი, ქართული კი ახალი მოგონილიო.

ასეთი ოსტატობა და მანქანებანი მათგან ხშირად მომხდარა ჩვენში და სულ ამის წყალობა გახლდათ, რომ ამ გარემოებას ჩვენ ადრევე მივაქციეთ ყურადღება, ამის შესახებ ცნობებიც ვსწერეთ, მერე ამ გარემოებამ კამათიც გამოიწვია, სომხურ მწერლობაში საუბარი ასტეხეს და უარი ჰყვეს ჩვენი მოსაზრება, დაასკვნეს და დააღაღადეს. რომ ქართველებთაგანი სომეხი არც ყოფილა ვინმე და არც იქნებაო. ვისაც კი სომეხს ქართული გვარი აქვს, ის ქართველებთაგან არის მოგონილი და დარქმეულიო. მერე

კლდიას მისცეს პასუხი „მშაკში“ და ერთ ჩემს წერილს „მურჯში“. აქ თამამათ უარჰყეს ქართველთ გრიგორიანთ არსებობა, ქართველ გრიგორიანები ჩვენ სახსენებლადაც არ ვიცითო. დაბეჭდეს ასეთი ცნობაც, რომელიც სულ სიცრუე არის.

მათმა ასეთმა სჯამ კვალად გამოიწვია კლდიას წერილი, რომელიც დაიბეჭდა „იეურია“-ში, ამაზედ, ანუ ასეთ საკითხის გამო მათში კვალად ასტეხეს კამათი და „მშაკ“-ში ასეთი შინაარსის წერილები დასტამბეს: **„ქართველ გრიგორიანობის გაჩენას ჩვენ უარს ვყოფთ, ეს არც ყოფილა და არც იქნება, რადგანაც ძველადგანვე ქართველთ სამეფო გამგეობა სასტიკათ სდევნიდა იმ ქართველთ ვინც კი გაფრანგდებოდა, ან გასომხდებოდა, თვით კათალიკოსი ანტონიც კი დასაჯეს გაფრანგებისათვისო. სომხებს თუ ქართული გვარები აქვთო, ეს არის მისი წყალობა, რომ სომხებს ჩვეულება აქვთო, რომ რომელს ქვეყანასა და ხალხშიაც წავლენ და დასახლდებიან, იგინი იმ ქვეყნის ერის ზნესა და ხასიათს სწავლობენ, ენას ითვისებენ, ტანთსაცმელსაც მათებურად იცმენ და გვარსაც ადგილობრივ ენით სცვლიანო. ესენი ამას ცხოვრების გაადვილებისათვის სჩადიან, თვინიერ სჯულის ყოველივეს სთმობენ თვისასაო. ასევე იყო საქათველოში და ქართველებთან ერთად ცხოვრების გამო სომხებმა სულ ქართული თვისება და ზნე შეითვისეს, ენა და გვარებიც ქართულად დაირქვესო“.**

ასე ახსნეს საქმე და გორის ახალ ქალაქის მცხოვრებ ქართველ გრიგორიანმა სომხის მღვდელმა ხუციშვილმაც „მშაკ“-შივე გამოაცხადა, რომ **„ხუციშვილებს უბრალოდ სთვლით ქართველათო, ჩვენ სომხები ვართ და მათი შთამომავალნი, სომხეთიდანვე მოსულიო. სომხებს ჩვეულება აქვთო, რომ სადაც წავლენ და დასახლდებიან, იგინი მაშინათვე ადგილობრივ ენით ირქმევენ გვარსა და სახე-**

ლებსაო, მაგალითებრ სომხურად ტერ-ტეროვი – რუსულად პაპოვად არის ნათარგმნი რუსეთის სომხებშიო, ოსმალ-სპარსეთში – ქეშიშ-ოღლად და საქართველოში – ხუციშვილადო".

ვინც კი ამ საგნის, ანუ ქართველ გრიგორიანების შესახებ ხმა ამოიღო ყველამ უარი ჰყო როგორც კლდიას მოსაზრება ისევე ჩვენი ქართველ გრიგორიანების შესახებ. ამ გარემოების გამო არა მცირედი კამათი გამოიწვია ალ. ხახანაშვილის წერილმაც, რომელიც ერთ დროს გაზეთ „კავკაზით" ასაბუთებდა, რომ ქართველებში ქართველ გრიგორიანებიც არიანო, ამასაც უარჰყოფდნენ სომეხთა მწერლობაში და ახალს მოგონებულ ჭორად სთვლიდნენ ყოველივეს.

ჩვენ რომ ასე ვისაუბროთ, აქედან არაფერი გამოვა, ჩვენ ჩვენსას ვიტყვით, იგინი თავიანთსას, საქმე კი სულ სხვა გახლავსთ, ჩვენ უნდა დავემორჩილოდ და მოვეწყოთ იმას რასაც ცხოვრება გვასწავლის, რასაც აწ არსებული ცნობები გვაძლევენ დასკვნის შედგენას. ჩვენ ესენი უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რადგანაც ყოველივე მიდამა სჩანს კარგად. ვგონებთ ეს უფრო უებარი წამალი იქნება და გულის დასადინჯებელი ყველასთვის. ჩვენ, ქართველები გვარიჭამიები არ გახლავართ, ღმერთმა გვიხსნას ამისგან. ჩვენ და ჩვენი სამეფო რომ გვარი ჭამიები ვყოფილიყავით, მაშინ ვინ იცის რას ვი'სამდით და ან დღეს რა ვიქმნებოდით. ჩვენ ვიყავით მეამიტი ქრისტიანები და მასთან გულ-ჩვილნიც. საქართველოში, ქართველთ სამეფოს გვერდით, თვით ქართველთაგან მარჯვენივ და მარცხნივ იყიდებოდნენ ქართველთ ძენი მრავლად და მათ ყიდულობდნენ ყველანი, თათრებიც კი. ქართველთ თავისუფლად ათათრებდნენ, აფრანგებდნენ და ასომხებდნენ კიდეც. ამის მაგალითები ისტორიულადაც მრავალი გვაქვს. ქართველთ ესეთი გარემოება კი არა და ერთ დროს, სომხებმა უარი

ჰყვეს თვით ერთი წიგნი **„სამხრეთი საქართველო“** სადაც ნათქვამია, რომ „სომხეთი“ წარმომდგარი უნდა იყო სიტყვა **სამხრეთიდამაო**, ეს მათ იუკადრისეს, სთქვეს არაო. ეს მიტომ რადგანადაც მათთვის ხელმისაწვდომი არ არის, სიტყვა „სომხეთში“ იხატება არმენია. სომხეთი[15] ხომ მოგეხსენებათ, რომ თვით შუა გულ ქართლიდამ იწყება და მათის ფიქრით გამოდის, რომ სომხეთი თვით შუა გული ქართლიდამ იწყება. ასეა რაღა, მაგრამ ვიტყვით კიდევ რომ სიტყვა სომხეთი[16]– საქართველოს სამხრეთი ნაწილია.

აბა ეს რა ჭკუაში მოსასვლელია, ან როგორ შეიძლება? ქართველები თავიანთ ქვეყანას სხვადასხვა მხარეთა სახელწოდების მოხსენებით საზღვრამდენ, მაგალითად: **აღმოსავლეთის საქართველო, დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის**. სიტყვა **სომეხი** აქედან არის წარმომდგარი და ეს მითვისებულია ჰაიასტანზედ, ეს კი ასე არ შეიძლება, ამათ ყველა უწოდებს ჰაოსიანებს და ერმიანებს, ძველად ჩვენც ჰაოსიანებს უწოდებდით. ეს ეწოდათ მათ სიტყვის ადვილად გამოთქმის გამო, ქართველნი ვერ იტყოდნენ ხოლმე ადვილათ, რომ „სამხრითარნი“ თუმცა „სომხითარის“ კი უწოდებდნენ სიადვილის გამო, სიტყვაში სომეხი გამოვიდა და ამ სიტყვის გამოსელაში მთელი ქართლიც ჰაიასტანში მოექცა. ჩვენი მოსაზრება მკაცრად იუცხოვეს „მურჯ'ში“ და უარი ჰყვეს, მაგრამ ამაოდ, ქართულს ძველს ძველის წიგნებში **სომხებს ჰაი** ეწოდება და არა **სომხები**. სომეხი ახალი სიტყვა არის და გამოდის ის, რომ ვინც სომხეთში[17] სცხოვრებს ყველა იგინი სომხები არიან, ასეთი შეცდომა მარტო ბავ'შვებს მიეტყევება.

საქართველოს სამხრეთი ნაწილი იწყება თითქმის თფილისის ახლოს ადგილებიდამ, მაშ არმენიაც აქედან

---

[15] იგ'ულისხმება ქართლის „სომხითი“ (ქ.ქ.).
[16] „სომხითი“ (ქ.ქ.).
[17] „სომხითი“ (ქ.ქ.).

დაიწყება. ეს ხომ სრული შეცდომა იქნება, მაგრამ ამ შეცდომასთან მათ საქმე არა აქვთ და მართლადაც სომხეთს შუა გულ ქართლიდამ სთველიან, სადაც სომეხთ ხსენება არას დროს არ ყოფილა. ესეც ერთი მაცდურება არის ჩვენი ტომისა და უბედურება. ამიტომ სომეხთ მწერალნი სომხურ კარტებსედ საქართველოს არმენიას აწერენ, წიგნებშიაც ასეევე, ლაპარაკშიაცა თამამად ამტკიცებენ. ყველა ამის საფუძვლათ კი იმას ბრძანებენ, რომ თვით ქართველებიც ასე უძახიან ამ კუთხესაო, ე.ი. **სომხეთსო**[18] და მასში მცხოვრებნიც მთლად სომხის შთამომავალნი არიანო. სხვასთან მათ საქმე არა აქვსთ, ჩვენ ამის შესახებ წინააღმდეგს ვაცხადებთ და ვამბობთ, რომ სამხრეთი საქართველო სულაც არ ნიშნავს არმენიის ნაწილს, სამხრეთი საქართველო ზემო და ქვემო ქართლის ნაწილია და აქ სომხებს თავის დღეში არავითარი გაელენა არ ჰქონიათ. არმენია იწყება იმ საქართველოს საზღვრებიდამ, სადაც სამხრეთ საქართველოს ნაწილი თავდება. ვისაც ეს არა სწამს, იმას ვსთხოვ ამ საგნის დაკვირვებას და გაცნობას კარგად. მარტოდ ის არ კმარა, რომ საქართველოს კუთხეებს და სეობათა **„ბოლნაფორა“** და **„მანგლაფორა“** უწოდოთ. თფილისშიაც არის **„სომხის ბაზარად“** წოდებული კუთხე, მაგრამ თფილისი კი სომხების არა დროს არ ყოფილა, არამედ ქართველებისა გახლავსთ, ჩვენი საუბრის სრულ ჰეშმარიტებას შეადგენს სომესთა არქიმანდრიტის ტერეასარიანცის შენიშენა, რომელიც ადრე დასტამბულ იქმნა ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წ.*[19]

არქიმანდრიტი ტერეასარიანცი მოგვითხრობს შემდეგს: „ყველა ენებსედ ჩვენს ტომს ჰაოსიანი, ანუ ერმიანი, ჰაიკები ეწოდებათ და ქართულად კი სომეხიო. არ ვიცით, ეს საიდამ დაერქვა ქართველებში მათთაო“?! ეს შენიშენა

[18] „სომხითი“ (ქ.ქ).
[19*])1861 წ. (ს.ჯ).

ჭეშმარიტი გახლავთ და იგივე არქიმანდრიტი მოგვითხრობს, „ეს ვგონებ წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვა სამხრეთიდამაო“. ჩვენ ამის შესახებ აქ ალარას ვიტყვით, რადგანაც ამის ახსნა განმარტებით, წიგნის, „სამხრეთ საქართველოშიაც“ გვქონდა და აქაც გვაქვს ზემოთ გაკერით ლაპარაკი. მეტად საჭირო კია რომ ჩვენ შორის ასეთ შეცდომას ბოლო მოეღოს. სომხებს, როგორც ჩვენნი მამა-პაპანი ჰაებად უწოდებდნენ, ჩვენც ისევე ჰაოსიანები უნდა უწოდოთ. ამას გარდა საჭიროა და მეტათ საინტერესოა, რომ განსაზღვრულ და აღდგენილ იქმნეს ძველის საქართველოს და სომხეთის მიჯნები, თუ სად იწყება ერთის სათავე. სად თავდება მისი ბოლოები და საზღვრები. და ან საიდამ იწყება მეორე. ამ საგანს ადრე დ. ბაქრაძემაც მიაქცია ყურადღება და წერილიც დასწერა და დაბეჭდა**)[20].

პატიოსნება არის და ადამიანობის ვალი: ჩვენ არავის მტრობა არ გვინდა, ჩვენ წინააღმდეგ ნურავინ ნუ ამხედრდება, გვარიფენულს მტრობას ნურავინ დაგვწამებს, აქ ჭეშმარიტების ძიება არის საჭირო და იმასაც ვიტყვით, რომ ჩვენ სარწმუნოების წყალობით ქართველთა განთვისებას არავის დაუთმობთ. არ დაუთმობთ მით უფრო რადგანაც ამ შეცდომის შეგნება ჩვენს მამა-პაპებს სულ არ ჰქონდათ, იგინი სჯულის ქვეშ ჩრდილავდენ გვაროვნობას და ეს კი ჩვენთვის სულ ერთია ქართველი გინდ ბერძნის ეკლესიის იყოს. გინდ გრიგორიანის, კათოლიკის, თათრის და ურიის ამით არაფერი წახდება, მხოლოდ ქართველი – ქართველად დაშთეს და სომეხი სომხად. ღმერთია მოწამე, რომ ჩვენ არავის მტრობა არ გვსურს, ხოლო ვერც იმას დავფარავთ, რომ საქართველოში, ქართველთ გვერდით, ქართველ გრიგორიანებში სომხის ახალგაზრდობა ქართული ენის სრულ ზიზღს ჰქადაგებდეს და თითქმის ყველა სამრევლო და საერო სკოლებში ეს ენა მოსპობილიც ჰქონდესთ.

---

[20] **)„იერია“ თიფლური ჟურ. 1882-83 წ (ს.ჯ).

მოსპობა იქით იყოს და მის სრულს სიხლს და გმობას აერცელებდნენ ხალხში რაც არ უნდა იქმნეს კარგი.

არ უნდა იქნეს მით უფრო, რადგანაც ქართლსა და კახეთში, ყოველ სოფელსა, დაბასა და ქალაქში, სადაც კი სცხოვრებენ გრიგორიანები მათში მოიპოვებიან ისეთნიც, რომელთა გვარის წევრნი ქართველებიც არიან, მონათესავენი ძირეულ ქართველ გრიგორიანების და მათ გარდა ნამდვილ სომხის შთამომავალთა შორისაც ვპოებთ, აქედამ სჩანს ამ ხალხის დიდის ხნის გადაბმული ერთობა და გვაროვნული ნათესაობა, ენის მხრივ ხომ გარჩევა არა აქვსთ. მაგრამ ამაებს იგინი არ აკვირდებიან და ძირეულ ქართველ გრიგორიანების ქართულ გვარებს ამახინჯებენ. ასე გვარების დამახინჯება მათში მას შემდეგ წავიდა წინა, რაც მათმა სამღვდელოებამ ძლიერი სული ჩაიდგა, დიდი ძალა მოიცვა და მის საშუალებით ქართველ გრიგორიანებსაც ადვილათ დაარწმუნეს რომ იგინი ჰაოსიანები, ანუ სომხის შთამომავალნი არიან, რომ ეკკლესიას, ანუ სჯულს გარეშე გვარტომობითაც სომხები გახლავან.

ქართველ გრიგორიანებმაც ირწმუნეს მათი რჩევა და მის მეოხებით იწყეს სომხური ენის შეთვისება, გვარების გადასხვაფერება და ყოველივე ქართულის დამახინჯება. ზოგის ქართველ გრიგორიანის გვარი ისეა გადაკეთებულ-დამახინჯებული, რომ მის მნახველ ქართველ კაცს თავის ღღეში ფიქრადაც არ მოუვა, რომ ამ გვარის მექონ კაცი არამც თუ ოდესმე ქართველი ყოფილიყოს, არამედ ქართველთან რამე ნათესავობაც კი ჰქონიყოს.

ეს კიდევ არაფერი, ამაზედ საყურადღებო ის არის, რომ თვით გვაროვნობის რწმენაც კი ისე გადამახინჯებით არის განმტკიცებული, რაის მეოხებითაც ყოველი ქართველი გრიგორიანი ნათლად არის დარწმუნებული მასზედ, რომ ის გვაროვნობით ნამდვილ ჰაოსიანია. რწმენა აქ დიდი არაფერია, საქმე ის გახლავსთ, რომ უკანასკნელ

ეს რწმენა ხდება ქართველთაგან მათ განმათვისებელ ძალად, სახსრად, რაც მერმისისთვის მათში მტრობასა და შურსაც ჰბადავს, იგინი დაუძინებელ მტრებათ ხდებიან და ყველაფერ საქმეში ბრუნდეს თვალით იცქირებიან, ქართველებს თავიანთ მტრებათ რიცხვენ და ასეც უქადაგებენ ხალხს, რომ ამ ზიზღის დათესვით საქართველოში, ქართველ გრიგორიანებში აღადგინონ ვითომც და მათი საკუთარი დედა ენა, მაგრამ ყამთა-ვითარების წყალობით დაცემული.

გვაროვნობის განთვისების ტრფიალებით მათ იქამდის მიახწიეს, რომ უკანასკნელ ქართული ენა აშკარად ჰგმეს და ამ ენის დევნა თვით ეკკლესიებიდან და სკოლიდამაც დაიწყეს. იქმნება მკითხველმა ეს არც კი დაიჯეროს, რომ როგორ თუ საქართველოში ქართველთ შორის, ქართული ენა იგმობაო, აქ დაუჯერებელი არაფერია, ყოველის ფერი მართალია და ჭეშმარიტი. იტყვის მკითხველი: საქართველოში რომ სომეხმა ქართული ენა არ იცოდესო, უამისოდ ის როგორ გაძლებსო. როგორ იცხოვრებს, როდესაც მას მტკიცე დამოკიდებულება აქვს ქართველთანო. დიახ ეს ასე უნდა გახლდეს, მაგრამ ეს ასე არ არის და შიგ შუაგულს ქართლში, ქართველი გრიგორიანი აღარ სწავლობს ქართულს ენას წერაკითხვას მიტომ რადგანაც მათ თავიანთ ვინაობა სომხად მიაჩნიათ. მართალია რომ მან შიგ შუაგულ ქართლში თავის ნათესავთან, ამხანაგთან, მეზობელთან, მტერთან, მოყვარესთან და მებატონესთანაც ამ ენით უნდა ისაუბროს და ხშირად ამ ენის წიგნის ცოდნაც მოუნდება, მაგრამ მაინც სხვათა გაელუნით საქმე ისეა დაყენებული, რომ იგინი გარემოებას ეწინააღმდეგებიან და ყველგან და ყოველთვის ქართული ენის აღმოკვეთას სცდილობენ თვით ქართველს გრიგორიანებში. ჩვენ საუბარს დაასაბუთებს შემდეგი მაგალითები:

სიღნახს – სომხები რამდენადაც სომხის შთამომავალნი სცხოვრებენ, იმასვედ მეტი ქართველ გვარისანიც არიან, ე.ი. გრიგორიანები. ორივეს ძრიელ კარგად ესმისთ ქართული ენა, სახალხო სახმარებელ დედა ენათ ქართული ენა ითვლება. წერა-კითხვაც ამ ენასვედ ემარჯვებათ და ძველადგანვე მათში ქართული წიგნების წერა და კითხვა იყო გერცელებული. ყველა საქმის ქალალდები ქართულად იწერებოდა, ეკკლესიებში ქადაგობა და თვით სახარების კითხვაც ქართულად იცოდნენ, საფლავის ქვებზედაც ქართულად აწერდენ და ამას გარდა თვით ეკლესიის ქვებზედაც. მათგან ქართული მწერლობის ასპარესზედ მელექსენი და მწერლებიც გამოდიოდნენ, ხშირად სწერდნენ კიდევაც. სწერდენ და სწერენ თვით ქართულ გაზეთებშიაც.

მაგრამ დღეს სიღნაღის სკოლებში, ქართველ გრიგორიანებთ შორის სასტიკათ არის ქართული ენა აკრძალული და პატარა სომხის[21] ვაჟებსა და ქალებს პირველ დაწყებიდგანვე სომხური ენით აწყებინებდენ სწავლას, რაც ბავშვებისთვის გაუგებარია, რადგანაც მათ ამ ენის არაფერი იციან, მაგრამ ამ ენით აწყებინებენ სწავლას, რადგანაც ყველგან მიღებულია რომ პირველ დაწყებით ბავშს თავის დედა-ენით უნდა დააწყებინონ წერა-კითხვის სწავლება. თუმცა ამ დედა ენის სიტყვაც არ ესმისთ, მაგრამ მათ მაგარ ნასწავლთაგან ასეა დაყენებული საქმე. სკოლაში ბავშვი სასტიკათ ისჯება, თუ მან ქართულს ენაზედ ხმა ამოიღო. ასწავლიან სომხურს და რუსულს როგორც სახელმწიფო ენას, ორივე ენა კი საქართველოს ქართველ გრიგორიანთა ბავშვთათვის უცხოა და მიუხვედრი, რაც მათ სწავლის საქმესაც უძნელებს და ეს რიალური პედაგოგიის წინააღმდეგიც არის, მაგრამ ამასთან მათ საქმე არ აქვსთ, სურვილი აქვსთ, რომ იქ საყოველთაო სახმარებელ ენათ სომხური ენა გახადონ.

[21] საყწმუნოებით „სომეხი“ იგულისხმება (ქ.ქ.).

ამის ნაყოფსაც ხედვენ ნელ-ნელა, თუმცა ხშირად უნაყოფობაც ცხადათ ემჩნევათ.

თელავს – აქეს ქალების და ვაჟების სკოლა. აქ არიან ქართველ გვარის გრიგორიანებიც, მაგრამ აქ არც ვაჟებს და არც ქალებს ქართულ ენას არ ასწავლიან. აქაც ენა ყველა სომხის ქართულია, მათს დედა ენას ქართული ენა შეადგენს. აქაურ სომეხთაგანია ქართველებში მწერლობით ცნობილი ბ. ყეანგელოვი, რაფის რამან „ხენთის“ მთარგმნელი და სხვანიც მრავალნი. როგორც სიღნახსა და თელავში გახლავსთ ქართული ენა სკოლებიდან გაძევებული, ისევე ყველა იმ სოფლის სკოლებიდამაც გახლავსთ. სადაცკი კახეთში სომხები სცხოვრებენ და მათ იქ სკოლები აქვსთ დახსნილი.

ცხინვალს – აქვს სკოლები, მაგრამ განდევნილ აქვსთ ქართული ენა. ბავშვები ჩუმად სწავლობენ. სომეხთა ძველი მღვდელნი ასეთის ზომების არ იყვნენ.

გორს – აქვს სკოლები, მაგრამ სასტიკათ განდევნილი აქვსთ ქართული ენა. არ ასწავლიან, ბავშვები ჩუმად სწავლობენ.

დუშეთს – აქვსთ სკოლები, მაგრამ განდევნილი აქვსთ ქართული ენა, არ ასწავლიან. აქაც ბავშვები ჩუმად სწავლობენ.

ახალ გორს – აქვს სკოლა და განდევნილი აქვსთ ქართული ენა!

ახალქალაქს – აქვსთ სკოლა და განდევნილი აქვსთ ქართული ენა!

სურამს – აქვსთ სკოლა და განდევნილი აქვსთ. ასე და ამ გვარად ქართლის სხეა-და-სხეა სოფლებშიაც აქვსთ სამრევლო სკოლები დახსნილი, მაგრამ ყველგან ქართული ანბანის სწავლება მოსპობილი აქვსთ, ქართული ენის ხმარებაც მკაცრათ არის დამხობილი

კავთისხევს – აქვსთ სკოლა ვაჟების და ქალების, სკოლიდან განდევნილი აქვსთ ქართული ენა. ასე რომ აქ ხალხს ჰმას, კრინტს არ აღებინებენ ქართულს ენაზედ. ნამდვილი დესპოტიზმი არსებობს ამ გვარს ქართლის სომეხთა სკოლებში მათ მეთაურ მასწავლებელთაგან. მერე ვინ არიან ეს ქართლის სომხები? – უმეტესი ნაწილი ქართველის გვარისანი, ქართველთ გრიგორიანები, რომელთა დედა ენას ქართული ენა შეადგენს, რადგანაც თვითაც ქართველ ტომის შთამომავალნი არიან, მათი გარჩევა ქართველისაგან შეუძლებელია. მათი სახალხო ენა ქართულია, ყოველივე მათში ამ ენით სწარმოებს და სრულდება: ტირილი, სიმღერა, ლხინი და ყოველივე საოჯახო, შინაური თუ გარეული სულ ქართული ენით სწარმოებს. ძნელათ რომ მთელ ქართლში მოიძებნოს ერთი ისეთი სომეხი, რომ მას ამ ენის რიგიანად გაგება ჰქონდესთ, თვით თავადის შვილებიც კი უცოდინარნი არიან ამისი, რადგანაც იგინი ამ ენას მხოლოდ საყდრის ენათ სთვლიან, მათს დედა ენას ქართული ენა შეადგენს.

ქართლის ქართველ გრიგორიანებთაგან ძველადგანვე ყოველივე შინაური თუ გარეული ბარათების წერა სულ ქართულად სწარმოებდა. მათში სომხურად თვით მღვდლებიც არ სწერდნენ და გინდ რომ ეწერათ, მერე, ამითი რას გახდებოდენ, არაფერს. ქართლის ქართველ გრიგორიანებთაგან ქართული მწერლობის ასპარეზედ სხვა-და-სხვა შესამჩნევი მწერლებიც გამოსულან ძველს დროს, მათ შორის ძრიელ მრავალად იყვნენ სხვა-და-სხვა გადამწერნი რომელნიც გადასწერდენ ძველს ქართულ ხელთნაწერებს, ამათგან გადაწერილ ხელთნაწერმა თვით ჩვენს დრომდეც მოაღწიეს მრავალად, მწერლებთ შორის იყვნენ შესამჩნევი მელექსენიც. მირზაჯამნა მადათოვი, ქისიკოვა, სამხი მელქო, საიათნოვა, წყალობა ბებუთოვი, ოსეფ ამიროვი, ბუდაღ ოღლანი და მრავალნიც სხვანი ენით უთვლელნი.

ახალ დროს მათგან გამოვიდნენ სურაბ ანტონოვი, კამედიების მწერალი, და ცნობილი გვამი, მიხეილ ბირთველის-ძე თუმანიშვილი. მწერალი და მელექსე, რომელიც ცისკარში სწერდა დაარსებიდგანვე და 1859 წ. „ცისკრის“ ერთ ნომრის სალაყბოში ის ჰაზრიც გამოთქვა, რომ „ჩვენ ტომით ქართველნი ვართ და მხოლოდ სჯულით სომეხნიო“. ამათ გარდა ნიკოლოზ ხუდადოვი, ცნობილი განათლებული მწერალი. პატიჟკემული ანასტასია თუმანიშვილი წერეთლისა, ქართულს საყმაწვილო მწერლობაში კარგად ცნობილი და სხვაყრიეაც ამაგდარი, რედაქტორი „კვალის“ და „ჯეჯილისა“ და ბევრიც სხვა საქმეთა მკეთებელი. აღალო თუთაევი ცნობილი პირი და მწერალი და რამდენი კიდევ სხვანი, ენით უთელელნი. აბა ბრძანეთ თქვენა, თუ ასეთ კუთხესა და ერში რომ ქართული ენა სკოლებში მოსპობილი იყოს და ამ ენის ანბანის სწავლებაც დამხობილი, აბა რას უნდა ჰგავდეს ესა, რას უნდა მოასწავებდეს ჩვენთვის და ან სომეხთა წინაშე. აქ ამათ შესახებ მეტს აღარას ვიტყვით, თვით ცნობები უფრო კარგად მეტყველებენ.

თფილისში — აქვსთ სასულიერო სემინარია, სხვა-და-სხვა სავაჟო და საქალო სასწავლებლები, მაგრამ ყველგან დამხობილი აქვსთ ქართული ენა და წერა-კითხვა: თფილისში ძველადგანვე ქართველ გრიგორიანები ქართულად სწერდენ და კითხულობდნენ სხვა-და-სხვა ბარათებს, წიგნებს. საფლავის ქვებზედ სულ ქართულად აწერდნენ, ეკლესიებშიც მღვდელნი ხშირად იტყოდნენ ქართულს ენაზედ ქადაგებას, რომ მის საშუალებით მრევლს გაეგო ქადაგების დედა-ჰაზრი. ხშირად სომხის თავადის შვილები და აზნაურებიც იყვნენ სამყფო სამსახურში, მეფის მდივნები და მწერალნი, მთარგმნელნი და მხატვარნი როგორც ტერ ფილიპე ყაითმაზაშვილი, თფილისის გეგმის დამხატი ტერ შმოვანი და მრავალნიც სხვანი ენით დაუთველნი,

ყველას მოთვლა აქ ძნელია, იმას-კი ვიტყვით, რომ ძველადგანვე თფილისის ქართველ გრიგორიანების თუ სომხის შთამომავალთათვის სახალხო ენას ქართული ენა შეადგენდა. ამ ენით სულდგმულებდენ იგინი, ამ ენით იძენდენ ქართველთაგან მამულებს, ამ ენით სტკბებოდნენ, ამ ენით სცოცხლობდენ.

როგორც ვსთქვით, თვით სიკვდილის შემდეგაც კი საფლავის ქვებზედაც ქართულად აწერდნენ, ასეთის ძველის წარწერიანის ქვებით სავსეა ძველი ხოჯივანქის სასაფლავო, ასევე იყო ვანქის გალავანში და სხვა საყდრებთა მახლობლადაც ასე იყო, თვით საყდრის შენებათა ცნობებსაც კი სწერდნენ ქართულად, დღეს კი აქ ვეღარსად რას ნახავთ, ყველგან მოსპეს ასეთი ქვები და გააქრეს, თითო-ოროლა აქა-იქ დაშთა, მათაც გაქრობა მოელისთ. თფილისის სომხობა ისევე პპატრონობდა ქართულ ენას როგორც ქართველნი, უამისობა არც შეიძლებოდა, რადგანაც მაშინდელი სომეხიც ტომით ქართველი იყო, იგი ქართველ გრიგორიანად უნდა შერაცხულიყო. ასეთ პირთაგან ქართულს ენასედ ძრიელ ბევრი წიგნებია ნაწერ-ნათარგმნი, დღეს კი ასეთ კუთხეში და ასეთ ხალხთა შთამომავალთაგან ქართული ენა განდევნილია, გაძევებული. მთელს თფილისის ქართველ გრიგორიანებში აღმოკვეთილია ცნობები თვით ცნობიერების შესახებ. ძველინდელი ქართველთ გრიგორიანთ მოქალაქენი დღეს აღარ ქართველობენ, ქართველობის გარეშე მათ ზისღი და მტრობაც აქვსთ, საქმე იქამდის მივიდა რომ ქართველს ტუტუცს ეძახიან, ანუ „ტუტუც ვრაციქს“. ე.ი. ტუტუცს ქართველს. გარნევა რომ იქმნეს გეფიცებით პატოისნებას, რომ თფილისის სომხებში ნახევარზედ მეტი ქართველობა აღმოსჩნდება.

ძველადგანვე თფილისის ნამდვილ სომხის შთამომავალ მოქალაქენი თავისუფლად ყიდულობდნენ ქართველთ ყმა

გლეხებს, მათა ჰფლობდნენ როგორც უნდოდათ და თან თავიანთ სჯულზედაც მიაქცევდნენ. თვით ქართველ ყმათა მდგომარეობაც ისეთი იყო რომ მრავალნი დევნილნი ყმანი ეთვისებოდნენ სომეხთა, დევნილნი სომხურ გვარსა და სახელებს ირქმევდნენ, სომხურად ინათლებოდნენ და მით გადირჩენდნენ ხოლმე თავებს. ამის ნიშნები მოთხრობა „სურამის ციხე“-შიაც არის მოყვანილი, სადაც ერთი ოჯახი, ბატონისაგან დევნილნი სომხდებიან საიდუმლოდ, სახელსა და გვარს იცვლიან და მით ატარებენ დროს, ჩვენს ძველს დროს ასეთი მაგალითების ერთი და ორი კი არ მოიხდარა, არამედ რამდენიმე ასი და ათასი, იმერეთიდგან თუ დევნილნი ყმანი აქეთ მორბოდნენ, მიტომ აქაურნიც განჯა, ერევან-ყარაბაღისაკენ მირბოდნენ და მით იფარავდნენ თავს ბატონ-ყმობისაგან. ასეთ განთვისებულთ ქართველთა რიცხვი ქვემო ქვეყნებში ერთობ დიდი უნდა იყოს. ზოგთ მათგან ქართული გვარების ნიშან წყალიც აქვსთ შერჩენილი, ასეთ გვარებს მათში მოულოდნელად ჰპოვებთ და თან მათ სმენით გაჰკვირდებით, რადგანაც თქვენ წინ უცხო კუთხესა და ხალხში ქართული გვარი გაიხმაურებს, ამის უარყოფა არავის შაეძლება, რადგანაც ასეთი მაგალითები ძველად ქართველთ შორის ერთობ მრავლად ყოფილა. ყველა ესენი აქ მიტომ გავიხსენეთ, რომ მრავალთა წინაშე ქართველ გრიგორიანთა არსებობა ეჭვ გადაურილ იქნეს.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ და დავასახელეთ მარტოდ ზოგიერთი დიდრონი დაბები და ქალაქები, სხვებს არ ვახსენებთ, მაგალითებრ ქართლისა და კახეთის დიდრონ ისეთ სოფლებს, სადაც სომეხთა ეკკლესიებიც აქვსთ, იქ სამრეველო სკოლებიც, მაგრამ სკოლებში ბავშვებს სიტყვასაც არ ასწავლიან ქართულად. ერთის სიტყვით ყველა ამ სოფლებში მოსპობილია ქართული ენა, ამ ენის საჭიროებას ადგილობრივი მცხოვრებნიც კი კარგად

გრძნობენ და საჭიროებენ, მაგრამ მათ ნდომას გ'სა და კვალი არა აქვსთ. რადგანაც სომეხთ გამგეობა ასეთის წესით არის შეპყრობილი, ესენი მოქმედებენ თავიანთ წესდების თანახმად, ეს მათი წესდება კი წინააღმდეგია ერის მოთხოვნილების, ერი ითხოვს ქართ'ული ენის შესწავლას, ნამეტურ ქართ'ული წერა-კითხვის გამო მაინც ვაჭრობის მხრით, ამას მათი სავაჭრო და ცხოერების პირობებიც ითხოვს, რადგანაც ქართველ გრიგორიანთა ცხოერება და ვაჭრობის საქმე დამოკიდებულია ქართველ ერთან და მაშასადამე ქართ'ულ დავთრების წერის შენახვაზედ. უამისოდ ადგილობრივ სომხის ვაჭარს, თუ გლეხს ძრიელ გაუჭირდება წარმოების საქმე. ბევრს სოფელს და დაბაში მე თვით შევსწრებივარ ქართველ გრიგორიანებთ შორის ასეთს საყვედურებს და შემთხვევებს, რომ მათ დიდის მწუხარებით აღ'ნიშნავთ ის გარემოება, რომ „ჩვენს შვილებს შვენს სკოლებში ქართ'ულ ენას და წერა-კითხვას არ ასწავლიან, არ ვიცით, რა ვქნათ, რა უყოთ და საქმეს რა უშველოთ, ჩვენ აქა-იქ ბევრჯერ ვთხოვეთ, რომ ჩვენი შვილებისთვის ქართ'ულიც ესწავლებინათ, მაგრამ ყოველთვის უარს გვეკიცაებენ და გვეუბნებიან რომ არაო, ეს ენა თქვენი ენა არ არის და ამიტომ მისი სწავლებაც მეტიაო". ასეთ საყვედურებს ერთსა და ორს კი არ შევსწრებივარ არამედ ასასსა და ორასს. ამ გამაგრებულ და გაჯიუტების მის'ს'ების შესახებ ბევრი ვეცადე რომ შემეტყო მათი მის'ს'ები და ბოლოს როგორც იქმნა აი ეს დასკვნა შევადგინეთ ჩვენთ თანამემამულე ქართველთ გრიგორიანთა ნალაპარაკევიდამ.

ჩვენს სკოლებში ქართული ენის სწავლება არ შეიძლება, ქართული ენა ხომ თქვენი ენა არ არის, რომ გასწავლოთ. თქვენი დედა-ენა სომხური ენა არის და მიტომაც ჩვენ სომხური ენა უნდა გასწავლოთ, ვისაც ქართული ენის სწავლა უნდა, იმას ამ ენის სწავლება

შინაც ეყოფა. ჩვენს სკოლებში ქართულ ენას ვერ შევიტანთ, რადგანაც იგი იქაც მეტია სადაც ეს სომეხთა[22] ოჯახებში არსებობს, ჩვენ მოვალენი ვართ, რომ თქვენ მარტოდ თქვენი სჯულის დედა-ენა სომხური გასწავლოთ.

ეს პასუხი მე გამიგონია არა მარტო შესმენილ ვაჭრებთაგან, არამედ მდაბიო გლეხებთაგანაც, ისეთ გლეხებთაგანაც, რომელთაც დიდი რამ ცოდნა არა აქვსთ, ბევრს რამეზედ მათ ვერაფერს ჰკითხავეთ, მაგრამ რაც შეეხება მცხოვრებზედ დაკვირვებას და მათთვის საჭირო საქმეთა შემცნებას ამაზედ კი საკმარისი ძალ-ღონე გამოუჩენიათ და ყოველთვის ჭკვიანი რჩევა და პასუხი მოუციათ ჩვენს კითხვებზედ. ერთ სოფელში კი აი რა მითხრეს:

სწორედ ამბობთ ბატონო, ეს ჩვენი მღვდლებისაგან ეულარა გაგვიწევია რა: საქმეს ისე გვიჭირებენ. რომ ლამის ქართულად დავინათლნეთ, ჩვენი ეკკლესია კანცელარიად გახადა, იქ გვაგროვებს და ათასნაირ სამტრო ლაპარაკით მოსვენებას არ გვაძლევს, აბა თქვენა ბრძანეთ, ახლა ჩვენ რომ ქართველებისაგან ერთობ შორს ვიაროთ, რა უნდა გამოვიდეს მით, არაფერი. სომხური ისწაველეთო, ეს კარგი. ახლა სულ რომ სომხური ენა და წერა-კითხვა ვისწავლოთ და სხვა არაფერი მის მეტი, ვსთქვათ ჩვენ შინათ და გარეთ სულ ამ ენით ვილაპარაკოთ, მერე ჩვენ მეზობლობა არ გვინდა, ან მეგობარი, ამხანაგი და მოკეთე?

მეორე ასეთმა გლეხმა სთქვა ახალქალაქში:

ჩვენ, შენი ჭირიმე, ქართველებთან მოყვრობა გვაქვს, ნათესავობა, ნათელ-მირონი. ყველამ ქართული ენა ვიცით, ამ ენით ვლაპარაკობთ, ამით ვასრულებთ ჩვენ ჭირს, ლხინს, წვეულობას, ქართულად ვმღერით, ვსტირით, ამ ენით ვადიდებთ ღმერთს, ეგონებთ ღმერთმა თავის დიდება ყველა ენაზედ უწყინრად უნდა მიიღოს. ვინც მას ადიდებს ის მისთვის ყველა ერთი უნდა იყოს. მაგრამ არა, ეს ჩვენი

[22] იგულისხმება სარწმუნოებით „სომეხი" (ქ.ქ.).

მღვდლები კი ამას არ ისმენენ და იმას ჩაგვჩიჩინებენ რაც მათ ესარჩებათ. აი ბატონო, ჩვენმა მღვდლებმა გადაჰკიდა ჩვენი გლესობა ჩვენს მებატონეებსაც. ლამის სისხლი აგვაღებინონ ერთმანეთში. შორს იარეთ ქართველებისაგან და მათთან ყოველნაირი ნათესავობა და მეგობრობა მოსპეთ და გაწყვიტეთო. მოჰყვებიან ბატონო და სჯულის სახელით ვინ იცის რა სამტრო საქმეებს არა სთესენ. მესამემ მითხრა იქვე:

ახლა ე დალოცვილები იმას კი აღარ კითხულობენ, რომ ჩვენც გვეპიტნავება მათი ქადაგება და მტრობის ვრცელება თუ არა. ამას არ ფიქრობენ, აგვეტეხიან რომ სომხური ენა დაისწავლეთო, შვილებსაც ეს ასწავლეთ, სომეხი ხალხი მდიდარი ხალხია, ვაჭარი და ამ ენის ცოდნით თქვენი შვილებიც გამდიდრდებიანო. მერე საღ, რომელ ხალხში და კუთხეში გავმდიდრდებით, ამას არას ამბობენ. ჩვენ, ბატონო, ქართველებში ვცხოვრობთ, მთაში დავდივართ, ტყეში ვართ თუ ბარში, ყანაში, ბოსტანში და ვინ იცის სად გინდა არა, რაც კი სოფლის საქმეები მოგეხსენებათ, ყველაფერში და ჩვენ ქართველებთანა გვაქვს საქმე და მეგობრობა, ყოველი ჩვენი ავი და კარგი ქართულის ლაპარაკით სწარმოებს, ამ ენით ვსაზრდოებთ, ამ ენაში დაბადებულან ჩვენი მამა-პაპანი, ამ ენით აღვზრდილვართ ჩვენც და ამ ენითვე აღიზრდებიან ჩვენი შვილები და შვილის-შვილებიც, უამენოო ჩვენ საქართველოში ერთ ღღესაც ვერ გავძლებთ და ვერც ვიცოცხლებთ და ვერ ვიცხოვრებთ. უამისოთ აბა რა ვიქნებით და რა მნიშვნელობა გვექნება.

ჩვენს საჭირო ენას ეს ენა შეადგენს, ამ ენით გვიცხოვრია და ამითვე უნდა ვიცხოვროთ, ამას ვერვინ წაგვართმევს, გინდ რომ წაგვართვან ამის სანაცვლო ენის სწავლებას გადავყვებით. ეხლა ეს ახალგაზრდა სომხები და ტერ-ტერები აგვეტეხიან, რომ თქვენ შვილებს სომხური

ენა ასწავლეთ და თქვენ სომხურად ილაპარაკეთ და ქართულ ენას თავი გაანებეთო. ჩვენი ბალღი ჩვენი საყდრის სკოლაში სამ წელიწადს დადიოდა, იქ სულ სომხურს და რუსულს ასწავლიდენ, ამ ხნის განმავლობაში მან ვერც სომხური ისწავლა და ვერც რუსული. ეხლა გამოვიდა სკოლიდამა და ქართული უბრალო მოკითხვის დაწერა კი არა ანბანიც არ იცის. ეხლა ჩემი ბავშვი მიკიტანს მივაბარე ერთი წლით, მუქთად, ეგები მხოლოდ ქართული წერა-კითხვა ასწავლოს რო შინაურებში მოკითხვის წერილის წაკითხვა და დაწერა მაინც შეეძლოს.

ჩემს ნათესავებს და მოყვრებს წერილი მინდა მიეწერო და წარმოიდგინეთ, რომ წერილი ვერ მიმიწერია, ყოველთვის სხვას უნდა ვთხოვო, სხვას უნდა გავაგებინო ჩემი შინაური საქმეები. ყველა იმას მეუბნება, რომ კაცო, შენი ბიჭი სამ წელიწადს სკოლაში დადიოდა და მაშ რა ისწავლა თუ წერილსაც სხვას აწერინებო, ჩვენს ტერტერას სულ ვერაფერს გაუხსენებ ასეთისას. წერილის დაწერა რომ ვთხოვოთ, ის მაშინათვე სომხურს გვიწერს, ქართულად არ შვრება, მისგან დაწერილი წერილი ერთხელ ჩემს მოყვრებში წელიწადი დარჩა წაუკითხავი და მერე იგი დახიეს კიდეც. რადგანაც მათთვის გაუგებარი ყოფილიყო. მეც არა ვიცოდი რა, თუ მღვდელმა წერილში რა ჩაწერა, აბა რა უნდოდათ იმ დალოცვილებს, რომ ჩემი ბავშვისთვის ქართული წერა-კითხვაც ესწავლებინათ. აბა თქვენა ბრძანეთ შენი ჭირიმე, თუ სომხური ენა და წერა-კითხვა ქართლის მიუვალს ტყეებში, მთებში, სამუშაოში და ხალხში სად უნდა გამოვიყენოთ, ვის უნდა ველაპარაკოთ ამ ენით და ვინ გაიგებს ამას და გვესაუბრება. ამ თვალთ უწედენელს ქართლის სოფლებში. ახ, ნეტავი, ეშველებოდეს რამე, ე ბიჭები კიდევ აქა იქ ეჩვევიან ქართულს წერა-კითხვას სხვების დახმარებით, საქმე ე გოგოებიც არის, რომ არც გოგოებს ასწავლიანს ქართულს.

მესამე სომხის გლეხმა რა სთქვა: გორს ჩემი გოგო სკოლაში სწავლობდა, იმ დალოცვილებს ქართული წერა-კითხვა არ უსწავლებიათ, იქიდამ გამოვიყვანე, მერე გაიზარდა კიდეც და ქართველ ბიჭზედ გავათხოვე. ჩემი სიძე ქართველია. ბევრი იწუხა ჩემმა ქალმა, რომ რაჩომ ქართული არ ვიცით, მაგრამ რაღა დროს, ეხლა რის წვალებით ქმარმა ასწავლა წერა-კითხვა, წერილებსაც სწერს ქართულად. ასე შემოგვინდეს ქართლში არამც თუ ერთმა და ორმა ქართველ გრიგორიანმა, არამედ ოცმა და ორმოცმა, ასევე შემოუნდიათ ხოლმე თფილისში მცხოვრებთ ქართველ გრიგორიანებს და კახეთის სოფლებში მცხოვრებთაც. ახლა კიდევ მოგახსენებთ ჩემგან ნახულ ცნობებს, რომ ამაზედ კვალად ეჭვი არაფერ იქონიოს. ერთ ქართველ გრიგორიანის ქალი მთაწმინდის ძირკინაანთ საეკლესიო საქალებო სამრევლო სომეხთა სკოლაში სწავლობდა, ამ ქალს ქართული არ ასწავლეს. იგი დალაქის ქალი იყო. დედ-მამა დაეხოცა, მერე ქალი ჩემი დგმურიც იყო და დიდათ სწუხდა მასზედ, რომ მან ქართული წერა-კითხვა არ იცოდა, ქართლიდამ დედამთილ მამათილისაგან წერილები მოსდიოდა და ყოველთვის მე მაკითხებდა და მეც უწერდი, მერე კი დიდის წვალებით შეისწავლა, რადგანაც ქმარი აქვედრიდა, რომ რაც საჭიროა ჩვენთვის ის კი არ შეგისწავლია და რაც არაო და ის გისწავლიათ.

ენახე კიდევ ასეთი მაგალითი: ერთ ქართველ მენახშირეს თფილისში სოფ. წუნეთელს სომხის ქალი შაერთა, ეს ქალი სომხის სკოლაში ნამყოფი-ნასწავლი იყო და სომხურის მეტი წერა-კითხვა არ იცოდა, ქმრისთვის კი საჭირო იყო ქართულის ცოდნა, რადგან ნათესავები მას შორს ჰყვანდენ და წერილების წერაც ხშირად უხდებოდა. ქალი ძრიელ სწუხდა და სწყევლიდა თითქმის იმ სიჯიუტეს და სიკერპეს რომ ჩვენს სკოლაში მე ქართული არ

მასწავლესო. ეხლა მე რაში გამამადგება სომხურიო. უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი მაგალითები მე არამც თუ იმ ოჯახებში მინახავს, სადაც ქართველ გრიგორიანის ქალი ქართველ მართლმადიდებელზედ ყოფილა გათხოვილი, არამედ ეს ენახე იქაც კი სადაც ცოლიცა და ქმარიც ნამდვილ, ან ქართველ გრიგორიანები არიან, ამათშიაც საკვირველით აუნუსხავთ ესეთი სიჯიუტე და უოქვამსთ, რომ ნეტა რასა ჰგავს ესაო! ჩვენ სულ ქართულად ვლაპარაკობთ, ჩვენი ენა ეს ენა არისო და ჩვენმა შვილებმა კი სახლში ჩვენი ენის არც წერა იციან და არც კითხვაო. ერთი უბრალო ქალალდის წამკითხავი ჩვენ არა გვყავსო. უნდა ითქვას, რომ დღეს, სომეხთა შორის თფილისში სასტიკათ არის ქართული ენა მოსპობილი. თვით კინტოებმაც კი ალარ იციან ბევრს ალაგას ქართული წერა-კითხვა, რასაკვირველია იმათ, ვისაც სკოლაში უსწავლიათ, თუმცა ამათს დედა ენას და სახმარს ქართული ენა შეადგენს.

ძველადგანვე ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოში სომხის შთამომავალ სომეხნი თუ ამათ თანა მერჯულე ქართველ გრიგორიანები საეკლრო დავთრებს სულ ქართულად სწერდნენ, ანგარიშიც ასე იყო, ქართულ ძველს ქორონიკონს მათ'ში ჰქონდა ადგილი. ამათში ერთი სიტყვით ყველაფერი ქართულად სწარმოებდა, ასეთ დავთრებს გარდა თფილისის ქართველ გრიგორიანებში თვით ძველი მეფეების დროინდელი სიგელ-გუჯრებიც კი მრავლად იყო, ქართული ძველი წიგნებიც, ამ წიგნებით სტკბებოდნენ იგინი. სადღეისოდ მათში ყველა ეს ამოვარდნილია, დვთრების წერას თფილისში ქართველ გრიგორიანთა შვილები სომხურ ენაზედ მისდევენ, რადაგან ქართული ალარ იციან, თუმცა სომხურად უჭირდებათ კიდეცაც წერა, მაგრამ მაინც მეტი რა გზა აქვსთ, როცა ქართული არ იციან. ეაჭრობა, ლაპარაკი და ყოველი ამის საქმე კი ქართველებთან აქვსთ და ანუ ქართულად

მოლაპარაკე ხალხთან. ასეთ უცოდინარ ვაჭრებში ხშირად ვყოფილვარ და მათ წყევით უთქვამს შემდეგი: ქართული წერა-კითხვის უცოდინრობის წყალობით ჩვენ დიდი დაბრკოლება გვეძლევა ვაჭრობაში. აქა იქ ვაჭრობასა და ლაპარაკში ჩვენთვის საჭიროა რომ დავთრებს ქართულად ვსწერდეთ. გარდა ამის, სოფლის ხალხშიაც გვჭირდება ამ ენის წერა-კითხვის ცოდნა, მაგრამ ჩვენ კი სიტყვაც არ ვიცით თუ როგორ დავსწეროთ.

ადრე კი ეს ასე არ იყო, ქართველ გრიგორიანებში ყველამ იცოდა ქართული წერა-კითხვა. ყველა ამ ენით აწარმოებდა თავის საქმეს, უთქვამსთ ხოლმე ასეთ ვაჭრებს: ეხლა ვეჩვევით აქა იქ ქართულ წერა-კითხვას და ეხლა ვსწავლობთ, სომხურს ენაზედ წელიწადიც გავა, რომ ერთ წერილსაც ვერ წავიკითხავთ და დავსწერავთ, ქართულზედ კი მუდამ დღე გვიხდება, რადგანაც ეს ენა არის ჩვენი სამამეულო ენა. ბევრს ალაგას ასეთ ვაჭრებმა თავიანთ სკოლასა და მის წესებზედ გინებაც კი წარმოსთქვეს, ასეთი წყევა, კრულვა მათგან ქალაქებს გარდა თვით ქართლ-კახეთის დაბებშიაც მინახავს. კარგად ვიცი, რომ ერთ დროს, სომეხთა პედაღოგებთა ცდამ იქამდე მიაღწია, რომ მათ ქართულ ენას ხალხში გმობა დაუწყეს, ქართულ დავთრებს ხევა-ფხრეწა და მოსპობა, აშკარად უკრძალავდნენ ქართველ გროგორიანებს, რომ ამ ქართულ ენაზედ ლაპარაკს თავი დაანებეთ და დავთრებიც სომხურათ სწერეთო. სამღვდელოთაგან ამის შესახებ სჯულის მექონი შინაარსის ქადაგებანიც მრავლად იფინებოდენ. ყველა მათგანი ცოდვათ უთვლიდა ქართველ გრიგორიანს, რომ მას სომხურს ენაზედ არ ესაუბრა და არ ელაპარაკნა. ქართული თქვენი ენა არ არის, თქვენი სჯულის ენა სომხურია და ამიტომ უნდა ეცადოთ, რომ ამ ენაზედ სწეროთ და იკითხოთო.

ბევრს ალაგას მათ საწადელს მიაღწიეს და ქართველ გრიგორიანებს თავიანთ ოჯახებში მოასპობინეს ქართული ძველი სავაჭრო დაეთრები, დაეთრები თვით XVIII საუკ. ნაწერი, ძველი გარიგების წერილები, სიგელ-გუჯრები და თვით ქართული წიგნებიც კი. ბევრს ოჯახში შეირყა ქართული ენა. ბევრს ალაგას უნდოდათ ამ ენის ამოგდება და ამის სასარგებლოდ ცდაც დაიწყეს, მაგრამ საქმით კი ვერა გააწყეს რა, თუმც უნაყოფობას ხელვენ, მაგრამ ცდას მაინც თავს არ ანებებენ. დაეთრების, სიგელ-გუჯრების და წიგნების მოსპობის მიზეზი ის იყო რათა მის საშუალებით ძირიან-ფესვიანად ამოეგდოთ ქართული ენის ნიშან-წყალი ქართველ გრიგორიანთა ოჯახებში. ეს იყო წრეს გასული ფანატიკობა, საქმის გაუგებრობა და სიკერპე. მოგეხსენებათ, რომ ქართველ მეფეების დროს, თფილისის მოქალაქეებს ქართველთ მეფეთაგან დიდი პატივისცემა ჰქონდათ მინიჭებული და ამ პატივისცემის გამო ხშირად სამეფო მათ უალრესობით ჰქომაგობდა, დახმარებასაც აძლევდნენ საჩუქრებით, ამისათვის მათ საბუთების ქაღალდებიც ეძლეოდათ, ყოველივე მაშინ ქართულად იწერებოდა და ინუსხებოდა, დღეს კი ასეთ ძველს მოქალაქეთა ოჯახებში თქვენ ძველ დოკუმენტებს ვეღარას ნახავთ.

ძველად არამც თუ საქართველოს გრიგორიანები მისდევდნენ ქართულს ენაზედ წერა-კითხვას, არამედ მათ სამღვდელო პირნიც კი სწერდენ ქართულს ენაზედ, რადგანაც მათ ქართული ენაც კარგად იცოდნენ, ვინაიდგან ქართლსა და კახეთში იყვნენ დაბადებულ აღზრდილნი, შთამომავლობითაც ქართველნი. ძველი მღვდელნი თავიანთის ქართულით უფრო იზიდავდნენ ქართველების გულსა და უკანასკნელ ასომხებდნენ კიდეც. სომხის ძველმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ უქართულო ენოდ იგინი ვერას გააწყობდნენ, თვით სომხის ეკლესიასაც ვერას შესძენდნენ და ამიტომ იგინი თვითონაც ზედ

მიწევნით სწავლობდნენ ამ ენას და მრევლსაც არ უშლიდნენ ამის სწავლას და დახმარებას, იგინი ამით ორიენს ტომში სიყვარულს და გაურჩევლობას ნერგავდნენ და დღეინდელი სამღვდელოება კი წინააღმდეგ იქცევა ძველის სამღვდელოების. ეს მოძღვარნი ისეთი ოსტატები იყვნენ, რომ იგინი სომხებში სომხურ ენას თვით ქართულ ასოების საშუალებითაც კი აერცელებდნენ, მაგალითებრ საქართველოში სომეხთათვის[23], 1825 წლიდან ლოცვის წიგნები ქართული ასოებით იბეჭდებოდა და ისე ვრცელდებოდა მათში[24].

ერთი ასეთი წიგნი მეც მაქვს: — სახელდობრ, „ნერსეს კათოლიკოსი ეგრქ" დაბეჭდილი 1830 წ., ანუ ქართულად „ნერსე კათოლიკოსის გალობა". ერთ ალაგას აქ მოეიყვან ნიმუშსაც: „აშხარე ამენაინ არის არც იალქ, ასტვაც ლესუქ, ბანამ ეე ეზშთუნს, ბარ-ბარიმ ლეკაზს, ბოღქემ ზანძნეს, ტერ-ეოღორმია, ტერ-ეოღორმია, ტერ-ეოღორმია". აი, ასე ძველი სომხის მღვდლები, ასე ქართული ასოების საშუალებით განაგრძეს საქართველოს გრიგორიანებში სომხური ენა და მისი სიყვარული. თუმცა ამას აერცელებდენ, მაგრამ მათში მაშინ უპირატესობა ისევ გასაგებ ენას ეკავა, ე.ი. ქართულს.

დღეს კი ეს ასე აღარ არისო და ქართული ენის მოსპობის ნატვრის ნიშნები ყველას ოჯახში ცხადად ჰღალადებს. იგინი ამ ენას ავიწყებენ არა მარტო ნამდვილ სომხის შთამომავალთ ქართველთ[25] რომელთაც სომხურის სიტყვაც არ იციან, არამედ იგინი ავიწყებენ თვით ქართველ

---

[23] სარწმუნოებით „სომეხი" იგულისხმება (ქ.ქ.).

[24] სომხური ეკლესიის წარმომადგენლები ცდილობდნენ ქართულენოვანი მრევლი მიეწვიათ სომხური ენის და ლოცვების უღერადობას (ქ.ქ.).

[25] „ქართველი" ამ შემთხვევაში კონფესიური დატვირთვისაა — „სომხის შთამომავალ ქართველში" უნდა ვიგულისხმოთ ეთნიკურად სომეხი მართლმადიდებელი (ქ.ქ.).

გრიგორიანებსაც. მათში ამის ცდა ძრიელ არის განლვიძებული, ახალგაზრდა სამღვდელოება გატაცებულია განუსაღერელის ოცნებით და მათ ალარ იციან რა ქმნან, რა ღონის ძიება იხმარონ, რომ ქართული ენა ამოაგდონ მათში და მის მაგიერ სომხური დაამკვიდრონ, იგი განაძეონ თფილისის სკოლებიდამ, იგინი ამისთვის დიდათ მეცადინეობენ და ქართველთ გრიგორიანთა შვილებში სასტიკად აქვსთ ქართული ენა აღკრძალული, ამ ენაზედ როგორც ვაჟებს ისეც ქალებს სიტყვის თქმაც არ შაუძლიანთ, თორემ მათ სასტიკათ დასჯიან. ამის საშუალება გახლავსთ, რომ ამ ბოლოს დროს, საქართველოს ქართველ გრიგორიანებთ შორის ვაჟებს გარდა გაჩნდნენ ისეთი ქალებიც რომელნიც დიდის ენა-მტკრეევით მათვის უცნობ და ხამ, კ.ი. სომხურს ენაზედ ლაპარაკობენ, ამის მიმზიდველობა მათში გაძალიანებულია შეუმცნეველად და უადგილოდ.

გარდა ასეთის ოსტატობის, ეს ხსენებილი წოდება თავის მიზნის მისაღწევათ და განსახორციელებლად სხვა ღონის ძიებასა და ოსტატობასაც ხმარობენ, მათ იმეცადინეს და არამც თუ მარტოდ ენის და მწიგნობრობის მხრივ დაარღვიეს ძველი ქართული ერთობა და კავშირი, არამედ მათის ცდით დაირღვა თვით ნამსახური და მეგობრული ძალაც. ნათესავობა სჯულის გამო ქართველებს და ქართველ გრიგორიანებთ შორის მკაცრათ ისპობა, ნამეტურ სდევნიან სომეხთაგან ქართველთ ქალის შერთვას, ამას სასტიკათ უკრძალავენ, ვინც კი სომეხთაგანი ამ მცნებას და აღკრძალვას დაარღვევს ვაი მისი ბრალი, იგი მომავალში კაი დღეში არ ჩავარდება, სჯულის მგმობელს თვით ეკკლესია დასჯის, არ გაახარებს, მომავალში უხვირო ცხოვრება ექმნება, ბევრს სინანულში შევა. ასეთ სომეხს იგინი უცბად დაუწყებენ დევნას, თვისის წრიდამ გარიცხვენ, ქართველი ქალის

შერთვის გამო სასტიკათ შეანვესებენ, ერთის სიტყვით სრულიად მოიგერებენ და ბრუნდეს თვალით დაუწყებენ ბრძოლას. ამის შესახებ მე რომ არ ვამტკიცო, ეს სხვებმაც აშკარად უნდა იცოდნენ; რადგანაც ყველა ისმოხსენებული სომები მათში თითქმის აშკარად სდება და იგინი ამისთვის არავის წინაშე არას მალავენ.

ქართველი ქალის მათს ოჯახში შესვლა არის სრული განხეთქილება ძმათა და მშობელთა შორის, სრული უძლურება. ამ გარემოებას ბოლოს მოჰყვება მტრობა, განწირულებაც კი, მით უბედურება, რითაც მრავლადაც მომხდარა და მოხდება კიდევაც. ამ სამტრო საქმეთა ისტორია მეტად საყურადღებოა, ხოლო მის ცნობებს უნდა შეკრება, რადგანაც უმეცართა შორის ბევრი საბრალო ქართველი ქალი დაღუპულა უღვთოთ, ბევრს მოჰკლებია მათში საბრალოდ ბოლო. სომეხი კაცი ვერ იტანს იმ გარემოებას, როცა მის სახლში ქართველი მღვდელი შედის და შვილს უნათლავს, ეს აუტანელი ვაია მათი, სიკვდილი. ამას ვერ ეწყობიან და ხშირად ამისთვის უძლურებაც სდება და მერე სომეხი კაცი თავის სჯულის ქალს ირთავს. თუ რათ შეირთა გრიგორიანმა ქართველი ქალი, ვინ დაატანა მას ამისთვის ძალა, ამასთან მათ საქმე არ აქვსთ*.)[26] ბოლოს მაინც მიზანს მიაღწევენ. ქართველ ქალისაგან განთავისუფლდებიან და მის მაგიერ სხვას. ე.ი. თავის მერჯულეს შეიყვანენ. ბარემ ასევე ექმნათ წინეთ და საბრალო ქალი არ გაეწირად უბრალოდ. ვაცხადებთ, რომ ამ გარემოებას ჩვენც ვეწინააღმდეგებით, არც ჩვენ მოგვწონს ეს რომ სომხის შვილებს ქართულად ნათლამენ. ეს რა რიგია, რა წესია. ეს მთავრობამ მოგვისერხა ადრე განგებ. აი ამისაგან რაები ხდებოდენ ადრე.

---

[26] *) იქნება დღეის შემდეგ ეს ასე აღარ მოხდეს და სიყვარული ჩამოვარდეს, რადგანაც ეხლა ნება მიეცად შვილების მამის სჯულისად მონათლის (ს.ჯ).

ცხინვალში, ერთმა ქართველ გრიგორიანმა შეირთო მართლმადიდებელ ქართველის ქალი. თავის სურვილით, სიყვარულით. ამ კაცს მთელი სომხობა აუჯანყდა, ვაჭრები ცუდის თვალით უმზერდნენ, ვაჭარს ყველა ქართველს უძახდა, ბაზარში რომ ჩაიელიდა, ასე უყვიროდნენ: „ქართველო, აქ მოდი, ქართველო, სად მიხვალ? და სხვანიც ასეთნი. ნათესავებმა და შინაურებმაც მოიძულეს სახლში ქართველი ქალის შეყვანა, რადგანაც მის წყალობით ჩვენს სახლში ქართველი მღვდელიც უნდა შემოვიდესო, შვილებიც ქართულად უნდა მოინათლოსო. კაცმა ვერ აიტანა გმობა და საყვედურები, დასნეულდა და უკანასკნელი გარდაიცვალა. — საწყალი უსიხარულოდ ნათესავ და მეგობართაგან მოძულებული ქართველი ქალის შერთვის გამო.

ასეთი მაგალითები ცხინვალს, გორს, თელავს, სიღნაღს, თფილისს და სხვაგანაც ხშირად მომხდარა და მოხდება კიდეეც, ვიდრე ეს სახელმწიფო წესები არ მოისპობა. საქმე აქ სჯულის გამო შვილების ნთელა ხდება. ამაში ჩვენ მათ არ ვამტყუნებთ. იგინი გარემოებას უნდა ემდუროდენ და არა ქართველი ქალის შერთვას.

თფილისის მოქალაქე მ. მ. ნიკ-სვმა შეირთა მართლმადიდებელი ქალი. ამის გამო მთელი ნათესაობა და მეგობრები გადაეკიდნენ და ყოველ თავიანთ წრიდამ გარიცხეს. დედ-მამამაც ძრიელ იჯავრეს, ერთ ღამეს მამა თავის შვილსა და რძალს ლოგინში მიეპარა და დამბაჩით ნამძინარევი რძლის მოკვლა უნდოდა, მაგრამ ეს ვერარ მოახერხა რადგანაც ამ დროს მის ვაჟსაც მიეცემოდა ზიანი, მან კი ეს ვერ გაიმეტა. მარტო რძლის მოკვლა უნდოდა. უკან დაბრუნებისას აცახცახებულს დამბაჩა გაუვარდა ხელიდამ და გატენილი დამბაჩა სხვა მხარეს გავარდა. საქმე გაირკვა.

ბაქოელმა ერთმა მდიდარმა ექიმმა იმერეთში შეირთა ერთი ლამაზი ქართველი ქალი, ორი წლის შემდეგ ეს

ლამაზი ქალი მოწამლვით მოკვდა, ამ საქმესედ გასუთებშიც ბევრი სწერეს.

თფილისის მოქალაქე შ–ნემა შეირთა ქართველი ქალი, ამიტომ გადაეკიდნენ ნათესავები და მეგობრები და ყველა მოსცილდა, საქმე ისე გაუჭირდა რომ ბოლოს მეგობრების შიშით კლუბში ვეღარ დადიოდა. ამ დღიდან ამას უმსერდნენ როგორც ვერაგ ქართველ კაცს.

თფილისი მოქალაქე პარტ. ნ-ბემა შეირთა მართლმადიდებელი ქალი, ქორწილის დროს ნათესავები მიუცვივდნენ, ქაშუეთის საყდარში და ვაჟს დაუწყეს კიცხვა და ყვირილი: „ეს რა გვიყავ, სამარე რათ გაგვითხარე, ცოცხლები რათ დაგვმარხე, რათ მოგვჭერ თავი, სხვა რჯულის ქალი რათ შეირთე. ჩვენ გიშოვნიდით ბევრად უკეთეს ქალსაო".

თფილისის მოქალაქე მ–ოვს შეურთავს მართლმადიდებელი ქალი. ერთ დღეს ეს ქალი შემოვიდა ქართული წიგნის მაღაზიაში და იქ მყოფ მესხიევის ქალს შესჩიცლა რომ ჩემი ქმარი ისე მდევნის რომ მეტი გზა აღარ მაქვს, თავი წყალში უნდა დავიხრჩოო. ქალებმა საუბარი დაიწყეს, მე ყური დაუგდე და კითხვები მივეცი და ბოლოს აღმოსჩნდა რომ მისეული ეს ყოფილიყო, ქორწინების რამდენიმე ხნის შემდეგ ქმარს გაევლიყო თავისი სიმხურვალე და მეგობართა და ნაცნობთა კიცხვის გამო თვითაც დაფიქრებულა და მის გამო სინანულშიც ჩავარდნილა სხვა სჯულის ქალის შერთვის გამო.

თფილისის მოქალაქე ფ.–ევმა შეირთა მართლმადიდებელი ქალი, ამას ძმები და ნათესავები გადაეკიდნენ, მაგრამ ვერას აკლებდენ, ხოლო გულში კი ძრიელ სწყინდათ, როცა მათს ოჯახში მართლ-მადიდებელი მლვდელი შეივიდოდა, მაშინ მათ სიხლი კანკალს დააწყებინებდა, ნამეტურ ფ. დებს, რომელნიც არა ჰფარავდენ მტრობას.

ერთი სომხის ხელოსნის ქალს ირთამდა ერთი იმერელი, ამ ქალისთვის სომხის ერთის წრისაგან დახმარება იყო დანიშნული, ამ დახმარებას ქორწინების დროს აძლევენ. ეს ფული ერთის მდიდრისაგან არის დატოვებული ღარიბ ქალებთა გათხოვების დასახმარათ. ფული სამღვდელოების ხელში იყო. ქალის დედა წავიდა მღვდელთან, ფული უნდა გამოერთვა და მასთან ქორწინების ნებართვა აელო. მღვდელმა რომ გაუგო დედაკაცს ამბავი, მაშინათვე ფული დაუჭირა და აღარ მისცა, მერე უთხრა: „ქართველზედ რო ათხოვებ, შენი სჯულის კაცი ვერ იშოვნე, ჩვენ გიშოვნით, სომეხს მიათხოვეთ და დახმარებასაც მაშინ მოგცემთ“. დედაკაცმა უარი უთხრა: „ეხლა ეს აღარ იქნება, რადგან ჩემი ქალი დანიშნულიაო“. მღვდელმა დახმარება აღარ მისცა, ქალი უმზითვოთ დაშთა, საქმრომ ეს ამბავი რომ გაიგო, მაშინათვე ქალი უმზითვოთ წაიყვანა, ქორწილში თვით ქალის სახლის მღვდელიც დაპატიჟა, ქორწილი კაი გადაუხადა, კაცი შეძლებული იყო და ქალის მოძღვარი გაკვირდა. სინანულშიც შეეიდა.

ასეთი შემთხვევები ამათში ძრიელ ხშირად მომხდარა და მოხდება კიდევაც. რადგანაც ყოველი სომეხი შეპყრობილია მით რომ თუ ის სომხის ეკლესიას არ აღიარებს, უამისოდ მისი სომხობა შეუძლებელი იქმნება. ამიტომაც იგინი მტრობენ სასტიკად როგორც სომხისაგან ქართველი ქალის შერთვას, ისევე სომხის ქალის ქართველზედ გათხოვებას, მეორეს კიდევ ეთვისებიან და სომხის სახლში მართლმადიდებელ ქალის შეყვანას კი არა, ამას ვერ იტანენ და საბოლოოდ მას ცუდი შედეგიც მოსდევს. მიზეზი ამისი ის გახლავსთ რომ კანონის ძალით შვილი უნდა დედის სჯულზედ მოინათლოს, ანუ სახელმწიფო სარწმუნოებით[27].

[27] გულისხმობს მართლმადიდებლობას (ქ.ქ.).

არ ვიცი, აქ რომელ ერთი ცნობა მოვიყვანო, რომელ ერთი ავიწყსო, ეს შეუძლებელია. ასეთი მაგალითები ხდება არა მარტო საქართველოში არამედ ყველგან სადაც კი სომხები სცხოვრებენ და სხვა სჯულის ხალხთან კავშირი აქვსთ. ვიტყვით თამამად რომ სომესთაგან ასეთ შემთხვევებს სულ ფათერაკი და უბედურება მოსდევს, მსხვერპლის შეწირვა, უბედურება, ოჯახის დაქვეითება. შვილების დაღუპვა და სხვაც მრავალი. სომეხი თამამდ ირთავს კათოლიკის, ნემენცის და ებრაელთა ქალებსაც, ებრაელთ ჯერეთ ნათლამენ სომხურად და მერე ირთავენ. ამათ სომსები მიტომ ირთავენ, რადგანაც მათში შვილს მამის სჯულსედ ნათელენ, ამიტომ წუნარად და კარგადაც სცხოვრებენ. მართლმადიდებელ ქალთა შერთვის დროსაც რომ ასე იყოს, მაშინ აქაც ისევე იქნებოდა. ჩვენი მეფეების დროს ასე იყო: ვაჟი მამის სჯულსედ ინათლებოდა და ქალი დედის, სადაც კი ეს სურდათ, სადაც არა და იქ ორივეს სჯულსედ ნათლავენ. ნეტა ახლაც ისე იყოს, რომ ჩვენში მოისპოს სჯულის გამო მტრობა. მის მოსპობა კი ჩვენ კაი სიყვარულს დაგვინერგავს.

ერთი სომხის ვაჟს უყვარდა ქართველი ქალი, ვაჟს დედ-მამა ნებას არ აძლევდა ქალის შერთვისას, ვაჟი კი თავს არ ანებებდა, ბოლოს ვაჟის დედ-მამამ ვიღაც უცხო კაცები შეისყიდეს და საპატარძლო ქართველი ქალი მოაკვლევინეს, ეს ამბები ადგილობრივ გაისეებშიც იყო აღნუსხული, ხოლო უბედურების გარემოებას არავინ აკვირდებოდა. მარტოდ ის გამორჩნდა მისვსათ, რომ ვაჟის დედა-მამას ქალი არ სდომნიათო, არა ჰყვარებიათო, ის კი არა და მისვსი კი სულ სხვა იყო.

ერთ სომხის ვაჟს თფილისში უყვარდა ქართველი ქალი, ამ ვაჟს ეს ქალი უნდა შაერთა, დედ-მამა უშლიდა, ვაჟი არ შერებოდა. ბოლოს ვაჟის მშობლებმა ქალი სხვას მოაჩაცვინეს, მტაცებლებმა სჯიჯგნეს და ბოლოს გამო-

ჩინეს. საქმე კარგად ვერ გაირკვა. ნამუს ახდილი ქალი სომეხმა ვაჟმა ალარ შეირთო, ასე უსამართლოდ მოექცენ ამ ქალს.

ბეერს ალაგას მომხდარა ასე, რომ სომეხ ვაჟს შეუყვარებია ქართველი ქალი, მათთან უცხოვია სახლში, ბოლოს დანიშნულა კიდევაც და შემდეგ ისე მომხდარა, რომ ჯვარ-დაუწერალი ქალი დანიშნულისაგან დაორსულებულა, შვილებიც მისცემია, შემდეგ ის საქმე ისე მომხდარა, რომ დანიშნული თანამერჯულეთა შიშით სხვაგან გარდახვეწილა და ქალიც ალარ შეურთავს, იგი გაუბედურებულა. ესეთი შემთხვევები ხდება არა მარტო ქართველ ქალთა გვერდით, არამედ ძრიელ მრავლად რუსის გოგოების გვერდითაც. ეს ერთობ ხშირია დღესაც და ხშირი იქნება შემდეგაც, ვიდრე სჯულის ფანატიკობა არ მოისპობა.

ამ გარემოების გამწვავება პირდაპირ სამღდელოებას ეხება კისერზედ. როცა ვაჟი მიდის მღვდელთან ბილეთის ან ჯვარის წერის მოწმობის ასაღებად რომ ცოლი უნდა შეირთოს, თუ ამბავი მღვდელმა გაუგო, მაშინ შენი მტერი, საქმე ჩაიშლება. როგორ! განა თქვენ სხვა სჯულის ქალი უნდა შაირთოთ, ეს როგორ შეიძლება. ამით დაღუპავთ თქვენ თავს, ცხოვრებას, თქვენი შვილები თქვენს სჯულზედ არ მოინათლებიან, მერე რა პასუხს აძლევთ მამა-პაპათა ეკლესიას? თქვენს ოჯახში თქვენს მღვდელს და სჯულს აღარაფერი მნიშვნელობა ექმნება, იქ თქვენი ცოლი იქმნება და მისი სჯული, ეს კი წინააღმდეგია ჩვენი და დამამხობელი არა მარტო ეკკლესიის წესების, არამედ თვით თქვენის ოჯახის, ნუ იზავთ მას, თავი გაანებეთ ამ საუკუნო საწყევარ საქმეს და თქვენს ოჯახში თქვენი მამა-პაპის სჯულის კანდელს ნუ გააქრობთ, ნუ იზავ ისეთ საქმეს, რაც საწყენი იქმნება ყველა თქვენი ნათესავებისთვის. თვით მე გიშოვნით თქვენი სჯულის კარგ ქალს, კაი ოჯახისას, ზითვიანს და ფულიანს, სხვა რაღა გინდა?

ხშირად მომხდარა, რომ მღვდლის ასეთ დარიგებას საქმე ჩაუშლია, ბევრს დანიშნულს ქართველ ქალს ამით ცელი გამოსჭრია. ხშირად სადაც ასეთ საქმეს დედმამა ვერას აწყობს და საქმეს ვერ შლის, იქ მღვდლის ენერგიული პროტესტი უნდება და მას თავისიც გააქვს, ასეთ საქმეებს ხშირად მტრობა და ბრძოლაც მოსდევს, ნამეტურ კამათი. ამისთვის მათში ბევრნაირი სრიკები ხდება მისი წყალობით რომ შვილი დედის სჯულსედ არ მოინათლოსო, ამიტომ ერიდებიან მხოლოდ მართლმადიდებელთა ქალებს, თორემ ნემეცის ქალს, კათოლოკის კი ხშირად ირთავენ; რადგან ამათ შორის უპირატესობა მამის სჯულს ეძლევა. ეს არის მიზეზი, მთელი სომხობა ამით არის გამსჭვალული და აღბორგებულნი, მათის ფიქრით სომეხი კაცი სომხის სჯულის გარეშე სომეხი არ შეიძლება რომ იქმნეს, მათის ფიქრით: სომეხმა რომ მართლმადიდებლობა მიიღოს, ის თურმე სომეხი აღარ შეიძლება იქმნეს, უსათუოდ თუ სომეხი ხარ მასთანვე გრიგორიანიც უნდა იყო. მათში კათოლიკე, პროტესტანტი და სხვანი შეიძლება იქმნეს, ვინც კი არის მათში ასეთნი იგინიც ვითომც სომხები არიან!

აბა ეს როგორ შეიძლება, ასე დაბნელება როგორ იქმნება? ეს ძრიელ მოკლე შესედულება გახლავსთ და ძველებური დამპალი მოუსაბრებლობა, ამის წყალობა გახლავსთ, რომ ქართველთა და სომეხთა შორის ასეთი მტრობა არის გამწვავებული, ეს რომ არ იყოს, მაშინ მათში მძახლობაც გახშირდება და ამას სიყვარულიც მოჰყვება, დღეს კი ჩვენის ეკკლესიის და სამღვდელოების წყალობით სრული განხეთქილება მეფობს და ბოროტება. გვითქვამს და კიდეცაც ვიტყვით, რომ სჯული ვერ გამოცვლის გვარს. თუ რომ შეიძლება სომეხი გრიგორიანის სჯულისა იქმნეს, ისიც შეიძლება რომ სომეხი მართლმადიდებელიც იყოს, პროტესტანტი, კათო-

ლიკე, ისრაელი, მუსულმანი, და სხვაც, მაგრამ მასთანავე გვარტომობით სომეხი იქმნეს. სომხები თავიანთი გვარის სასარგებლოდ ასეთის შემცდარის ოცნებებით არ უნდა მოქმედებდნენ. ასე მზერა და ოცნება არც ერთ გვარს არ შეჰფერის, ეკკლესია არ უნდა იქმნეს გვარის უფროსი, ანუ მისი მეღაჰავი. ეს გინდ დღეს რომ ასე იქმნეს, მომავალში ხომ მაინც ასე არ იქნება, იგი თავის სახით არსად დაშთება, შეიმუსრება და მაშინ რაღა უნდა იქმნენ სომეხნი, უეკლესიოთ მაშ არაფერი იქმნებიან და სომხობაც ხელიდამ გამოეცლებათ?

სომხებში კათოლიკებიც არიან და პროტესტანტებიც, ამითი სომხებს არაფერი უშავდებათ, ნაცვლად ამის კათოლიკებმა ვენეციას და ვენას დახსნეს სტამბები და სომხური წიგნებით გაამდიდრეს სომხები, მათ აღადგინეს ახალი სომხეთი. პროტესტანტებმა ინგლისსა და ამერიკას დახსნეს სომხური სტამბები და დღესაც იქ ბეჭდავენ აუარებელ წიგნებს. მერე მათ რას უშლის ის გარემოება, რომ იგინი სომხის სარწმუნოების არ არიან. დროა სომხობამ ასეთ შეცდომებს თავი გაანებოს, ასეთ შეცდომები ადრე კარგად შეამჩნია გრიქორ არწრუნმა და „მშაკ“-ში ამაზედ წერილები სწერა გ. არწრუნს გრიგორიანობა არ სწამდა, მისი დაუძინებელი მტერი იყო, მაგრა ეს გარემოება არ უშლიდა მას, იგი გულშემატკივარი სომეხი მამულიშვილი იყო თავის ერისა.

ამის შესახებ საუბარი თუმცა ჩვენი საქმე და საგანი არ არის, მაგრამ მაინც ვსაუბრობთ მიტომ, რომ რამდენათაც სომეხნი ასეთის შემცდარის შეხედულებისანი არიან თავიანთ მეგვარტომეთა სარწმუნოებრივ მხარეებზედ, იგი იმდენადვე ჩვენს საენებლადაც გამოდის, მაგალითებრ ქართველ გრიგორიანთა არსებობა ამათგან არის დაჩრდილული და შეჭმული, ეს კი არ შეიძლება, აბა როგორ იქნება, დღეს რომ მთელმა ქართველობამ სომხის

სჯ'ული მიიღოს, მაშინ ხვალიდამ მათ უნდა დაიცv'ყონ ქართველობა, ქართ'ული ენა, მის მაგიერ უნდა მიიღონ სომხობა და სომხის ენა შეისv'ავლონ, დაიცv'ყონ უნდა საქართველო და მის მაგიერ სომხეთი იქონიონ სახე'ში. ერთი სიტყვით სჯ'ულის v'ყალობით უნდა ჩავარდნენ უარეს შეცდომაში. განა შეიძლება მერე ეს ასე, როგორც ეს არ შეიძლება ისევე ის, რომ სომეხმა მართლმადიდებელი ქალი შეირთოს, შვილები დედის რჯ'ულ'სედ მოინათლონ და მათაც უნდა იძახონ რომ ჩვენ სომხები არ ვართ და ქართველები, ან რ'უსები ვართო. ეს რომ ასე არ იყოს და ამისთანა შემცდარი ა'ხრები არ არსებობდეს, მაშინ არც ამოდენა მტრობა იქმნებოდა დათესილი ჩვენ შორის.

მე თამამად ვამბობ, რომ დღეს სომეხთა შორის არიან ისეთი სომხებიც, რომელნიც სარv'მუნოებით მართლმადიდებელნი არიან და გვაროვნობით სომეხნი. ასეთ სომხებს ძრიელ ხშირად შეხვდებით განჯას, ბაქოს, ერევანს, რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში და საქართველოშიაც. ასეთ კაცთა შვილებს უნდა ეწოდოსთ „მართლმადიდებელნი სომეხნი“ ანუ „პრავოსლავნი არმენინ“. ესეთი მოსა'სრება რომ აღორძინდეს მაშინ ჩვენ დარv'მუნებული უნდა ვიქმნეთ, რომ სომეხთ შორის დამკვიდრდება სრ'ული მშვიდობა და ნათელი შეხედულება, მაშინ სომეხთ შორის სხვა ტომის ქალების შერთვაც ხშირად მოხდება და გინდ სახელმv'იფო სჯ'ულ'სედ მოინათლონ მათი შვილები, მაინც მათს სომხობას, ან'უ გვაროვნობით სომხად არსებობას არაფერს დაუშლის. ამის აღორძინება მათ'ში მოსპობს ყოველნაირ განხეთქილებას და მტრობას, გარდა ამის ესეთი შეხედულება იქნეს ნამდვილი შეხედულება გვაროვნება'სედ.

ვამბობთ, რომ ამის უამისობა მით უფრო არ შეიძლება რადგანაც სომეხი ერი ჩარჩობის გამო ძრიელ გ'ულგრილია თავის ქვეყანისა და მის არსება'სედ, ვაჭრობის გ'ულისათვის სომეხი კაცი ადვილათ სტოვებს თავის სამშობლოს

და მიდის უშორეს ქვეყანაში, იქ სახლდება, სომხეთის არსებობა მას ოცნებათ უხდება. იქ ჰკარგავს ყოველივეს გარდა ეკკლესიის, ამით იფარავს ვითომც სომხობას, მაგრამ ის კი არ იციან მათ რომ ესეც დროებითი იქმნება მათში და მომავალში ესეც დაიცემა და შეიცვლება, ამას ფიქრი არ უნდა. მომავალი ამას გვამცნევს და მიტომაც მოვალენი არიან რომ ასეთ შეცდომას თავი დაანებონ, თორემ საბოლოოთ არა იქმნება-რა, რადგანაც სომეხი კაცი უცხოეთში ადვილათ სთმობს თავის ენას, ხასიათებს და თვით გვარებსაც კი ირქმევენ სხვისასო. ავნიშნავთ პირნათლად რომ სომხების ასეთ გარემოებაზედ ჩვენ როგორც ძველს მეზობელ ხალხს გული უფრო გვეთანალრება და გვსურს, რომ მათ შორის ასეთ გულ-გრილურ მიმართვას ბოლო მოეღოს, თორემ ერთ დროს ასეთის გულ-გრილობით მთელი არმენია ცარიელი დაშთება იქ სომხების მაგიერ მუსულმანები და სხვა ტომის კაცნი გამრავლდებიან, რის ნიშნები მათში დღესაც კარგადა აშკარად სჩანს.

თუ არ ამ მხრის წინააღმდეგობით, სომეხნი თავიანთ სიცალიერეს ვერაფრით შეაჩერებენ. სომხის ტომი თავის დასაღუპათ აი ამ გარემოებას უნდა ეწინააღმდეგებოდეს და არა ქართველებთან დანათესავებას, ქალის შერთვას. ამისი შიში მათ არ უნდა აქვნდეთ, რადგანაც იგი საშიში არ არის. ეგონებთ იონესიანის შვილმა, ვართაპეტოვის, სპანდარიანის და ნავასარდიანის შვილმა რომ მართლ-მადიდებელი ქალი შეირთას, მით მათი შვილები არ გადაგვარდებიან. ამას ფიცი და მტკიცება არ დასჭირდება. ასეთის მოსაზრებისა ვართ სომხებზედ და ეგონებთ აქ სამტრო და საენო არაფერი უნდა იყოს, გვაროვნობის მხრით ძალის დატანება არსად არის კარგი, სადაც რომელ ერსაც რამე ენა ემარჯვება და ამ ენის რძე ჩასწოვებია და ის ამ ენის რძით გაზრდილა, სადაც მის მამა-პაპებს

უცხოერიათ, სადაც დახოცილან და ამ ხნის განმავლობაში ძრიელ დიდ დროსაც გაუვლია, სწორედ ჩვენც ამ კუთხის ერის გვარისად უნდა ვიწამოთ. აბა რას ეგვანება ის გარემოება, რომ ჩვენ მართლ-მადიდებელ ქართველებმა ქართველ გრიგორიანები სარწმუნოების მხრით სომხათ ვიწამოთ. ესენი კი არა და სადის მოსაზრების წყალობით, თვით ნამდვილ სომეხთა შთამომავალთა ჩათვლაც კი აღარ შეგვეძლება, რადგანაც მათ კარგა ხანია საქართველოში ცხოვრების გამო ქართული ენა შეითვისეს, ქართული სნეხასიათი და თვისება რაის საშუალებითაც მათ მნახველი ქართველთაგან ვეღარაფრით გაარჩევს.

ეს სომეხნი დრო და გარემოებამ ისე ოსტატურად გარდაქმნა, გადააკეთა რომ მათს თავიანთის აღარა შერჩათ-რა, იგინი სულიერად დაუკავშირდენ ქართველებს, ერთის სიტყვით, ძრიელ ძნელად. რომ თქვენ ქართველ სომხისაგან გაარჩიოთ, ხოლო ვერც ერთს და ვერც მეორეს სომხად ვერ იფიქრებთ, რადგანაც მათ ამისი არაფერი ეტყობათ. აწინდელ ქართველ გრიგორიანი, თუ გინდ ნამდვილად მათი შთამომავალიც იყოს, მაინც იგი დღეს წარმოადგენს სრულს სახეს ქართველი კაცისას, ძნელად, რომ აქ სომეხი ვინმეს ქართველისაგან გაარჩიოს, ენა, სნე. ხასიათი და ყოველი მხარე ცხადათ მოწმობს ამ ერის მტკიცე ერთ სულობას, ერთ მტკიცე კავშირს.

სახეშია მისაღები, რომ საქართველოში არამც თუ მარტოდ ქართველ გრიგორიანები ეკუთვნიან ქართველ ტომს, არამედ ისინიც კი ქართველები უნდა იყვნენ, ვისაც ჩვენ სომხის შთამომავლად ვსთველით, აბა ერთი ბრძანეთ თუ ასეთ შთამომავალთ რა უნდა უწოდოთ ჩვენ, რომელთაც გულსა და სულში გადანერგიათ ქართული სნე და ხასიათი, დღეს იგი ქართველი კაცის მტკიცე გეგმასაც წარმოადგენს, ერთის სიტყვით საქართველოს სომეხი არის ისეთივე ქართველი – მტკიცე განუყრელი, როგორც თვით

ქართველი. გარდა ამის გინდ ეს ასე არ იყოს და იგინი სომხის შთამომავალნი იყვნენ, მაინც მათ ცხოვრების განმავლობაში იმდენი დრო და ხანა გასულა, რომ დღეს მათი განსხვავება ჩვენგან შეუძლებელია. ადრიდგანვე აქ უცხოვრიად მათ ძველებს, აქ დაბადებულან, აქვე დახოცილან, აქ არის მათი საფლავები, საფლავის ქვათა ქართული წარწერანი, აქაური სომხის წარსული არის საქართველოს ერის წარსული, მასთან მტკიცედ დაკავშირებული.

საქართველოს სომხებმა[28] როგორც არა სომხის მიწის შთამომავალმა არ იცის სომხური ენა, მისი ისტორია, მწიგნობრობა, ხნე, ჩვეულება და ათასიც სხვანი. იგი არაფრით ეკუთვნის მათს ძალას, მათი არც ავი იცის, არც კარგი. ნუ თუ ამდენ მაგალითების შემდეგ შესაძლებელი უნდა იყოს და სალს ლოღიკასთან ახლოს მდგარი, რომ კაცმა იყეიროს, რომ მე ამა და ამ გვარის ვარ, მათ ვეკუთვნი, რის ცნება და გაგება მეც არ მაქვსო, ე.ი. ადგილობრივ კი არა, სადაც დავიბადე და ალეიზარდეო. ეს იქმნება სრული შეცდომა, სრული უძლურება და კაცის საჭირო მოვლენათა არ ცოდნა. ესეთი საქციელი შეჰფერის მხოლოდ გაუგებარ კაცს, მოუსაზრებლობას, გაუნათლებლობას, რომ კაცი რომელიმე გვარს ეკუთვნოდეს, მისი ავი და კარგი არ იცოდეს და იმავე დროს იმას კი ყვიროდეს, რომ მე ესა ვარ და არა ისაო! – ისიც იმ ენით კი არა ვისაც აკუთნებს თავს, არამედ იმ ენით, რაც მან ჰუსურში იცის.

ქართველთა განთვისებას ქართველ გვაროვნობისაგან ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ქართველი სამღვდელოება უძლური ანუ გაუგებარი იყო გვაროვნულ საქმეში, იგი გულ გრილი იყო და მას ამის ძიების დროც არ აქვნდა, მეფენიც ისეთის შეხედულების იყვნენ, რომ

[28] სარწმუნოებით „სომეხი" იგულისხმება (ქ.ქ.).

საქართველოში მცხოვრებნი ოლონდ ქრისტიანები ყოფილიყვნენ, თორემ დანარჩენთან მათ საქმე არ აქვნდათ.

ასეთი ცნობები გვაქვს ქართველ გრიგორიანებზედ, მხოლოდ ამის გაგება დიდი ხანი არ არის რაც ალორძინდა ჩვენში, წინეთ ქართველი თავის დღეში არ იტყოდა, რომ ქართველი სომხის სჯულის მაღიარებელიც იქმნებოდა, თვით სომხებსაც ასეთე დანერგვიათ და იგინი არას შემთხვევაში არ იწამებენ ამას, რომ სომხის ეკლესიის მაღიარებლად შეიძლება რომ სხვა ტომის კაციც იყოს. უსათუოდ თუ გრიგორიანია ვინმე, ის უეჭველად სომხის ტომისაც უნდა იქმნეს, ამას თურმე ეჭვი არ უნდა და ესენი არამც თუ ქართველ გრიგორიანებს, არამედ თვით ქართველთ კათოლიკეთა გვაროვნობასაც კი უარს ჰყოფენ და ამბობენ, რომ ქართველ-კათოლიკენი არც ყოფილან და არც იქმნებიანო. ეს კი არა და თვით სამხრეთ საქართველოსაც კი უარს ჰყოფენ და სწერენ, რომ სამხრეთი საქართველო არმენიის ნაწილიაო და იქ მცხოვრებნიც სომხის გვარის შთამომავალნიო. იყოს ასე. მაგრამ ვიტყვით იმასაც რომ ეს იქმნებოდა მხოლოდ ახირება და სწორე შეხედულების დაბნელება, შორს გაქცევა.

ჩვენი მოსაზრება რამდენ გზისმე „მურჭში" მასხარათაც აიგდეს, ერთს წერილში, ამ გვარ შრომას ვირის შრომა უწოდეს და „სამხრეთ საქართველო" წიგნაკი, მკაცრათ უარჰყვეს, ესევე ქმნეს „ახალ მიმოხილვაში" და აქაც პასუხი მომთხოვეს, რომ იქმნება სამხრეთ საქართველოს კუთვნილების შესახებ და ქართველ გრიგორიანების შესახებ რამე ცნობები წარმოადგინოსო და ისტორიულად დაასაბუთოსო. დიახ, რომ სამხრეთ საქართველო ნამდვილად საქართველოს კუთხეა და იქ მცხოვრებთ უმეტეს ნაწილის ქართველ გვარის გრიგორიანებიო, ამას ასაბუთებს შენდეგი გარემოებაც: ქართველთ მეფობის დროს და შემდეგაც, ქართველთ მებატონეთაგან თავისუფლად

ისყიდებოდნენ მათი ყმანი, რომელთაც ყიდულობდენ სომეხთ შეძლებულნი ვაჭარნი, და შერე ამ ნაყიდს თავიანთ სჯულზედ მიაქცევდენ და ამის მოდავე მათი არავინ იყო. კანონი იყო ისე რომ მყიდველთ ბატონი თავის ნაყიდს ყმას არამც თუ მარტოდ თავის სჯულზედ გადიყვანდა, არამედ შეეძლო გაეთათრებინა კიდეც. ამ გარემოებამ დიდი მარცხი დაარტყა საქართველოს და ამან მოულო ბოლო ჩვენს ძალას. ვიტყვით იმასაც, რომ ქართველთ არამც თუ ყმობიდან და ასხვაფერებდენ, არამედ სომეხთა მხნე ხუცები ფულით ყიდულობდენ მთელს სოფლის ხალხს და თვის სარწმუნოებაზედაც გადაჰყავდათ, ამის მაგალითია შემდეგი: ცხინვალისკენ, ერთს სოფელში სცხოვრებენ გლეხნი გიგაურები. ყველა იგინი XVIII საუკუნეში გადაკავშირებულ იქმნენ სომხის საყდარზედ. დღეს გიგაურები სომხათ ითვლებიან, სარწმუნოების წყალობით გვარითაც სხვა-ფერდებიან. დღეს რომ მათთან მოვიდეს ვინმე და ჰკითხოს თვისი ვინაობა, იგინი მაშინათვე ეტყვიან, „რომ სომხები ვართო“!

ამის სასარგებლოდ ღწვა სომხის სამღვდელოებამ ადრიდანვე მოროეს, მარტოდ ერთს დიდს შრომათ ღირს ამათ მიერ გვარების გადაკეთება. მაგალითებრ მეტეხულ გლეხ-მირზაშვილებს, გვარი მირზაიანცად გადაუკეთეს, მირზაშვილები ხომ მოგეხსენებათ, ქიზიყის სოფ. მირზაანიდამ არიან, ძველადგან ყველა მირზაშვილები ქართველები იყვნენ, მათგან რამდენიმე კომლი XVIII საუკუნის დამდეგს სომხობას დაუკავშირდენ, შემდეგ დროს, იგინი სრულიად გადაბირულნიც იყვნენ, ორმა კომლმა ამის ვითარება შეიტყო, ამათ სომეხთა სასულიერო გამგეობაში საქმე ჰქონდათ და დაბადების მოწმობას იღებდნენ, სასულიერო გამგეობამ კი მათ მისცა მოწმობა და შიგ მირზაიანცი ჩაწერა, ამით საქმე ერთს გამგეობაში მირზაშვილებს კარგად გაუფუჭდათ, იგინი სხვა გვარის

წერებათ იქმნენ ცნობილნი და დროებით ამის გამო ერთი სადაურ საქმეც წააგეს. ამასედ მირზაშვილებმა სასულიერო გამგეობას თხოვნა მისცეს და ითხოვეს გვარის შვილობით ნაწერა, მაგრამ სასულიერო გამგეობამ უარი სტკიცა. რომ თქვენი გვარი მირზაიანცია და ჩვენც ასე გიბრძანებთ რომ იწოდოთო.

კიდეე მაგალითი: გორში, ერთხელ ერთის საქალაქო გამგეობის წევრის დასაფლავების დროს, საყდარში, ერთმა ქართველმა ბ. შ.–დავ. ქართულად სიტყვა წარმოსთქვა, მოკლედ დახატა განსვენებულის ღირსება, ამ გარემოებამ სასულიერო გამგეობის წინაშე ჩხუბი და კამათი გამოიწვია და სიტყვის წარმომთქმელი სამართალში იქმნა მიცემული რომ სიტყვა ქართულად რად წარმოსთქვითო. სომხის საყდარში ქართულს ენასედ სიტყვის წარმოთქმა აღკრძალულიაო. ასეთ ოცნებათა გატაცებულთათვის საქმე იქამდე მიეიდა რომ ზოგს ალაგას იგინი ქართულ საყდრებზედ ქართულ ნაწერებსაც კი ამტერევენ და ასხვაფერებენ, ეკკლესიებს აჩერებენ, ამასედ აღგილობრივ გაზეთებშიაც იყო ხოლმე ცნობები და მათ ჰკიცხავენ კიდეც. ეს არ უნდა იყოს კარგი და მოსაწონი. ვიცით ისიც, რომ სომეხთა სასაფლაოებზედ მიცვალებულთა ქვებზედ ქართულად ნაწერ ეპიტაფიებს სულ სპობენ და აქრობენ. თფილისის ვანქის გალავანში ადრე სულ ქართულად ნაწერი ძველი ქვის წარწერანი და ეპიტაფიები იყო და დღეს კი იქ ერთ ქვასაც ვეღარ ნახავთ ასეთს. უნდა ითქვას, რომ ყველა ამას მათი საზოგადოება და სამღვდელოება მიტომ ჩადის და მოქმედებს, რომ მის საშუალებით ეგები ქართველებთან ყოველნაირი კავშირი გაწყდეს, ქართული ენა მათს საბძანებლიდამ განიდევნოს, ქართულ ენას მათში აღგილი არსად ჰქონდეს.

ჩვენი მოსაზრება იყო, რომ გვესაუბრა და დაგვესაბუთებინა ის გარემოებაც, რომ ქართველებში არიან

ისეთნიც. რომელიც გრიგორიანთა სარწმუნოებას აღიარებენ და დღეს მის მეოხებით იგინი სომხის გვარათაც ირიცხებიან. ასეთ მოსაზრების დასამტკიცებლათ საჭიროა ცოცხალი ცნობები, ნამდვილი ამბები, ჭეშმარიტებასთან ახლოს მდგარი. ასეთ ჭეშმარიტებას ემორჩილება ყოველი განათლებული კაცი, ამ ჭეშმარიტებას ვერავინ აეწინააღმდეგება. ვგონებთ რომ ცოცხალ ჭეშმარიტს ცნობების წინააღმდეგ კამათი უმნიშვნელო იქმნება, ცნობების დარღვევაზედ დუმილი უბრალო უნდა იქმნეს, თუ კიდევ აქ ამის ასპარესზედ ჩვენს საწინააღმდეგოდ რამე პოლიტიკანობათ არ იქმნა მიღებული, მე ვიცი, რომ ჩვენს მოსაზრებას ზოგნი არ შეიწუნარებენ, მოსაზრებას არ დაუნდობიან, იგინი ცნობილის კილოთი კამათს მოართაენ. ამას ეჭვი არ უნდა „მურჭში“ ბატ. ფირუმიანცი ჰკვირობს დიდათ, რომ მე ზოგი ერთი სომეხთა გვარები ქართულიდამ გადასხვაფერებულად ვაღიარე და თვით მანთაშაშვილი, მირზაშვილი, ფრიდონოვი, სუნდუკაშვილი, აღნიაშვილი და ბევრიც სხვანი ქართველად ვაღიარეთ. ეს პირი ქართული თიატრის არტისტია, შთამომავლობით სომეხი, მირაღიანი, ქართულიც კარგად იცის და სომხურ ენაზედ იგი სწერს ქართველთ სკჰოერებიდამ სხვა და სხვა საინტერესო ცნობებს, ნამეტურ მწიგნობრობიდამა. ამაზედ მე მადლობასაც ვუძღვნი. მაგრამ იმაში კი ვერ დავეთანხმები, რომ ვითომც საქართველოში ქართველთ შორის, გრიგორიანები და კათოლიკები არ იყვნენ. თუ კი რომ ნახევარი საქართველო გათათრდა და ქრისტიანობიდამ ისლამზე გადავიდა, ნუთუ ქრისტიანობის სომხებსა და კათოლიკობაზედ კი არავინ გადავიდოდა, როცა ამ სარწმუნოებათა მაღიარებელთ მუსულმანთა მახვილი სულ არ სდგებნიდა.

ქართველთაგან ძველადგანვე რომ მრავლად დაკავშირებიან გრიგორიანობას ამას ასაბუთებს შემდეგი მაგალითებიც. ამ გვაროა ცნობებში ბევრი ისეთი გვარიც

არის მოხსენებული, რომელიც ნამდვილ ქართული გვარია, ტყტიური, მაგრამ სხვაფერ გადაკეთებული, დამახინჯებული, უნდა ითქვას, რომ ეს ცნობები და გვარები ჩვენის მასალების დასამტკიცებლად მეათასე ნაწილია, მის შეკრება და აქ ყველას მოყვანა შეუძლებელია. ვგონებთ ჩვენის ჰასრის დასამტკიცებლად ესეც კმარა. ისევ ამას მივმართავ და ისევ ცნობებმა ილაპარაკონ. ამის წინააღმდეგი თუ ვინმე რამეს იტყვის, ვიხოვთ, რომ იმან მასხარობა და მტრობის დაწამება და კიცხვა-გმობა იქით გადადოს და ცნობები მოიყვანოს. ამას ჩვენ მით უფრო ვნატრობთ, რადგანაც ჩვენ ქართველნი და ჰაოსიანები ერთი მხრის ხალხნი ვართ, ერთს ჭირსა და ვარამში განელილნი, ერთ გარემოებაში მყოფნი, ამიტომ რა საჭიროა, რომ ჩვენში რამე გვაროვნული მტრობა არსებობდეს, ან ერთმა შეჭამოს მეორე და ან მეორემ პირველი. ჩვენი ნატვრა გახლავსთ, რომ ყოველმა პირმა თავის გვაროენობა დაიფაროს და ყველგან და ყოველთვის სომეხი სომხად იქმნეს ცნობილი და ქართველი ქართველად. ვგონებთ, რომ ამაზედ მეტი დიდი რამ სამკაული კაცობრიობის წინაშე სხვა არა უნდა იყოს რა, რათა ერთმა მეორე არ ჩანთქას და არ გააქროს. ერთმა მეორე არ შეჭამოს, როგორც ამას ნატრობენ მრავალნი სრული სახელმწიფონი და თავიანთაგან დამონებულ ერს აქრობენ და სჭამენ. აი ესეც ზოგი გვარები ქართველ გრიგორიანებისა.

ავალიშვილი, ავალოვები, ყველამ ვიცით, რომ ქართველები არიან. მათში ზოგი თავადიშვილია, ზოგი აზნაურის. XVIII საუკუნის ნახევარს, რამდენიმე წელი ამ გვარისა დაუკავშირდეს თათრებს აჭარაში, გრიგორიანობას და კათოლიკობასაც. თფილისში ცხოვრებენ ასეთ შთამომავლად გასომხებულ ქართველ ავალიშვილები, ვინაობა სომხად მიაჩნიად.

ალხაზაშვილი, ახეთში მთელი სოფელია ქართველთა, ამათგანია ჩვენი ცნობილი მოღვაწე ილია ალხაზოვი. მაგრამ არიან ამათგა ძველად გაულ ქართველნი, გასომხებულნი დღეს ალხაზოათ იწოდებიან და გვარიოვნობის ალარა იციან რა.

აჭარიანი, სიტყვა აჭარ ეგონებთ ყველამ ვიცით სადაც არის. აჭარიანცები მეფურნე კრუა სომხებიც არიან, გადაწყვეტით ვიტყვი, რომ აჭარიანცები ძველად აჭარელ ქართველნი უნდა იყვნენ, აჭარიდამ გასულნი და შემდეგ დროს გასომხებულ და სრულიად გადაგვარებულ ქართველთაგან, დღეს სომხის კათოლიკენი არიან.

არეშიძე ხომ ვიცით, რომ ქართული გვარია. არეშიძეები მრავლად სცხოვრობენ საქართველოში. ტფილისში რამდენიმე ხალხოსანი სცხოვრებს არეშიძეების. არეშიძეა ხომ გიორგი არეშიძე, ქართულ ენაზედ რამდენიმე სამეცნიერო წიგნთა მთარგმნელი. ამათგან ძველად რამდენიმე პირი დაუკავშირდა გრიგორიანობას და მის მეოხებით დღეს იგინი არეშიძეს მაგიერ არეშოვად იწოდებიან და სომხად სთვლიან თავს. ამათი რიცხვი საკამარისია თფილისში.

აბულოვი — აბულიანცი, ქართულად აბულაძე. აბილაძეებით სამსეა საქართველო. აბულის მთაც ხომ იცით სად არის, ჯავახეთს, მთლათ აბულაძე-აბულოვები აქედამ გაიფანტნენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში. ამათგან რამდენიმე წევრნი XVIII საუკ. გრიგორიანობას დაუკავშირდა დღეს ტომობითაც სომხობენ.

ბარათაშვილი, ხომ ვიცით რომ ქართული გვარია, ბარათაშვილები არიან თავადები, აზნაურები და მცირედ გლეხნიც. დუშეთში სცხოვრობენ ბარათაშვილები, ქართველს გვარის შთამომავალნი და გრიგორიანის სარწმუნოების მქონი, ამის გამოც იგინი ტომობითაც სომხობენ, თავიანთ დედა ენათ სომხურს ენას სთვლიან, ნამდვილი

ქართველთ შთამომავალნი კი არიან. დუშეთში ასეთ გასომხებულთ ქართველთ რიცხვი ასობით მოითვლება.

ბაქრაძე, ჩომ ვიცით, რომ ბაქრაძე ქართული გვარია. XVIII საუკ. ვიღაც ბაქრაძეთაგანს სჯული მიუღია, დღეს იგინი სომხათ ირიცხებიან. თვითაც ასე ჰგონიათ თავიანთი ვინაობა. სომხებიც ასე უმსერენ, რომ ბაქრაძეები სომხები ყოფილან ძველადვეო.

ბასილაშვილი, ნაოსრები არიან, სოგი ამათგანი თფილისში სომხის სჯულის ვაჭრებს დაახლოვებიან, მერე მათი სჯულიც მიუღიათ, დღეს ბასილოვათ იწოდებიან და ნამდვილად სომხობენ.

ბეგთაბეგის შვილები, ბეგთაბეგისშვილები სომხის შთამომავალნი არიანო, ამაზედ ჩვენ არას ვიტყვით, ისიც კი უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ამათ სომხობის არა სცხიათ რა. ქართველ თავადისშვილებათ ირიცხებიან, სომხებთან არავითარი ნათესავობა არც ძველად და არც შემდეგ არ ჰქონიათ. თვით სიტყვა ბეგთა-ბეგიც ქართული ენის ფორმის სახით არის წოდებული.

გიგაური, ქართლში, გორის მაზრაში, ერთს სოფელში, სცხოვრობენ მრავლად გიგაურები, გლეხნი. ძველად ესენი ნაოსრები იყვნენ, მთელმა ქართლმა იცის, რომ გიგაური გვარია. ამ გვარის წევრნი თფილისშიაც სცხოვრობენ. რაღაც შემთხვევის წყალობით, XVIII საუკუნის ნახევარს, ერთს სოფლის ხალხს სომხის სჯული მიუღიათ და ამიტომ დღეს მთელი სოფლის გლეხთ გიგაურებსაც თავი სომხად მიაჩნიათ.

გიორგაძე, ყველამ კარგად ვიცით რომ ეს გვარი იმერულია და ამ გვარის წევრნი იმერეთში მრავლადაც სცხოვრობენ. დღეს, ამ გვარის შთამომავალნი სცხოვრობენ თფილისს, ამათ წინაპარი ადრე დაკავშირებია გრიგორიანობას და ამიტომ დღეს იგინი სომხად იწოდებიან, გიორგიანცად.

გველესიანი, თვით მცირედ მცოდნემაც კი უნდა იცოდნეს, რომ გველესიანი ქართველ-მეგრული გვარია. ამ გვარის წევრთა რიცხვი დიდია იმერეთში და თყიბულისშიც სცხოვრობენ. ერთი ამ გვარის წევრთაგანი ადრე გრიგორიანობას დაკავშირებია. დღეს მისი შთამომავალნი ქუთაისში სცხოვრობენ და რჯულის გამო სომხათ ირიცხებიან. ამათგანია ქართველთ მოღვაწე და გაზეთ „ალორძინების" რედაქტორი გრ. გველესიანი. ამას წინეთ „ნორ-დარში" გველესიანცი უწოდეს.

დურგალიშვილი, სომხურადაც დურგალს ეს სახელი დურგალი ჰქვიან. ამაზედ არ ავხირდები; მხოლოდ იმას კი ვიტყვი, რომ დურგალიშვილებით სავსეა ქარიოლი და ამათ შორის რამდენიმე პირი მოიპოვება, რომელთაც სომხის სჯული აქვთ და მის გამო იგინი დღეს სომხობენ კიდეც.

ბერიშვილი, ხომ ვიცით, რომ სიტყვა ბერი[29] ქართული სიტყვა არის და ამ გვარის ქართველნი მრავლად სცხოვრობენ, როგორც სხვა და სხვა სოფლებში, ისევე თფილისში. თფილისში ამ გვარის წევრნი გრიგორიანობასაც ალიარებენ, მათ შეძლებაც აქვთ, თუმცა სომხურს ენაზედ ერთი სიტყვაც არ იციან, მაგრამ სომხობენ.

დალაქიშვილი[30], გორის მაზრაში აქა იქ, ქართველებში მრავლად სცხოვრობენ დალაქიშვილები, რომლებიც სჯულით გრიგორიანებს ეკუთვნიან და ამიტომ თავიც სომხად მიაჩნიათ, თუმცა სიტყვაც არ იციან სომხობისა.

გულაშვილი, ანუ ივანე გ'ულა'შვილი შემდეგ გადაკეთდა ივანგ'ულათ, ივან გ'ულოვათ. დღეს ივანგ'ულოვები ძველადგანვე გადასულნი, გასომხებ'ულნი

---

[29] ეს სიტყვა არ არის ქართული წარმოშობის (ქ.ქ.).

[30] დალაქიშვილი სომხურად გადაკეთებული „დალაქიანცი"-ს ფორმით პატარა ხანისშია შემხვედრია, ხანისის ნაქალაქარზე გათხრების დროს გვეხმარებოდა. პასპორტში ერიონება სომეხი ეწერა, თუმცა თვითონაც უკვირდა რატომ (ქ.ქ.).

მამულაშვილი, სიტყვა მამული ხომ იცით, რომ ქართული სიტყვა არის, მამული მამულაშვილი. მამულაშვილები სცხოვრებენ გურიას, იმერეთს, თფილისს და ქართლის სხვა და სხვა სოფლებში, მამულაშვილები ყველგან ქართველები არიან, ამათგან რამდენიმე სული ძველად გრიგორიანებს დაკავშირებიან და ამიტომ დღეს იგინი მამულოვათ იწოდებიან და სომხათ ირიცხებიან. სომხურად მამული გვარად არ შეიძლება, რადგანაც მამული ბეჭდვას ეწოდება.

დარიბაშვილი, ეს სიტყვა ქართულია, ძველად რამდენიმე ღარიბი ქართველი დაკავშირებია გრიგორიანებს, დღეს იგინი სომხათ ირიცხებიან და გვარათაც კარიბოვათ იწოდებიან.

ლოლაძე, ყველამ ვიცით, რომ ლოლაძე ქართული გვარია, საქართველოში ყველგან ქართველები არიან და ზოგნი ასნაურისშვილნიც. ძველად რაღაც მანქანებით ერთი ოჯახი ლოლაძეებისა გრიგორიანობას დაკავშირებიან, დღეს მათი შთამომავალნი ვერასედ სცხოვრებენ და სომხათ ირიცხებიან. ამათგანია თვით მეწიგნე იოსებ ლოლაძე, რომელიც სომხად ირიცხება და სომხობის კი არაფერი სცხიათ.

ამბარდანა. დღეს ამბარდანოვი, თფილისში გასომხებულნი არიან, კახეთში კი ქართველნი ძველადგანვე.

კოხტიევი. კახელნი, ქართველნი, შთამომავლობით. შემდეგ დროს თფილისში გადმოსულნი და სჯულის გამო გასომხებულნი.

მამაცაშვილები, სიტყვა მამაცი ვიცით რომ ქართული სიტყვა არის, ჩვენ ვიცით კარგად რომ მამაცაშვილი ქართული გვარია, ძველადგანვე ესენი ასნაურიშვილებათ ირიცხებიან. ამ გვარიდამ XVII საუკ. ორიოდ წყვრნი გრიგორიანთ ეკკლესიის წესებს დაუკავშირდენ, დღეს იგინი სომხათ ირიცხებიან.

მაჩაბელი, ხომ ვიცით, რომ ძირეული ქართული გვარია და მასთან თავადისშვილებიც არიან. სცხოვრობენ ცხინვალისკენ. ამათგანი ძველად შემთხვევით დაბადებულან უკანონოდ შობილნი, იგინი მოუნათლავად სომხურად და დღეს მიტომ სომხათაც ირიცხებიან, ასეთ სომეხ მაჩაბელნი სცხოვრებენ გორსა და ხაშურს – ვაჭრობით.

სანდაძე, სანდაძეს ცოლად სომხის ქალი შეურთავს, პირობისამებრ, ერთი შვილი გრიგორიანის სჯულით მოუნათლავთ. სანდაძე ჯავახეთს სცხოვრებს, შვილების ერთი ოჯახი გრიგორიანის სჯულისა არს, ამიტომ ამას თავი სომხათ მიაჩნია. სომხის ეკლესიის მნათედაც ითვლება ეს სანდაძე. ამის გვარი „მშაკში“ სანდოიანცად მოიხსენეს, ერთ დროს, ამის ცნობა ილ. ალხაზოვსაც აქვს თავის მშვენიერ წიგნს „ბუნება და ცხოვრებაში“.

ტურიაშვილი, ტურა ხომ ვიცით ქართული სიტყვა არის. ამ გვარის წევრნი ადრე დაუკავშირდენ გრიგორიანებს, დღეს ტურიანცად იწოდებიან.

თარხნიშვილი, თარხნიშვილები არიან ქართველნი, თავადიშვილები, ამათგანი ძველად გადასულნი გრიგორიანობაზედ დღეს სომხათ ირიცხებიან

მზარეული, დღეს დროის წყალობით მზარეულოვათ გადაკეთებული, ძველადგანვე იყვნენ ქართველნი, ამათგანი სცხოვრებენ სოფ. დიღომს და ბევრს კიდევ სხვაგან, ზოგნი ამათგანი ძველად დაუკავშირდენ გრიგორიანობას და ამიტომ დღეს იგინიც ტომით სომხობენ.

სოსიაშვილები, სოსე. სოსია ქართული სახელია. სცხოვრებდენ ძველადგან ქართლს. XVIII საუკ. დაუკავშირდენ გრიგორიანობას, დღეს სოსიანცად იწოდებიან.

შაბურიშვილი, დღეს შაბუროვი, ვიცით კარგად რომ შაბუროვი, ძველადგანვე შაბურიშვილები ქართველ აზნაურის შვილებათ ირიცხებიან და სცხოვრებენ შუშაბუროს, დუშეთის ახლოს, ამათ ერთი ოჯახი შემთხვევით ძველად

სომხობას დაახლოვებიან, მათი სჯული მიუღიათ და ამიტომ დღეს მათი გვარის წევრნიც სომხათ ითვლებიან, თუმც მათ სომხობის არა სცხიათ-რა, ასეთ სომეხ შაბუროვები თფილისში სცხოვრებენ.

ღარღაძე. თფილისელნი, ძველადგან დაკავშირდენ გრიგორიანობას, დღეს სჯულის გამო სომხობენ. ერთ ღარღაძეთაგანი თერძი იყო. მოკვდა, დიდი ქონება აქვნდა, ეჩმიაძინს შესწირა. იგი დაასაფლავეს კუკიის სომეხთ ეკკლესიის წინ ქვაზედ ღარღანიანცი აწერია.

მუჩაიძე. ვიცით რომ ესენი სცხოვრობენ იმერეთს, თვით ჩვენის მოღვაწე მწერლის ალ. ნანეიშვილის მეუღლეც მუჩაიძეა. რამდენიმე წევრნი თფილისს სცხოვრებენ, სჯული გრიგორიანის აქვსთ, ამიტომ ტომითაც ასომხებენ.

თუშიშვილი. ვიცით ყველამ რომ თუშიც იგივე სახელია რაც ქართველი და სხვანი. ადრე ერთი თუ ორი კომლი თუშების შემთხვევით სომხობაზედ გადასულან. ამათი წევრნი დღეს თფილისს სცხოვრობენ და თუშურიანცად იწოდებიან.

ლაზიშვილი. ლაზი – თუ რას ნიშნავს ვგონებთ ამას ახსნა არ უნდა. ძველად ლაზელი ვინმე დაკავშირებია გრიგორიანობას, დღეს ესენი ლაზიანად იწოდებიან და სომეხ-კათოლიკეთ ირიცხებიან[31].

ობოლ-გოგიანცი, ობოლ-გოგიაშვილი. სცხოვრობენ ჰაელაბარს, ძველად დაკავშირებული გრიგორიანობასთან დღეს სომხად ირიცხებიან. „იხ. მიმ. №6562“ 1904 წ.

ღამბარაშვილი. დღეს ღამბაროვი. ჩვენში ღამბარაშვილი ღამბარებათ ძველადგანვეა ცნობილი. თვით „კალმასობის“ ერთ მოქმედ პირთაგანი ღამბარაშვილია, ადრე

[31] აქ უფრო უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ როგორც ხდებოდა მასიურად, ქართველ კათოლიკებს სომხურ კათოლიკურ ტიპიკონზე გადაწერდნენ და ისე ასომხებდნენ (ქ.ქ.).

რამდენიმე კომლი გრიგორიანობას დაკავშირებიან, დღეს მის გამო სომხობენ და ღამბაროვათ იწოდებიან.

როსტომიშვილები, მრავლად სცხოვრობენ საქართველოში, ყველგან ქართველნი არიან, ზოგნი ამათგან გრიგორიანობას ადრე დაკავშირდენ, დღეს სომხად ირიცხებიან და როსტომოვათ იწოდებიან.

ჯაშიტაშვილი, ჯაშიტა, ჯაში მეტი იქნება ავხსნათ რომ ქართულია. ჯა'შიტა რაჭაში მრავალია, ჯაში გურიაში არის, აქედამ არის გადაგვარებულ გასომხებულ დღეინდელი თფილისის სომეხთ ჯაშიტოვები, „იხ. მიმ. № 6764".

ათაბეგოვი, ამათი ძველი გვარი ჯაყელია. სულ ამ გვარიდამ არიან გასულნი და გათათრებულნი, გასომხებულნი და გაფრანგებულნი. სომეხნი დღეს ათაბეგოვებათ ირიცხებიან, ათაბეგოვები ყიზლარსაც სცხოვრობენ.

ზურაბიშვილი, გრიგორიანობასთან დაკავშირებულნი, დღეს ზურაბოვათ იწოდებიან და სომხობენ, სცხოვრობენ ჰალეაბარს. ზურაბი სომხებში სულ არ იხსენება.

დიდ-ზურაბიშვილები, სჯულით გასომხებულნი დღესიწოდებიან დიდ-ზურაბოვათ.

ქონიაშვილები, თფილისელნი, გასომხებულნი. დღეს სალოვი.

მესამთლეშვილები, ძველადგანვე გასომხებულნი სჯულით, დღეს სომეხნი და წოდებულნი სეუჩნიკოვებათ.

მელიაშვილები, ძველი ქართველ მოქალაქენი. გასომხებულნი ძველად სჯულით. დღეს ირიცხებიან სომხად და გვარად იწოდებიან თარგმნით ლისიცოვი.

ხუციშვილები. ყველამ ვიცით, რომ ხუცი ქართული სიტყვა არის, ხუციშვილები სცხოვრებენ საქართველოს ყველა კუთხის სოფლებში და ყველგან ირიცხებიან ქართველებათ. ძველად ამ გვარის რამდენიმე წევრნი ჯავახეთში გადასულ იქმნენ კათოლიკობაზედ, რამდენიმე გრიგორიანობაზედ, კათოლიკენი სცხოვრებენ ჯავახეთს სოფ.

ხისაბაკარს. ამ გვარიდამ კათოლიკეთ ასპარესზედ ბევრი შესამჩნევი მოძღვარ-მოღვაწენიც გამოსულან. მართლმადიდებულ ქართველნი სცხოვრებენ საქართველოს ყველა კუთხეებში და გრიგორიანები გორის ახალ ქალაქს, ამ გრიგორიან ხუცისშვილთაგანი ერთი მღვდელიც არის, ადრე ამათზედ ლაპარაკი ჩამოვარდა ქართულ მწერლობაში და ითქვა რომ ხუცისშვილი ქართველიაო. მღვდელმა პასუხი დაბეჭდა „მშაკში“ და იწყინა და იტკიცა ქართველობა. ჩვენ ნამდვილი სომხის შთამომავალნი ვარო და სომხეთიდგან მოსულნი აქაო, ჩვენ ქართველებთან არას დროს არავითარი ნათესავობა არ გვქონიაო!

გომელაური. ყველამ ეიცით კარგად, რომ გომელაური ქართული გვარია. ამ გვარის წევრნი მრავლად სცხოვრებენ ქიზიყისაკენ. ერთი ოჯახი გომელაურების ძველად დაუკავშირდა გრიგორიანობას, ერთი ასეთ სომეხთაგანი სცხოვრებს სიღნაღს. ვაჭარი გომელაური.

სულხანიშვილები. ძველის ძველი გვარია ქართველთა, სცხოვრობენ მრავლად ქართლს, ზოგნი აზნაურიშვილებიც არიან და მასთანავე ძველადგანვე განთქმულნი, ზოგნი კახეთშიაც სცხოვრებენ. თფილისში მცხოვრებ სომეხ სულხანოვები გვარის წევრთაგან არიან გასულნი ძველადვე.

ზოზიაშვილები. თფილისელები, ნაოსრები არიან, ზოგნი ქართველნი, ზოგნი სომხობაზედ გადასულნი.

ლომიძე. ყველამ ეიცით რომ ქართული გვარია და საქართველოში ვინც კი სცხოვრებს ყველა ქართველია. XVIII საუკ. რამდენიმე წევრნი ამ გვარის მოსდოკისკენ იქმნენ წასულნი და იქ გრიგორიანობასთან დაკავშირებულნი, ერთ ამათგანი გენერალ ლომიძე, გაკვირვებულია თავის გვარის წევრთა გასომხებაზედ, გენერალმა იცოდა რომ იგინი მარტოდ სჯულით იყვნენ გრიგორიანები, იგი მოსდოკელი იყო, ამის წინაპარ ქართველთ იქ მიულიათ სომხის სჯული. ლომიძეები საქართველოში ქართველნი არიან.

პანჩულიძე. ძველი გვარია, ზოგი აზნაურთაგანია არიან. რამდენიმე წევრნი ამ გვარის ვახტანგს მეფეს გაჰყვნენ რუსეთს. ერთ ამ გვარის წარმომადგენელი თავის დროს ერთს გუბერნიის ქალაქში გუბერნატორადაც იქმნა დადგენილ. ამათ შთამომავალთაგანი დღესაც სჯსოვრობენ რუსეთში, ასევე იწოდებიან. ამ გვარის წევრთა ზოგნი XVIII საუკ. დამდეგს გრიგორიანობასთან იქმნენ დაკავშირებულნი და ამიტომ დღეს პანჩულიანათ იწოდებიან, – იანცი-ღა აკლია.

ფრიდონიშვილი–ფრიდონიძე–აფრიდონიძე. სჯსოვრობენ საქართველოს ყველა კუთხეებში. ნამეტურ ფშავ-ხევსურეთში. თვით სიტყვა ფრიდონაც ქართულია, იგი გრიგორიანებში სულ არ იხმარება. XVIII საუკუნის დამდეგს ფშაველ-ფრიდონიშვილებმა თფილისში იწყეს ვაჭრობისთვის გადმოსვლა და ყველ-ერბო და მაწყლის ჩამოტანა. ამ საქონელს იგინი ჰყიდნენ თფილისის ისეთ ვაჭრებსედ, რომელთაც სჯული გრიგორიანი აქვნდათ. ვაჭრობის მხრით ესენი ერთმანეთს დიდათ დამეგობრებიან. შემდეგ დროში, მეგობართ ვაჭართა ოსტატობით ფრიდონიშვილებს ყმაწვილები ჰყოლიათ მოსანათლი, ამ ყმაწვილების ნათლიათ ვაჭარ გრიგორიანები ყოფილან და ამიტომ ამათის დავალებით და პატრონების თანხმობით ყმაწვილები სომხის მღვდელს მოუნათლავს, მაშინ ამის თავისუფლება იყო. არავინ რას დაუშლიდა. ამ ფრიდონიშვილების შთამომავალნი არიან დღეინდელ მდიდარ ფრიდონოვები, რომელთაც ქართველობის აღარა სცხიათ-რა. ზოგნი ამათ იტყვიან, რომ ეითომც ესენი თავადის გელოვანის შთამომავალნი არიან, ესეც შეიძლება. იქმნება ეს მეორე შტო არის მდიდარი ფრიდონოვების.

მალხაზიშვილი. სიტყვა მალხაზი ხომ ეიცით რა არის. დღეს გრიგორიანობის გამო მალხაზიშვილები მალხაზიანად იწოდებიან

ელისბაროვი. სომხებში ელისბარი არც ყოფილა და არც უნდა იყოს. ელისბარი ქართული სახელია და ამ გვარის ხალხი მთლად ქართველნი იყვნენ, ეხლა კი მათშიაც გამოერივნენ გრიგორიანები და ესენიც ელისბაროვად იწოდებიან.

ვახტანგისშვილი. ძველადგანვე მთლად ქართველნი იყვნენ. ვახტანგისშვილები სცხოვრებენ მთელ საქართველოში. ამათგანი დაკავშირებია გრიგორიანობას და დღეს მის გამო სომხათ აღიარებენ თავს და ვახტანგოვად იწოდებიან.

ნადირაძე. ამათ გვარის ხახლხით სავსეა საქართველო. ყველგან ქართველები არიან. ამათგან არიან გასულნი და გრიგორიანობასთან დაკავშირებულნი დღეინდელი ნადიროვები.

მენთეშაშვილები. მენთეშაშვილები სცხოვრებენ ქიზიყის სოფ. მაჩხაანში 60 კომლი და ასევე მცირედ სხვაგანაც სახლობენ, ყველგან ქართველ სჯულისანი არიან. ყველა იგინი მენთეშაშვილებათ იწოდებიან, ზოგს ალაგას სიტყვის სიადვილის გამოთქმის გამო მანთაშაშვილებსაც უხმობენ. ძველადგანვე იგინი ქართველ იყვნენ და ქართველადვე იწოდებოდენ. იგინი გამოჩენილ გვარის მეომარ და ოჯახისშვილებადაც ირიცხებოდნენ და მეფე თეიმურაზ და ერეკლესაგან სიგელ-გუჯრებიც აქვსთ ბოძებული. XVIII საუკუნის ნახევარს, ლეკიანობის შიშის გამო, რადგანაც ქიზიყს ხშირად ესხმებოდენ თავს, რამდენიმე კომლი მენთეშაშვილების გადმოსახლებულ იქმნენ თფილის და დ აქედამ ზოგი წავკის, ბორბალოს, ვაშლოვანს დასახლდენ, ეყმნენ იქაურ მებატონეთა და გრიგორიანის სარწმუნოებასაც დაუკავშირდენ. ასევე მოხდა თფილისში, ამიტომ მენთეშაშვილებს მოქალაქე სომეხთაგან მანთაშაშვილი ეწოდათ. დღეინდელი მდიდარი მანთაშოვი და სხვანი ვინც კი სცხოვრებენ აქა იქ თფილისის ახლო-მახლო სოფლებში,

ყველა იგინი სემოხსენებულ მანთაშოვების შთამომავალნი არიან. მანთაშაშვილებს XVIII საუკ. მეფის თეიმურაზის II-ისაგან ეძლევათ ა'სატობის და თარხნობის წერილები. დაბეჭდილია 1899 წ. „ივერია"-ში მოკლედ უნდა ითქვას, თბილისელ სომეხს მანთაშოვები XVIII საუკ. ნახევარს ქიზიყიდამ არიან გადმოსახლებულნი

წამალაშვილი. წამალი ხომ ქართული სიტყვა არის, გვარიც ქართულია, მაგრამ დღეს გრიგორიანთა სარწმუნოების გამო წამალაშვილი წამალიანცათ იწერება.

შავარდენაძე. ძველი ქართული გვარი, საქართველოში მრაელად სცხოვრებენ. ბორჩალოს მა'ხრაში, შავარდენაძეების რამდენიმე კომლი დაუკავშირდა გრიგორიანობას და ამიტომ დღეს იგინი შავერდოვად იწოდებიან. ქართველ შავერდაშვილები კუკია'ში სცხოვრობენ.

კოხტაშვილი. ქართული გვარი, ქართული სიტყვაა. ამ გვარიდამ გრიგორიანობას დაკავშირებულნი დღეს კოსტიევათ იწოდებიან.

იასამანოვი. თვით იასამანოვი არის მთხრობელი ამის, რომ ძველად ჩვენ ქართველნი ვიყავით და შემდგომ გადავსულვართ ამ სჯულსა და სომხობა'ზე.

აღნიაშვილი სცხოვრებენ კახეთს და თფილისს. XVIII საუკ. გასომხდნენ, დღეს აღნიანი, კელნიანი და სხვანი.

ბუხრაშვილები. ნაოსრები სცხოვრებენ მუხრანს

ალავერდაშვილი, ალავერდოვი. მთაწმინდელი, მამა-პაპით ქართულის ენით მოლაპარაკე, დღეს ალავერდოვი და გაგვარებული, ერთ ამ გვარის წევრთაგანი ქართულად მწერლობს კიდეც, ფსევდონიმი აქვს ჩარხიშვილი. ამ პირმა ქართულს ენაზედ დასტამბა ერთი მოთხრობა „უძლური ვარინკა" რომელიც თფ. ცალკე წიგნათ გამოიცა 1903 წ. ამ რომანის წინასიტყვაობაში სხვათა შორის იგი სწერს შემდეგ საყურადღებო ცნობას, რომელიც უმნიშვნელო არ იქნება მოვიყვანოთ აქ: „მე ვსწავლობდი თფილისის

სახელოსნო სკოლაში. მე სომეხი[32] ვარ, მაგრამ სომხური არ ვიცოდი, საქართველოს სომხები მარტოდ სჯულით ვართ სომხები, თორემ ეროვნობით ქართველები ვართ, როგორც ფრანგები და თათრებიც, სომხების განყოფილებაში ქართული ენა აკრძალული აქვსთ, იქ არავის ასწავლიან ამ ენას, არც მე მასწავლიდენ. ქართული წერა მე ჩემის შრომით და მალვით შევისწავლე. ამიტომ ამხანაგები მე „ვერაცას" მეძახდნენ. ე.ი. ქართველს. როცა ეს ამბავი სომხური ენის მასწავლებელმა და მღვდელმა შეიტყეს, მათ ამის გამო სასტიკათ გაკიცხეს. ქართულ ენას ნუ სწავლობო, ასეთის ვაი ვაგლახით შევისწავლე ჩემი ღვიძლი ენა – ქართული" ამის შემდეგ აქ აღარას ვიტყვი. მკითხველისთვის მიგვინდვია ბოროტად ქართული ენის დევნის ვითარება, მადლობა ღმერთს, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის ქაროველ გრიგორიანს, ან როგორც მათ სურს ისე ვსთქვათ – სომეხს.

ნამურაძე, ქართველნი, სცხოვრებენ მთელს საქართველოს კუთხეებში და ზოგნი აზნაურისშვილებიც არიან. არავითარი ნიშანწყალი ამ გვარის კაცთ სომხის არა აქვსთ რა. ხოლო ერთი ამ გვარის წევრის ოჯახთაგანი XVIII საუკუნის ნახევარს თფილისში რაღაც შემთხვევით დაკავშირებიან გრიგორიანებს და იმიტომ დღეს მათი შთამომავალნი ნამურაძეს მაგიერ ნამურა'სოეათ იწოდებიან. დღეს ესენი სომხობენ და სომხური ენაც ისე აქვსთ შესწავლილი, რომ ერთი მათგანი, ქალი, დღეს საუკეთესოდ ამშვენებს თფილისის სომხურ თიატრის სცენას. თვით ამათაც კარგად იციან გადმოცემით, რომ წინეთ ქართველები იყვნენ, მათი გვარი ნამურაძე იყო, მაგრამ დღეს ნამურაზოევები არიან და ამიტომ თავიც ჰაებათ მიაჩნიათ. უცხო საკვირველება არ უნდა იყოს ეს ჩვენთვის, რადგანაც

[32] საეწმუნოებით „სომეხი" იგულისხმება (ქ.ქ.).

გვაროვნობიდამ ადვილად გადასხლება ქართველთ ხელობად გადიქცა ამ ბოლოს დროს.

ქოჩორაშვილი, ქოსორი ხომ მოგეხსენებათ, რომ ქართული სიტყვა არის. მაგრამ დღეს ქოსორიანცად იწოდება ქოსორაშვილი, რადგანაც ადრე ამათი წინაპარნი გრიგორიანობას დაკავშირებიან.

მამაჯანაშვილი, ძირეულ ქართველნი, შემდეგ გრიგორიანობას დაკავშირებულნი დღეს მამაჯანიანცად წოდებულნი, თვით ჩემი მეზობლებიც არიან.

მამინაშვილი, გურიაში სავსეა ამ გვარის ხალხით, იქ მამინაშვილად იწოდებიან. ამათგანი ძველად გრიგორიანობას დაუკავშირებიად და დღეს მიტროპ მამინოვათ იწოდება.

შანშეშვილი, შანშე ძირეული ძველი ქართველი გვარია, ქართველობიდამ გასულნი დღეს შანშიაშვილად იწოდებიან: ამ გვარსვე დაუკავშირდენ ძველად გამყრელიძენი – XVIII საუკ.

მირზაშვილები, სოფელი მირზაანი ქიზიყშია. თათრულად მირზა ბატონიშვილს ეწოდება. მირზაშვილები სულ აქაურები არიან და აქედგანვე გაფანტულნი საქართველოს კუთხეებში. ზოგი ქართლს სცხოვრებს, ზოგი კახეთს. თფილისს და სიღნახსაც. ამათგან რამდენიმენი ძველად გრიგორიანებს დაკავშირებიან და ამიტომ დღეს თფილისის მირზაშვილები სომხებათ ირიცხებიან – მირზოვებათ.

თავ-ქალაშვილები, სიტყვა ქართულია, დღეს ესენი გრიგორიანობის გამო თავქალიანცად იწოდებიან.

პურადაშვილები, მესხები, ზოგნი კათოლიკობას დაუკავშირდენ, ზოგნი გრიგორიანობას, დღეს პურადოვი.

თუმანიშვილები, თათრულად[33] ეს სიტყვა შარვლის შემკერავს ნიშნავს. ზოგნი სომხები არიან, ზოგნი ქართველნი, ზოგნი კათოლიკენი სარწმუნოებით, ყველა ესენი

[33] იგულისხმება თურქულად (ქ.ქ).

ტომით ქართველნი არიან, ხოლო სარწმუნოებით სხვა-და-სხვა. ამიტომ გრიგორიანები გვაროვნობითაც სომხობენ, თუმც მათ სომხობის არა იციან რა. სომხეთში კი სომხებიც არიან თუმანიანები.

ჯავახიშვილი, რაც არის ჯავახი ეგონებ ყველა ქართველმა უნდა იცოდეს, ჯავახიშვილები თავადებიც არიან ქართლში ჯავახიშვილები საქართველოში ყველგან სცხოვრებენ. ძველად ყველა ქართველები იყვნენ. ოსმალთა დევნილების დროს ჯავახეთიდგან გამოსულნი და მოფუნილნი, ძველად ჯავახეთში სომეხთ რიცხვი ჭაჭანებათაც არ ყოფილა. ზოგნი ამათგანი დაუკავშირდენ გრიგორიანებს და ამიტომ დღეს გვაროვნობითაც სომხობენ, ასეთ გადაგვარებულნი სცხოვრებენ თფილისს.

მირიანაშვილები, მირიანი ქართული სახელია. ქართლის შორის ამ სახელის მეფენიც იყვნენ ხშირად, დიდათ გამრავლებული გვარია. უმეტესად ესენი ქართველნი უნდა იყვნენ, ანაგულნი და ძველადგანვე აქედამ გასულნი და მოფუნილნი მთელს საქართველოში. ზოგნი ამათგანი გრიგორიანობას დაკავშირებიან და ამიტომ იგინი დღეს სომხათ სთვლიან თავიანთ ეინაობას, მირიანაშვილები ქართლიდამ ძველად იმერეთსაც გადასახლდნენ ვაჭრობის მხრით. დღეს იქ მირიანაშვილები არიან ძველად გასულნი ქართველობიდამ.

ნარიმანაშვილი, დღეს ნარიმანოვები თფილისში ძველადვე გასულნი ქართველობიდამ და გასომხებულნი გვაროვნობიდაც. ამ გვარის წევრთა ბინა ივრის ხეობაზეა, სოფ. პატარძეულს და სადაც დღესაც ცხოვრობენ ქართველი ნარიმანაშვილები.

წერეთელი. რაც არის ეს გვარი და რაც და ვინც უნდა იყოს ამ გვარის წევრთა ვინაობა, ეს მე მგონია ყველას უნდა ეცოდინოს, მაგრამ ერთ ამ გვარის წევრთაგანი ძველად გრიგორიანობას დაკავშირებია და ამიტომ იგი

დღეს თავის გვარტომობას სომხათ სთვლის. სცხოვრებს თფილისს.

მარტიაშვილები. სიტყვა მარტივი ქართული. ქართველებიც არიან, მაგრამ ზოგნი სომხებიც არიან, ვინაიდგან ზოგნი ამათგანი ძველადვე დაკავშირებულან გრიგორიანობას.

ფანიაშვილი. ძველი ქართველი აზნაურიშვილების გვარია. სცხოვრებენ ქართლს, ყველა ესენი ქართველნი არიან. ერთი ამათგანი ძველად სპარსეთში წასულა, იქ გრიგორიანობას დაკავშირებია, ამიტომ დღეს მათი შთამომავალი თფილისში გვაროვნობით სომხად იწოდება, თუმცა აზნაურისშვილიც არის და ღვიძლი მონათესავე რუსეთს ქართველთ. ფანიაშვილების – დღეს ფანიანცი.

ძიძიკოვი. ოსური გვარია. ქართლის გაქართველებულ ჯავის ხეობის ოსებთაგანის რავდენიმე პირნი XVIII საუკ. გრიგორიანობას დაუკავშირდნენ და ამიტომ დღეს იგინი გრიგორიანებად სთვლიან თავს.

ხიდირბეგიშვილი. თავადიშვილთა გვარია სულ ქართველნი არიან, ერთი ამათგანი ძველად გრიგორიანობას დაუკავშირდა, სახელად მას ასატურა უწოდეს, შემდეგ ამ პირთ გვარადათ ასატუროვი დაერქვა ხიდირბეგიშვილის მაგიერ.

ხახანაშვილი, ძველად ესენი ქართველ ისრაელნი[34] იყვნენ და სცხოვრობდენ ცხინვალს და მის თემისკენ. ამათგანი ძველად ქართველობას დაუკავშირდნენ, დღეს ხახანაშვილები გორში ცხოვრებენ. ამათგან ერთი ოჯახი ძველად დაუკავშირდა გრიგორიანობას და ამიტომ დღეს ესენი სომხად იწოდებიან, ზოგნი ქართველად. ამათგანია პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი

[34] ქართველი ებრაელები (ქ.ქ.).

ზალიაშვილები, ქართველები არიან, სომეხნი[35] ქართველობიდამ გასულები ძველად, საალი სპარსებსაც ეწოდებათ ძველად, ეს სახელი სომხებში არას დროს არ ყოფილა.

ხიზანოვი, სიტყვა ხიზანი ვგონებთ ყველამ ვიცით თუ რაც არის. ხიზანი სიტყვა შესიზნიდამ არის წარმომდგარი. ყველანი ქართველები იყვნენ, ზოგი ხიზანთაგანი XVIII საუკ. ფულით დაუკავშირდნენ გრიგორიანობას და ამიტომ დღეს იგინიც ვინაობას სომხად სთვლიან. ქართველის ხიზანაშვილების მთელი სოფელია ქართლში.

მელვინოვი, მელვინეშვილი. ძველად სულ ქართველები იყვნენ. ზოგნი ამათგანი XVIII საუკ. გრიგორიანობას დაუკავშირდნენ, ამიტომ დღეს თავიანთ ვინაობასაც სომხად სთვლიან. მელვინოვი სომეხი არ შეიძლება. სომხურად მეგინოვი უნდა იყოს, ეს გვარი კი მათ არა აქვსთ. ვერც გამოითქმება ადვილად.

ბაინდურაშვილები, ცხინვალელნი. ქართველი გვარისანი, გრიგორიანობას ესენი ადრიდგანვე დაუკავშირეს, ამიტომ დღეს თფილისის გრიგორიანები ბაინდუროვად იწოდებიან.

ჩხეიძე, იმერთ ძველი თავად-აზნაურთა გვარია. XVIII საუკ. ნახევარს კათოლიკობას დაუკავშირდნენ, დღეს იგინი მოსდოკს სომეხ კათოლიოთეთ ირიცხებიან.

დადიანი, ყველამ ვიცით, რომ ეს გვარი ქართულია – მეგრული. ძველთაგან ზოგ ამათ ნაბიჭვრებთაგანი სტამბოლს იქმნენ დაყიდულნი. ერთი ამათგანი დაუკავშირდა გრიგორიანობას, ამიტომ იგინი XVIII საუკ. გვაროვნობითაც გადასხვაფერდენ, გასომხდენ. ვის არ გაახსენდება სტამბოლში დადიან ფაშა სულთან აზიზისა, სომეხი, გამოჩენილი კარგი ფაშა, სომეხთა საქმეების გულ შემატკივარი, ამას გარდა, სხვაც ბევრი არის ასეთი გვარებისა.

---

[35] გასომხებულს გულისხმობს (ქ.ქ.).

დოღაშვილი, ერეკლე მეფის ხაბაზნი, შთამომავლობით ქართველნი, მაგრამ დაკავშირებულნი გრიგორიანობაზედ ძველადგანვე, მერე სომხურად ხმობილნი.

კოშკაშვილები, მცხოვრებნი სოფ. ნავთლუხის ყველა ქარველნი იყვნენ, ზოგნი ამათგანი დაუკავშირდენ გრიგორიანობას და ამიტომ დღეს თავიანთი ვინაობაც სომხად მიაჩნიათ. ქართულ ენასაც კი აღარ ხმარობენ ამათი ქალები და ვაჟები ამბობენ, რომ „სომხები ვართო ჩვენა“-ო.

გოზალოვი, ამათი ძველი გვარი კოჭიაშვილია. მთლად მესხები იყვნენ, ქართველთ გაჭირების დროს ზოგი კათოლიკობას დაუკავშირდა, ზოგი გრიგორიანობას, ამიტომ დღეს მათი ვინაობა სომხად მიაჩნიათ და იწოდებიან გოზალოვათ. გოზალოვები დღეს არიან კათოლიკის სჯულის, გრიგორიანის და ბერძნისაც, გათათრებულნიც[36] არიან და სცხოვრებენ მესხეთში

საფარაშვილები, ხომ მოგეხსენებათ საფარის ტაძარი, საფარელნი, გაბრიელ საფარელი და სხვანი. აჭარაში საფარაშვილების ორი სოფელია, სხვაგანაც სცხოვრებენ. სამცხე-საათაბაგოს აოხრების დროს, ზოგი საფარაშვილები კათოლიკობას დაუკავშირდნენ, ზოგნი გრიგორიანობას, ზოგნი ისლამს. გრიგორიანთ რიცხვი ჩვენში დიდია, მათ თავიანთ ვინაობისა აღარაფერი ახსოვთ, სომხობენ.

ხიმშიაშვილები, ყველამ ვიცით, რომ ეს გვარი ქართულია, იგი არის თავადიშვილების გვარი. სცხოვრებდენ ძველად ქვედა აჭარას. XVIII საუკ. დამდეგს ზოგნი ამათგანი ისლამს დაუკავშირდენ, ამათგანი იყო აბდულ ბეგი ხიმშიაშვილი, სელიმ ფაშა, ამისი შვილი ახმედ ფაშა და შარიფ ბეგი ხიმშიაშვილი, გათათრების გამო ზოგნი ამათ წევრთაგანი ქართლსა და კახეთში გადმოსახლდენ. ერთ ამათგან სიმონი რქმევია, დღევანდელი სიმონიშვილები

[36] იგულისხმება გამუსულმანებული (ქ.ქ.).

ამათგანი არიან. თელავის სიმონიშვილები სიმონოვად წოდებული და XVIII საუკ. დაკავშირებულნი გრიგორიანობაზედ.

წმინდოაშვილები, ქართველობიდამ გასულნი სცხოვრებენ დუშეთს. ამბობენ რომ ზოგი ამათგანი ბარათაშვილებათ იწოდებიან. ამათი გასელა ქართველობიდამ XVIII საუკ. დამლევს უნდა მიეწეროს.

დონდაროვები, ძველადგან სამეგრელოდამ თფილისში მოსულნი, ბატონის შიშით მალვით მცხოვრებნი, თფილისში სომხის სჯულს დაუკავშირდენ, შემდეგ დროს გამრავლდენ. ამათი ძველი გვარი დონდუა არის, თფილისში დონდაროვად გადაუკეთებიათ. დღევანდელი სომეხ დონდაროვები მეგრელთა დონდუების შთამომავალნი არიან.

გიორგაძე, ქართველთ შთამომავალნი. დღეს გრიგორიანცი. გასომხებულნი. სცხოვრობენ 3-მე თუმანოვის ქუჩაზედ. თვითონაც ლაპარაკობენ ამას, რომ წინეთ ჩვენ ქართველები ვიყავითო. 75 მან. დავხარჯე, რომ გვარი გადავაკეთებინე კონსისტორიაში - გრიგორიანცათო[37].

ქიტიაშვილი, ყველამ ვიცით, რომ ქართველები არიან. ზოგნი ქიზიყს სცხოვრობენ, ზოგნი სურამს. სოფ. და სხვაგან ზოგნი ამათგან გრიგორიანობას დაკავშირებულან, ამიტომ ესენი დღეს ვინაობას სომხად სთველიან, ესენი ალში სცხოვრობენ.

ხარაზიშვილები, ქიზიყში მთელი სოფელი სცხოვრობს ხარაზიშვილების. იმერეთში და ქართლშიც სცხოვრობენ. სოფ. ლიჩიდამ ერთ ხარაზიშვილებთაგანი გადმოუყვანიათ სურამს, იქ ეს უყიდია ერთ სურამელს სომეხს, იმას იგი თავის სჯულზედ მოუნათლავს, XVIII საუკ. ამიტომ მის მომდევარნი სომხად იწოდებიან.

მეღორეშვილები, ქართველები XVIII საუკ. გადასულნი ქართველობიდამ სომხობაზედ.

---

[37] ზ. ჭიჭინაძე არ აკონკრეტებს თუ რა იყო ამ ფაქტის მიზეზი.

ჩარექაშვილები, ძველად მესხეთს სცხოვრობდნენ, ქართველთ გაჭირვების დროს აქეთ-იქით გადასახლდნენ. ამათგანი ზოგნი კათოლიკობას დაუკავშირდნენ, ზოგნი გრიგორიანობას, გრიგორიანები ვინაობით სომხობენ. კათოლიკ ჩარექოვები ასნაურიშვილებიც არიან, სცხოვრობენ ქუთაისს და ვინაობაც კარგად იციან.

მეტივეშვილი, მეტივე ბორჯომის მხრის ჭობისხეველნი არიან, აქ მათში სომხის ხსენებაც არ ყოფილა არას დროს. ერთი ამათგანი დაკავშირებია გრიგორიანობას და ამიტომ იგი ვინაობითაც სომხათ ითვლება – დღეს მეტივეანცად.

ხახუტაშვილები, ძველი ქართული გვარია. მთლად ქართველები არიან, ზოგნი ამათგანი XVIII საუკ. თფილისში გრიგორიანობას დაკავშირებიან და ამიტომ იგინი დღეს სომხათ ირიცხავენ ვინაობას, სცხოვრობენ ავლაბარში.

მანველოვები, არიან ქართველები, სცხოვრობენ მრავლად პატარა თონეთს. წინეთ კი რაჭაში, სოფ. წესს. ძველად გადმოსახლდნენ თფილისს, ახალციხეს, კოთელიას, აქეთ ზოგნი გაფრანგებულან, ზოგნიც გასომხებულან სჯულით. დღეინდელი მანველოვები სცხოვრობენ სურამს, ახალ-სოფელს, თფილისს, ავლაბარს, ნახალოვკას და სხვაგან ამათი შთამომავალნი არიან, ხოლო ქართველობიდამ გასულნი. ქართველნი ყველგან მანველიძეთ იწოდებიან, გასულნი კი მანველოვებათ – მანველიანცათ.

აფხაზიშვილები, სცხოვრობენ სოფ. ლილოს. ძველად ეს აფხაზიშვილები ქართველობიდამ სომხის სჯულზედ გადასულან, მერე სომხობიდან ქართულზედ გადასულან, შემდეგ ამის ისევ სომხობაზედ გადასულან და დღეს იგინი ირიცხებიან გვაროვნობით სომეხნი, თუმც მათ მამა-პაპათ ამ გვაროვნების არა ჰქონიათ რა.

ხუბლარია, მეგრელნი. სამეგრელოდამ გლეხნი გაიქცნენ ბატონის შიშით ერევნისაკენ, იქ შეუერთდნენ

სომხის სჯულს. შემდეგ გამრაელდნენ. XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის მფარველობის წყალობით აცვაედნენ. დღეს სომეხთ ხუბლაროვები მეგრულ ხუბლარიების შთამომავალნი არიან.

ჭიპაშვილი, თფილისში ძველი მდიდარი სომეხთა გვარი, იმერ ჭიპაშვილებთაგან შთამომავალნი XVII საუკ. იმერეთიდამ გადმოსულნი თფილისს და სომხის სჯულზედ გადასულნი. აქამდის ამით შთამომავალნი ჭიპაშვილებად იწოდებოდნენ თფილისში, დღეს კი ჭიპიანცად იწოდებიან.

ღვთისიევ, იმერელთაგანი. თვით ეს გვარი იმცნევა თუ ვინ უნდა იყოს იგი.

აქ ამაზედ მეტს გვარების დასახელებას არ ვსაჭიროებთ, ესეც საკმარისია ჩვენის მოსაზრების დასასაბუთებლად, თუ რამოდენი რიცხვი უნდა იყოს ქართველ გვარის ხალხის სომხის გვარიენობის ქვეშ შესული და დაჩრდილული. თუ საჭირო იქნება, მაშინ არამც თუ მარტოდ ამ გვარებით დაბოლოვდება ქართველთ საქმე, არამედ მთელის ქართლის მცხოვრებ ქართველთ გრიგორიანთა გვარებსაც დავასახელებთ, ეგონებთ რამდენიმე ათასი გამოჩნდეს[38].

ამ გარემოებას სომხის სასულიერო წოდებამ ყურადღება მიაქცია და ამ 40 წლის წინეთ, ქართველ გრიგორიანებს ნამდვილ ქართული გვარების სომხად გადაკეთება უწყეს და ყველას გვარი – ტერით და იანცით

---

[38] ს. ჯიჯინაძე, თავის ერთ-ერთ შრომაში „სამხრეთი საქართველო", აქ ჩამოთვლილი ზოგიერთი გვარის გარდა, კიდევ ასახელებს შემდეგ გვარებს: ღარღაძე, ტატიშვილი, სანაძე, მოცოშვილი, ყაფყასიანცი, აბაშიძე (თამაზოვი). „ბოლოს ქველა ამ გვარებს მარტოდ იანცები მიემატება და მით საქმეც გათავდება – დასძენს აეტორი. ასეც არის მთლად ეს გვარები გადაკეთებული, ბევრს ქართულ გვარს იანცი ძალიან ეწინააღმდეგება, გვარს ასახიჩრებს, მაგრამ რა გაეწყობა. ძალა ალმართს ხნავს"(ს.ჯ) (ს. ჯიჯინაძე, „სამხრეთი საქართველო", დმანისი III. გვ.287-288).

გადაასხვაფერეს. 40 წლის წინეთ კი არა და ბ-ნ ილ. ალხაზიშვილის სიტყვით, 15 წლის წინეთ. ერთი ქართველი ჯავახი – სანდაძე გრიგორიანობას დაკავშირებია. სანდაძე ჯავახელია და მასთან შეძლებული პირი. ამ პირს ჯავახეთში ეკკლესიის მნათობა მიანიჭეს, ეს ამბავი „მშაკ“-ში იყო გამოცხადებული, რომ სანდაძე მნათედ ამოარჩიესო, იქვე ფრჩხილებში სანდაძე – სანდოიანცად იყო დაბეჭდილი. ამის მაგალითებიც ათასობით შეგვიძლიან დავასახელოდ. ქართველ გრიგორიანებსაც არწმუნებენ, რომ ვითომც მართლაცა და ისინიც შთამომავლობით სომეხნი არიან და მათი გვარებიც ასე უნდა იქმნეს გადაკეთებული.

ჩვენის ცნობებიდგან ცხადად სჩანს, რომ გრიგორიანობასთან ქართველ გვარის ხალხი მრავლად უნდა იყოს დაკავშირებული. ჩვენც ეს გვინდოდა რომ გვეთქვა, რომ ქართველობის უმრავლესობა არის გრიგორიანობასთან დაკავშირებული. გვითქვამს ეს, ვამბობთ და მომავალშიაც ვიტყვით ამას. ჩვენ გრიგორიანთ ეკკლესიის საწინააღმდეგო არა გვაქვს რა. ეს სჯული შეიძლება ოდესმე მთელმა ქართველობამაც მიიღოს, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ იგინი ამით გვარითაც კი არ გადასხვაფერდებიან, არამედ თავისით უნდა დარჩენ. რომელი ეკკლესიის წესებიც ამას არ ითმენს და სჯულის მიღებისთანავე გვარს სჭამს. ის ჩვენც საცდურ სჯულად მიგვაჩნია და გვარი ჭამიათ. ასეთ სჯულათ ჩვენ ვთვლით ისლამს. ვინც ისლამს მიიღებს იმ დღიდან უნდა იძახოს, რომ მე თათარი ვარო. ასეა მაგალითებრ იმ ქართველთ, სომეხთ, ბერძენთ, ბოლგარელთა, სერბთა და სხვათაც, რომელთაც ისლამი მიუღიათ. ყველა ესენი დღეს ამბობენ, რომ თათარი ვართო. ისლამი გამოდის გვარი ჭამიად. ეს არავის მოსაწონია და მით უფრომ ჩვენი, ქრისტიანების, რომელნიც ჭეშმარიტ პროგრესიულს გზას ვადგეეართ. ჩვენ ნება არა გვაქვს, რომ ქრისტიანობის საშუალებით ან ერთი

გვარი შეეჭამოთ და ან მეორე. ერთმანეთის შეჭმა არავის მოსაწონია და მით უფრო ჩვენი. ეს წერილი მე დავსწერე ჩვენის ისტორიულის შეცდომების ასაცდენათ, ზოგი რამ გვაროვნობის ცნობების გასარკვევად და არა რამე განსაკუთრებულის პირობებით, რომ ან ერთი დავამციროდ და შეეჭამოთ და ან მეორე ავამაღლოდ და დავაწინაურიდ. არა, ამისაგან ჩვენ შორს გახლავართ და ამიტომ ზოგიერთნი რამე მლიქვნელობას ნუ დაგვწამებენ.

ის კი ვიცი, რომ გამოჩნდებიან ჩვენთ შორის ისეთი პირნიც, რომელნიც ამაზედ ცილს დამწამებენ, ბრალს დამდებენ მტრობის და განხეთქილების დასათესად, მაგრამ ამაოდ, აქ ჩემს წერილში სამტრო არაფერია. თუ აქ სადმე სომხის გვარის საწინააღმდეგოდ რამე იყოს ნათქვამი, მაშინ მე ამ მარჯვენა მკლავს მოვიჭრი, მაგრამ რა გაეწყობა, ჩვენშიაც არიან ისეთი პირნი და სომხებშიაც მრავალნი რომელნიც ჭეშმარიტებას უკუღმართად ემსახურებიან. იგინი ბრძანებენ, რომ ვითომც ჩვენ ვაერცელებთ ქართველთა და სომეხთ შორის გვაროვნულს მტრობას, ის კი არა თვით ეს გმირები, თვით ეს ვაჟბატონები ავრცელებენ ყოველ ნაირ მტრობას და ზიზღს.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენმა ცნობილმა მოღვაწე-მგოსანმა აკაკიმ ზოგი ერთ სომეხთ შესახებ წერილები სწერა, ნამეტურ იმ პირთა საწინააღმდეგოდ, რომელთაც ქართველების წინაშე რამე ბოროტება მიუძღოდათ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ასეთი პირები თფილისის სომხებში მრავლად სცხოვრებენ და იგინი ქართველებს ყველგან სისტემატიურად სდევნიან. მას არც ეჭვი უნდა და არც ლაპარაკი. ეგონებთ ასეთ პირთა მხილება ჩვენგან არ იქმნება უკანონო და მით უფრო ისეთის მწერლისაგან როგორც აკაკი გახლავსთ. გარეშე ასეთის პირების აკაკის ერთი სიტყვაც არა აქვს ნათქვამი სადმე ცუდი. ერთი სიტყვითაც არ ახსენებს სადმე ზიზღით მოელს სომხობას,

სომხის გვარს, ენას, მწერლობას, ისტორიას, წარსულს და სხვანი. იგი თუ ეხება ვისმეს მხოლოდ კერძოებითი პირებს და მათ დანათეს მტრობისას, სხვა არაფერს, მეტს არაფერს, ნაცვლად მტრობის იგი ყოველთვის და ყველგან ქართველთა და სომეხთა ერთობას, ძმობას და სიყვარულს ჰქადაგებს. მას ეჭვი არ უნდა, რადგანაც ეს მის ნაწერებში გაპნეულია.

სომხის უმრავლესობამ ზოგიერთა პირთა მეოხებით აკაკი სომხის გვარის მტრად ალიარეს, ასევე სწერეს კიდეც სომხურს ჟურნალ გაზეთებში, რომ აკაკი სომხის გვარის მტერიაო. ეს სულ ტყუილები გახლავსთ, ჭორები, ეს მოგონებული გახლავსთ იმ მავნე კერძო პირებისაგან, რომელთაც აკაკი ეხებოდა ხოლმე, ამათ თავიანთ კერძო საზიზღრობა და გმობა მტრობათ მთელს სომხობაზედ აქვსთ გადატანილი და ხალხშიაც ისე გავრცელებული. ასეთ პირთაგან თვით მეც შევსწრებივარ ხშირად აკაკის უჯეროდ კიცხვას და მტრობის დაწამებას. შეებმიყართ, ბაასი ამტყდარა და ვერც ერთს მათგანს ვერ უნევნებია ის წყაროები და მასალები, თუ აკაკი სად ჰკიცხავს მთელს სომხობას და სომხის გვარს. ასეთი ცილის წამება ბატონებო დიდი სირცხვილი უნდა იყოს და საგმობიც, უნდა ითქვას, რომ საგვაროვნო ბოროტებას და მტრობას აკაკი კი არ ავრცელებს, არამედ ესეთი პირები, რომელნიც აკაკის მოუფიქრებელ ბრალს სდებენ, ცილს სწამებენ, და მით სომხობაშიაც მტრობას და ზიზღს სთესვენ. თორემ ვერც ერთი მათგანი ვერ დაასახელებს თუნდ ერთს ნაწერს აკაკისას, რომ იგი მთელს სომხობასაც და სომხის გვარს აძაგებდეს, ეს ბატონებო დიდი ცოდვა არის და არც საკადრისი განათლებული სომხის საზოგადოების ზოგი ერთ წევრთათვის, რომ აკაკის კიცხვას ზოგი ერთს ულირს სომეხთა წინააღმდეგ მიმართულს საზოგადო ხასიათს აძლევენ და დამწერს სწამებენ ისეთ ცილს, რომელიც

აკაკის თავის დღეში გულშიაც არ გაელებია. ნაცვლად ამის, აკაკის კალამი ყოველთვის მომხრეა უძლურთა მფარველობის სხივებით, კეთილშობილურის კაცთ მოყვარეობით, სათნოებით, თანასწორობით და უმაღლესის ნათელის დედა-აზრებით და ნუთუ შესაწყნარისია ზოგი ერთგან ასეთი მიუტევებელი ბრალის დადება? ჭეშმარიტად რომ არა.

სწორედ ეს ბატონები სთესვენ მტრობას, სწორედ ესენი ემსახურებიან ბოროტებას და არა აკაკი. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ამ პირებმა სთარგმნონ ყველა ის აკაკის ნაწერები სომხურს ენაზედ, სადაც სომეხთ მტრობა საზოგადოთ არის განმარტული და იგი წააკითხონ ხალხს, რათა თვით სომხის საზოგადოებას ექმნეს თვალთ წინ აკაკის გესლიანი ბოროტი კალამი, რასაც იგინი სწამებენ. თორემ სომხების უმრავლესობა ქართულს არაფერს კითხულობენ, იგინი ერწმუნებიან თავიანთ ზოგი ერთ თანამემამულეთა და მათის წყალობით ყოველი ჭორი, ცილი და ბოროტებაც უტყუვრათა სწამთ აკაკის ნაწერების და მტრობის შესახებ. ეს ბატონებო არ არის კარგი და საკადრისი. სირცხვილია, სირცხვილი, რომ ზოგი ერთ სომეხთა საშუალებით ასეთი ცრუ ხმები იფინება სომხობაში არამც თუ სიტყვით, არამედ კალმითაც კი.

განა სომხები კი იშვიათად ჰკიცხავენ ზოგი ერთ ქართველთ ცნობილ პირებს, განა მათ კი ცოტა ჯერ ულანძღავთ ქართველთ ეერაგობა, უმხელიათ მათი უსამართლობა. რა უყოთ, ჩვენ ერთი რომელიმე კერძო ქართველის გაკიცხვის გამო მათთვის მთელი ქართველობის გმობა და ბრალი როდი დაგვედვია, არამედ ერთი პირის, ერთის უგვანობის. ამიტომ სომხობაც მოვალეა და ნამეტურ ის პირნიც, რომელნიც თვალთ ყურს ადევნებენ ქართულ მწერლობას, რომ იგინი ჭეშმარიტს გზაზედ იდგნენ და აკაკის კერძოებითი მიძღვნილ გმობას საზოგადო ხასიათს

ნუ აძლევენ, უგვან და ულირს სომხის ხსენებას *მთელი* სომხის გვარის საქმეებს ნუ უკავშირებენ, *ერთი მეორესგან* ნუ გადააქვსთ. თორემ ბატონებო ეს აკაკი, ესეც მისი ნაწერები, გაიცანით და გააცანით სომხის საზოგადოებასაც, თუ აკაკი რად ჰკიცხავს სომხის ნაციას, ენას, ისტორიას, წარსულს და სხვანი. უამისოდ კი აკაკის კიცხვა და მტრობის ვრცელება უკანონოდ და უადგილოა[ა] მიგვაჩნია.

სომხის საზოგადოებას აკაკისად უარესად შეაშფოთებს ილია ჭავჭავაძე. მაზედაც სწერს და სწერენ „მშაქში“, „მურჭში“, „ნორ-დარში“ და სახვაგანაც, რომ ილ. ჭავჭავაძე სომხების დაუძინებელი მტერიაო, ამ გვართ ცილთ რიცხვი არ აქვნდა. ცილი საწყულს გადავიდა. სომხურ მწერლობაში მისი მტრები იმარჯვებენ. სომხების საზოგადოების წინაშე ათასნაირს ჭორსა და ცილს ავრცელებენ და ამტკიცებენ რომ ვითომც სომხის ერი ილ. ჭავჭავაძეს ჭირივით სძულდეს. ვითომც ეს პირიც მათ შეჭმას, გადაყლაპვას ერთის კალმითაც კი ნატრობდეს. ამაზედ არამც თუ ენით, არამედ მწერლობითაც კი ავრცელეს. თვით 1904 წ. აგვისტოს „მურჭში“ შენიშნეს ასე: **ამ დღეებში, თფილისში, ცალკე წიგნად გამოიცა რამდენიმე ლექსი ილია ჭავჭავაძისა, ლექსები მაღალის იდეებით და ჰაზრებით ბრწყინავენ. ყოველს ლექსს აქვს თავისებური მაღალი მნიშვნელობა და კეთილი ჰაზრები. ცოდო არ არის, რომ ასეთი ბრწყინვალე ძვირფას ლექსების მწერალი, ასეთი კარგი ჰაზრების მფენილი კი სომხობის მტერი იყოს და გვაროვნობის ზიზღსა სთესდეს, – ეს კი ვერაფერია“.** ასეთ ცილი და ბოროტების დაწამება ილ. ჭავჭავაძის საწინააღმდეგოდ ერთხელ არ ყოფილა დაორჯელ, არამედ მრავალჯერ და მრავალ ალაგას.

ვიტყვით ამაზედაც, რომ ესეც ჭორებია და მიუპატიებელი ცოდვა, ცილის წამება, ბოროტება და

უკადრისი ღირსება. ჩვენს დროში ცილის წამება და ისიც ასეთის განა შეჰფერის ვისმეს რამე? რასაკვირველია არა, მაგრამ რასა ვიქმთ, როცა ბოროტების მფუნელთ ხელში კარგი იარაღი უკავიათ, რაცა სურთ იმასვე აერცელებენ. ვიტყვით, თამამად, რომ ილ. ჭავჭავაძეს სომხის გვარი, მთელი ერი, ენა, მწერლობა და მოქალაქეობა ერთხელაც კი არ გაუკიცხავს სადმე, ამის წინააღმდეგ არამც თუ კიცხვა, არამედ ერთი სიტყვაც არა აქვს ნათქვამი სადმე. მარტოდ მტრობის ვრცელება კი არ არის საქმე, არამედ, ცნობა არის და მტკიცე ჭეშმარიტება. ილ. ჭავჭავაძეს ერთი სიტყვაც არ არქვს სადმე სომეხთა სამტროდ ნათქვამი, მისი „ქვათა ღაღადი" გადიკითხეთ და თქვენ ერთ ცნობასაც ვერ ჰპოვებთ, რომ მათ ილ. ჭავჭავაძე სომეხთა გვარსა და პატივისცემას ჰკიცხავდეს და მუსრავდეს. სირცხვილია და არა საკადნიერო რომ ილ. ჭავჭავაძისაგან ზოგი ერთ სომეხთადმი მიძღვნილი მდურვა მთელს გვარზედ გადააქვთ და მით მართლაცა და დიდს მტრობასაც აერცელებენ. ამით სურთ ვაუბატონებს, რომ ქართველთა და სომეხთ შორის სიყვარულს ჩამოვაგდეყოთო, ის კი არა მტრობას აერცელებენ და ზიზიღს.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენმა ცნობილმა მოღვაწე-მგოსანმა აკაკიმ ზოგიერთ სომეხთ შესახებ წერილები სწერა, ნამეტურ იმ პირთა საწინააღმდეგოდ, რომელთაც ქართველების წინაშე რამე ბოროტება მიუძღოდათ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ასეთი პირები თფილისის სომხებში მრავლად სცხოვრებენ და იგინი ქართველებს ყველგან სისტემატიურად სდევნიან. ამას არც ეჭვი უნდა და არც ლაპარაკი. ვგონებთ ასეთ პირთა მხილება ჩვენგან არ იქმნება უკანონო და მით უფრო ისეთის მწერლისაგან როგორც აკაკი გახლავსთ. გარეშე ასეთის პირების აკაკის ერთი სიტყვაც არა აქვს ნათქვამი სადმე ცუდი. ერთი სიტყვითაც არ ახსენებს სადმე ზიზღით

მთელს სომხობას, სომხის გვარს, ერას, მწერლობას, ისტორიას, წარსულს და სხვანი. იგი თუ ეხება ვისმეს მხოლოდ კერძოებითი პირებს და მათ დანათეს მტრობისას, სხვა არაფერს, მეტს არაფერს, ნაცვლად მტრობის იგი ყოველთვის და ყველგან ქართველთა და სომეხთა ერთობას, ძმობას და სიყვარულს ჰქადაგებს. ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც ეს მის ნაწერებში გაბნეულია.

სომხის უმრავლესობამ სოგიერთა პირთა მეოხებით აკაკი სომხის გვარის მტრად აღიარეს, ასევე სწერეს კიდეც სომხურს ჟურნალ-გაზეთებში, რომ აკაკი სომხის გვარის მტერიაო. ეს სულ ტყუილები გახლავსთ, ჭორები, ეს მოგონებული გახლავსთ იმ მაენე კერძო პირებისაგან, რომელთაც აკაკი ეხებოდა ხოლმე, ამათ თავიანთ კერძო საზიზღრობა და გმობა მტრობათ მთელს სომხობაზედ აქვსთ გადატანილი და ხალხშიაც ისე გავრცელებული. ასეთ პირთაგან თვით მეც შევსწრებივარ ხშირად აკაკის უჯეროდ კიცხვას და მტრობის დაწამებას. შევბმივართ, ბაასი ამტყდარა და ვერც ერთ მათგანს ვერ უჩვენებია ის წყაროები და მასალები, თუ აკაკი სად ჰკიცხავს მთელს სომხობას და სომხის გვარს. ასეთი ცილის წამება ბატონებო დიდი სირცხვილი უნდა იყოს და საგმობიც, უნდა ითქვას, რომ საგვაროვნო ბოროტებას და მტრობას აკაკი კი არ ავრცელებს, არამედ ესეთი პირები, რომლებიც აკაკის მოუფიქრებელ ბრალს სდებენ, ცილს სწამებენ, და მით სომხობაშიაც მტრობას და ზიზღს სთესვენ. თორემ ვერც ერთი მათგანი ვერ დაასახელებს თუნდ ერთს ნაწერს აკაკისას, რომ იგი მთელს სომხობასაც და სომხის გვარს აბაგებდეს, ეს ბატონებო დიდი ცოდვა არის და არც საკადრისი განათლებული სომხის საზოგადოების ზოგიერთ წევრთათვის, რომ აკაკის კიცხვას ზოგი ერთს უღირს სომეხთა წინააღმდეგ მიმართულს საზოგადო ხასიათს აძლევენ და დამწერს სწამებენ ისეთს ცილს, რომელიც

აკაკის თავის დღეში გულშიაც არ გაევლებია. ნაცვლად ამის, აკაკის კალამი ყოველთვის მომხრეა უძლურთა მფარველობის სხივებით, კეთილშობილურის კაცთ მოყვარეობით, სათნოებით, თანასწორობით და უმაღლესის ნათელის დედა-აზრებით და ნუ თუ შესაწყნარისია ზოგი ეროვნან ასეთი მიუტევებელი ბრალის დადება? ჭეშმარიტად რომ არა.

სწორედ ეს ვაუბატონები სთესვენ მტრობას, სწორედ ესენი ემსახურებიან ბოროტებას და არა აკაკი. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ამ პირებმა სთარგმნონ ყველა ის აკაკის ნაწერები სომხურს ენაზედ, სადაც სომეხთ მტრობა საზოგადოთ არის განმარტებული და იგი წააკითხონ ხალხს, რათა თვით სომხის საზოგადოებას ექმნეს თვალთ წინ აკაკის გესლიანი ბოროტი კალამი, რასაც იგინი სწამებენ, თორემ სომხების უმრავლესობა ქართულს არაფერს კითხულობენ, იგინი ერწმუნებიან თავიანთ ზოგი ერთ თანამემამულეთა და მათის წყალობით ყოველი ჭორი, ცილი და ბოროტებაც უტყუვრათა სწამთ აკაკის ნაწერების და მტრობის შესახებ. ეს ბატონებო არ არის კარგი და არც საკადრისი. სირცხვილია, სირცხვილი, რომ ზოგიერთ სომეხთა საშუალებით ასეთი ცრუ ხმები იყინება სომხობაში არამც თუ სიტყვით, არამედ კალმითაც კი.

განა სომხები კი იშვიათად ჰკიცხვენ ზოგი ერთ ქართველთ პირებს, განა მათ კი ცოტა ჯერ ულანძღავთ ქართველთ ვერაგობა, უმხელიათ მათი უსამართლობა. რა უყოთ, ჩვენ ერთი რომელიმე კერძო ქართველის გაკიცხვის გამო მათთვის მთელი ქართველობის გმობა და ბრალი როდი დაგვიდვია, არამედ ერთი პირის, ერთის უგვანობის. ამიტომ სომხობაც მოვალეა და ნამეტურ ის პირნიც, რომელნიც თვალთეურს ადევნებენ ქართულ მწერლობას, რომ იგინი ჭეშმარიტს გზაზედ იდგნენ და აკაკის კერძოებით მიძღვნილ გმობას საზოგადო ხასიათს ნუ

აძლევენ, უგვან და ულირს სომხის ხსენებას მთელი სომხის გვარის საქმეებს ნუ უკავშირებენ, ერთი მეორესად ნუ გადააქვსთ. თორემ ბატონებო ეს აკაკი, ესეც მისი ნაწერები, გაიცანით და გააცანით სომხის საზოგადოებასაც, თუ აკაკი რად ჭირდება სომხის ნაციას, ენას, ისტორიას, წარსულს და სხვანი. უამისოდ კი აკაკის კაცხვა და მტრობის ვრცელება უკანონოდ და უადგილოდაც მიგვაჩნია.

სომხის საზოგადოებას აკაკისად უარესად შეაძულეს ილია ჭავჭავაძე. ამაზედაც სწერს და სწერენ „მშაკში", „მურჯში" და „ნორ-დარში" და სხვაგანაც, რომ ილ. ჭავჭავაძე სომხების დაუძინებელი მტერიაო, ამ გვართ ცილთ რიცხვი არ აქვნდა. ცილი საწყულს გადავიდა. სომხურ მწერლობაში მისი მტრები იმარჯვებენ. სომხების საზოგადოების წინაშე ათასნაირს ჭორსა და ცილს აერცელებენ და ამტკიცებენ რომ ვითომც სომხის ერი ილ. ჭავჭავაძეს ჭირივით სძულდეს. ვითომც ეს პირიც მათ შეჭმას, გადაყლაპვას ერთის კალმითაც კი ნატრობდეს. ამაზედ არამც თუ ენით, არამედ მწერლობითაც კი აერცელეს. თვით 1904 წ. აგვისტოს „მურჯში" შენიშნეს ასე: „ამ დღეებში თფილისში, ცალკე წიგნად გამოიცა რამდენიმე ლექსი ილია ჭავჭავაძისა, ლექსები მაღალის იდეებით და ჰაზრებით ბრწყინავენ. ყოველს ლექსს აქვს თავისებური მაღალი მნიშვნელობა და კეთილი ჰაზრები. ცოდო არ არის, რომ ასეთი ბრწყინვალე ძვირფას ლექსების მწერალი, ასეთი კარგი ჰაზრების მფენელი კი სომხობის მტერი იყოს და გვაროვნობის ზიზღსა სთესდეს, — ეს კი ეერაფერია". ასეთ ცილი და ბოროტების დაწამება ილ. ჭავჭავაძის საწინააღმდეგოდ ერთხელ არ ყოფილა და ორჯელ, არამედ მრავალჯერ და მრავალ ალაგას.

ვიტყვით ამაზედაც, რომ ესეც ჭორებია და მიუპატიებელი ცოდვა, ცილის წამება, ბოროტება და

უკადრისი ღირსება. ჩვენს დროში ცილის წამება, და ისიც ასეთის განა შეჰფერის ვისმეს რამე? რასაკვირველია არა, მაგრამ რასა ვიქმთ, როცა ბოროტების მფუნელთ ხელში კარგი იარაღი უკავიათ, რაცა სურსთ იმასვე ავრცელებენ. ვიტყვით თამამად, რომ ილ. ჭავჭავაძეს სომხის გვარი, მთელი ერი, ენა მწერლობა და მოქალაქეობა ერთხელაც კი არ გაუკიცხავს სადმე, ამის წინააღმდეგ არამც თუ კიცხვა, არამედ ერთი სიტყვაც არა აქვს ნათქვამი სადმე. მარტოდ მტრობის ერცელება კი არ არის საქმე, არამედ, ცნობა არის და მტკიცე ჭეშმარიტება. ილ. ჭავჭავაძეს ერთი სიტყვაც არა აქვს სადმე სომეხთა სამტროდ ნათქვამი, მისი „ქვათა-ღაღადი“ გადიკითხეთ და თქვენ ერთ ცნობასაც ვერ ჰპოვებთ, რომ მით ილ. ჭავჭავაძე სომეხთა გვარსა და პატივისცემას ჰკიცხავდეს და მუსრავდეს. სირცხვილია და არა საკადნიერო რომ ილ. ჭავჭავაძისაგან ზოგიერთ სომეხთადმი მიძღვნილი მდურვა მთელს გვარზედ გადააქვთ და მით მართლაცა და დიდს მტრობასაც ავრცელებენ. ამით სურთ ვაჟბატონებს, რომ ქართველთა და სომეხთ შორის სიყვარულს ჩამოვაგდეფთო, ის კი არა მტრობას აერცელებენ და ზიზღს.

მართალია სომხებს სძულთ ილ. ჭავჭავაძე და მისი ნაწერებიც, ნაწერები სძულთ მიტომ რადგანაც მის ნაწერებს სულ არ იცნობენ, ასე ჰგონიათ რომ ილ. ჭავჭავაძის ნაწერებში სომხების მტრობის მეტი სხვა არა მოიპოვებოდეს რა. ვიტყვით იმასაც რომ ილ. ჭავჭავაძეს გარეშე სომხებს არც არა საქართველო და ქართველი ხალხი ეპიტნავებათ, ქართველებს გვაყვედრიან, რომ სომხები გძულთო, ჩვენ კი არა გვძულს, სომხებს ეძულვართ ქართველები, ამის სრული საბუთია თფილისის გამგეობაში მომხდარა საქმე 1893 წ. ქართველები სომხებმა მთლად გამოსდევნეს აქედამ, გააშავეს. მაგრა ისეთი კაცებიც, როგორც ნ. ნიკოლაძეა, ნ. ცხვედაძე, ნ. ზუბა-

ლაშვილი და რამდენიმეც სხვა საპატიო პირნი ქართველთა. ილ ჭავჭავაძის წერილებს სომეხთადმი მიმართულს აქვს მხოლოდ კერძოებითი ისტორიული ხასიათი და არა საზოგადო, მაგრამ მის მტრებს ეს არ სჯერად და უსამართლოდ ყოველნაირ ცილს სწამებენ. და ავრცელებენ.

სომეხთა მტრობას არც ნიკოლოზ ნიკოლაძე გამოაკლეს, ვინც არ გინდა, შეაბაზრის უმეცრებთაგან დაწყობილი თვით სოლოლაკის მდიდრებამდისაც კი იმას გაიძახდენ, რომ ნ. ნიკოლაძე ჩვენი მტერიაო. ეს პირიც ბევრჯერ ჰყვედრეს და ჰკიცხეს. ყოველნაირს ბრალს სდებდენ და ჭორებს! ნ. ნიკოლაძე და რამდენიმე საპატიო პირნი შეურაცყოფილ იქმნენ ზოგი ერთ ისეთ უგვან სომეხთაგან, ამიტომ ბ. ნ. ნიკოლაძეც მათ წინააღმდეგ დაირაზმა, მათი შეცდომათა მხილება ბეჭდვით გამოჰფინა. ეს ზოგი ერთ აზგასერებმა იწყინეს და თითო ოროლა კაცის გმობა მთელს სომხის გვარზედ გადაიტანეს და თავიანთი სტვირი და ნაღარაც ამ კილოთი გაბერეს. რა უყოთო, ესეც ნეშნიაო, სომეხი კაციაო, მაგისი გმობა მთელი სომხის გვარის გმობა არისო. რა ლოღიკა არის და! ერთმა მეთევზეს სომეხმა მთელს კახეთში დამპალი სელდები ჰყიდა, ქართველობას სენი გაუჩინა, ავადმყოფნი იბრძოლენ და ამ დამპალი თევზისაგან იხოცებოდენ კიდეც. რამდენი ოჯახი დაიღუპა ამით, რამდენი ქართველი აიგავა დელამიწის პირიდამ, ამას რიცხვი არა აქვს, ამაზედ 1897 წ. გაზეთებშიაც სწერეს. მთავრობამაც მიაქცია ყურადღება. გამოძიება იყო, საქმე გამოსჩნდა, რომ მდიდარ სომეხ მეთევზეს მთელს კახეთში დამპალი თევზები ეურცელებია, რაშიც მას დიდი ფულებიც მოეგო. ამ ფულებით მან დიდი სახლები გაჭიმა ავჭალის ქუჩაზედ და ქარვასლები სხვაგანაც.

ასეთი პირნი სასტიკად ჰკიცხეს ჩვენმა მწერლებმა და ჰგმეს დიდათ, მერე რამოხდა სომეხთაგან ამის შესახებ,

არაფერი ბოროტების მეტი. ასეთი პირის კიცხვა არამც თუ კადნიერად მიიღეს, არამედ მწარეთაც იტკიცეს და გაიძვერა სომხის გმობა მთელს ერზედ გადიტანეს, მთელს სომხობაზედ და ასეთი პასუხი მისცეს „მშაკში“: „ილ. ჭავჭავაძეს, აკაკის და ნ. ნიკოლაძეს სომხის ერი და სომხის ვაჭრები ჭირივით სძულთო, ეს პირები დიდს მტრობას სთესავენ ამ ორს ხალხს შუაო. ამის საბუთი გახლავსთ ისაო, რომ ამ ბოლოს დროს ილ. ჭავჭავაძემ „ივერია“-ში გამოჰყინა მთელი რიგი წერილები სომხების საწინააღმდეგო“. განა ეს და ამ გვარი ჭორები გასულთში მწერალთ ეპატიებათ? განა ერთი მეთევზის კიცხვა მთელს გვარზედ უნდა გადიტანონ. სირცხვილი არ არის. ჭეშმარიტად, რომ მტრობა ეს გახლავსთ და ქართველთა და სომეხთ შორის ზემოხსენებული პირები კი არ აერცელებდენ მტრობას, არამედ აი ასეთი გმირები და ეაუბატონები, რომელთათვისაც არც ჭეშმარიტება არსებობს და არც საქმის და საგნის გასინჯვა, გარჩევა და მისი სიფრთხილე. ჭეშმარიტად, რომ სწორედ ეს ეაუბატონები გახლავან იმ ღვარძლის მთესავნი, რასაც იგინი აკაკის, ილ. ჭავჭავაძეს, ნ. ნიკოლაძეს და სხვა ქართველებს აბრალებენ. თუ ასეთ პირებს ზომა არ ექმნათ და სიფრთხილე, უამისოდ იგინი ბევრს მტრობას და ზიზღს დასთესვენ სომხებში, ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც მაგალითი წინ გვიძევს.

მე კარგად ვიცი, რომ თვით ამ ჩემს წიგნსაც ასეთსავე დაღს დაასმენენ. ამას ფიქრი არ უნდა. ნება მათია, ჩვენ არაფერი მტრობა გვაქვს მათი, არც გვენატრება ეს. ჩვენ აეწერეთ ზოგი რამ ისტორიული კითხვები. კითხვები ჩვენის გვაროვნობის გარკვევას შეეხება. ამით ჩვენ ვეხებით ჩვენს ვინაობის ცნობებს, მაგრამ ვიცით კარგათ რომ არც ეს ასცდება უკანონო კიცხვა-გმობას და ამიტომ ვაღიარებ თამამად, რომ სომხის მწერლებს ვალი სძევსთ, რომ ჯერეთ

რომელიმე პირის ნაწერი გაიცნონ და მერე დასწამონ მას ცილი და მტრობა. ჩვენს წიგნში ერთ სიტყვასაც ვერ გვინახავენ, რომ მით ჩვენ სომეხთა პატივს და სახელს ურიგოთ ვეპყრობოდეთ, სადმე უკანონოდ ვახსენებდეთ. ჩვენი ჰაზრი იყო და არის შემდეგი:

სომეხი შეიძლება იყოს სომეხი, ხოლო სჯულით არ იყოს უსათუოდ გრიგორიანი, არამედ ბერძნის ტიბიკონისაც, ლუტერის, კათოლიკის, ურიის და ისლამის. სომხის გვარი არც ერთმა სჯულმა არ უნდა შეჭამოს, არ უნდა გააქროს. ყველა სარწმუნოებაში სომეხი სომხის გვარით უნდა დაშთეს. შეიძლება სომეხთ ეკლესიას ან გრიგორიანობას ეკუთვნოდეს სომეხს გარდა ქართველის გვარის, რუსის გვარის, ნემენცის, ფრანცუსის, ებრაელი, თათარი და სხვანიც. მაგრამ ესენი კი ამით არ იქმნებიან უსათუოდ სომეხნი, არამედ თავ-თავის ტომის და ენისანი. შეიძლება სომეხი მართლ-მადიდებელიც იყოს, შეიძლება ქართველიც და რუსიც სარწმუნოებით გრიგორიანი, ვიტყვით კიდეც რომ სჯულმა გვაროვნობა არსად არ უნდა შეჭამოს, ამის ნება არც ჩვენ უნდა მიეცეთ ჩვენს თავს. ეს ასე გახლავსთ ჩვენი ლაპარაკი და მოსაზრება. ვისაც როგორ სურს ეს მან ისე მიიღოს, თვისი მსჯავრი დაასვას, ნება მათია. მხოლოდ ჩვენ კი ასე ვსაზრავთ და განათლებულ კაცთა ლოღიკამაც ეს უნდა იწამოს. ჩვენი ჰაზრია, რომ გრიგორიანთ სარწმუნოების ქართველთ ამღიარებელთ რიცხვი საქართველოში თვალთ სახინოა. ამას გვაჩვენებს და გვასწავლის თვით ფაქტები.

სომხეთი საქართველოში

სულითა და გულით გვსურს, რომ სომხეთი აღდგენილ იქნას ნამდვილ სომხის ტერიტორიისა და მიწა მამულზე. ამის ნაცვალად არიან ისეთი პირნიც, რომელნიც სომხეთის აღდგენას საქართველოში ფიქრობენ, ამიტომ ჩვენ აქ მოვიყვანთ ამის შესახებ ცნობებს, თუ რით, ან როგორ უნდა განახორციელონ ეს ნატვრა სომხეთის აღდგენა საქართველოში.

ამ აზრით, სომხის ნაციონალისტები თფილისში იძენენ დიდ ადგილებს და აშენებენ დიდრონ შენობებს, ხოლო თფილისის გარშემო კი ხელში იგდებენ ცარიელ ადგილებს და ზედ ასახლებენ სომეხთა გადმოხვეწილებს. ესენი იძენენ თეით ქართველთა მამულებსაც და ამით ქართველებს სასტიკათაც სჩაგრავენ. აი, ამის მაგალითიც: 1880 წლებს, ვერაზე სომხების სასაფლაოს ახლოს, ერთ ალაგას, სადაც ქალაქის მიწაზე ესახლა 20 მდე კომლი ქართველი ოჯახი, სომეხ არამიანცმა ერთი ვიღაც ყალბ პატრონისაგან ჩუმად შეიძინა და მერე ყველა ეს სახლის პატრონი ქართველები სულ აჰყარა და ზოგს სახლებიც კი დაუქცია.

მეორე მაგალითი:

აქვე ვერისკენ, მტკვრის პირას არის ერთი დიდი შენობა, სადაც მოსახლეობს 300 მეტი ქართველი გლეხობა, მოსახლეთაგანს ზოგს მამული ბანკშიაც აქვს დაგირავებული, მასთან მამულის სათანადო დოკუმენტებიც აქეთ. მოგახსენებთ კიდევ ამ მამულის ამბავს: ეს მამული ყოფილა საკუთრება თავ. არსენ ბარათაშვილისა, რომელიც უცოლშვილო ყოფილა. 1840 წელში თავის ქმა გლეხები მოუყვანია სოფლებიდამ და აქ თფილისში დაუსახლებია, რისთვისაც საკუთრების, ანუ ჩუქების საბუთის ქაღალდიც მიუცია. შემდეგ ეს ბარათაშვილი რუსეთში გადასახლებულა და საქართველოში აღარ დაბრუნებულა, იქ გარდაცვილა.

რა მოხდა მერე ამ ბარათაშვილის მამულს? ჩუმად დაეპატრონა ერთი სომეხი და იგი მამული 1880 წ. გაყიდა მეორე სომეხს, მეორე სომეხმა მესამეს, ბოლოს კი ეს მამული იყიდა მდიდარმა არამიანცმა. დაიწყო მამულის ძიება, სამართალმა დაარღვია თვით კუმისები და ეოდნი ლისტებიც და ახლა, ბევრის დავა-დარაბის შემდეგ, ეს 300 კომლი ქართველობა უნდა აიწმინდოს აქედან. სოგი უკვე აიყარა თავის სახლ-კარიანათ, გადავიდა სხვა კუთხეს და ქირით ცხოვრობს სხვის სახლში.

ეს ამბები ისეთ დროს მოხდა, ისე აშკარად და მართლაც ისე უსამართლოდ, რომ მის შესახებ ერთ დროს თფილისის გაზეთებშიც იბეჭდებოდა წერილები. ამის შესახებ ბევრი სწერა რუსულ გაზეთებში ილია ბახტაძემაც.

მესამე მაგალითი:

კუკიაში, ანუ როგორც ახლა დაარქვეს ნახალოვკასა (ნაძალადევი) და დიდუბეს შუამდებარე აღგილები ღღეს ეკუთვნის სომეხ ნადიროვს და სომეხ დოლუხანოვს. ამ აღგილებზე სახლობს 500 მეტი ქართველი ხელოსნები და სოგი მოხელენიც. დიდი ხანია მას შემდეგ გასული, რაც ამ მოსახლე ქართველებს მკაცრად ეღავებიან ნადიროვი და დოლუხანოვი, ნამეტურ ნადიროვი. ესენი აღგილებს აფასებენ ერთობ ძვირად, ისეთ ფასად, რომ კაცი მის ყიდვას ვერ შეძლებს. იჯარის აღებაც ამ აღგილების შეუძლებელია სიძვირის გამო. აშკარათ, დასახლებულნი იძულებული არიან აქიდან აიყარონ და უბინოთ, უსახლკაროთ დარჩენ.

ამას სცდილობენ აშკარად, აშკარადვე ეტყობათ ქართველთა სიმძულვარე, ჯავრი, ბოროტება, თუმც ამის სიტყვით არ აღიარებენ. მაგრამ საქმით კი რომ შაეძლოთ მთელს ამ ქართველობას სასტიკის ცეცხლით გადასწვამდნენ. მცხოვრებთ გვარებითაც კი არჩევენ, სომხის გვარს სხვაფერ ექცევიან და ქართველებს კი ღღეს უმწარებენ. სურვილი აქვს ნადიროვს, რომ აქ ქართველების სინსილა

გაწყვიტოს, ქართველების სახსენებელიც კი არ იყოს. ქართველთა და ამ სომხის შორის დიდი ბრძოლა არის გამართული, ქართველები ადგილების შესყიდვას სთხოვენ ზომიერ ფასებში, იგი კი წინააღმდეგია ამისი, ვინაიდან იგი ხედავს კარგად, რომ მოსახლენი სულ ქართველები არიან, ამას კი მისი გული ვერ იტანს.

სწორედ ამ მიზნით გააკეთეს აქ სომეხთა სემინარია, რომელსაც დიდძალი ადგილი ნადიროვის მეულლემ შესწირა. მიზანი ამ სემინარიის გაკეთებისა აქ ის არის, რომ ეგები ამით მაინც მოიზიდონ აქეთ სომხები და დასახლდნენ, რომ მით ქართველთა რიცხვმა იკლოს, თორემ ქართველთა გამრავლება ამ უბანში სომხის სიკვდილს მოასწავებსო.

მოგახსენებთ იმასაც, თუ ეს მამულები, რომელსაც ეს პირები ასე ეპოტინებიან, ვისი საკუთრება არის, მას რაგორი ისტორია აქვს, იგი ვისი სისხლით არის მორწყული და ვისი ძალით არის დაცული, ან ვისი საკუთრება იყო წინად.

1770 წ. სპარსეთიდან საქართველოში თფილისში, მეფე ერეკლეს კარზე გაჩნდა ვინმე სომეხი ექიმბაში ამატუნი. ამ ექიმბაშმა ჯარა ექიმობით კარგი ცოდნა გამოიჩინა. მეფე ერეკლეს წინაშეც საკმაოდ გაითქვა სახელი ამ მკურნალობით. ბოლოს საქმე ისე დატრიალდა, რომ ექიმბაშმა ამატუნმა მეფისგან თავადობაც მიიღო და მასთან ეს ხსენებული მამულებიც საკუთრებად გაიკრა, ვინაიდგან თავადის შვილს უსათუოდ მამული და ყმებიც უნდა ჰყოლოდა. მამულთან ამატუნს ქართველი გლეხების ყმებიც ეჩუქა. მეფე ერეკლესგან ბოძებული ეს უზარმაზარი ვრცელი ადგილები დაიყორღანა ამატუნის სახელზე. მის შემდეგ ამატუნი იწოდება თავადის შვილად.

შემდეგ ამისა მოხდა საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება, ამატუნი თავადებათ იქნენ ცნობილნი. ეს ვრცელი ადგილებიც მათ საკუთრებათ. დღეს ამ გვარის

შთამომავლობა მამრობითი სქესისა აღარაჟინ არის, წინედ კი იყო ერთი წყვრი ამ გვარის, ნაპოლეონ ამატ'ური, რომელიც ნ'ელ'ურეთისა და კ'უკიის მამ'ულებს პირიან ფასებში ჰყიდდა და იგი ამ დროს ქართველსა და სომეხს არ არსებედა. ამ ნაპოლეონ ამატ'ურის ნათესავი არის ორი ქალი, ამატ'ურის ასულნი, სომხის პატრიოტები, ესენი გათხოვილი არიან ერთი ნადიროვ'ზე და მეორე დოლუხანოვ'ზე, ეს მამპაპეული მამ'ულებიც მათ გაჰყვათ მ'ზითევ'ში და ამ გზით გახდენ იგინი ამ უ'ზარმა'ზარ მამ'ულების პატრონებად.

დღეს ამათ დაიწ'ყეს ყველაფერი, დაიწ'ყეს ქართველ მეფის პურმარილი, ქართველი მეფისგან მათი სიმამრის წინაპართა გათავადება, მამ'ულების ნ'უქება და სხვაც ბევრი ასეთი და ნი'შნად პატივისცემისა და ამაგის გადახდის, ამ ქართველთაგან ბოძებ'ულს მიწ'ა მამ'ულ'ს, ქართველის სისხლით მორწ'ყულს მიდამოებ'ში, მშვიდ და უწ'ყინარ შეუძლო სახლის პატრონებს ემტერებიან, სასტიკად მტრობენ ბოროტათ, აწ'უხებენ უხვათ, უნდათ ამათი აყრა, სახლ-კარის დაქცევა და სხვა, რაც ყოველივე ხდება მხოლოდ იმ მი'ზე'ზით, რომ მოსახლენი ქართველები არიან.

ქართველის მოსახლეობას და გამრავლებას თფილის'ში სომხის „ა'ზგასერები" ვერ ეგ'უებიან, ქართველის დასახლება და გამოჩენა მათი სიკვდილი არის თფილის'ში. აი, ასეთია ისტორია იმ მამ'ულებისა, (აქ ტექსტი წყდება და შემდეგ გრძელდება).

სხვა ასეთი ამბების მოყვანით მკითხველს თავს არ შევაწ'ყენთ, საგნის სინამდვილისთვის ესეც კმარა. ვისაც კი თვალი ხედვათ აქვს და ყური სმენათ, იმან თფილის'ში მიიხედ-მოიხედოს აქეთ იქით და ნათქვამში თავად დარწმუნდება: ყველა აშკარად დაინახავს იმ გარემოებას, რომ სომხობა კარგა ხანია მას შემდეგ გასული, რაც თფილის'ში ქართველებს სისტემატურად სდევნის და ამცირებს.

ყველა ეს სომეხთა მცდელობა და გეგმა კბენა მოასწავებს აშკარად იმ გარემოებას, რომ თფილისში და საერთოდ მთელ საქართველოში ქართველთა რიცხვი შემცირდეს. მათი მამულები მიითვისონ და მათ მაგიერ მათს საკუთრებაზე სომეხნი გამოჩნდნენ და გამოცხადნენ. ამის მცნება მათ ჯერედ გრიქორ არწრუნმა ასწავლა, მერე აბგარ იოანესიანმა, ამათიეე მარჯვენა მკლავი იყო რაფი, ნამეტუნ პეპოს დამწერი სუნდუკიანცი და ბევრნიც სხვა ასეთნი, რომელთაც სომხურ აზგასერელ მიმართულებას სული ჩაუდგეს 1875 წლებს შემდეგ, როცა გრიქორ არწრუნმა გაზეთ „მშაკი" დღიურ გაზეთად გადააკეთა. ეს სიმძულვარე სულ მათი მოწყალება გახლავსთ[39].

***

გრიქორ არწრუნმა 1875 წ. „მშაკში" გამოსთქვა ასეთი აზრი: ყველაზე უფრო სომხებს საქართველოში ემარჯვებათ ცხოვრება, საქართველო სომხებისათვის ცხოვრების ბაღდადია, ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ამ კუთხეში შემოვეკრიბოთ ჩვენი სომხობა და ამის განსახორციელებლად ყოველნაირი ზომა უნდა მივიღოთ.

მათ, მართლაც დაიწყეს მეცადინეობა და მალე შეადგინეს ერთი პარტია, რომელსაც აშკარათ უნდა ემუშავა კახეთში ქართველების მამულების შესაძენათ და მასზე სომხების დასასახლებლათ. მათ ამ პარტიის წესდებაც კი დასწერეს და მთავრობას წარუდგინეს დასამტკიცებლად. მაშინდელმა მთავარ-მართებელმა წესდება არ დაამტკიცა და საქმე ჩაეშალათ. მას შემდეგ სომხის აზგასერებმა მოქმედება შესცვალეს, და შემდეგ გზას დაადგნენ: სომეხნი საქართველოში ადრიდანვე სცდილობდნენ ქართველების დაკავშირებას სომხის ეკლესიასთან, ამგვარად მათ ქართლში სომხის სჯულს დაუკავშირეს 120 სოფელი და

[39] სამშობლო, 1916, I, №332.

კახეთში 80. ასეევე მოხდა სხვადასხვა კუთხეშიც. მეტადრე ისეთ სოფელში, სადაც სომხის ჭაჭანებაც არ იყო, დღეს ამ სოფელში სომეხთა რიცხვი საკმარისია. გასომხებულ ქართველებს თავი ნამდვილ სომხად მიაჩნიათ და თავის სამშობლო საქართველოს მიწა-მამულზე ქართველ სოფელსაც სომხის სოფლად და სამყოფოდ სთვლიან.

აქვე მოვიყვანოთ ახლა იმ სოფლის სახელებს, სადაც დღეს გასომხებული ქართველები სცხოვრობენ, ხოლო ეამთა ვითარების წყალობით, დღეს ამ გასომხებულ ქართველებს თავისი თავიც სომხის შთამომავლად მიაჩნიათ და თავის სოფლებსაც სომხეთად რაცხვენ, საქართველოც სომხეთი ჰგონიათ. ასეც არწმუნებენ მათ მათი ბელადები, რისთვისაც გვარებსაც კი სცვლიან სომხურად. თვით კაცისა და სოფლის სახელებსაც კი სომხურათ სცვლიან, თუმცა სოფლების სახელების გამოცვლა ცოტა არ იყოს ეძნელდებათ.

სამშვილდეს, ანუ ბორჩალოს მაზრის სოფლები

ნავთლული, სოღანლული, კრწანისი, შინდისი, ტაბახმელა, ხაჩის თელეთი, წალასყური, თელეთი, კუმისი, ეაშლოვანი, ერტისი, ღოუბანი, ბორჩალო, მუხათი, კოდა, მარაბდა, მარნეული, ქოლაგური (ქოლაგირი-?), პატარა შულავერი, დიდი შულავერი, ახტალა, გოლანი, სპილენძის მადანი, დარბაზი, გორგაშენი, აღბულახი, ეაწაძორი, კოლჩა ბორანი, დალკონათი, კარანდუსარი, ბაიტაღლი, ზემო სარალი, ქვემო სარალი, ბაგირი, ბოლნისი, ბოგვი, არაშენდა, ასურეთი, რაჭეევანი და სხვა პატარა სოფლები, სადაც წინათ სომხის სსენებაც არ ყოფილა, მაგრამ დღეს კი სომხეთად მიაჩნიათ.

ქარითლის სოფლები: ქართველი სომხები ცხოვრობენ: სოფ. წერაქვს, ისტრიას, ხანდაკს, სურამს, ოსიაურს, ვაყას, აბოცს, დირბს, ბრეთს, ურბნისს, რუისს, ტინის ხიდს, ახალ დაბას, ვარიანს, ზედქცეულს, შინდისს, თაძარაშენს,

ტყვიავს, სატლეს, არცევს, მეჯვრისხეეს, ბერბუკს, სვენეთს, ხელითუბანს, ზერტს, უფლისციხეს, ჭალას, კასპს, ქარელს, ძელს, გრაკალს, ხოვლეს, ყარაღაჯს, ზემო ხანდაკს, სასირეთს, მეტეხს, ახალქალაქს (გორის), კაეთისხევს, ნოხეთს, ურიათ უბანს, ნიობს, სალოღაშენს, ძეგვს, ნიჩბის[40], ავჭალას, წენეთს, მცხეთას, დუშეთს, ტყვიავეს, ძევერას, ახრის, ლამისყანას, დამპალას, მაჭადის ჯვარს, ჩალერტს, ებნის, ანანურს, ფასანაურს, მეცრონს, დუეს, ხაშურს, ალს, ბებუეთს, ახალგორს და სხვა. აქ მოხსენიებულ სოფლებთა შორის, სომხის შთამომავალნი სცხოვრობენ შემდეგ ადგილებში: გორს, ახალქალაქს, ახალგორს, უფლის ციხეს, ვაყასა და მუხრანს. დანარჩენ სოფლებში სულ ქართველები არიან. სომხის რჯულთან დაკავშირებული XVII საუკუნის გასვლამდის. წინედ, გასომხებულ ქართველთა ენა იყო ქართული. დღეს კი სომხის პატრიოტები მათ უცვლიან ქართულ სახელსა და გვარს სომხურად. სოფლის სკოლებში ბავშვებს მარტოდ სომხურ ენას ასწავლიან, ქართული სასტიკათ აქვთ აკრძალული, ამას გარდა უნერგავენ ქართველებისაგან შორს გადგომას, განსხვავებას, მოცილებას, სრულიად გასომხებას და ამასთანავე იმასაც კი არწმუნებენ, რომ თქვენი სოფლებიც სომხის სოფლებია და მასთან სომხეთიო.

ამ გარემოებას ისეთი ვრცელი ისტორია აქვს, რომ მთელი წიგნი დაიწერება და არა ეს პატარა წერილი. ქართველების მრავლად გასომხება XVII საუკუნეში მიხ. თამარაშვილმაც დაასაბუთა თავის ისტორიაში, სადაც სხვათა შორის წერს: 1640 წ. გოროლაში ავგუსტიონელების ორდენის ძმა ამბროზიო რომის კონგრეგაციას შემდეგს

---

[40] ეს სოფლები ტექსტში ორჯერ არის მოხსენიებული, აქედან სალოღაშენ/სოლაღაშენი – სალულოშენის ფორმით და ავჭალა – ავჭაბის, რაც მექანიკური შეცდომა უნდა იყოს. ტექსტში დაცულეთ სოფლების სახელწოდებების უფრო სწორი ფორმა – სალოღაშენი, ძეგვი, ნიჩბისი და ავჭალა (ქქ.).

აცნობებს: ჩვენი მონოსნები (ე.ი. ლათინის) ამ ქრისტიან ქართველებში დიდს სიკეთეს მოიტანდნენ, რომ მათ შეძლება ჰქონდესთ ქართველთა სოფლების სყიდვის იმ გვარად, როგორც ამას სჩადიან სომხები, რომელნიც ქართველ მებატონეთაგან ყიდულობენ მთელ სოფლებს და გადაჰყავთ თავიანთ სჯულზეო[41].

ეს ისტორიული მოწმობა გახლავსთ. ამის უარის ყოფა არ შეიძლება. ჩვენ კარგად ვიცით ის გარემოება, ქართველ მებატონეთაგან სომხის მღვდლები ეჩმიაძინის დახმარებით ყიდულობენ ქართველ გლეხების მთელ სოფლებს და ყველა ესენი გადაჰყავდათ სომხის რჯულზე. არის კიდევ ასეთი ცნობები:

ერმანი, დევნილნი უგვანის მებატონისაგან, ხშირად შვილებს სომხურად ნათლავდენ, გვარსა და სახელს უცვლიდნენ და მით ფიქრობდენ ბატონისაგან განთავისუფლებას. ამის ნიშანს დ. ჭონქაძეც გვიჩვენებს მოთხრობა „სურამის ციხეში“

ზოგს მებატონეს, ცოლის პატრონს, სახლში ჩუმად ჰყავდა ხასად თავის ქმის ქალი. ასეთები თავის შვილს ხშირად სომხურად ნათლავდენ და ნათესაისაგან ამით ფიქრობდენ საქვეშურების თავიდან აცილებას. ასეთებია, მაგალითად, სომეხთა ბარათაშვილის გვარის ამბავი, მაჩაბლოვის, ფავლენის შვილის, ორბელიანის და ბევრიც სხვისა.

XVIII თბილისის სურბ. ნიშანის ეკლესიის მღვდელს, 20 წლის განმავლობაში 500 მეტი მოქალაქე ქართველთა შვილები დაუნათლავს სომხურად. ნორაშენის ეკლესიის წინამძღვარს 1740-1760 წლებში, თფილისში, ე.ი. 20 წლის განმავლობაში მოუნათლავს 1000 მოქალაქე ქართველი.

ჯიგრაშენის ეკლესიის წინამძღვარს 1710-1730 წლებამდის მოუნათლავს 400 მეტი ქართველი.

---

[41] ეს ინფორმაცია, ციტატის სახით, ზ. ჭიჭინაძეს მოჰყვეს ნაშრომში „ქართული გრიგორიანები“, გე. 38.

ნორაშენის ეკლესიის მღვდელს 1740-1760 წლებში მოუნათლავს 600 მეტი ქართველი.

თელეთის ეკლესიაში 1770-1790 წლებამდის მონათლულია 1000 მდე ქართველი, ამათში ზოგი ქიზიყელია, ზოგი კახელი, ზოგი ქართლელი, უმეტეს ნაწილად თბილისელები ყოფილან.

ფეოხაინის საყდრის წინამძღვრებს გასომხებული ყავსთ თვით თავადის შვილები, აზნაურები და მოქალაქენიც. ასომხებდნენ თვით ქართველ მღვდლებსაც. ქართველთა სომხის სჯულთან დაკავშირების ტრფიალება დიდათ გაღვივებული იყო როგორც სომხის სამღვდელოებაში, ისე თვით სომხის სჯულის აღმსარებელ სჯულშიც, ამიტომაც სომხის სამღვდელოებამ მოახერხა და კახეთში XVI-XVII საუკუნეების ბოლომდე ქართველების სომხის სჯულს დაუკავშირეს შემდეგ სოფლებში. ამ სოფლის სახელებსაც მოვიყვანთ ქვემოთ[42].

***

თელავს, სადაც მიითვისეს ქართველების ერთი ეკლესია, ქისტოურს, რჩეულეთს, ხორხლევს, ალავერდს, ჯანიანს, იჟიოს, არტოზანს, არტოზანის მეორეს, რუისპირს, ახატელს, ვარდისუბანს, გულგულას, კურდღელაურს, ტობიანს, წინანდალს, ჩობაკურს, შაშიანს, ურიათუბანს, მუკუზანს, ველისციხეს, ჩუმლაეს, კუჭატანს, სანიავარდეს, პირისყანას, ფაშიანს, ირაკლის ციხეს, ნაფარეულს, სანიორეს, არტავს, ლალის ყურს, ტახტის სოფელს, ახატელს, ფიჩხოვანს, ბახტრიას (ბახტრიონს-?), მატაანს, ყანდაურს, პირის ყანას, ბაკურციხეს, ქალაქს, კარდანახს, ჯუგაანს, ტობაანს, პრასიანს, ოზაანს, სლუკაანს[43] და სხვა.

---

[42] სამშობლო, 1916, II, №333.

[43] წიგნში „ქართველი გრიგორიანები" ს. ჯიჯინაძე მას „სულკანას" ფორმით მოიხსენიებს, გვ. 53.

ივრის ხეობაზედ, ან უ გარედ კახეთს:

კაკაბეთს, მანავს, გიორგი წმინდას, საგარეჯოს, ნინოწმინდას, პატარძეულს, კარბულახს. უჯარმას. ვეჯინს, ნორიოს, მარტყოფს, ახალ სოფელს, სართიჭალას, ნავთლუხს და სხვაგანაც თითო ოროლა კომლი.

ქისიყში სცხოვრობენ შემდეგ სოფლებში: სიღნაღს, გურჯაანს, ნალაუბანს, მეღაანს, ქოდალოს. ფხოველეს, ზიარს, აგრამს, ჯიმითს, ანაგას, ვაქირს, საქობოს, მირზაანს, მაშნაარს, მანხაანს, ფანიანს, მაღაროს, ნუკრიანს, ჭოტორს, ბოდბეს, ბოდბის ხევს, კოდალოს, ასანაურს, ახალ სიღნაღს, ან უ ნასომხარს და სხვა სოფლებშიაც თითო ოროლა კომლი.

მოგახსენებთ, რომ ყველა ამ სოფელში სცხოვრობდენ სომხები, ზოგს სოფელში სომხებს ეკლესია არ ჰქონდათ, ვინაიდან მათი რიცხვი მცირე იყო. ყველანი შთამომავლობით ქართველები არიან, ხოლო რჯულით კი ეკუთვნიან გრიგორიანობას.

კახეთში სომხის შთამომავალთა რიცხვის სცხოვრობდენ მხოლოდ სიღნაღს, თელავს, რუისპირს, ტურის ციხეს, წინანდალს და ორსა თუ სამს სხვა სოფელში, დანარჩენი სომხები კი სულ ქართველთა შთამომავალნი არიან. ეს რომ ჭეშმარიტებაა, ამას ასაბუთებს თვით ამ გასომხებულ ქართველთა გვარი და სახელი, რომლითაც დღემდისაც კი შერჩათ თავისი გვარი და სახელები. ეხლა კი ყველა მათ გვარსა და სახელებს სომხურად უცვლიან და ისეთი განსხვავებით და გადაკეთებით, რომ კაცი სულ ვეღარ წარმოიდგენს, თუ ამ სომეხთა გვარს როდესმე რაიმე კავშირი ჰქონია ქართველ გვარებსა და სახელწოდებასთან. ამით მაგალითებსაც მოვიყვანთ, რომ მკითხველმა იცოდეს საქმის სინამდვილე.

სიღნაღელ ქართველ ტურიაშვილების გვარის წევრთ გადაუკეთეს ტურიანცათ; კრინჩხელაპიაშვილს კრინჩხელა-

პიანცად, ლოლაძეს ლოლიანცად, ქავთარაძეს ქარავიანად; თუშიშვილს თუმიანცად და სხვა სოფლებშიაც მოახდინეს ასეთი ცვლილება და ქართულ სახელებს გარდა არქმევენ სომხურს: რუბენ, ერვანდ, ტიგრან და სხვა.

სომხის ეკლესიის წესები ისეა მოწყობილი, რომ ეს წესები უნდა ჩაითვალოს გვარი ჭამიათ, ანუ ნაცია თ ყლაპიათ ისე, როგორც ისლამი სჭამს გვარს, ასევე გრიგორიანობა სჭამს ქართულ გვარს, ქართველი ერის ნაციას. ამის მაგალითები ჩვენ უკვე ვიცით და თვით ამ წერილში მოყვანილი მაგალითებიც ამტკიცებენ ამას. ამაზე, შეიძლება, ზოგმა უარი სთქვას და სხვა რამ არგუმენტები წარმოადგინოს, ამიტომ აქ ჩვენ კიდევ ხსენებულს საგანს მივმართავთ.

მართალია სომხის მხნე სამღვდელოებამ XVII-XVIII საუკუნოებში, ქართლში გრიგორიანობას დაუკავშირა 120 სოფელი, კახეთში 80 ასევე სამშვილდეს, მესხეთ-ჯავახეთს 100 ათასზე მეტი ქართველი კათოლიკენი გაასომხეს ენით, ასევე ქიზიყს და გარეთ კახეთს, მაგრამ დღემდე ყველა მოხსენიებულ სოფელში გასომხებული ქართველები ქართულად ლაპარაკობენ და ზოგ სოფელში ისიც კი იციან, რომ იგინი ოდესმე ქართველები ყოფილან.

აი, ამის მაგალითიც: ბორჩალოს მაზრის, სოფ. ენაგეთში, ერთმა სომხის გლეხმა მიამბო: „ჩვენ ადრე ამ სოფელში სულ ქართველები ვიყავით, მერე გავსომხებულვართ თათრების შიშითაო". ასეთივე მაგალითი სთქვა შავშეთში კორძელის მცხოვრებმა ქართველ კათოლიკეთა შთამომავალმა გლეხმა და ამავე სოფლის კათოლიკეთ ეკლესიის მნათემ: „ჩვენ, წინად, აქეთ სულ ქართულ გვარის კათოლიკენი ვიყავით, მერე გავსომხდით და ქართული ენაც მიტომ დაგვავიწყდაო".

უნდა მოგახსენოთ, რომ ქართველ კათოლიკეთა გადაგვარების მანიფესტი სომხის მხითარისტებმა 1735 წ. შეადგინეს და გამოსცეს. ამ დღიდან მათ შესაფერი

მოქმედებაც დაიწყეს. ბევრი მეცადინეობის შემდეგ, საღამოსაც მიადწიეს შემდეგი საშუალებით:

ვენეციიდან ქართველ კათოლიკეთა შვილებს განუცხადეს: ვინც ჩვენ სკოლაში შემოვა მოწაფეთ, იმას ჩვენ ჩვენის ხარჯით გავზრდით, ყოველივე სწავლის გადასახადი ჩვენი იქნება ჭამა, ნაცმა-დახურვა და სხვა. ვისაც ჩვენ სასწავლებელში გული არ დაუდგება, იმას სხვა სასწავლებელში გადავიყვანთ. ასეთი ცნობები ქართველ კათოლიკებს უხვად მოეფინა XVIII საუკ. დამდეგიდან. ქართველ კათოლიკებს ასეთი განცხადება დიდათ გაუხარდათ და იწყეს შვილების გზავნა სასწავლებლად ვენეციის მხითარისტების სკოლაში. აქ ქართველთა შვილების რიცხვმა დიდი ადგილი დაიკავა და XVIII საუკ. ნახევარს, სკოლის მოწაფეთა ნახევარი ქართველთა შვილები იყვნენ.

ქართველ კათოლიკეთა შვილებს სკოლაში ჩრდილოეთ სომხურად, სომხურის ენითა და წიგნებით ანათლებდნენ. ქართველთა შვილებს უნერგავდენ შემდეგ საგანთა მცნებას: სომხური ენისა და ისტორიის სიყვარულს, სომხურ მწიგნობართა პატივისცემას. აუწყებდენ, რომ თქვენ სომხის გვარისანი ხართ, ნამდვილი სომეხნი, თქვენი დედა ენა სომხური ენაა, თქვენც სომეხ კათოლიკები ხართ, ქართულს იმიტომ ლაპარაკობთ, რადგანაც თქვენ სომხეთიდან საქართველოში ადრე გადმოსახლებულხართ და ქართველების ცბიერებით თქვენი ღედაენა დაგიკარგავთ და მის მაგიერ ქართულად[44] დაგიწყიათ ლაპარაკი. აი, ეს არის იმის მიზეზი, რომ ა'ინდელი სომეხ კათოლიკენი საქართველოში ქართულად ლაპარაკობენ.

ქართველ კათოლიკეთა შვილებს ყველა ეს დარიგება ჭეშმარიტად მიაჩნდათ, ამიტომაც იგინი ყველა მცნებას კარგათ ითვისებდენ. სწავლის დასრულების შემდეგ მათ

[44] ტექსტში სწერია სომხურად, რაც მექანიკური შეცდომაა და იგულისხმება ქართული – (ქ.ქ).

აკურთხებდენ მღვდლად და რომის ტახტის ნებართვით ამ სომხურად გამოზრდილ მღვდლებს გზავნიდენ საქართველოში, ქართველთა შორის მღვდლად.

საქართველოში მღვდელ მოქმედების დროს საეკლესიო ენად სომხურ ენას ხმარობდენ და სახარებასაც სომხურ ენაზე კითხულობდენ. თანაც ასე უქადაგებდენ: თქვენ სომხები ხართ, სომხის კათოლიკენი, თქვენი სჯულის ენა სომხური ენაა და არა ლათინური, ამიტომ ვალდებულნი ხართ, რომ თქვენ, თქვენი სჯულის ენა დაისწავლოთ და ქართულს ენაზე სწავლებას თავი დაანებოთ. ამ მცნების გასავრცელებლად გადაგვარებული მღვდელნი ენერგიულად მეცადინეობდენ და ხანდისხან მრევლში შესვენებასაც კი უცხადებდენ მას, ვინც იტყოდა, რომ მისი ენა ქართული ენა არისო.

ქართველ გვარის ასეთმა გადაგვარებულმა მღვდლებმა დიდი ამაგი გაუწიეს სომხური ენის გავრცელების საქმეს: მათ აღადგინეს ქართველებში ეს ენა და გაავრცელეს მტკიცედ და ისეთის სისასტიკით, რომ მის განდევნას დღეს ვეღარაფერი მოახერხებს, მაიგან ვერავინ განდევნის, არათუ გადევნით, თვით შეგნებითაც კი ვერც ერის გადაგვარებულ ქართველ კათოლიკეს ვერ შეაგნებინებ, რომ იგი ადრე, ანუ მისი მამა პაპანი ქართველები იყვნენ და ქართულად ლაპარაკობდენ[45].

***

ასეთი უკულმარიობა გადაგვარებისა, ასეთი დაკარგვა ქართველის ერისა სომხის კათოლიკეთა ხუცებისაგან კი არ გავრცელდა, არამედ მათგან გამოზრდილ ქართველ გვარის კათოლიკეთა შვილებთაგან, რომლებიც უყრო მეტ ფანატიკოსობას იჩენდენ ამ გადაგვარების საქმეში, ვიდრე ნამ-

[45] სამშობლო, 1916, III, №334.

დვილ სომხის გვარის ხუცები. ქართველების დასაღუპათ, თვით ქართველ გვარის მღვდლებიც გლეჯდენ ნარ-ჭალს და ამ უკანასკნელთ შეძლეს ის, რის შეძლებაც ვერ მოახერხეს სომხის გვარის მღვდლებმა. ხომ მოგეხსენებათ ისიც, რომ როცა ქართველი სჯულს იცვლის, მერე იგი ხდება თავის სჯულის მონათესაეისა და მისი სჯულის სასტიკი მტერი და მოწინააღმდეგე. ამის მაგალითს ნათლად გვიჩვენებს ქართველ მაჰმადიანთა სასულიერო წოდება; – ქრისტიან ქართველებში კიდევ დიმიტრი და ევთიმე. ჩვენ სემოთ ვსთქვით, რომ საქართველოში სომხეთის აღორძინება სურთო. დიაღ ეს სწორეა. არა თუ აღორძინება სურთ, არამედ უკვე აღორძინებულია, რასაც შემდეგი მაგალითებიდან დავინახავთ. საქართველოში სომხეთი აღადგინეს თვით ქართველმა, გადაგვარებულ ქართველთა მღვდლებმა, რომელნიც მრავლად იყვნენ არა მარტო XVII და XVIII საუკ. არამედ თვით ჩვენს დროსაც კი არიან ასეთი პირები. ზოგიერთი მათგანი თვით მართლმადიდებელი ეკლესიის ასპარეზსეც მსახურებენ და ქართველთა გასლავიანებას მისდევენ.

გადაგვარებულ ქართველ მღვდლებმა ქართული ენა ქართველ კათოლიკებს დაავიწყეს მთელს არტაანის (არტაგანი) ოლქში, ართვინის ოლქში, შავშეთს, კლარჯეთს, იმერხევს, ლაზისტანს, ჩხალის ხეობას და ბევრ სხვა ადგილებშიც. ასეთ გადაგვარებულთა რიცხვი ასი ათასობით და არა ასობით დაითვლება. მე დამიველია ამათში, მინახავს იგინი, მილაპარაკნია მათში სომხურ ენაზე. საუბრის დროს მათ თავიანთი ვინაობა კი არ დაუმალავთ, მაგრამ მასთანვე განუცხადებიათ დიდი სიმტკიცე სომხობაზე, – სომხური ენის სიყვარული, სომხეთის აღდგენის ნატვრა, თუნდაც ამღდგენისათვის საქართველო კიდეც მოსპობილიყო სრულიად. ასეთ გადაგვარებულ ქართველებს ცხადათ ეტყობათ ქართველების მტრობა, საქართველოს სიმძულვარე. ასეთი გადაგვარებული ქართველებით სავსეა ზემოხსენებული

კუთხეები და იგინი ისეთი მტრები არიან ქართული ენისა და საქართველოსი, რომ ასეთი მტრობა თვით ნამდვილ სომხებშიც კი არა სჩანს. უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს მოელი სამცხე-საათაბაგოსაც ქართველი კათოლიკები ქართველობიდამ გასული არიან, მათ არა თუ მარტო თავისი თავი მიაჩნიათ სომხათ და სომხის კათოლიკედ, არამედ თვით თავიანთ საცხოვრებელ სამცხე-საათაბაგოსაც სომხეთად სთვლიან და ამ ადგილებს თვით მწერლობაშიაც კი სომხეთად აღიარებენ[46].

ასეთი გადაგვარებულნი მღვდელნი მხითარისტებთაგან ქართველებს ჰყავდათ ძველად და ჰყავსთ დღესაც, ამის მაგალითია მხითარისტი ქართველი მღვდელი ამაზასპ საფარიანი და გურული დიონისე კალატოზიანი. მღ. ამაზასპ საფარიანმა თავისი გადაგვარება ბეჭდითაც კი განაცხადა და მოურიდებლად საქართველო სომხეთად აღიარა, აი ამის ცნობაც:

ამაზასპ საფარიანმა გადაგვარებულმა ქართველმა, მხითარისტების აკადემიაში სწავლა დაასრულა 1880 წ. სწავლის დამთავრების დროს მან სომხურ ენაზე დასტამბა მოკლე სახელმძღვანელო „მინერალოგიისა“. ერთ ალაგს ამ წიგნში იგი ასე წერს: — „რუსეთის სასომხეთოს ნაწილს ასპინძას (ასპინძა) და აბასტუმანს (აბასთუმანი) გამოდის მინერალური წყლები“. ამას სწერს ქართველი კაცის შთამომავალი და არა სომეხი. რასაც თვით ქართველები სჩადიან ქართველთა წინააღმდეგ, ამას სომხები ადვილად ვერ ბედავენ. ამისთვის ქართველებს უნდა დაეემდუროთ და არა სომხებს.

გადაგვარებულ ქართველებს ხელიდამ გამორჩათ მხოლოდ მესხეთი და ჯავახეთი, სადაც მცხოვრებ ქართველ კათოლიკებს ვერა მოუხერხეს რა, თუმცა ეკლესიაში სახმარათ სომხური ენა დაუმკვიდრეს და ამის

[46] ამ ადგილას წინადადება გაუმართავია, ალბათ ბეჭდის ხარვეზის გამო „სამშობლო, 1916, №335.

სინამდვილეც იწამეს მათ. ხოლო ხალხში სახმარებლად კი ვერ მოახერხეს და ვერ შეძლეს მისი გავრცელება. ამას აქვს თავისი ისტორიული მიზეზები.

XVII საუკუნის შემდეგ. მართალია ქართველთა შვილების უმრავლესმა ნაწილმა ევნეციას იწყო სწავლის მისაღებად წასვლა სადაც იგინი გადაგვარების გზაზე დგებოდენ, მაგრამ ქართველთა შორის იყვნენ ისეთი კათოლიკენიც, რომელთა შვილები ევნეციას კი არა, პირდაპირ რომში მიდიოდენ და იქ პაპის კოლეგიაში ღებულობდენ სწავლას ევროპულ ენებზე, რის წყალობითაც იგინი ისევ ქართველებათვე რჩებოდენ. ასეთია, მაგალითად, მღვდელი პატრი ტუკლაანთ გორელი დავითა, რომელმაც პაპის კოლეგია დიდის ქებითა და მღვდის მეტყველობის დოქტორობის ხარისხით დაასრულა 1729 წ. მან ხმამაღლა განაცხადა თავისი ნაციონალური უკმაყოფილება და იქვე რომში ქართულს ენაზე, ქართველ კათოლიკეთათვის წიგნი „საქრისტიანო-მოძღვრება“ დასტამბა, რაც პირდაპირი საწინააღმდეგო პროტესტი იყო ქართველების გადაგვარების, ანუ გასომხების შესახებ. ამ დღიდამ იწყება ქართველ კათოლიკეთა გათვითცნობიერება და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გადაგვარებულმა ქართველმა ღვდლებმა მესხეთ-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა გადაგვარება ვერარ მოასწრეს და ვერც შესძლეს, რომ ეს კუთხეები სომხეთად გამოეცხადებინათ, თუმცა ამაზედ საფარიანმა მაინც სცადა თავისი ნებით ამის განცხადება.

ერთს გადაგვარებულ ქართველ მღვდელს სომხურს ენაზე ევნეტიკს სომხეთის რუკა დაუბეჭდია და იქ მარტო მესხეთ-ჯავახეთი კი არა, მთელი საქართველო სომხეთში მოუქცევია და ასე მოუხსენიებია: ახალციხე და ახალქალაქი 1829 წლებს შემდეგ კიდევ დარჩენილიყო ოსმალთა ხელში, მაშინ აქაურს ქართველობაშიც ისევე ამოვარდებოდა ქართული ენა და საქართველოს სხენება, როგორც

ეს მოხდა აროვინს, არტანუჯს, შავშეთს, არტაანს, ლაზისტანს და სხვაგანაცაო.

მოკლედ მოვახსენებთ ორიოდე სიტყვას ორიოდე ცნობას ზემო დასახელებულ გადაგვარებულ საყარიანისა და კალატოზიანის გვაროვნების შესახებ.

ამაზასპ საყარიანი ქართველი გვარისაა: მისი წინაპარნი სცხოვრობდენ მაჭახელს და სხვა ორ სოფელში. ორივე სოფლის მცხოვრებნი 100 მოსახლე იქნებოდა. 1630 წლების, მაჭახლის ისლმთან დაკავშირების დროს, ზოგმა არ ისურვა ისლამის მიღება და აირჩიეს სხვაგან გადასახლება. შემდეგ ზოგი ამათგანი კათოლიკობას დაუკავშირდა, ზოგი კი — გრიგორიანობას. დღეს კი ვინც ამ გვარიდან კათოლიკე. ან გრიგორიანი არის სულ ქართველთა შთამომავალნი არიან. აი ამათი შთამომავალია ამაზასპ საფარიანი, რომელიც საქართველოს სომხეთად აცხადებს.

დიონისე კალატოზიანიც გურულია, ქუთაისში დაბადებულ-გაზრდილი, მერე მხითარისტების სკოლაში ნასწავლი. ამასაც ასეთისაეე მცნების მოძღვრად აღიარებენ, ამასეე ლაპარაკობენ თვით ქართველ კათოლიკებშიაც[47].

დღეს, თფილისში და მთლად ქართველ კათოლიკებში, სომხური ენის სასარგებლოთ ეს მღვდელნი მეცადინეობენ

---

[47] ერთ-ერთ თავის ნაშრომში — „ქართველთ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები", რომელიც 1904 წელს დაიბეჭდა, ს. ჯიჯინაძე დიონისე კალატოზიანცის (კალატოზიშვილი) შესახებ აღნიშნავს: „ადრე ზოგიერთებმა ამ მოძღვარს ქართველთ საკნოდ მოქმედების ბრალი დასწამეს და ამით მეც დამარწმუნეს, სამწუხაროდ მის შესახებ აქა-იქ დაბეჭდილიც იქმნა ზოგი რამ ცნობები, ბოლოს კი ყოველივე მოჭორებული აღმოჩნდა, ამის გამო მეც სინანულში შევედ და რამდენჯერმე ქართულ გაზეთებში მისი უცნებლობაც აგნიშნე და ისევ ბოდიშიც. იგი არას დროს არც ყოფილა მტერი ქართველთა და არც შეიძლება იქმნეს როდისმე. ეს ლირსება მან საქმითაც დაგვიმტკიცა" (გვ. 85-86) (ს.ჯ). ზემოაღნიშნულ სტატიაში საქარია ჯიჯინაძე დიონისე კალატოზიანს ზოგადად მოიხსენიებს, როგორც მხითარიანთა სკოლის წარმომადგენელს და გასომხებულ კათოლიკე მოძღვარს. იგი იყო ალიშანის მოწაფე.

და ამისთვის ისინი აღარაფერს ზოგავენ, თვით მახვილის სმარებასაც კი საჭიროებენ ქართველთა დასაღუპად და მოსპობით. აი, ამის მაგალითიც:

თფილისში 1914 წ. გარდაიცვალა ერთი ქართველი კათოლიკე. ამ პირს დარჩა მარტო მეუღლე. შვილი არ ჰყავდა. გარდაცვალებულმა თავისი მამულები ძმის წულებს დაუბოვა. ვიდრე მეუღლე იქნებოდა ცოცხალი მის მფლობელობაში იქნებოდა, ხოლო მის სიკვდილის შემდეგ კი მამულები ძმის წულზე უნდა გადავიდეს. დასაფლავების დღეს მოწვეული იყო ერთი ზემოხსენებულ მღვდელთაგანიც, როგორც კათოლიკეთა მოძღვარი. ამ დროს ამ მღვდელმა გაიცნო გარდაცვალებულის მეუღლე. შემდეგ დაუახლოვდა და დაუწყო ქადაგება, რომ ჩვენ სომხები ვართო, ჩვენი სჯულის ენაც სომხური ენაა. მანდილოსანი მან ასე დაარწმუნა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ეს მანდილოსანი სოფ. კოდას წავიდა თავის მამულების სანახავად, სადაც ეშმაკად ეს გასომხებული ქართველი სულის მამაც თან გაჰყვა. როცა დანატოვარი მამულები ნახეს, რასაკვირველია, გადაგვარებულმა მღვდელმა სიამოვნებით უყურა და მერე მანდილოსანს უთხრა შემდეგი:

— ახ აფსუსი არ არის, რომ ასეთი მშვენიერი მამული ჩვენს მტრებს უნდა დარჩესთო.

მტრებად გულისხმობდა გარდაცვალებულის ძმისწულებს, ვინაიდან ესენი ტომით ქართველობენ და, მართლაც ქართველი ასნაურისშვილები არიან, თითქმის XII საუკუნის შემდეგიდან. საქმე მაინც ამ მტრობით არ გათავდა. ეს გადაგვარებული ქართველი მოძღვარი იმავე დროს იქვე მოურავს მიუბრუნდა და ასეთი დარიგება მისცა:

— ძმაო გიორგი, აი რას გეტყვი მე შენ: ვიდრე ქალბატონი ცოცხალი არის, შენ აქ ხმას არავინ გაგცემს და როცა ეს მოკვდება, მაშინ, კი უეჭველია, ქართვე-

ლებისგან შენი საქმე სხვანაირად იქნებაო. ამიტომ, ძმაო, შენ იმ დროისთვის დანა და ხანჯალი გალესე, ე. ი. შენი მამულის პატრონის ძმის-წულები დახოცე, მხოლოდ იმიტომ, რომ შენი უფროსი სომეხი იყო და მისი ძმისწულები კი, ქართველები არიანო. ჩვენ აქ მათ სახელსა და გვარს არ ვასახელებთ.

ცხადია, ამ სულის მამებს ქართველთა საწინააღმდეგოთ და საქართველოს სამტროდ ბევრი ასეთი მარგალიტი ქადაგება ექნებათ გაწეული მრევლში, თვით ქართველ გვარის ქართველ კათოლიკებშიაც. ეს ჯადოსნები ავრცელებენ ისეთ მტრობას, რასაც თვით სომხის ნაციონალისტებიც კი მორიდებით მისდევენ. შეიძლება მათ მისცეს ამათ ამის უფლება და ნება, რომ ქართველთ და სომეხთ შორის მახვილის ხმარება ავრცელონ.

ამიტომაც ქართველებს დიდი სიფრთხილე მართებსთ თავიანთ თავის, ჩვენ უნდა ვეცადნეთ ქართველ გრიგორიანებში განვამტკიცოთ ის აზრი, რომ იგინი არიან მხოლოდ სჯულით სომეხნი და გვაროვნობით, ენით და სხვა ჩვეულებებით — ქართველნი. იმედია, რომ ამ ნიადაგზე ნელ-ნელა მეცადინეობა თავისას გაიტანს და ქართველ გრიგორიანებშიც მოეფინება ის მცნება, რომ იგინი არიან ტომით ქართველები და მხოლოდ სჯულით გრიგორიანები — სომეხნი. თორემ ამათაც, უეჭველია, ქართველობის გამო იგივე ბედი და გადაგვარება მოელისთ, როგორც ქართველ კათოლიკებს მოელინათ ზემოთ დასახელებულ საქართველოს კუთხეებში.

ამიტომ ქართველთა საყურადღებოთ დავსძენ შემდეგს:

ქართველები თუ ამ გარემოებას გულგრილად შეხვდებიან, მაშინ სომეხნი ქართველთა შორის თავის სჯულს ადვილად გაავრცელებენ და საქმეს ისე ოსტატურათ მოაწყობენ, რომ მერე ქართველები თავისი სურვილითაც ისურვებენ გრიგორიანობასთან დაკავშირებას.

რაც დღემდი ქართველთა სოფლები დაუკავშირდენ ქართლ-სა და კახეთში გრიგორიანობას, სომეხთა სასულიერო წოდების მხნე მეცადინეობით, დანარჩენი სოფლებიც დღეის შემდეგ დაუკავშირდებიან გრიგორიანობას და ამგვარათ ამ კუთხეებში ქართველთა რიცხვიც თან და თან მოისპობა.

მერე ამ გაღახულ ქართველებს შეასწავლიან სომხურ ენას, მასთან გამოუცვლიან თვით ქართულ გვარსა და სა-სელებს და ბოლოს იმასაც დაარწმუნებენ, რომ იგინი ნამ-დვილ სომხის შთამომავალნი არიან, მათი ქვეყანაც სომ-ხეთია. ეს კი, უეჭველია ქართველ გვაროვნობას დიდ ზიანს მოუტანს.

ამის შემდეგ დაიწყებენ მტკიცებას სომხის ნაციონა-ლისტები, რომ ქართლსა და კახეთში უმრავლესობა სომხები ცხოვრობენ და ეს კუთხეები ჩვენ უნდა გვე-კუთვნოდესო.

ვიმეორებთ, ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან საქართველოს ქართველ გრიგორიანებში, სომხებმა უკვე დაიწყეს ამის პროპაგანდა, მაგალითად, სოფლებში ქართველ გლეხთა შვილებს ქართულს აღარ ასწავლიან, არამედ სომხურს ენას და ამ ენასვდვე ასწავლიან წერა-კითხვასაც. მასაც ბავშვებს უნერგავენ იმასაც, რომ იგინი ტომით ქართველები კი არა, სომხები არიან და ამიტომ უნდა სცდილობდენ, რომ მათ სომხური ენა კარგათ შეისწავლონ და სახლში და გარედ სომხურ ენაზე ისაუბრონ.

რაკი ქართლსა და კახეთში მცხოვრებთა შორის უმეტესი ნაწილი ქართველის ერისა დაკავშირებული იქნება სომხის სჯულთან, რაკი მათ ენათაც ქართულის მაგიერ სომხური გახდება და როცა ქართველ გრიგორიანებს გამოუცვლიან თვით ძველს ქართულ გვარებსა და სახელებს, მის შემდეგ, ასეთ გადაგვარებულთა ქვეყანა რაღა იქნება? ამის პასუხი მკითხველისათვის მიგვინდვია.

დასასრულ ვიტყვი იმასაც, რომ ქართველ ერს დიდათ უნდა აფიქრებდეს ის გარემოება, რომ გრიგორიანობა არის გვარისმჭამელი, ანუ ნაციის გადამყლაპ-გადამშენებელი და ამიტომ მისთვის ძნელი არ იქნება, რომ მთელი ქართლი და კახეთი გადააგვაროს და ჩაყლაპოს. ამის მაგალითები ჩვენ უკვე ბევრი ვიცით და ქართველი საზოგადოება და პრესა თუ ამ გარემოებას ყურადღებას არ მიაპყრობს, მაშინ მას ეს ამდენა ქართველი გრიგორიანობაც ისევე დაეკარგებათ, როგორც სხვადასხვა ადგილას დიდძალი ქართველობა.

ჩვენგან ამის დიდი ყურადღება მით უფრო საჭიროა, რადგანაც სომეხნი და სომხის კათოლიკენი ამაზე დიდათ მუშაობენ ქართველ გრიგორიანთა შვილების გადასაგვარებლად. მათ კუკიაში ჭირიანთ და მიქელაანთ ხევის ახლოს, ნადიროვის მამულში, სემინარიის დიდი შენობაც კი ჩადგეს მანთაშოვის ფულით, რომელ სემინარიის საშუალებითაც ფიქრობენ, რომ ქართველ სომხის შვილებს შორის სომხური ენა გაავრცელონ და დაცემული სომხეთის სიყვარული აღადგინონ, რაც თავის თავად ერთობ დიდი იარაღი იქნება რომ საქართველოს ადგილებზე სომხეთი აღორძინდეს. ყველაფერი ეს მოხდება ჩვენის დაუდევრობით და გულ-გრილობით და არა სომხების მტრობით. სომხობა მაინცა და მაინც აქ არაფერ შუაშია. საქმე ჩვენა და ჩვენი ზარმაცობა გახლავსთ[48].

[48] სამშობლო, 1916, IV, №335.

შეცდომების გასწორება

ტექსტში ავტორის სრილის დაცვით, ჩემს მიერ შესწორებული იქნა ბეჭდის დროს დაშვებული შეცდომები:

დასახლების→დახახლება,
მეცნიერული→მეცნიერული,
ბერძენ→ბერძენ,
გოდილინიც→გოდოლინიც,
არეთაშვილი→არლუთაშვილი,
ინაუარდება→ინავარდება,
საკაჭრო→საკაჭროდ,
რაკვირველია→რახაკვირველია,
ახალციხელსაც→ახალციხესაც,
დანარჩენის→ დანარჩენს,
ეკლესიას→ეკლესიის,
დაცემულს→დაცემული,
რეაქტორთ→რეაქტორი,
იმის→იმას,
მორმოდნენ→მორბოდნენ,
რიცხვის→რიცხვი,
ქვეყნებში→ქვეყნებში,
თანმემამულე→თანამემამულე,
თაწმინდის→მთაწმინდის,
მოესარებლობა→მოესარებლობა,
დღეს→დღეს,
შეცდომებს→შეცდომები,
შეამცნია→შეამჩნია,
დაიეწყეს→დაიწყეს,
რიგორც→როგორც,
განგეიქილებას→განსაქილებას,
დადანებით→დაანებით,
ეკუთვნი→ეკუთვნი,
ნარჩხი→მარცხი,
ნახანო→ნახაო,
მთელიდ→მხეიდ,
ეკუვნიან→ეკუთვნიან,
საკ.→საქ.,
ამათგნანი→ამათგანი,
მიანიია→მიანიჭა,
ამას→ამის,
დაკაშირდენ→დაკავშირდენ,
ხიხაბაგარ→ხიხაბაგარს,
შალხახიანი→მალხახიანი,
ქისიეის→ქისიეს,
კახეთის→კახეთს,
ქართველები→ქართველები,
გააკიცხეს→გაკიცხეს,
ჩვენთვით→ჩვენთვის,
სიეცა→სიტეცა,
არია→არიან,
ფანიაშვილების→ყანიაშვილები,
კათოლითეთ→კათოლიკეთ,
ზოგონი→ზოგნი,
აცვაედნენ→აეცვედნენ,
სწერს→სწერს,
მფენელი→მფენელი,
თეეზისაგან→თეზისაგან,
ტკერის→მტკერის,
დალკონათს→დალკონათი,
ბერძეკს→ბერბუკს,
მაჭადისჯვარს→მჭადიჯვარს,
ეასანაურს→ფასანაურს,
ერმანი→ემანი,
სართაჭალას→სართიჭალას,
სუფ.→სურბ.,
ნაროშენი→ნორაშენი.

ქეთევან ქუთათელაძე

ქართველთა გასომხების საკითხი ზაქარია ჭიჭინაძის შრომებში და მისი პოლიტიკური საფუძვლები

„თვალცრემლიანი ჰაოსი ქაოლოოსს მოადგა კარ'სედა ჰე, ძმაო ქართლოს სადა ხარ ბინას არ მომცემ სახლ'შია?"
ვაჟა ფშაველა

გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, თვითნასწავლი მკვლევარი, ქართველი ერის ქომაგი და ქვეყნის უდიდესი პატრიოტი ზაქარია ჭიჭინაძე თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ერთ-ერთ სიღრმისეულ პრობლემას ე.წ. ქართველთა „გასომხებას", რომლის საფუძველზე ხელოვნურად იზრდებოდა სომხური მოსახლეობის სტატისტიკა. მას ეთნიკური სურათის ცვლილება უნდა გამოეწვია საქართველოში, რათა ხელი შესწყობოდა სომხური სახელმწიფოს აღდგენას კაეკასიაში. საზოგადოების სხვადასხვა სფეროში ქართული ელემენტი უნდა ჩაენაცვლებინა სომხურ ელემენტს, რომელიც ძლიერი თვითმყობადი დიასპორის შექმნის სურვილიდან გამომდინარე, ეროვნული კონსოლიდაციისკენ მიზანმიმართული სწრაფვით, გულმოდგინეობითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. სხვადასხვა ისტორიულ სიტუაციებში გარეშე ძალთა ხელშეწყობით, სომეხთა წარმატება ხშირ შემთხვევაში „სხვის უბედურებაზე შექმნილ ბედნიერებას" ემსგავსებოდა. ბუნებრივია, „საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოებრიობას მოკლებული სომეხი ერი ყოველთვის ცდილობდა სომხური სახელმწიფოს აღდგენას. მაგრამ ხშირად მათ ამ მისწრაფებას დამპყრობელი ქვეყნები თავიანთი ინტერესების-

თვის იყენებდნენ და ამით ფიზიკურად აზარალებდნენ არა მარტო სომხობას, არამედ მის მეზობელ ხალხებსაც. ეს პოლიტიკა აღვიქვებდა ხალხთა შორის შუღლს, რაც ხშირად დაპირისპირების მიზეზიც ხდებოდა“[1].

მუსულმანური სამყაროსაგან შეიწროებული სომხობა, რომელიც პირველ დარტყმას იღებდა, ყოველთვის პოულობდა საქართველოში თავშესაფარს. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „აუტანელი მდგომარეობის გამო, სარწმუნოებრივი და ეროვნულ-პოლიტიკური დევნისაგან, სომხობა თავის ქვეყნითგან იერებოდა, მამაპაპეულს მიწა-წყალს სტოვებდა და სხვა, უფრო მყუდრო ქვეყნებში და სახელმწიფოებში ეძებდა თავშესაფარს. საქართველო სომხებისათვის ყველაზე მახლობელი ქვეყანა და სამყფო იყო, სადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება, საქართველოში არასდროს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა – და თანაც საქართველოში შემოხიზნულ სომხებს უფრო მეტი იმედი ჰქონდათ, თუ გარემოება მათთვის ხელსაყრელად შეიცვლებოდა, იქითგან სამშობლოში ადვილად დაბრუნებულიყვნენ“[2]. ქართველები ყოველთვის ტოლერანტულად იყვნენ განწყობილნი მათ მიმართ. შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოში შემოხიზნული სომხური მოსახლეობა ქართველებთან ერთად ერკინებოდა მტერს და მასთან ერთად იელიტებოდა. თუმცა, სამხრეთ კავკასიაში შემოსული მესამე ძალის მიერ ამ ორ ხალხს შორის პოლიტიკური წინააღმდეგობის კვანძი ისტორიის გარკვეულ პერიოდში დროდადრო იქმნებოდა. ჩვენი

---

[1] ქ. ქუთათელაძე. ქართველთა გასომხების საკითხისათვის XIX-XX სს-ის მიჯნის ქართული პერიოდიკის მიხედვით, კავკასიოლოგიური ძიებანი, №2, თბ., 2010. გვ. 502.

[2] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს სახლვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989, გვ. 35

წინაპრების და გამორჩეული პოლიტიკური მოღვაწეების მაღალი სახელმწიფოებრივი შეგნების და ხედვის დამსახურებაა, რომ, მიუხედავად, სხვადასხვა საკითხებზე პოლიტიკური შეუთანხმებლობისა და დაპირისპირებისა, რომელიც ხშირ შემთხვევაში მესამე ძალის მიერ სომეხთა სასარგებლოდ წყდებოდა, ამ ორ მრავალჭირნახულ ერს შორის არ მომხდარა ისეთი მძიმე სისხლიანი დაპირისპირება, რომელიც უფსრკულს წარმოშობს ერებს შორის და დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას იწვევს. ამით მხოლოდ კავკასიაში გაბატონების მოსურნე გარეშე ძალა სარგებლობს, რომელიც „გაიცინე და იბატონეს“ პრინციპით მართავს დაპირისპირებულ მხარეებს.

საქართველოში დამკვიდრებული სომხობა ძირითადად ვაჭრობით იყო დაკავებული. თავისი მდებარეობით საქართველო ყოველთვის იზიდავდა სხვადასხვა ქვეყნის ვაჭარებს. თვითონ ქართველი მეფე-მთავრებიც დაინტერესებულნი იყვნენ ვაჭართა შემოყვანით და ხშირად სომეხი ვაჭრები ცილობის საგანიც კი იყო მათთვის. შემოყვანილ ვაჭართა დიდი ნაწილი მეფის, ეკლესიის, ან ცალკეულ დიდგვაროვანთა დაქვემდებარებაში იყო. ქართველი მეფეები დიდ ეკლესიებსაც სწირავდნენ ხოლმე სომეხ ვაჭრებს[3]. გ. მაისურაძე აღნიშნავს, რომ „ეტყობა ვაჭრის პროფესია ყველაზე უფრო მომგებიანი უნდა ყოფილიყო სომხებისათვის საქართველოში დასასახლებლად, რის გამოც, ჩანს, XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოს ქალაქებს ბევრი ხიზანი სომეხი ვაჭარი შეემატა“[4]. ბუნებრივია, საქალაქო ცხოვრებაში ვაჭრები, მათი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ, განსაკუთრებით ეს ითქმის მსხვილი კაპიტალის მქონე

[3] გ. მაისურაძე. საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.), თბ., 1999, გვ. 155-156.

[4] იქვე, გვ. 156

ვაჭრებზე, რომლებიც აქტიურად იყვნენ ასევე ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. არ არის გამორიცხული თუ ვაჭარი ეთნიკურად სომეხი არ იყო, იგი სარწმუნოებრივად მაინც გამხდარიყო სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიის წევრი, ანუ სარწმუნოებით „სომეხი“, ეს მას გაუადვილებდა კავშირების დამყარებას სხვადასხვა ქვეყნებში მყოფ სომხურ სავაჭრო ორგანიზაციებთან. შესაძლოა, პრაგმატულად მოაზროვნე, შეგნებით მერყეები ზოგიერთი ეროვნებით ქართველიც ამ მიზნით, სომხური ეკლესიის გავლენის ქვეშ ექცეოდა.

სომხურ-მონოფიზიტური აღმსარებლობის ფენები მტრულად შეხვდნენ კათოლიკური მრწამსის გავრცელებას საქართველოში. ზაქარია ჭიჭინაძეს არა ერთი ფაქტი მოჰყავს თავის სხვა ნაშრომებში, სადაც აღნიშნულია, რომ კათოლიკე მღვდლებს აძევებდნენ დიდი ქალაქებიდან. ამ პროცესში ხშირად ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას. ბუნებრივია, სომეხ მონოფიზიტებს, რომლებიც ვაჭარ-ხელოსანთა ძირითად ფენას წარმოადგენდნენ, კონკურენტად აღიქვამდნენ კათოლიკური აღმსარებლობის ხალხს, რომლებიც ასევე, ვაჭრობას მისდევდნენ. არ გამოვრიცხავ, ქართველი კათოლიკების სომეხ კათოლიკეთა სომხურ ტიპიკონზე გადაწერის ერთ-ერთი მიზეზი ესეც ყოფილიყო, როდესაც ისინი ეთნიკურ სომხებად აცხადებდნენ ასეთ ხალხს. გარდა იმისა, რომ საქმე სომხური ელემენტის დაწიანურებას და მომრავლებას ემსახურებოდა, იგი ასევე, განაპირობებდა სხვა ეთნიკური ელემენტის შეუღწევლობას მსოფლიო სავაჭრო სისტემაში, სადაც სომეხ ეთნოსს ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილი ეკავა, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ქართლ-კახეთში განსაკუთრებით, სომეხი ვაჭრების მოხიდვით დაინტერესებული არის მეფე ერეკლე, რომელიც მათ ხელსაყრელ პირობებს და ქართველების მსგავს პატივს

ჰპირდებოდა. „მეტადრე დიდი ყურადღება ექცეოდა მსხვილი კაპიტალის მქონე სომეხი ვაჭრების მოზიდვასა და სამეფო ვაჭართა რიგებში მათ ჩაყენებას. გარდა იმისა, რომ ეს დიდვაჭრები ხაზინას მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდნენ, ამასთან ისინი სამეფო ხელისუფლების უფრო საიმედო პოლიტიკურ დასაყრდენსაც წარმოადგენდნენ“[5]. დიდვაჭრები ხშირად ფინანსურადაც ეხმარებოდნენ სამეფო კარს, „რის საფუძველზეც ისინი მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობებს იკავებდნენ, იღებდნენ უმაღლეს ფეოდალურ წოდებებს და შესამჩნევ როლს თამაშობდნენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში“[6]. ქართულ რეალობაში „სომეხი“ და „ვაჭარი“ იდენტური ცნებები გახდა.

მიუხედავად ამისა, ვერ დავეთანხმებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ თითქოს ქართველთა და სომეხთა დაპირისპირება კონფესიურ ნიადაგზე, მარქსისტული გაგებით, კლასობრივი ბრძოლის ანარეკლი იყოს, სადაც ბურჟუაზია თითქოს უპირისპირდება ფეოდალურ თავადაზნაურობას. ასევე, არ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ტერმინები „სომეხი“ და „ქართველი“ მხოლოდ სოციალური დატვირთვის ცოფილიყო და აქედან გამომდინარე, შემდეგ მიიღო კონფესიური დატვირთვა. მართალია, XIX ს-ში „სომეხი“ გარკვეულწილად ვაჭრის მნიშვნელობით იგულისხმებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ აქ მთელი სოციალური ფენა გეგულისხმა. გ. მაისურაძე აღნიშნავს, რომ „სომეხი უპირატესად სოციალური ფენის აღსანიშნავად გამოიყენებოდა, რაც ზოგჯერ თითქმის ქალაქის მოსახლეობას ფარავს“[7]. მკვლევრის აზრით, ასევე, სო-

---

[5] გ. მაისურაძე, საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.), გვ. 162.

[6] იქვე, გვ. 165.

[7] გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1982, გვ. 306.

ციალური ტერმინია „ქართველი“, „რომელიც უმთავრესად ფეოდალური არისტოკრატიის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ეთნიკური სახელი ამ სოციალურმა წრემ, ნანს, მიიღო მასში ქართველთა უპირატესობის გამო და ამიტომ მიხედვითაც განისაზღვრა მისთვის დამახასიათებელი კონფესიური კუთვნილებაც (ქართული მართლმადიდებლობა)“[8]. ცალკეული კონფლიქტური შემთხვევები ქართველ ფეოდალსა და სომეხ ვაჭარს შორის შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ორ ეთნო-კულტურულ ერს შორის დაპირისპირებაში აუცილებელად კლასობრივი ბრძოლა დაგვენახა. ისტორიის მარქსისტული გაგება საბედნიეროდ წარსულს ნაბარდა. ასევე ბოლომდე ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომლის მიხედვით, ქართველი გრიგორიანების შრომის ერთ-ერთი მიზეზი იყო კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფი შრომა. ამ შემთხვევაში კონფესია უფრო ეთნოკულტურულ ფაქტორს უკავშირდება და არა სოციალურს, მით უმეტეს კლასობრივს. რა თქმა უნდა „გასომხების პროცესს“ თავისი სოციალური მხარეც ჰქონდა, მაგრამ ამ მოვლენის საფუძველი უფრო პოლიტიკური იყო.

კავკასიაში გაბატონების მოსურნე დამპყრობელი ძალის მიერ სხვადასხვა აღგილებიდან გარდა ფიზიკური გადმოსახლებისა, ხელი ეწყობოდა სომეხთა კონფესიურ პოლიტიკას, რომელსაც რწმენასთან განსაკუთრებული კავშირი არ ჰქონდა და იგი უფრო პოლიტიზირებული იყო. მისი მიზანი გახლდათ აღგილობრივი ქართული მოსახლეობის სომხურ მონოფიზიტურ მრწამსზე დაწერა, ანუ ე.წ. „გასომხება“, რომ ეთნიკური სურათის მიხედვით, ტერიტორიის მითვისების და შემდეგ მისი კუთვნილების საკითხი გაემართლებინათ.

---

[8] იქვე.

სომეხი ერის გამიჯვნას სხვა ერებისგან ძირითადად განსაზღვრავდა კონფესია, რომელიც ერის კონსოლიდაციის მთავარი ბერკეტი იყო. მათთვის სარწმუნოება (ებრაელების მსგავსად) ასოცირდებოდა ეროვნებასთან, ანუ ვინც სომხურ მონოფიზიტურ მრწამსს მიიღებდა, ის მაშინვე „სომეხი“ ხდებოდა, ისევე, როგორც მართლმადიდებლობაზე მოქცეული სომეხი „ქართველად“ იწოდებოდა. „გასომხების“ პოლიტიკას ემსახურებოდა, აგრეთვე, ქართველი კათოლიკების, რომლებიც ღვთისმსახურების ლათინურ ტიპიკონს ალიარებდნენ, გადაწერა სომეხ კათოლიკეთა სომხურ ტიპიკონზე, რის შემდეგაც ასეთ ქართველებს ეთნიკურად სომხებად აცხადებდნენ.)

1901 წლის გაზეთ „ივერიის“ №125, 132, 198-ში და „ცნობის ფურცლის“ №1445 ნომრებში ზ. ჭიჭინაძე ბეჭდავდა სტატიებს ისტორიული მესხეთის ქართველი კათოლიკების შესახებ, რომელთაც ასევე, „გასომხების“ საფრთხე ემუქრებოდათ. სტატიებში აღნიშნულია, თუ სად იყვნენ ისინი გაბნეული, რამდენი კომლი ლაპარაკობდა ქართულად, რამდენი იყო გასომხებული, ვინაიდან ზოგიერთ სოფელში წირვა-ლოცვა სომხურად მიმდინარეობდა. 1904 წელს ზ. ჭიჭინაძემ ეს საკითხები დაბეჭდა ასევე, წიგნში „საქართველოს დაკარგული სოფლები და ქართველი კათოლიკენი“, სადაც ავტორი მრავალ საინტერესო უცნობ ისტორიულ მასალას გვთავაზობს ქართველი კათოლიკების შესახებ, რომლებიც თავს ეთნიკურ ქართველებად მიიჩნევდნენ და არა სომხებად. ზ. ჭიჭინაძის ცნობებს ნდობით უნდა მოვეკიდოთ, რადგან მან ფეხდაფეხ შემოიარა ე.წ. „ოსმალოს საქართველო“, სადაც ქართველობის წაშლას დროც და ადამიანებიც ერთობლივად ახდენდნენ[9]. ამას მისი

[9] ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს დაკარგული სოფლები და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1904.

ფსევდონიმი „შავშელიც“ მიუთითებს. საეკლესიო ინფორმაციას იძლევა ზაქარია ჭიჭინაძე და თავის აზრსაც იქვე აფიქსირებს, როდესაც წერს: „საქართველოში, დღეს ქართველ კათოლიკებს სამშობლო ენა დაკარგული აქვსთ არის ისეთი სოფლებიც, სადაც ქართველ გვარის კათოლიკენი სცხოვრობენ, ხოლო მათ ქართული ენა დავიწყებული აქვსთ, თათრულად (თურქულად – ქ.ქ.) ლაპარაკობენ და სომეხ კათოლიკეთ ტიბიკონზე სდგანან. მღვდელნი მათ სომხურად უწირავენ, ქადაგებას კი თათრულ ენაზე წარმოსთქმენ. დღეს თუმცა ასეთ კათოლიკების ზოგმა კარგად იცის, რომ ისინი ქართველნის შთამომავალნი არიან, მაგრამ ნელ-ნელა ეს მათშიაც ქრება, იგინი ცხადად ივიწყებენ თავიანთ ვინაობას და ამ დავიწყებას ეკლესიაში სომხური ენის ხმარებაც უწყობს ხელს და მასთან სომეხ-კათოლიკეთ სამღვდელოების მხნე მოქმედება ასეა საქმე. მაგრამ რას ვიზამთ, ყველა ეს იმისი ბრალია რომ ქართველთ კათოლიკენი იმდენი არ იყო, რამდენიც სომხების და მეორე სომხის გვარი ძველადგანვე დაიპრნენ სომხეთიდგან, იგინი მთელს ევროპას მოეფინენ. კონსტანტინეპოლს ოსმალების ქვეშ თავი შეიფარეს, იქ დიდი ძალა შეიკრიბეს, ოსმალის მთავრობას ბერძნების ჯაშუშებათ იყვნენ, არც ქართველებს ზოგავდნენ, საქართველოსთვისაც ბასრ კბილებს ლესავდნენ. ათას ნაირს დასაღუპს ამზადებდენ, ხოლო ამისთვის კი ქართველთ კათოლიკეთ და თვით ქართველთაც (მართლმადიდებელთ – ქ.ქ.) არაფერი ძალა შესწევდათ“[10].

ზაქარია ჭიჭინაძე ადეკვატურად აფასებს მოვლენას და იმ საშიშროებას, რაც შეიძლება მას მოჰყოლოდა ქართველი ერისთვის. იგი ზუსტად ხვდება, რომ ცალკე სომხური მონოფიზიტური ალმსარებლობის, ანუ როგორც თვითონ

[10] ს. ჭიჭინაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 93, 95, 96-97.

უწოდებს, „გრიგორიანი“ მოძღვრები ამ აღმსარებლობის მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ქართველებს ეთნიკურ სომხებად მიიჩნევდნენ. ასევე. ცალკე კათოლიკე სომხები, განსაკუთრებით ვენეციის მხითარიანთა სკოლის წარმომადგენლები, საქართველოში მცხოვრებ ყველა ქართველ კათოლიკეს ქართულ ენაზე მოსაუბრე ეთნიკურ სომხებად აცხადებდნენ[11]. სომხების ამ ქცევას, მ. თამარაშვილი, სომეხთა „შურსა და სიბოროტეს“ მიაწერს[12]. მან თავის ნაშრომში „პასუხად სომხის მწერლებს“ საკადრისი პასუხი გასცა იმ სომეხ კათოლიკე მღვდლებს, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდნენ ქართველი კათოლიკების ქართველობას და მათ ეთნიკურ სომხებად აცხადებდნენ. ეს აზრი XIX-XX სს-ის მიჯნის სომხურ პრესაშიც მუსირებდა, რომელიც თბილისში გამოდიოდა. მათ წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა აგრეთვე, ქართველი კათოლიკების თვალსაჩინო წარმომადგენელმა ივანე გვარამაძემ (ვინმე მესხი), რომლის პუბლიკაციებს „დროებაში“ ამ საკითხთან დაკავშირებით, დაწერილებით შევეხეთ ჩვენს ერთ-ერთ წერილში[13]. გ. მაისურაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ მ. თამარაშვილისა და ზ. ჭიჭინაძის წიგნები ქართველი ხალხის ეთნიკური კონსოლიდაციისკენ იყო მიმართული, „რაც თავისი შინაარსით ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო“. მკვლევარი ასევე, ამ წიგნების

---

[11] ზ.ჭიჭინაძე. ქართველთ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები, თბ., 1904, 32-33.

[12] მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას, თბ., 1904, გვ. 9. შ. ლომსაძის ცნობით, ეს ნაშრომი დაბეჭდილია სტეფანე ყუბალაშვილის „წარსაგებელითა და პ. მირიანაშვილისა და ზაქარია ჭიჭინაძის აქტიური მონაწილეობით“ (შ. ლომსაძე. მ. თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი. თბ., 1984. გვ. 74).

[13] ქ. ქეთათელაძე. ქართველთა გასომხების საკითხისათვის XIX-XX სს-ის მიჯნის ქართული პერიოდიკის მიხედვით, გვ. 509-511.

ღირსებად ასახელებს მათ ავტორთა ჯანსაღ პოლიტიკურ სულვას, რომ ისინი კრიტიკას წარმართავდნენ არა სოგადად სომეხი ერის მიმართ, არამედ სოგიერთ სომეხ ს[წაელ]ულ[ებ]ზე, „რომელთა საქმიანობა ერთნაირად მავნე იყო, როგორც ქართველთა, ისე სომეხთა ინტერესებისთვისაც“[14].

ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ სომხურ-მონოფიზიტურ და სომხურ-კათოლიკურ ფრთას ორივეს ერთნაირი ხელვა ჰქონდა და გასომხებით ემუქრებოდა ქართული ცნობიერების მქონე ქართველ-მართლმადიდებელ და ქართველ-კათოლიკე მრევლს. ეს ყველაფერი მიმართული იყო ქართული ცნობიერების შესასუსტებლად, ქართული ენის აღმოსაფხვრელად, რომელიც ქართული იდენტობის ერთ-ერთი უძლიერესი ბერკეტი იყო. მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ რელიგიური საკითხები ამ შემთხვევაში უფრო მეორე ხარისხოვანი იყო. სომხობა მას პოლიტიკურ სარგებელს აძლევდა და თავისი ინტერესებისთვის იყენებდა. მათი გაგებით, სომხური ეკლესია იყო წიაღი, რომელიც უზრუნველყოფდა სომხური სახელმწიფოს ცნობიერებასა და მენტალობას. ამის თვალსაჩინო მაგალითია, მ. თამარაშვილის მიერ მოხსენიებული კათოლიკე სომეხი ავეტიკ ეპისკოპოსი, რომელიც დაუბრუნდა თავის წინაპართა სარწმუნოებას. იგი „თავის უშიშარ მყუდროებას სომხის ერთ მორწმუნოებაში ჰპოვებს“, სადაც არის სომეხთა ხსნა[15]. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, XIX საუკუნის შემდგომ სომეხ გრიგორიანებს მოუთხოვიათ სომეხი კათოლიკებისთვის, რომ გაერთიანებულიყვნენ მათთან. „გრიგორიანებთან დაკავშირებას ნამეტურ დასაელეთ საქართველოს ქართველ კათოლიკებს სთხოვდნენ, ამათი სამღვდელო პირთ ფულით შესყიდვაც მოინდომა ეჩმიაძინის სინოდმა, მაგრამ ეს მათ

[14] გ. მაისურაძე. ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან, გვ. 114.
[15] მ. თამარაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 28-29

ვერ მოუხდათ. ვერ მოახერხეს, ამის მიზეზი გახლდათ, რომ 1828 წ. ახალციხის და არზრუმის ფაშები ქრთამით შეისყიდეს და მათის დახმარებით აღდგომის პარასკევს დღეს, 27 კათოლიკის მღვდელი დაიჭირეს და ციხეში ჩაყარეს, ეგონათ, რომ ამით საქმეს გააწყობდენ, საუფლისწულო დღეების გამო უმღვდელოო მრევლი გრიგორიანთ ხუცებს დაუკრაედა თავს და გრიგორიანობას დაუკავშირდებოდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. არა იქმნა-რა. მრევლი მაგრა დადგა"[16]. ერთ ხანს, რომის ეკლესიამ აუკრძალა სომეხ კათოლიკებს მათი ტიპიკონით მოღვაწეობა და ხელდასხმა კათოლიკური წესის მიმდეარი ეპისკოპოსებისგან ითხოვა. მაგრამ სომეხი კათოლიკები დაუპირისპირდნენ კათოლიკე პატრებს და მათთან მტრობა ჩამოვარდა[17]. ისინი ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში მცხოვრები კათოლიკენი სომხური წარმომაელობის არიან და მღვდელმსახურება მშობლიურ ენაზე, ანუ სომხურად უნდა ჰქონდეთო, ლათინმა პატრებმა კი ადგილობრივი ენა არ იციანო. როდესაც მ. თამარაშვილმა დიდი რაოდენობის ისტორიული დოკუმენტებით დაამტკიცა ამ მოსაზრების სიყალბე, სომეხმა კათოლიკე მღვდლებმა შეცვალეს ტექსტი და აღნიშნავდნენ, რომ რადგან ქართველებს თავიანთი მღვდლები არ ჰყავთ, ჩვენ ვიქნებით მათი მღვდლებიო[18]. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ქართველი კათოლიკების სომეხ კათოლიკებად დაწერა უფრო 1835 წლიდან დაიწყო[19]. როდესაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი რუსეთის ხელში გადავიდა, ქართველ კათოლიკებს უჩიჩინებდნენ, რომ რუსები ქართულად მოლაპარაკეს მხოლოდ მართლმადი-

[16] ზ. ჭიჭინაძე, ქართველთ კათოლიკე არქიმანდრიტი პაულე შაპეულიანი (ჭილიმეშაშვილი), თფ., 1904, გვ. 36-37
[17] იქვე. გვ.43.
[18] შ. ლომსაძე, მ. თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი. გვ. 69
[19] ზ.ჭიჭინაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 47

დებლებს ჩათვლისო, თქვენ კი კათოლიკობას დაკარგავთო, რადგან რომის კათოლიკობას საქართველოში ადგილი არ აქვსო: „თქვენ მარტოთ თავი სომეხ კათოლიკედ აღიარედ, მარტო ეს არის საჭირო, რომ მის მეოხებით თავი გადირჩინოთ გადაგვარებ-გადარჯულებისაგან“[20].

საქარია ჭიჭინაძემ „ქართველი გრიგორიანები“ (სომხის სარწმუნოების ქართველები), 1906 წელს დაბეჭდა თბილისში „შავშელის“ ფსევდონიმით. ცენზურამ წიგნის დაბეჭდის ნება დართო იმავე წლის 14 იანვარს. იგი ეხება „გასომხების საკითხს“, სომხურ მონოფიზიტურ (ე.წ. „გრიგორიანულ“) სარწმუნოებაზე ქართველთა დაწერას. სათაურიდან გამომდინარე, „ქართველ გრიგორიანებს“ უწოდებს „სომხის სარწმუნოების ქართველებს“. ეთნიკურ სომხებს კი მოიხსენიებს, როგორც „სომხის გვარი“, „სომხის შთამომავალნი“, ჰაოსიანთაგანნი“. რუსეთის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში სახელწოდება „სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობა“ გვხვდება VI ტომიდან სემოთ: „Армяно-Григорианский церковь“, „Эчмиадзинский Армяно-Григорианский синод“, „Армяно-Григорианское духовенство“[21]. I–V ტომში კი მოიხსენიება მხოლოდ – „Армянское духовенство“, „Армянская церковь“[22].

---

[20] იქვე, გვ. 47-48

[21](Акты, VI, Тиф. 1874, გვ.449, VIII, Тиф. 1881, გვ. 262, IX, Тиф. 1884, გვ.109-110,717, X, Тиф. 1885, გვ. 240, XI, Тиф. 1888, გვ. 21). VI ტომში მოიხსენიება ის ქალაქები და მაზრები (თბილისის, გორის, ანანურის, თელავის, სიღნაღის მაზრები, ბორჩალოს, ბამბაკის, ყაზახ-შამშადილოს, ყლიასავეტროპოლის, ბაქოს, იმერეთის მხარეები) სადაც ეკლესიებზე მიწერილნი იყვნენ სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობის წარმომადგენლები. საბუთი 1822 წლის იანვრით თარიღდება (VI, 449). XI ტომში მოიხსენიება სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობის ქართველ-იმერთა არქიეპისკოპოსი კარაპეტი (XI, გვ. 21,22).

[22] Акты, I, Тиф. 1866; 536, II, Тиф. 1868 272; III, Тиф. 1869, 78; IV, Тиф. 1870, 172; V, Тиф. 1873, 437

ზაქარია ჭიჭინაძის აზრით, სარწმუნოება არ უნდა განსაზღვრავდეს ეროვნულობას, ანუ როგორც თეთრუს უწოდებს „გვარ-ტომობას“. იგი „გვაროვნობას“ უწოდებს წარმომაელობას, ეთნიკურობას, გვარში ერს გულისხმობს. მისი აზრით, „გრიგორიანული“[23] (სომხურ-მონოფიზიტური – ქ.ქ.) სარწმუნოების მიმდევარი სომეხის გარდა შეიძლება ქართველიც ყოფილიყო და რუსიც, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სომხები არიან. ისევე როგორც, ეროვნებით სომეხი გრიგორიანობის გარდა შეიძლება იყოს მართლმადიდებელი, კათოლიკე, პროტესტანტი და სხვ., რაც არ უნდა ცვლიდეს მის ეროვნულ ცნობიერებას[24]. სარწმუნოებრივ შემთხვევაში მას „სომეხი“ („გრიგორიანი“) მიანნია კონფესიურ ცნებათ, როგორც „ფრანგი“ (კათოლიკე), „ბერძენი“, ან „ქართველი“ (მართლმადიდებელი), „თათარი“ (მუსულმანი), „ებრაელი“ (იუდეისტი)[25].

1916 წლის გაზეთ „სამშობლოს“ №332, 333, 334, 335 - ის ფურცლებზე ზ. ჭიჭინაძემ ამ „გასომხების საკითხთან“ მიმართებაში, დაბეჭდა ასევე, საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი სტატიების ციკლი „სომხეთი საქართველოში“

---

[23] სომხური სამოციქულო ეკლესიის ჩამოყალიბება უკავშირდება გრიგოლ პართელს. განმანათლებელს, რომელმაც იქადაგა ქრისტიანობა სომხეთში. აქედან გამომდინარე, ზოგჯერ სომხურ ეკლესიას სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიას უწოდებენ (**Большая советская Энциклопедия**, Мос. 1970, Т. 2, с. 326). ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაშიც მითითებულია სომხური გრიგორიანული ეკლესია, ანუ სომხური სამოციქულო ეკლესია (ქსძ, ტ. IX, თბ., 1985, გვ. 471).

[24] ზ. ჭიჭინაძე, ქართველი გრიგორიანები, (სომხის სარწმუნოების ქართველები), თბ., 1906, გვ. 120.

[25] ერეკლე II 1774 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთშიც მოხსენიებულ „აღებ-მიცემობის კაცნში“ ჩამოთვლილი არიან – „ქართველი, სომეხი, ფრანგი, თათარი, ჰურია“, მათ გარდა ეთნიკური შინაარსისა, კონფესიური დატვირთვაც აქვთ.

(სომხის სამღვდელოების და დაშნაკთა ოცნება)[26]. ეს სტატიები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, მცირე ნარკვევს წარმოადგენს. იგი შინაარსობრივად ესადაგება ავტორის მიერ 1906 წელს გამოცემულ ზემოაღნიშნულ ნაშრომს და კიდევ მრავალ საინტერესო ფაქტს შეიცავს. ორივე ნაშრომი ხელმიწვდომია იმ პროცესს, რასაც კონფესიური ცვლილება მოიტანდა საქართველოში. სათაური „ქართველი გრიგორიანები“ აღმსარებლობის შეცვლას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს გულისხმობს, ხოლო სათაური „სომხეთი საქართველოში“ იმ შედეგზე მიუთითებს, რაც შეიძლება აღნიშნულ პრობლემას მოჰყოლოდა. ამრიგად, ეს ორი ნაშრომი, სისხლხორცეულად არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული. ადამიანს საერთო წარმოდგენა რომ შეექმნას ზაქარია ჭიჭინაძის შემოქმედებაში ქართველთა გასომხების საკითხთან დაკავშირებით, გადავწყვიტე, ორივე ნაშრომი ერთ წიგნად გამომეცა და ისე წარმომედგინა დაინტერესებული მკითხველისათვის.

ზ. ჭიჭინაძე ზემოაღნიშნულ ნაშრომებში ასახელებს იმ სოფლებსა და დაბებს, სადაც ცხოვრობდნენ სომხურ-მონოფიზიტურ, ანუ „გრიგორიანულ“ მრწამსზე გადასული ქართველები. იგი ასევე, ჩამოთვლის „გასომხებულ“ ქართულ გვარებს, ქართველი კათოლიკების გასომხებას და მათთვის ქართული ენის დავიწყებას. ზ. ჭიჭინაძე „გრიგორიანობას“[27] მოიხსენიებს, როგორც „გვარი ჭამია, ანუ ნაციათყლაპიათ“, რომელიც ჭამს ქართველი ერის ნაციას.

---

[26] 2010 წლის 14 აპრილს მოხსენება – ზ. ჭიჭინაძის საგაზეთო სტატიები „სომხეთი საქართველოში“ (სომხის სამღვდელოების და დაშნაკთა ოცნება) – წაიკითხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე.

[27] ზ. ჭიჭინაძე „გრიგორიანობის“ შესატყვისად არსად არ ასახელებს სომხურ-მონოფიზიტურ სარწმუნოებას. მის შესატყვისად იყენებს „პოსიანთ ეკლესია“, „სომხის სჯული“.

იგი მოუწოდებს ქართველებს შეაგნებინონ „გრიგორიან ქართველებს“, რომ ისინი მხოლოდ რჯულით არიან „სომეხნი“, სხვა შემთხვევაში კი ყველანაირად ქართველ ერს ეკუთვნიან. თუ ამ საკითხს ქართველები გულგრილად მოეკიდებიან, მაშინ სომხები ყოველმხრივ ეცდებიან, რომ საქართველოში „დაცემული სომხეთი“ აღადგინონ[28].

ზემოაღნიშნული სტატიების I წერილში ს. ჭიჭინაძე ჩამოთვლის რამოდენიმე მაგალითს, სადაც ჩანს, თუ როგორ ეუყლებიან სომხები თბილისსა და მის შემოგარენში ქართულ მიწებს და იქ მცხოვრები ქართული მოსახლეობის შეეწროებას იწყებენ. ავტორის თქმით, სომეხთა ნატერის – „სომხეთის აღდგენა საქართველოში“– განსახორციელებლად „...სომხის ნაციონალისტები თბილის-

---

[28] ს. ჭიჭინაძე ძალიან მკაცრად აფასებს და გულისტკივილით აღნიშნავს იმ პერიოდში ქართველი ერის ნაკლებ პატრიოტულ განწყობას ქართველობის და ქართული კულტურის მიმართ: დღეინდელ ქართველს არ აცხოველებს მის ეროვნების სიყვარული, ქართველობა, ქართველთ უძველესი მნიშვნელობა, მათი კულტურა. ასე გათახსირდით, ასე დაკნინდით და მიტომაც არის, რომ ჩვენს ქვეყანაში მოსულნი და შემოხიზნულნი ასე ცოცხით გვერეკებიან და გველალებიან, ასეთ დასაგველ ერისათვის აღარ არის დრო, რომ მან თავის ვინაობისა და ვითარება'ზედაც იფიქროს. დღეინდელი ქართველი არის მხოლოდ სამწუხარო სურათი მამულების გაყიდვის, შეჭმის, გაყლანგვის, ყომარბა'ზობის, დაცი-დარაბის. ძმათა და გაჭირვებულთ არ გაკითხვის და ათასიც სხვანი“ (ს. ჭიჭინაძე. ქართველი გრიგორიანები. 17). XIX საუკუნის I ნახევარში რუსული კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ განმანთავისუფლებელი ბრძოლის ფონზე, ეს მართლაც, საჭალალო და გულდასაწყვეტი იყო. ს. ჭიჭინაძემ გამოთქვა ის აზრი, რაც გამოხატა ილ. ჭავჭავაძემ „ბედნიერ ერში“. ეს კი თვითკრიტიკაა, მწარე, მტკივნეული, მაგრამ ალბათ საჭირო. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მთელ ერზე არ იგულისხმება, რადგან მასში სამშობლოსათვის თავგანწირვის სურვილით გაჟღენთილი ადამიანებიც არიან, რომელთა სიცოცხლის დედააზრს ქვეყნის გამთლიანება, სახელმწიფოებრივი შეგნება და ეროვნული ფასეულობების დაცვა წარმოადგენს. ასეთი ადამიანები ზვარაკად ეწირებოდნენ კიდეც ერს.

ში იძენენ დიდ ადგილებს და აშენებენ დიდრიონ შენობებს, ხოლო თბილისის გარშემო კი ხელში იგდებენ ცარიელ ადგილებს და ზედ ასახლებენ სომეხთა გადმოხვეწილებს"[29].

II წერილში ზ. ჭიჭინაძე ძალზედ საინტერესო ცნობას იძლევა იმის შესახებ, რომ სომხებმა მიზნის მისაღწევად შექმნეს პარტია, რომელსაც ევალებოდა ქართველთა მამულების შეძენა და იქ სომხების დასახლება. მათ პარტიის წესდება მთავარმართებელსაც კი წარუდგინეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა იგი არ დაამტკიცა[30]. მაშინ სომხებმა გუგმა შეცვალეს და ცდილობდნენ ქართველები სომხური ეკლესიისთვის დაეკავშირებინათ. ამ ნიადაგზე ქართლში 120 სოფელი დაუკავშირეს სომხურ გრიგორიანულ სარწმუნოებას, კახეთში კი 80. ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ დღეს-დღეობით ამ გასომხებულ ქართველებს თავი ნამდვილ სომხის შთამომავლებად მიაჩნიათ და თავიანთ სოფლებსაც სომხეთად თვლიან, საქართველოც სომხეთი ჰგონიათ. ამ საქმეზე დახელოვნებული „სომხის პატრიოტები" კი მათ ქართულ გვარ-სახელებს სომხურად სცვლიან[31].

სომხები რუსთა ხელშეწყობით ქართველებისგან საქართველოს სხვა ძირძველი ტერიტორიების წაგლეჯვასაც ცდილობდნენ, რომლის შესახებ ივ. ჯავახიშვილი მსჯელობს. 1828-1829 წწ-ის რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის წარმოებული ომი რუსთა გამარჯვებით დამთავრდა. მათ ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი შემოიერთეს. ეს ტერიტორიები ახალციხის, ახალქალაქის მაზრებად და ფოცხოვის უბნად გაფორმდა. ჯა-

---

[29] ზ. ჭიჭინაძე, სომხეთი საქართველოში (სომხის სამღვდელოებისა და დაშნაკელთა ოცნება), სამშობლო: 1916, № 332.
[30] იქვე, №333.
[31] იქვე.

ვახეთში ძირითადად გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობდნენ, ქართული ცნობიერებით და ენით. რუსეთის შესვლის შემდეგ ეს მოსახლეობა იძულებული გახდა მამაპაპეული ადგილები მიეტოვებინა და თურქეთის სხვადასხვა მხარეს გადასახლებულიყო. რუსეთის იმპერიამ ახალქალაქის მაზრაში, რომელიც თბილისის გუბერნიას დაექვემდებარა, ნაცვლად იმისა, რომ ქართველებით დაესახლებინათ, ექსპანსიური კურსი აიღო და დაუმორჩილებელ ქართველებზე გავლენის მოხდენის მიზნით, ყარსისა და არზრუმის საფაშოებიდან გამოქცეული სომხები დაასახლა, რომლებიც საქართველოში თავშესაფარს ეძებდა. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუწია: თითოს 25 მან. დახმარება აღმოუჩინა და 6 წლის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადებისაგან განათავისუფლა. ამის წყალობით 90 000 მეტი სომეხი ლტოლვილი მოაწყდა. მათ დასასახლებლად საახალშენო კომიტეტი იყო დაარსებული და ზემო მოყვანილი რიცხვითგან 30 000 სომეხი დასახლებულ იქმნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში“[32]. XIX ს-ის 30-იანი წლებიდან ახალქალაქის მხარეში მოსახლეობის უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდნენ. თუმცა, მათ მალე დაიწყეს რომ საქართველოს თავი კიდევ ერთხელ შემოაფარეს და როგორც აღვნიშნე, რუსთა ხელშეწყობით და წახალისებით უკვე ტერიტორიის დაჩემებაც დაიწყეს. 1913 წელს მათ ახალქალაქის მაზრა სომხეთად გამოაცხადეს და მოითხოვდნენ, რომ ჩამოეშორებინათ იგი თბილისის გუბერნიიდან და მიეერთებინად გუმბრის გუბერნიასთან. კომისიამ, რომელშიც შედიოდა 8 რუსი, 4 ქართველი (აქედან ორი ქართველი მაჰმადიანი) და 2 სომეხი, ქვეყნის სახელმწიფოებრივი, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული და

[32] ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 49.

ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე, ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. „ბჭობის შემდგომ სამაზრო კომისიამ ერთხმივ უარჰყო ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან ჩამოშორება და გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) და ერევანთან შეერთება – აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი – თავის აზრის დასასაბუთებლად კომისია სხვათა შორის პირველად სწორედ ამ კუთხის ეკონომიურსა და მიმოსვლის საკითხს შეეხო და დაადგინა: შემცდარი აზრია, ვითომც ახალქალაქის მაზრა ქ. გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) ეკონომიურად დაკავშირებული: მთელი ვაჭრობა და საჭირბოროტო ინტერესები მცხოვრებლებს განსაკუთრებით ტფილისთან აერთებს, სადაც ისინი თავის საქონელს, სანოვაგესა და ადგილობრივ ნაწარმოებს ახალებს და საითგანაც მოაქვთ საქონელი და ყველაფერი სახმარი მთელი მაზრისათვის“[33]. ახალქალაქის სამაზრო კომისიის დადგენილება დაამტკიცა ქ. თბილისის განსაკუთრებულმა საბჭომ 1914 წლის 24 იანვარს. ასევე, მარცხით დამთავრდა მცდელობა თბილისის გუბერნიისგან ჩამოეშორებინათ ბორჩალოს მაზრა და ისიც შეერთებინათ გუმბრთან. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ბორჩალოს მხარე თითქმის უკაცრიელი „იყო და მხოლოდ 1827-1829 წლებში, როდესაც ოსმალეთითგან 100 000 სული მცხოვრები, სპარსეთითგან 30 000 სული შემოიხიზნა და ნაწილი მათგანი ბორჩალოს მაზრაში, ნაწილი ერევნის გუბერნიაში დაეშენა, მხოლოდ ამ დროითგან მოყოლებული ჩნდება ქვემო ქართლში მჭიდრო და შედარებით მრავალრიცხოვანი სომეხთა მოსახლეობა“[34]. სამაზრო კომისიამ, რომელშიც 1 რუსი, 6 სომეხი, 4 ასურბაიჯანელი, 1 გერმანელი და 2 ქართველი

[33] ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 50-51.
[34] ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, იქვე, 39.

შედიოდა, იმავე მიზეზით დაბლოკა ეს საკითხი, როგორც ახალქალაქის მაზრის შემთხვევაში იყო. გარდა იმისა, რომ ამ მხრიდან გუმბრისკენ მიმავალი გზები შესწყდებოდა, „...ეკონომიურად მთელი ეს მხარე თყილისთან არის დაკავშირებული, იქ ჰყიდის თავის მოსავალს და იქვე ყიდულობს თავისთვის რაც რამე დასჭირდება“[35]. ზემოთ მოხსენიებულმა თბილისის საგუბერნიო განსაკუთრებულმა საბჭომ, რომელშიც შედიოდა 11 რუსი, 3 ქართველი და 2 სომეხი, 1914 წლის 24 იანვარს ბორჩალოს სამაზრო კომისიის გადაწყვეტილებასაც დაუჭირა მხარი[36]. ყოველივე ეს იყო ნაწილი ზემოაღნიშნული პროცესისა — სომხური სახელმწიფოს შექმნის თუ შეკოწიწების, რომლის შედეგები საეჭვალო იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის. როგორც ჩანს, იგი ქართული ტერიტორიების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ამ პროცესის შედეგი გახლდათ სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წწ-ის ომი, ასევე, გასაბჭოების შემდეგ დებედას ხეობა სომხეთს გადაეცა. ეს პროცესი დღესაც არ არის დამთავრებული და მისი შედეგია ისტორიული ჯავახეთი, საქართველოს უძირძველესი მხარე, წინააღმდეგობის კვანძი ქართველებსა და მოსულ სომხებს შორის. მკითხველისთვის უფრო აღქმადი რომ იყოს წარსული და თანამედროვეობა, უდიდესი სასიცოცხლო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს ამ მხარის ისტორიის ზუსტ გაშუქებას, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით და არა ხელოვნურად შექმნილი დღევანდელობის სახით[37]. ზემოაღნიშნული კომისიის დასკვნა კიდევ ერთხელ

---

[35] იქვე, გვ.42.

[36] იქვე.

[37] ამ კომისიის დასკვნები მაშინვე გვახსენებს ლეონტი მროველის ცნობას, ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე დიდის მიერ სომხეთის მეფე თრდატსა და ქართლის მეფე მირიანს შორის საზღვრის დაწესების შესახებ, სადაც შესანიშნავად არის

ამტკიცებს, რომ ბუნებრივ ხეობებში წამოყალიბებული ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნები განსაზღვრავდნენ უძველესი საერისთავოების სოციალ-ეკონომიკურ მხარეს.

ზაქარია ჭიჭინაძე თავის ნაშრომებში განსაკუთრებულ ყურადღებას ქართული ენის საკითხს ანიჭებს[38], ჩვენს დიდ განძს, ეროვნული ცნობიერების განმსაზღვრელს და წარმართველს. მისი დაეწყებით ადვილად ხდებოდა ქართველთა გადაჯიშება, იმ დროს როდესაც სოფლებში, სადაც ე.წ. „გასომხებული“ ქართველები ცხოვრობდნენ, სალაპარაკო ენა ჯერ კიდევ ქართული იყო. ქართული ენის საკითხს, ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა სომხური მხარეც. რომელსაც იგი ქართველთა ერთიანობის ერთერთ ძირითად ბერკეტად მიაჩნდა. ამიტომ ცდილობდნენ, რომ სომხურ-მონოფიზიტურ („გრიგორიანულ“) მრწამსზე გადასულ ქართველებში სომხური ენა ჩაენერგათ და მათთვის ცნობიერება შეეცვალათ. ამავე მოტივით ხდებოდა

განსაზღვრული ბუნებრივი პირობების გათვალისწინებული ისტორიული საზღვარი ამ ორ ერს შორის. „ და გაჰყჳნა საზღვარი მირიანს და თრდატს ესრეთ: რომელთა ქუეყანათა მდინარენი დიან სამხრეთით და მიერთჳან რაჭასა, ესე ქუეყანანი თრდატის კერძად დაყარნა; და რომელთა ქუეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთჳან მტკუარსა, ესე მირიანის კერძად დაყარნა“ (ლეონტი, 70). ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მტკვრის აუზი ისტორიულად არასდროს არ ყოფილა სომხეთის.

[38] ზაქარია ჭიჭინაძე, წიგნში „ქართველი გრიგორიანები“, დიდ ყურადღებას უთმობს მეგრული, აფხაზური, სვანური, ოსური, თუშური (წოვა-თუშური – ქქ.) ანბანის შექმნის საკითხს. რომელიც მიმართული იყო ქართული ანბანის გამოსადეგნად ამ ხალხთა ცხოვრებიდან. ესეც რუსული კოლონიური რეჟიმის ანტიქართული პოლიტიკის შედეგი იყო. იგი თავის აზრს შემდეგნაირად აყალიბებს: „მაითგან ამ ენის ძველი ანბანის დათმობა იქნება მამა-პაპათა შეურაცხოფვა. შეგირება იმ ბრძენ ქართველ მეშაკთ შრომისა ვინც კი ამისთვის იზრუნეს და ასეთი მშვენიერი სრული ანბანიც შეადგინეს და გამოაქვეყნეს“ (ზ. ჭიჭინაძე, ქართველი გრიგორიანები, გვ. 19).

ქართველ კათოლიკეთა სომხურ ტიპიკონზე გადაწერა, რაც, როგორც ავღნიშნეთ, „გასომხების“ ერთ-ერთი გზა გახლდათ. ზაქარია ჭიჭინაძე, რომ ზუსტ ინფორმაციას ფლობდა, ამტკიცებს 1916 წლის გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე დაბეჭდილი სტატია – „სომხების პოლიტიკა საქართველოში“. ამ პროცესში სომხებს წართული ჰქონდათ საზოგადოების თითქმის ყველა სფერო – ეკლესია, სკოლა, სხვადასხვა სომხური საზოგადოებები. სომხურ სკოლებში სადაც სწავლობდნენ „გრიგორიანული სარწმუნოების“ მიმდევარ ქართველთა ბავშვები, მათ ქართულად ლაპარაკს სასტიკად უკრძალავდნენ და სჯიდნენ. გაზეთი გვამცნობს, რომ იმ პერიოდში თბილისში ჩატარდა სომეხთა საეკლესიო კრება, სადაც გადაწყდა გახსნილიყო სამრევლო სკოლები, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც „გრიგორიანები“ არ ლაპარაკობდნენ სომხურად[39]. სტატიაში აღნიშნულია, რომ ამ მიზნით, სომხები აპირებდნენ ქართულ ენაზე გამოეცათ გაზეთი „სომეხთა ცხოვრება“. აღნიშნული ფაქტი ხელს შეუწყობდა „ქართველ გრიგორიანებში“ სომხური მენტალიტეტის ჩამოყალიბებას, „რომელითაც სომხისა არა სცხიათ რა: არც სახით (ტიპით), არც ზნით, არც ჩვეულებით, არც ხასიათით, არც ენით[40], არც ისტორიული ტრადიციით, გარდა ბედ-უკუღმართ სარწმუნოებისა, რომელ სარწმუნოებაც კარგად ვიცით, რა

[39] გაზეთი „ს.ქართველო“, 1916, №152.

[40] „სომხის სარწმუნოების“ ქართველები ქართულს რომ უფრო კარგად ფლობდნენ, ვიდრე სომხურს, ამას ადასტურებს ჟურნალი „ცისკარის“ 1861 წლის ნომერი, სადაც აღნიშნულია საინტერესო ინფორმაცია: „...ამ მოკლეს დროში გამოვა ქართულს ენაზედ სრული კალენდარი, რედაქციითგან გამოცემული, ნათარგმნი სტეფანე მდივანოვისაგან ქართულს ენაზედ იმედი გვაქუს ქართლის ენის მოყვარენი ქართუშნი, აგრეთვე სომეხ სარწმუნოებისანი, რომელთაც უფრო ესმით ენა ქართული, ვიდრე სომხური შეიძენენ სყიდვით“.

გ'ხითაც და რა საშუალებითაც ვრცელდებოდა საქართველოში"[41].

1916 წელს გა'ხეთ „საქართველომ" დაბეჭდა კიდევ ერთი სტატია – „ქართველ გრიგორიანთა საკითხი", სადაც აღნიშნულია, რომ თბილისის გუბერნატორმა მართლაც დართო ნება სომხებს, ქართულ ენაზე დაებეჭდათ გაზეთი „სომეხთა ცხოვრება"[42]. სტატია'ში აღნი'შნულია, რომ სანამ ქართველები გორს მოეგებიან, „სომხის პატრიოტები თავის საქმეს უკვე დაასრულებენ და ქართველ გრიგორიანებით დასახლებულ ქართლ-კახეთის სოფლებს ისეთის შოვინი'ზმით გაუღენთავენ, რომ თვით ყარაბეხელ სომხებს დაამჯობინებენ! ...მათ სურთ, რომ ქართველი გრიგორიანები მოსწყვიტონ თავის მშობელ დედას და ძმათა შორის ისეთი უფსკრული გააჩინონ, სადაც გადაიჩეხება კეთილდღეობა ქართლ-კახელისა". სტატია'ში აღნიშნულია, რომ „არ გვიკვირს სომხების ასეთი საქციელი! თავის მიწა-წყლიდან საუკუნოებით დევნილი სომხობა სხვის მიწა-წყალ'ზე იკალათებს და ვანთან დამარხული სომხეთი, თბილისთან უნდა აღადგინონ! – ეს ბუნებრივი წადილია ყველა უსახლკარო და ბოგანო ხალხისა!"[43]. „ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტ'ურებს, რომ სომხური ელემენტის წინ წამოწევას ხელს უწყობდა და „გასომხების" საკითხში ჩართული იყო რუსეთის იმპერიის სამთავრობო სტრუქტურები"[44].

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, „ქართველ კათოლიკებში, სომხის ხუცებს, სომხური ლოცვები ქართული ანბანის

---

[41] გა'ხეთი „საქართველო", 1916, №171.

[42] იქვე.

[43] გა'ხეთი „საქართველო", 1916, №171, იქვე.

[44] ქ. ქუთათელაძე, „გამოქცეულები" და მასთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური საკითხები 1915 წლის ჟურნალ „კლდისა" და გა'ხეთ „საქართველოს" მიხედვით, შრომები, თბ., 2012, გვ. 103.

მეოხებით უვრცელებიათ, მაგალითებრ სომხურ ლოცვებს, ე.ი. სომხურ სიტყვებს სწერდნენ ქართულის ანბანით და ასეთის ოსტატობით აერცელებდნენ ქართველ კათოლიკებში სომხურ ენას, ასეთ ლოცვების ხელთნაწერი მე თვით მინახავს დასავლეთ საქართველოში – დასძენს ავტორი, სწორედ ასეთისავე ოსტატობით, 1830 წელს, თბილისში დაიბეჭდა სომხური ენით ლოცვის წიგნი, ხოლო ქართული ასოებით, საქართველოს სომეხთათვის, რომლის მსგავსმა წიგნებმა საქართველოში დაუდო საფუძველი სომხური ენის გავრცელების საქმეს"[45]. ერთი ასეთი წიგნი „ნერსეს კათოლიკოზის გალობა" ქართული ასოებით დაბეჭდილი თავად ჰქონია ზაქარია ჭიჭინაძეს[46]. ეს რომ ხელოვნური პროცესი იყო და მას ისტორიულ ჭეშმარიტებასთან არანაირი კვშირი არ ჰქონდა, ამას ზ. ჭიჭინაძეც ადასტურებს, როდესაც აღნიშნავს, „რომ სომეხთა მსწავლულნი ასეთ მოსაზრებას შორს გაურბიან და იგინი ემორჩილებიან სხვათა გულის თქმას, სხვათა ისტორიულს გამაცდუნებელს ცნებას. რაის წყალობითაც იგინი ცხარე პატრიოტულ მორევის ზვირთებშიაც სცურდებიან და მით ყოველთვის მრავალნაირს საგვაროვნო მტრობის შეცდომაშიაც არიან ჩავარდნილი"[47].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მიუხედავად, კათოლიკური და სომხურ-მონოფიზიტური (გრიგორიანული) სარწმუნოების რადიკალური განსხვავებისა, როდესაც სომხური ეკლესია აგრესიულად იყო განწყობილი კათოლოკური ეკლესიის და ლათინი პატრების მიმართ, კათოლიკე და გრიგორიანი სომხები ორივე ერთნაირი მეთოდით (ქართული ენის დისკრიმინაცია, ქართული გვარ-

[45] ზ. ჭიჭინაძე, უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა", თბ., 1898, გვ. 63.
[46] ზ. ჭიჭინაძე, ქართველი გრიგორიანები, გვ. 77.
[47] იქვე, გვ. 15.

სახელების შეცვლა და სხვ.) ცდილობდნენ ქართველთა გასომხებას. მათ ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი ხედვა ჰქონდათ, რომ ქართველთათვის მშობლიური ენა დაევიწყებინათ, და სომხური ენის საშუალებით, სომხური ცნობიერება ჩაენერგათ. სწორედ ამიტომ იყო, რომ სომხურ მოსიფიხიტურ მრწამსზე გადასული ქართველი და სომხურ ტიპიკონზე მიწერილი კათოლიკე ქართველი, რომლებიც ჯერ კიდევ ქართულად საუბრობდნენ, თითქმის ერთი და იგივეს სჩიენ. ზ. ჭიჭინაძეს მოჰყავს სხვადასხვა მაგალითი. რიდესაც „გრიგორიანულ მრწამსზე" გადასული დასძენს: „ჩვენ ადრე ამ სოფელში (ბორჩალოს მაზრის სოფ. ენაგეთი) სულ ქართველები ვიყავით, მერე გავსომხებულვართ თათრების შიშითაო". ქართველ კათოლიკეთა შთამომავალი კი აღნიშნავს: ჩვენ წინად აქეთ (შავშეთის სოფ. კორძელი) სულ ქართული გვარის კათოლიკენი ვიყავით, მერე გავსომხდით და ქართული ენაც მიტომ დაგვავიწყდაო"[48]. „ქართველ გრიგორიანებში" და სომხურ კათოლიკურ ტიპიკონზე მიწერილ ქართველ კათოლიკებში და მრევლში პროპაგანდა ეწეოდა სომხური ენის, ისტორიის, კულტურის სწავლებას, რომ ამით ეთნიკური ქართველებისთვის ეროვნული თვითშეგნება შეერყიათ. ამ საქმეში განსაკუთრებით ძალღონეს არ იშურებდნენ ვენეციის მხითარიანთა სომხური ძმობის წარმომადგენლები[49].

ქართველ და სომეხ კათოლიკებს შორის პაექრობა პოლიტიკურად ემსგავსება იმ კამათს, რომელიც არსებობდა სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების დროს (იხ. ქვემოთ). კონფესიურად მათ რა თქმა უნდა კავშირი არ აქვს, მაგრამ სომხების მიერ რელიგიური საკითხის პოლიტიზირება და საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენება

[48] გაზეთი „სამშობლო", 1916, №333.
[49] გაზეთი „სამშობლო", 1916, №333, იქვე.

უცხო არ იყო. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გარეშე ძალა მათ იყენებდა სხვა კულტურული ქრისტიანული ელემენტის დასათრგუნად.

მ. თამარაშვილი აღნიშნავს, რომ ნერსე კათალიკოსმა თხოვნით მიმართა მიხ. ვორონცოვს, რომ სომეხი კათოლიკებისთვის სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასვლის შემთხვევაში არ მოეთხოვათ შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობა, რომელიც აუცილებელი იყო მსგავსს შემთხვევაში. მკვლევარი იქვე დასძენს, რომ 1852 წლის 18 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრმა პეროვსკიმ აცნობა ნერსე კათალიკოსს: „მათმა საიმპერატორო უდიდებულესობამ კეთილ ინება და მოგანიჭათ უფლება, მიიღოთ სომეხ-კათოლიკების ნებსითი უარყოფა და ესრეთ ისინი შეუერთო თავიანთ მამა-პაპის სარწმუნოებას“[50]. კომენტარი მკითხველისთვის მიგვინდვია, დავსძენთ იმას, რომ მეფის რუსეთის მთავრობა სომხურ ეკლესიას ზომაზე მეტად მფარველობდა. მართლაც, რუსული არქეოგრაფიული კომისიის აქტების XII ტომში აღნიშნულია, რომ რუსეთის მთავრობა მფარველობდა სომხურ ეკლესიას და მხარს უჭერდა გრიგორიანებს კათოლიკე მისიონერების წინააღმდეგ[51]. ამის შედეგი იყო ის, რომ 1886 წელს კათოლიკურ ეკლესიებში ოფიციალურად აიკრძალა ქართული ენა, 1893 წელს კი თბილისის კათოლიკური ეკლესია მოიხსენიეს, როგორც სომხური ეკლესია[52]. რუსეთის იმპერიის, რომელიც მართლმადიდებელი მონარქიის სახეს წარმოადგენდა, მხარდაჭერა სომხური ელემენტის მიმართ განპირო-

[50] მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, გვ. 31.

[51] Акты, XII, გვ. 548.

[52] გ. მაისურაძე, ქართულ სომხური ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან, ობ., 2008, გვ. 111; ქ. ქუთათელაძე, ქართველთა გასომხების საკითხისათვის XIX-XX სს-ის მიჯნის ქართული პერიოდიკის მიხედვით, გვ. 509, 516-517.

ბებული იყო რუსული სივრციდან კათოლიკური აღმსარებელი ფენის შესუდვით. ამიტომ არის, რომ კავკასიაში რუსული მმართველობის დამყარების დროსაც სომხები მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. თბილისის სამხედრო გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ ლათინურის საპირისპიროდ ხელი უნდა შეწყობოდ თბილისში სომხურენოვანი ეპარქიის დაარსებას[53]. არქეოგრაფიული კომისიის აქტებში ფიქსირდება ინფორმაცია, რომ სომხური ეკლესია მთავრობის მფარველობით სარგებლობდა და შეღავათებსაც იღებდა, მაშინ როდესაც „ერთმორწმუნე" ქართველ ხალხს ეკლესიის ავტოკეფალია წაართვა და ქართულ ენას შეეიწროება დაუწყო. ბუნებრივია, სომხურ ეკლესიას მრევლიც უკეთეს მდგომარეობაში ექოლებოდა. გ. მაისურაძე ფიქრობს, „რომ ასეთ ვითარებაში სომხური ეკლესია ქართული მოსახლეობის განსაზღვრული, განსაკუთრებით, ეკონომიკურად შეჭირვებული ნაწილისათვის ცდუნების საგანიც გახდა"[54]. რუსეთის მთავრობა თვალს ხუჭავდა, შესაძლოა შეგნებულადაც და სომხურ-მონოფიზიტური (გრიგორიანული) სარწმუნოების მოსახლეობას იურიდიულ დოკუმენტებში სომხებად ატარებდნენ.

ქართველი ერი გარემოების მსხვერპლი აღმოჩნდა. რუსეთის მთავრობა სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიის საშუალებით ქართულ მოსახლეობას აეიწროებდა და რაოდენობრივად აკნინებდა. სომხურ-კათოლიკური ნაწილით კი ლათინ კათოლიკებს უტევდა. სომხობა ამით ორ კურდღელს იჭერდა: „სომხებად" დაწერილი ქართველებით თავისი ერის სტატისტიკურ მონაცემებს იზრდიდა, შემდეგ კი ტერიტორიის მიკუთვნებას ითხოვდა.

---

[53] Акты, Т.9, Тиф. 1884, გვ. 115.

[54] გ. მაისურაძე, იქვე, გვ. 110.

ზაქარია ჭიჭინაძეს, თავის შრომებში – „ქართველი გრიგორიანები“ და „სომხეთი საქართველოში“, როგორც აღვნიშნე, ხაზგასმული აქვს, რომ ზოგადად გასომხების მთავარი მიზეზი იყო ქართველი მოსახლეობის ნაწილის დაწერა სომხურ მონოფიზიტურ („გრიგორიანული“) მრწამსზე, ასევე, ქართველი კათოლიკების კათოლიკე სომხების სომხურ ტიპიკონზე გადაწერა. ეამთა სიავის შედეგად მუსულმანობის არ მიღების გამო ხდებოდა, რომ ქართველთა ნაწილი იძულებული იყო სომხურ სჯულზე გადასულიყო, ნაწილი კი კათოლიკობაზე. მაგრამ შემდგომ პერიოდში სომხურ სარწმუნოებაზე ქართველთა დაწერა და ქართველი კათოლიკების სომეხ კათოლიკეთა ტიპიკონზე გადაწერა სხვადასხვა მაქინაციებით და მოტყუებით ხდებოდა. ორივე შემთხვევაში ასეთ ქართველებს ეროვნულ „სომხებს“ ეძახდნენ. სომხური ელემენტის საქართველოში დაწინაურების და „გასომხების“ პოლიტიკას ხელს უწყობდა ასევე, თბილისის გარშემო და კახეთში სომეხთა მიერ მიწების შესყიდვა და იქ მუსულმანთა სისასტიკეს გამოქცეული გადმოხვეწილების დასახლება; სომეხი მღვდლების მიერ ეწმიაწინის დახმარებით ქართული სოფლების ყიდვა თავის გლეხებიანად და შემდეგ მათი „გასომხება“. რომელიმე მებატონისგან გაქცეულნი ხშირად სჯულს იცვლიდნენ და სომხურ მონოფიზიტურ („გრიგორიანულ“) მრწამსს იღებდნენ; ზოგიერთი თავადის ქმის ქალთან უკანონო გზით შეძენილ შვილს სომხურად ნათლავდნენ[55].

ზაქარია ჭიჭინაძე წიგნში „ქართველი გრიგორიანები“ აკრიტიკებს საზოგადოების იმ სომეხ წევრებს, რომელთაც აკაკი წერეთელს, ილია ჭავჭავაძეს და ნიკო ნიკოლაძეს[56]

---

[55] ქ. ქუთათელაძე, ქართველთა გასომხების საკითხისათვის XIX-XX სს-ის მიჯნის ქართული პერიოდიკის მიხედვით, გვ. 506.

[56] ნიკო ნიკოლაძე, გარდა იმისა, რომ მონაწილეობას იღებდა ქალაქის საბჭოში, უკავშირდება ასევე, „მშაკსა“ და „ობზორში“

მათი კრიტიკული წერილების გამო სომეხი ერის სიძულვილი დასწამეს ცილად და სომხის ნაციის მტრად გამოაცხადეს[57]. აკაკი წერეთელი თავის ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1878 წელს გაზეთ „დროების“ №265-ში დაიბეჭდა, „მშაკის“ რედაქტორს გ. არწრუნს აკრიტიკებს, რომელიც თბილისს სომხების ქალაქად აცხადებდა. თავის პროტესტს მწერალი ასე გამოხატავს: „პატრიოტობა თუ გინდა აბა ეს არის. რამდენი სასომხეთი გამოაჩინა!!.. სადაც კი სომეხს არშინი შეუტანია, ქველა „ჰაიასტანი“ ჰგონია უ. არწრუნს“[58]. აკაკი ასევე არ ეთანხმება იმ აზრს, რომ თითქოს ქართველებს კომერციის ნიჭი არ აქვთო. ამასთან დაკავშირებით აკაკი აღნიშნავს: „მისთანა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე ბევრს იწველიდესო“, ნათქვამია იმან გაჰკიცხოს საქართველოს ხალხი, რომელიც მეტ ნიჭს ისენდეს! ღმერთმა ნუ ქნას, რომ ქართველ ხალხს ნიჭი გამოეცინოს იმ გვარ კომერციაში, როგორიც არის ყალბი საწორ-საზომი, კოტრობის გამოგონება და ცეცხლით ფულის მოგება! უმჯობესია სულ მოისპოს საქართველოს ხალხი, ვიდრე მონავრობა და ქვეშის გლეჯა ხელობათ გაიხადოს“ (174-175). ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ქართველები არც ისე ჩამორჩენილნი და უნიჭონი იყვნენ ვაჭრობაში. თავის ერთ-ერთ წერილში იგი აღნიშნავს, რომ ქართველი ვაჭრები ძირითად შემთხვევაში კათოლიკური

მიმდინარე პოლემიკას (იხ. ნ. ნიკოლაძე, „მშაკის“ წინ ჩადენილი გმირობა“, თ'ხულებანი, № 7, თბ., 1985, გვ. 82). იგი აკრიტიკებს აგრეთვე, „მშაკის“ რედაქტორს გრიქორ არწრუნს ცენზურასთან მიმართებაში სამართლებრივი ნორმების შესახებ (ნ. ნიკოლაძე, „დოქტორ არწრუნის ახალი გმირობა“, თხზ. № 8, თბ., 2003, გვ. 160)

[57] ზ. ჭიჭინაძე, ქართველი გრიგორიანები., გვ. 118.

[58] აკ. წერეთელი, მშაკის რედაქტორს, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1990, გვ. 174; ეს წერილი დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში 1878 წლის 24 დეკემბერს, №265.

აღმსარებლობის იყვნენ. მაგ. ასეთები გახლდათ გრიგოლ ხურსიძე და სტეფანე ზუბალაშვილი, რომელთაც დიდი სიმდიდრე დაუგროვებიათ და ინდოეთში ცხოვრობდნენ, ასევე, აზნაური რაფ. დანიბეგოვი (დანიბეგაშვილი ქ.ქ). რომელიც 1782 წელს ელჩად იქნა გაგზავნილი საქართველოდან ინდოეთში[59]. ზ. ჭიჭინაძე ჩამოთვლის ქართველ ვაჭართა ისეთ გვარებსაც, რომელთაგან ზოგი კათოლიკურ აღმსარებლობაზე მყოფნი სომხურ კათოლიკურ ტიპიკონზე გადაწერილნი, ზოგნი კი სომხურ მონოფიზიტურ აღმსარებლობაზე, ანუ „გრიგორიანობაზე" გადასულნი, ორიენ შემთხვევაში გასომხებულნი არიან.

გარდა ამ პრობლემებისა, აკაკი აპროტესტებს საარჩევნო პროცესებს, სადაც უპირატესობა ენიჭებოდა მდიდარ სომეხ ვაჭრებს და არა ღარიბ ხელოსნებს, რომელთა დიდი ნაწილი ეროვნებით ქართველი იყო[60].

ილია ჭავჭავაძე „ქცთა ღაღადში" „მშაკის რედაქტორზე აღნიშნავს, რომ მას უკეთ ესმის სომეხთა სღვთო წერილი, ვიდრე თვით კათოლიკოზსაო"[61]. ილია ლიტერატურული სარკაზმით აღწერს, თუ როგორ მოახერხა არწრუნმა და მისმა მომხრეებმა გაზეთ Temps-ის ფრანგ ჟურნალისტს საქართველო სომხეთად და თბილისი სომხურ ქალაქად გააცნეს. ფრანგ ჟურნალიტს ისეთი აზრი შეექმნა, რომ თითქოს კავკასიაში ყველა კულტურული და ეკონომიკური სფერო სომეხთა ხელშია. მართალია, სომხები ქართველებთან შედარებით, ცოტანი არიან, მაგრამ მალე ისინი გაიზრდებიან ქართველთა შემცირების ხარჯზე. „ეს

---

[59] ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა ძველად და გრიგოლ ხურსიძე და სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილი ინდოეთში, თბ., 1905, გვ. 15.

[60] აკ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 175.

[61] ილ. ჭავჭავაძე, „ქცათა ღაღადი", პუბლიცისტური წერილები, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1987, გვ. 48.

რა უცნაური ურარია სომხების გაშენებისა და ქართველების გადაშენებისა – კითხვას სვამს ილია ჭავჭავაძე – ეს სომხების ბღარტობა და გაშენება და ქართველების დანელება და გადაშენება ვისთვის რა საჭიროა? ამ კითხვას პასუხს თავად ავტორი სცემს, როდესაც ფრანგი უურნალისტის ახრს ასახელებს: „მომავალი კავკასიაში სომხებს ეკუთვნით და მის მესობლებს – ქართველებსა და თათრებს – სხვა არა დარჩენიათ-რა, რომ უნდა გასომხდნენო". აი სად არის დასარული დასაწყისისა" – დასძენს ილ. ჭავჭავაძე[62]. ხ. ჭიჭინაძეს ზემოთ მოხსენიებულ საგაზეთო სტატიების ციკლში „სომხეთი საქართველოში" ერთ-ერთ სტატიაში მოჰყავს გრიგორ არწრუნის ახრი, რომელიც მან გამოთქვა 1875 წ. „მშაკში" რომ „ყველაზე უფრო სომხებს საქართველოში ემარჯვებათ ცხოვრება, საქართველო სომხებისათვის ცხოვრების ბაღდადია, ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ამ კუთხეში შემოვკრიბოთ ჩვენი სომხობა და ამის განსახორციელებლად ყოველნაირი ზომა უნდა მივიღოთ[63].

„რუსეთის იმპერიის მიერ სომხური ელემენტის დაწინაურება ნებისმიერ სფეროში მიმდინარეობდა ქართველობის ლანძღვის ფონზე, როდესაც ჩვენი ერი გამოყვანილი იყო არაფრის მცოდნე და არაფრის მქონე საეჭვო და გაურკვეველი რეპუტაციის ნაციად"[64]. ილია ჭავჭავაძემ ეს პოლიტიკა ზუსტად შეაფასა, ზემოაღნიშნულ წერილში, რითაც ყველა დროის სახელმწიფოებრივი თვითშეგნების მქონე ქართველის ახრი გამოხატა: „განა აშკარა არ არის? უნდათ ქვეყანას დაანახვონ, რომ სომეხზე უკეთესი გამძლე ერი, ყოვლის ნიჭითა და ენარით შემკობილი სხვა არავინ

---

[62] იქვე, გვ. 52, 53.

[63] გაზეთი „სამშობლო", 1916, №333

[64] ქ. ქუთათელაძე, ქართველთა გასომხების საკითხისათვის XIX-XX სს-ის მიჯნის ქართული პერიოდიკის მიხედვით, გვ. 503.

არის მცირე აზიაში და ნამეტნავად ამიერკავკასიაში. მართალია ამიერკავკასიაში ეს რაღაც „ვრაცები“ ჰყრიან და ცოტად თუ ბევრად ამათაც ახსენებენ, მაგრამ ასეთს საქმეს დავმართებთ, ასე გავუბიაბრუებთ სახელს, რომ სახსენებელიც-კი აღარ დარჩეთ. თუ ისტორია აქვთ, გავუყალბებთ, ან ჩვენ დავიწყმებთ, მიწა-წყალი აქვთ და ჩვენ ჩამოვართმევთ, და ქვეყანას, ტყეილი იქნება თუ მართალი, დავაჯერებთ, რომ ქართველობა გადაშენების გზაზეა შემდგარი და დღესა თუ ხვალე ან ამოსწყდებიან დედა-ბუდიანად, ან გასომხდებიან“[65].

ბუნებრივია, სომეხ ერს სურდა თავისი ისტორიული სახელმწიფოს აღდგენა, რომელიც უამთა სიავის შედეგად დაკარგა. საუკუნეების მანძილზე იგი მაჰმადიანურ სამყაროს ებრძოდა და დიდი ძალისხმევით შეინარჩუნა ეროვნული თვითმყობადობა და თვითშეგნება. მაგრამ სამწუხაროდ, მათი სამშობლოს ძირითადი და უდიდესი ნაწილი თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა. სომხური სახელმწიფოს აღდგენის საკითხი ვერ განხორციელდა ვერც ვახტანგ VI და ვერც ერეკლე II დროს. XVIII საუკუნის ბოლოსაც ისინი საქართველოში შემოხიზნულნი, ქართველების ზურგს უკან ამყარებდნენ კავშირს რუსეთის იმპერიასთან და მფარველობაში მიღებას სთხოვდნენ. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, „უეჭველია ეს უკვე სრულებით შეუწყნარებელი საქციელი იყო: საქართველოს დამოუკიდებელ არსებობის წყალობით სომხები თავიანთთვის საქართველოში აუცილებელ განადგურებისაგან თავშესაფარს პოულობდენ, მადლობის მაგიერ-კი საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენში მიწა-წყლის მიღება ჰსურ-

[65] ილ. ჭავჭავაძე, ქეთოა ღალადი, გვ. 109.

დათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა და ჩვენს ქვეყანაში რუსეთის გაბატონებას უწყობდა ხელს"[66]. სომხებს ასახლებდნენ აგრეთვე, ისტორიული საქართველოს სამხრეთ სასაზღვრო ზოლში, რაც საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას (იხ. ქვემოთ).

„გასომხების პოლიტიკა" კავკასიაში ერთ-ერთი ეტაპი იყო სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესისა. ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, როდესაც XIX ს-ის I მესამედში ქართველმა ხალხმა უდიდესი წინააღმდეგობა (კახეთის 1802, მოიულითის 1804, კახეთის 1812, იმერეთის 1818-20, 1832 წლის შეთქმულება) გაუწია რუსულ კოლონიალურ რეჟიმს, მათ დასათრგუნად და დასამორჩილებლად რუსეთის მთავრობამ დასაყრდენ ძალად სომხები მიიჩნია[67].

XIX-XX სს-ს მიჯნაზე სომხურ წრეებში განსაკუთრებით მუსირებდა სომხური სახელმწიფოს აღდგენა ე.წ. „დიდი არმენიის" სახელით, რომელიც კავკასიიდან ხმელთაშუა ზღვისპირეთამდე უნდა ყოფილიყო გადაჭიმული. ლოგიკურად, სამხრეთ კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ისტორიული საქართველოს კუთვნილებაა, სომხეთად ცხადდებოდა. ეს მომენტი ხაქარია ჭიჭინაძემაც გაათვიცნობიერა, რასაც მიუთითებს ზემოაღნიშნული

---

[66] იქვ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, გვ. 38.

[67] გ. მაისურაძე თავის ნაშრომში მოჰყავს არა ერთი მაგალითი, როდესაც სომხები ეხმარებოდნენ რუსებს ქართველთა მიერ მოწყობილი აჯანყებების ჩახშობაში, მაგ.: 1812 წლის კახეთის აჯანყების ჩასახშობად რუსთა დამსჯელი რაზმებისთვის დიდი დახმარება გაუწევიათ სიღნაღელ ეკჭრებს ამირან და არტემ შაეერდოვებს. ბუნებრივია, იმპერიის ერთგულებისთვის სომხობა იმპერატორისგან მთავრობისგან მადლობას იღებდა, რაც გამოიხატებოდა იმ პრივილეგიებში, რომელსაც ისინი იღებდნენ ქართველებთან შედარებით სახოგადოების თითქმის ყველა სფეროში (გ. მაისურაძე, ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან. გვ. 98).

გაზეთ „სამშობლოს“ ფურცლებზე დაბეჭდილი სტატიების რუბრიკის სათაური „სომხეთი საქართველოში“. თუკი, I მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემოხვევაში მოხდებოდა სომხური ავტონომიის ჩამოყალიბება და მას თან დაემატებოდა საქართველოში მომრავლებული „სომხური“ ელემენტი, მაშინ ე.წ. „დიდი არმენია“ მართლაც, „გადაიჭიმებოდა“ კავკასიიდან ხმელთაშუა ზღვისპირეთამდე. ზემოაღნიშნული ფაქტების შედეგები უფრო შორს იყო გათვლილი, რათა კავკასიაში ერთხელ და სამუდამოდ აღედგინათ სომხური სახელმწიფო, რომელიც უერთგულებდა რუსეთის იმპერიას, სომხური ცნობიერების და სომხურად მოლაპარაკე მოსახლეობით, სომეხი იქნებოდა ის, თუ გასომხებული, ამას დიდი მნიშვნელობა აღარ მიენიჭებოდა. მაგრამ ამ იდეის განხორციელებას ერთი პრობლემა უშლიდა ხელს. და ეს პრობლემა სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ქართველი ხალხია[68], რომელიც განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევდა რუსულ კოლონიალურ რეჟიმს. XIX საუკუნეში სომეხი ერის სწრაფვას სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შექმნისაკენ ქართველთ დისკრიმინაციის საფუძველზე რუსეთის იმპერია უწყობდა ხელს, რომელიც „სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხის გამოყენებით იყო დაინტერესებული“. საქართველო, რომელიც ზოგადკავკასიური კულტურის ცენტრი იყო, „რუსეთის იმპერიისთვის ნაკლებად ერთგულ და დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა. ამიტომ ეს უკანასკნელი ცდილობდა ქართველების დისკრიმინაციის ფონზე დაეწინაურებინა სხვა ეთნიკური ელემენტი, რომელიც უფრო უერთგულებდა რუსეთს. ასეთ კულტურულ ელემენტად სომხობა მიიჩნიეს. იგი განსაკუთრებით გამოირჩე-

[68] XIX ს-ში სომხურ წრეებში ქართველებს „გიჟ ვრაცუებს“ და „ტუტუც ვრაცებს“ ეძახდნენ.

ოდა ეროვნული კონსოლიდაციისკენ სწრაფვით და მას ყოველთვის ხურგს უმაგრებდა მდიდარი სომხური დიასპორა. თავის მხრივ, სომხობა, რომელიც ყოველთვის იღებდა თავშესაფარს საქართველოში, რუსეთის მფარველობის ქვეშ ცდილობდა მისთვის სასურველი ქართული მიწა დაეკანონებინა"[69]. ხელოვნურად გაზრდილ სომხურ ელემენტზე დაყრდნობით, საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, სამხრეთის პერიფერიები სომხეთად ცხადდებოდა. ამ მიზანს ემსახურებოდა, ასევე სომხური ელემენტის სამოხელეო პოსტებზე დაწინაურება და სომხური კაპიტალის დაგროვება თბილისში.

I მსოფლიო ომის დროს სომეხი ერის მისწრაფება დამოუკიდებლობისკენ ბოროტად გამოიყენეს იმპერიალისტურმა ქვეყნებმა (რუსეთი, ინგლისი). მათი სურვილი იყო ოსმალეთის იმპერიის დაშლის ფონზე ჩანაცვლებულიყო სომხური ავტონომია. თუმცა, დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკური თამაშები სომეხ ერს ძვირად დაუჯდა. I მსოფლიო ომის დროს სომეხთა მასიური ქლეტის შემდეგ ოსმალეთის იმპერიიდან დევნილი სომხური მოსახლეობის დიდი ნაწილი კიდევ ერთხელ საქართველოსკენ დაიძრა.

ამ საკითხს სტატიები სათაურით „გამოქცეულები" და „სამხრეთის საფრთხე", მიუძღვნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანომ 1915 წლის ჟურნალმა „კლდემ" და გაზეთმა „საქართველომ", „სადაც გაჟღერდა რედაქციის აზრი, რომ საქართველოს გაუკაცრიელებულ საზღვრისპირა ადგილებში უცხო ელემენტის დასახლება და „გასომხება" საფრთხეს უქმნიდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. ეს ორი საკითხი ქართველთა მიმართ არაკეთილმოსურნე III ძალის კავკასიური პოლიტიკისთვის

[69] ქ. ქუთათელაძე. ქართველთა გასომხების საკითხისათვის XIX-XX სს-ის მიჯნის ქართული პერიოდიკის მიხედვით, გვ. 502.

მჭიდროდ უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან გადაჯაჭვული“[70]. 1916 წლის გაზეთ „საქართველოს“ №201-ში აღნიშნულია, რომ „სომეხთა დაწესებულებების ანგარიშით გაქცეულ სომეხთა რიცხვი უნდა უდრიდეს 274 000 სულს“.

„დღეს-დღეობით ეს აუარებელი მეოტი ხალხი – ვკითხულობთ ჟურნალში, ჩრდილოეთისკენ მოიწევს და ღია კარებში შემოჭრას ეძალება. ახდილია საქართველოს ბჭენიც და ბოქლომიც სხვას უჭირავს“[71]. „არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს – ვკითხულობთ ჟურნალ კლდის ფურცლებზე, – რომ წინანდელი ომების გამო გამოქცეულმა სომხობამ უომრად დაიპყრო მაგალითად მთელი ახალქალაქის მაზრა და ნაწილები ბორჩალოსი და ყარსის ოლქისა „სომეხთა დასახლება ქართველთა ტერიტორიაზე კი ქართველების უმტკივნეულეს საკითხს შეადგენს. თანამედროვე ქართველის ეროვნულ მსოფლმხედველობად აღიარებულია აუცილებლად შენახვა და დაცვა საქართველოს ტერიტორიისა. ქართველის ეროვნული აზრი არავითარ კომპრომისებს არ იცნობს ამ საკითხში და, აი, სწორედ ამიტომ არის, ყოველთვის ქართველ სომეხთა საურთიერთაშორისო დაობაში უმთავრესად ტერიტორიის საკითხი ხოლმე ნიადაგად“[72]. ჟურნალ კლდის რედაქცია განაგრძობს, „რომ მიწა-წყლის საკითხი, ყველაზედ მტკივნეული სადავიდარაბო ადგილია ჩვენი და სომხების ურთიერთობისა, რომლის გადაუჭრელობის გამო ყოვლად შეუძლებელია ჩვენი მეგობრობა, მეზობლობა და თანხმობითი ცხოვრება. ამის სიმწვავეს და ფრიად საფრთხილო შედეგებს უნდა ყველანი ვგრძნობდეთ“[73]. მკითხველისთვის ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ შეუწყობდა ხელს

[70] იქვე, გვ. 513.
[71] ჟურნალი „კლდე“, 915, №5, გვ. 6.
[72] ჟურნალი „კლდე“, 1915, №3, გვ. 4.
[73] იქვე.

გასული საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენები ჩვენს მიერ განხილულ პროცესებს, როდესაც ოსმალეთის იმპერიიდან ხოცვა-ჟლეტას გამოქცეული ხალხი კვლავ საქართველოს აფარებდა თავს და მათ უმრავლესობას თავშესაფარს სწორედ აქ აძლევდნენ. არ გამოვრიცხავ, სწორედ ამ ფაქტებს უნდა მიეცათ ბიძგი ზაქარია ჭიჭინაძისათვის, რომელმაც 1916 წლის გაზეთ სამშობლოს ფურცლებზე გამოაქვეყნა სტატიები სათაურით „სომხეთი საქართველოში“, პრობლემა, რომელიც თავის დროზე დასვა 1906 წელს გამოქვეყნებულ წიგნში – „ქართველი გრიგორიანები“.

ზაქარია ჭიჭინაძე წიგნში „ქართველი გრიგორიანები“ სამოთხელის გასომხებულ გვარებს, რომელიც საინტერესო მასალაა ამ საკითხით დაინტერესებული პირთათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ცნობა შეესაბამება სიმართლეს, თუმცა სოგი, რომელიც ზაქარიას მოსმენით აქვს ნაწერილი და არ აქვს გადამოწმებული, უფრო კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს. რათა დადგინდეს ისტორიული ჭეშმარიტება. როგორც სამართლიანად შენიშნავს გ. მაისურაძე, ამ გვარებიდან ერთი ან ორი გვარის ეთნიკური კუთვნილება თუ შეიძლება იყოს სადავო, თორემ დანარჩენის ქართველობა იოტის ოდენა ეჭვსაც არ ბადებს ბევრ მათგანთან ს. ჭიჭინაძეს პირადი ნაცნობობა და მეგობრობა აკავშირებდა, რაც საშუალებას აძლევდა უკეთ შეესწავლა მათი მონოფიზიტურ სარწმუნოებაში გადასვლის ისტორია ასე, რომ ზ. ჭიჭინაძე თვით არის ერთერთი პირველწყარო „გრიგორიან ქართველთა“ ისტორიის შესასწავლად და პრეტენზიები მის მიმართ ამ მხრივ მხოლოდ გაუგებრობის შედეგი შეიძლება იყოს“[74].

[74] გ. მაისურაძე, საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.), გვ. 186.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მკვლევართა უმრავლესობა სკეპტიკურად არის განწყობილი ზაქარია ჭიჭინაძის მიერ მოტანილი ცნობების მიმართ. სამეცნიერო წრეებში მუსირებს აზრი, რომ თითქოს თვითნასწავლობიდან გამომდინარე, მის ცნობებს ნაკლებ მეცნიერული ღირებულება აქვს. ზ. ჭიჭინაძის მიერ მოწოდებულ ბევრ ინფორმაციასთან მიმართებაში ამ მოსაზრებას ჩვენ რადიკალურად ვემიჯნებით, წყაროს ხარისხს ისტორიკოსი განსაზღვრავს, რომელმაც ნებისმიერი დონის წყაროდან უნდა შეძლოს ინფორმაციის ამოღება და გაანალიზება. სამწუხარო არის უფრო ის, რომ ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში ასეთ მნიშვნელოვან საკითხებს ნაკლები, ან საერთოდ არ ექცეოდა ყურადღება, XIX-XX სს-ის მიჯნაზე საქართველოს ისტორის საჭირბოროტო საკითხების აღწერა მხოლოდ რამოდენიმე, ენთუზიაზმით მოღვაწე პატრიოტ ქართველ სწავლულზე იყო დამოკიდებული. მაშინ როდესაც, სომხური დიასპორა და იმ პერიოდის სომეხი სწავლულები დროს არ კარგავდნენ, „დიდ არმენიას“ ძერწავდნენ, ისტორიას აყალბებდნენ, დარაზმულნი იყვნენ, რომ გარემოების მსხვერპლად ქცეული ქართველი ერი მართლაც და აღეგავათ ისტორიის ასპარეზიდან.

გ. მაისურაძე თავის ერთ-ერთ ნაშრომში – „საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები“ (IV XVIII) – აკრიტიკებს სომეხი მკვლევრის, აწ განსვენებული პ. მურადიანის მოსაზრებას, რომელიც საეჭვით უგულვებელყოფს „გრიგორიან ქართველთა“ არსებობას, როგორც გ. მაისურაძე აღნიშნავს, პ. მურადიანი „...„გრიგორიან ქართველთა“ ეთნოკულტურული ერთობის ცნებას გამოგონილს უწოდებს და მთავარ „დამნაშავედ“ ზ. ჭიჭინაძე გამოჰყავს“[75]. პ. მურადიანი არ ეთანხმება

[75] იქვე, გვ. 184, 185.

„ქართველი გრიგორიანების“ არსებობის ფაქტს და აღნიშნავს, რომ იგი რამით მაინც უნდა იქნას დამტკიცებული[76]. სომეხი მკვლევარი აკრიტიკებს ქართველ სწავლულთა და მეცნიერთა (ხ. ჭიჭინაძე, გ. მისურაძე, რ. თოფჩიშვილი) მოსაზრებას, რომლებიც სომხურ – მონოფიზიტურ (გრიგორიანულ) სარწმუნოებაზე მყოფ ქართველებს, რომელთა საკონტაქტო ენა ქართული იყო, სამართლიანად აკუთვნებენ ქართულ ეთნოსს. „ქართველი გრიგორიანების“ გაგება, მისი თქმით, გამოიგონეს ჩვენი საუკუნის დასაწყისში, გარკვეულ დაინტერესებულ პირთა გავლენით ქართულ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში“[77]. პ. მურადიანმა თავისი მოსაზრება წარმოადგინა საგაზეთო სტატიაში – „გრიგორიანული აღმსარებლობის ქართველები“, მითი თუ რეალობა?, რომელიც 1990 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ეპოქაში“. იგი კატეგორიულად უარყოფს სომხურ მონოფიზიტურ მრწამსზე გადასულ ქართველთა „ქართველ გრიგორიანებად“ დასახელებას და მათ, რა თქმა უნდა, ეთნიკურ სომხებად მიიჩნევს. საქართველოში რომ არსებობდა სომხური დასახლებები ამტკიცებს აქ არსებული სომხური ეპიგრაფიკით[78]. იგი აღნიშნავს, რომ „ამ ყველაფრის უარყოფა და მიკუთვნება „გრიგორიანობას“, არამარტო არამეცნიერულია, არამედ საფუძველშივე ანგრევს ტრადიციას ჩვენი (სომხების და ქართველების –

---

[76] გარდა ამ წერილში განხილული მტკიცებულებებისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ძალზედ საინტერესო ინფორმაცია არის დაცული ასევე გაზეთ ივერიის 1891 წლის №11-ში, რომლის მიხედვით, „ქალაქის საბჭოს არჩევნების დროს ჯერ მართლმადიდებელი ხმოსნები დააფიცეს, შემდეგ სომეხთ-გრიგორიანნი და ბოლოს კათოლიკენი“.

[77] П. М. Мурадян, Армянская эпиграфика Грузии (Картли и Кахети), Ер., 1988, გვ. 90.

[78] П. М. Мурадян, «Грузины Григорианского вероисповедания» - миф или реальность?, გვ. 5.

ქ.ქ.) მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლობისა“[79]. მთავარ არგუმენტად კი მოჰყავს ის, რომ ქართული მოსახლეობის „გრიგორიანობაზე“ გადასვლას არ ჰქონდა არანაირი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და კონფესიური წახალისება და გარემოება. გარდა ამისა, საქართველოს საპატრიარქო და ქართველი დიდგვაროვნები არ დაუშვებდნენ მასიურად მიეცათ ნება გადასულიყვნენ „გრიგორიანობაზე“, ანუ მოეხდინათ „დიეთნიზაცია“ – (პ.მ.) და არ მოეხდინათ ფაქტის კონსტანტაცია. მარტო კათოლიკე მისიონერებთან დაფიქსირებული ცნობა, რომ ადგილი ჰქონდა „არმენიზაციას“, ალბათ უფრო კერძო შემთხვევებს შეეხებოდა. პ. მურადიანი პარალელურად ასახელებს „სომეხი ქალკედონების“ ფენომენს, როდესაც ეროვნებით სომხები ბერძნულ (ან ქართულ) მართლმადიდებლურ მრწამსს იღებდნენ[80]. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ასეთი სომხები ტაო-კლარჯეთში, ლორეში, შირაკში თავს ქართველებად მიიჩნევდნენ კონფესიურად. პ. მურადიანი უარყოფს ასევე, სომეხ-კათოლიკეთა ქართულ წარმომავლობას. იგი აღნიშნავს, რომ კასტელი და ავიტაბილე აღნიშნავენ, რომ სომხები ქართლში ყველანაირ წინააღმდეგობას უწევდნენ კათოლიკეთა დასახლებას. საბოლოოდ მკვლევარი „გრიგორიანული აღმსარებლობის ქართველის“ ცნებას ცრუ-მეცნიერულს უწოდებს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში „გასომხების საკითხი“ სხვადასხვა ეთნოგრაფიულ მასალაზე, დოკუმენტურ და საარქივო წყაროებზე დაყრდნობით, შეისწავლა როლანდ თოფჩიშვილმა[81]. მან ამ მოვლენის სოციალ-ეკონომიკური

---

[79] იქვე.

[80] მაგალითისთვის მას მოჰყავს ჩხარში ნასახლებული სომეხთა გაქართველების საკითხი.

[81] უფრო დაწვრილებით იხ.: რ. თოფჩიშვილი, XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის მასალები საქართველოს ეთნო-ისტორიისა და სოციალური

და პოლიტიკური მიზეზებიც ახსნა. მკვლევარი მიიდა იმ დასკვნამდე, რომ მონოფიზიტი ქართველები ეთნიკურად ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც დანარჩენი სხვა. მათი საოჯახო და სამეტყველო ენა ქართული იყო, მხოლოდ რწმენის გამო სხვადასხვა აღწერებში მიკუთვნებული არიან სომხურ ეთნოსს. ამ მოსაზრებას მრავალი ქართველი მეცნიერი იზიარებს, მათ შორის ჩვენც. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართველ მეცნიერთა მოსაზრება ზედმიწევნით ემთხვევა საქარია ჭიჭინაძის აზრსა და მის მიერ მოტანილ რეალურ ფაქტებს, რომელსაც, როგორც ვნახეთ, სომეხმა მკვლევარმა პ. მურადიანმა „ქართველი გრიგორიანების" საკითხთან დაკავშირებით მთავარი „დამნაშავე" უწოდა.

მკითხველისთვის მოსაბეზრებელი რომ არ გახდეს ამ წერილის კითხვა, ჩვენ მხოლოდ მოკლედ, ზემოთ აღნიშნული და განხილული კონტრარგუმენტების ჩამოთვლით შემოვიფარგლებით, რომელთა აღნიშვნას აუცილებლობად მივიჩნევთ.

ჩვენ ნამდვილად არ გამოვრიცხავთ საქართველოში სომხური მოსახლეობის არსებობას, სომხების საქართველოში შემოსვლა პერმანენტულად ყოველთვის ხდებოდა, როდესაც მათ მუსულმანური სამყარო განადგურებით ემუქრებოდა. თუმცა, ხოგჯერ ადგილი ჰქონდა ისეთ შემო-

---

ყოფის შესახებ, „მნათობი", თბ., 1987, №12; რ. თოფჩიშვილი, ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკები, ქართველი გრიგორიანელები, კრ. „დიდგორი", თბ., 1991; რ. თოფჩიშვილი, ეთნოისტორიული ეტიუდები, წ. I, თბ., 2002; რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008; რ. თოფჩიშვილი, ეთნიკური და რელიგიური ურთიერთობები საქართველოში (ზოგადი ასპექტი) ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში, ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 2013; რ. თოფჩიშვილი, სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან, თბ., 2013.

სვლებს, როდესაც ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების დროს საქართველოს სამხრეთის მხარეების ანექსიას ახდენდნენ. საქართველოში არსებული სომხური წარწერების არსებობა აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ არსებობდნენ ასევე, მართლმადიდებელი სომეხი პილიგრიმებიც, რომლებიც თავიანთ წარწერებს ტოვებდნენ ქართულ ტაძრებზე. „რაც შეეხება საფლავის ქვათა ორენოვან ეპიტაფიებს, ანგარიშგასაწევია, რომ ისინი კეთდებოდა სომხური გრიგორიანული ეკლესიის ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით“ (რ. თოფჩი'შვილი).

საქართველოში შემოსული სომხობა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართველებთან ერთად იბრძოდა და ერკინებოდა მტერს. ასევე, დავასაბუთეთ, რომ ქართველთა გასომხებას სხვადასხვა კუთხით, მრავალი საფუძველი ჰქონდა, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ასევე – კონფესიური, რაც გადაჯაჭვული იყო ეთნო-კულტურულ ფაქტორთან. რაც შეეხება საქართველოს საპატრიარქოსა და ქართველ დიდგვაროვანთა დამოკიდებულებას ამ საკითხთან დაკავშირებით, XIX ს-ში რუსული კოლონიური რეჟიმის წყალობიით, გასაგები მიზეზების გამო, არც ერთს მიუწვდებოდა ხელი და არც მეორეს[82]. რაც შეეხება ქართველ და სომეხ კათოლიკე მოძღვრებს შორის პაექრობას ამის შესახებ უხვი ინფორმაცია ღვაწლმოსილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, კათოლიკე სასულიერო პირმა მიხეილ თამარაშვილმა წარმოაჩინა, რომელმაც სომეხ-კათოლიკე მღვდლებს მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი გასცა ზემოაღნიშნულ ნაშრომში – „პასუხად სომხის მწერლებს“.

თანამედროვე სომეხ ისტორიკოსთა მიერ, რომლებიც უარყოფენ „სომხის სარწმუნოების“ ქართველთა არსებობას

[82] 1811 წელს რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა გაუქმდა.

და იმეორებენ თავიანთ წინამორბედთა აზრს, აქარწყლებს ზაქარია ჭიჭინაძის ზემოაღნიშნული ორიეე შრომა, ის უხვი ფაქტები, რომლებიც ხდებოდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე, XIX ს-ის პრესისა და დოკუმენტების მონაცემები. თუკი შეიძლება იყოს ე.წ. „სომეხი ქალკედონები“, რომელთაც მიაწერენ ქართველთა მიერ განხორციელებულ ნებისმიერ კულტურულ ღონისძიებებს[83], რატომ არ შეიძლება, რომ ყოფილიყვნენ სომხურ-მონოფიზიტური სარწმუნოების, ანუ როგორც აღნიშნავენ ხოლმე „გრიგორიანობის“ მიმდევარი ეთნიკური ქართველები?, რომელთა უდიდესი ნაწილი მშობლიურ ენაზე ქართულად მეტყველებდა. საინტერესოა, რა მოსაზრებას გამოთქვამს სომეხი მკვლევარი, როდესაც ფაქტები მეტყველებენ სომხური საღვთისმეტყველო ლიტერატურის გავრცელებაზე ქართული ტრანსკრიპციით? (იხ. ზემოთ). პ. მურადიანი მიუთითებს, რომ სომხური ლიტერატურის ქართული ტრანსკრიპციით გავრცელების ძირითადი მიზეზი იყო საქართველოში მცხოვრები სომხების მიერ სომხური წერა-კითხვის არ ცოდნა, რადგან არ არსებობდა სომხური სკოლები[84]. ეს არგუმენტი საფუძველს მოკლებულია, რადგან საქართველოში არ იყო პერიოდი, რომ არ ეფუნქციონერა სომხურ ეკლესიას და მასთან ერთად სომხურ სკოლას. კონტრარგუმენტად შეგვიძლია მოვიყვანოთ იმ ქალაქების ჩამონათვალი, სადაც ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, სომხებს ჰქონდათ სამრევლო სკოლები[85].

შესაძლოა, ზაქარია ჭიჭინაძის მიერ განხილული ზოგიერთი წმინდა ისტორიული საკითხი მართლაც მოითხოვდეს კრიტიკულ დამოკიდებულებას, რადგან იგი არ

---

[83] იხ. ქ. ქუთათელაძე, ახტალის მონასტერი, შრომები თბ., 2012.

[84] П. М. Мурадян, Армяно-грузинские литературные отношения в XIII-XVIII веке, Ер.,1966, გვ.40-42

[85] ზ. ჭიჭინაძე. ქართველი გრიგორიანები, გვ. 64-67.

იყო ისტორიკოსი, მაგრამ ეს გარეობა არ უნდა შეეხოს ზემოაღნიშნულ „გასომხების საკითხს“. იგი, ამ შემთხვევაში პირველწყაროა, ბევრ უტყუარ ცნობას იძლევა. ზაქარია ჭიჭინაძის ზემოაღნიშნულ შრომებში ღირებული არის ის, რომ იქ აღწერილი ფაქტები მის თვალწინ ხდებოდა, იგი ბევრი მოვლენის თვითმხილველი და თანამონაწილეა, მას საკუთარი ყურით გაგონილი, თვალით ნანახი და ფეხით შემოვლილი აქვს საქართველოს ის მხარეები, სადაც განსახკუთრებული სიმწვავით იდგა „გასომხების“ საკითხი. როგორც დავრწმუნდით, იგი პირადად ესაუბრებოდა რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის გაყოფილ საქართველოში ორი გზით გასომხებულ ქართველებს. ერთნი, რომელნიც სომხურ მონოფიზიტურ აღმსარებლობაზე გადაჰყავდათ და მეორენი, კათოლიკე ქართველები, რომლებსაც სომხურ კათოლიკურ ტიპიკონზე მიაწერდნენ. ზაქარია ჭიჭინაძე ზედმიწევნით უხსნიდა მათ, რომ ორივე შემთხვევაში ისინი ეთნიკური ქართველები იყვნენ და მათ მშობლიურ ენას ქართული წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ საკითხზე ზაქარია ჭიჭინაძე სანდო წყაროებს იძლევა, მისი მსჯელობა ქართულ-სომხურ კონფესიურ საკითხებზე შეა საუკუნეებში კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს. ზ. ჭიჭინაძე მხოლოდ მის ხელთ არსებულ სუბიექტურ და გაეალბებულ სომხურ გამოკვლევებს ეყრდნობა, რის გამოც მისი ზემოაღნიშნული მიმოხილვა კრიტიკას იმსახურებს, რათა დაინტერესებულმა მკითხველმა უკეთ შეაფასოს მისი ფასდაუდებელი შრომა „გასომხების“ საკითხთან დაკავშირებით და მის სანდოობაში ეჭვი არ შეეპაროს.

ზაქარია ჭიჭინაძე წიგნში „ქართველი გრიგორიანები“ ფაქტობრივ უსუსტობას აღნიშნავს, შეა საუკუნეებში კახეთისა და სამხრეთ საქართველოს კონფესიური

მდგომარეობის და ამავე პერიოდში სომხური მოსახლეობის მიგრაციის შესახებ. ამის მიზეზი წყაროთა მასალის სიმწირე და მისი ნაკლებ შეჯერება არის. ზ. ჭიჭინაძე, არასწორად მსჯელობს სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილებაზე. კონფესიურ ურთიერთობას ქართველებსა და სომხებს შორის ყოველთვის პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა, ამიტომ ეს საკითხი ამ კუთხით ხელმიწვდენით უნდა იყოს გაანალიზებული.

ქართულ-სომხური კონფესიური ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხს, საეკლესიო განხეთქილებას ქართულ ისტორიოგრაფიაში ფუნდამენტური კვლევა მიუძღვნა ზ. ალექსიძემ[86]. მან წყაროთმცოდნეობითი კუთხით გამოიკვლია სომხური და ქართული წყაროები[87]. ამ კუთხით მკვლევარმა ისეთი ნაშრომები დადო, რომლებიც გაუძლებენ დროის გამოცდილებას და არასოდეს დაკარგავენ მეცნიერულ ღირებულებას. ამიტომ ჩვენ არ შევუდგებით ამ საკითხის განხილვას, მხოლოდ დავსძენთ ერთს – ზ. ალექსიძე სწორად შენიშნავს, რომ „VII –ის დამდეგს კავკასიაში მომხდარი საეკლესიო განხეთქილება დიდად იყო დამოკიდებული საერთაშორისო პოლიტიკურ სიმპათია-ანტიპათიებზე, ხოლო შემდეგ თვითონაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კავკასიის ქვეყნების მიერ საგარეო ორიენტაციის კურსის განსაზღვრაში“[88]. არსენ საფარელი

---

[86] ამ საკითხზე კვლევები ნაატარეს და საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს ასევე, ლ. მელიქსეთ-ბეგმა, ილ. აბულაძემ, ნ. ჯანაშიამ.

[87] ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი, ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ. 1968; უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გაბოთქმებით გამოსცა ზ. ალექსიძემ. თბ. 1975; არსენ საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ.,1980.

[88] უხტანესი, გვ. 5.

აღნიშნავდა, რომ სომხების მონოფიზიტურ მიმდინარეობასაც გადასვლა განპირობებული იყო პოლიტიკური ნიშნით. სპარსეთის შაჰმა მათ ბერძნებისგან (ბიზანტიისგან – ქ.ქ.) განყოფა უბრძანა და ულტიმატუმი წაუყენა: „ერთი ორთაგანი ყაენო-ანუ გამოირჩიეთ ყოველთა ასურთაგან სჯული თვინიერ მელქოაღსა, რომელნი არიან სჯულითა ბერძენ, ანუ დაუტევეთ ქუეყანაჲ თქუენი და იელტოდეთ ჩუენგან“[89]. ამ ულტიმატუმის შემდეგ სომხებმა, „და მიუვლინეს მეფესა მუხარებით და ითხოვეს სჯული იაკობთაჲ, რამეთუ სხუანი ყოველნი უძვირეს შჯრაცხნეს“[90]. შაჰმა მათ 9 იაკობიტი მოძღვარი მიუვლინა, რომელთაც არსენ საფარელის სიტყვით, „განრყუნეს [ქუეყანაჲ] სომხითისაჲ, შრომილი წმიდისა გრიგოლისი, მრავლითა ღუაწლითა და ცრემლითა მისითა მორწყული“[91].

„ეპისტოლეთა წიგნშიც“ აბრაამ სომეხთა კათალიკოსი წერდა კირონ ქართლის კათალიკოსს: „დაუჯერებლად გვეჩვენა, რომ უცხო სამეფოსთან შექმნას მეფეთა მეფის მონათაგანმა სიყვარულის ერთობა და ბუნებით თანამოზიარეს გაშორდეს“[92]. იგივე წერილის ამ მონაკვეთს უხტანესი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „რატომ შეჰკრა მეფეთ-მეფის მონამ უცხო სამეფოსთან სიყვარულის ერთობა და მკვიდრს განეშორა? ეს ძალიან მძიმეა“[93].

„ეპისტოლეთა წიგნის“ და მისგან გამომდინარე უხტანესის წყაროს მიხედვით, ცურტავის სამწყსო ორეულოვანი ყოფილა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ცურტავის ეპარქიის სულიერ მწყემსს ორივე მწიგნობრობა – ქართულიც და სომხურიც ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა.

---

[89] არსენ საფარელი, გვ. 79.
[90] იქვე, გვ. 80.
[91] იქვე.
[92] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 68.
[93] უხტანესი, გვ. 125.

ღვთისმსახურების ასეთი წესი აქ წმ. შუშანიკს დაუწესებია. ცურტაველ ეპისკოპოსად გახდომა შეეძლოთ როგორც ქართველ, ასევე სომეხ პირებს, რომლებიც ზედმიწევნით ფლობდნენ ქართულ და სომხურ მწიგნობრობას. მოსე ცურტაველი, თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში აღნიშნავს: „მომიხდა მე სიყრმის ღღეებში მიესულიყავ ცურტავის საეპისკოპოსოს, რომლის მოწაფეც ვიყავ იმ ეკლესიის წესისამებრ, სადაც აღვიზარდე და ვისწავლე სომხური და ქართული მწიგნობრობა, სადაც მე უღირსს მომანიჭა უფალმა, რომ მიმეწვნულიყავ სამოძღვრო საყდარს იმავე პიტიახშის (ქვემო ქართლის პიტიახში – ქ.ქ.) კარზე“[94].

ერთ-ერთ ეპისტოლეში კირონ ქართლის კათალიკოსი აღნიშნავს, რომ ცურტავის ეპარქიაში „...ჩვენ მსახურება არ შეგვიცლია. ვინც ეპისკოპოსი გახდა, ქართული მოძღვრებაც იცის და სომხურიც, აგრეთვე მსახურება ორივე მწიგნობრობით სრულდება“[95]. წყაროთა მიხედვით, ცურტავის ეპარქიის მრევლის ნაწილი, რომელიც ქართლის ქეყანას ეკუთვნის, სომხურენოვანია. მოსე ეპისკოპოსი თავის ეპისტოლეში სომხურენოვან მრევლს შემდეგნაირად მიმართავს: „ სომხურენოვან თემს მაგ ცურტავის ეკლესიისას“[96], რომელიც მხარს უჭერს სომეხ ქართველთა საეკლესიო უთანხმოების დროს თავის პოსტიდან გაქცეულ მოსე ცურტავის ეპისკოპოსს. უხტანესის ცნობით, თავის საყოველთაო ეპისტოლეში აბრაამ კათალიკოსი კირონ ქართლის კათალიკოსს აბრალებს, რომ მან ცურტავში „წმიდა შუშანიკისგან დაწესებული სომხური მსახურება მოშალაო“[97].

---

[94] ეპისტოლეთა წიგნი, გვ.1.
[95] იქვე, გვ. 71.
[96] იქვე, გვ. 5.
[97] უხტანესი, გვ. 211.

ვის სჭირდებოდა ორენოვნება, ან როდიდან უნდა გაჩენილიყო ცურტავის ეპარქიაში ეს „სომხურენოვანი მრევლი“? „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით, ცურტავის ეპარქია ქართლის კათალიკოზის დაქვემდებარებაშია, მოსე ცურტაველი სწორედ კიროზისაგან იღებს ხელდასხმას, როდესაც იკავებს პიტიახშის სახლის ეპისკოპოსის საყდარს[98]. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – რა მოტივით უნდა ყოფილიყო მისაღები ქართლის კათალიკოზისთვის მისდამი დაქვემდებარებულ ეპარქიაში ღვთისმსახურებისთვის მეორე ენად სომხურის შემოღება? რა თქმა უნდა, ლოგიკურად ეს არ იქნებოდა ქართველთა სულიერი მწყემსის თანხმობით, ეს შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმაც აჩვენეს. ერთადერთი მოტივი გარეშე მხრიდან ზეწოლა უნდა ყოფილიყო. იგი ღვთისმსახურებისთვის მეორე ენის შემოღებით ცდილობს ქართული ეკლესიის, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის რღვევას, რომელიც ენასთან ერთად ერის ცნობიერებას განსაზღვრავს. ასევე, – პოლიტიკურად დაუმორჩილებელი ქვეყნის ერთ-ერთ მხარეში სხვა ეთნიკური ელემენტით ჩანაცვლებას.

გ. მაისურაძეს მიაჩნია, რომ შუშანიკამდეც ამ რეგიონში სომხური მოსახლეობა არსებობდა[99], მაგრამ ამას ხსნის ალბათ უფრო შემდგომ სომხურენოვანი მრევლიდან გამომდინარე. მკვლევართა უმრავლესობა ცურტავში ორენოვან სამწყსოს უფრო სომხური მოსახლეობის არსებობას უკავშირებენ. სასაზღვრო მხარეში მოსახლეობის მიგრაცია ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ძალიან ძნელია დაკონკრეტდეს და განისაზღვროს სხვა ქვეყნის მოსახლეთა კომპაქტურობა. ასეთი მოსახლეობა სასაზღვრო მხარეში უფრო მაშინ მრავლდება, როდესაც მას მშობ-

[98] იქვე, გვ. 133.

[99] გ. მაისურაძე, საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.), გვ. 21.

ლიურ მხარეში აღარ დაედგომება და მეზობელ ქვეყანას აფარებს თავს. საქართველო კი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირად ყოფილა მტრისაგან შეეიწროებულ სომეხთათვის თავშესაფარი. ძალზედ საინტერესოა ის ფაქტი, რომ მიუხედავად, ცურტავის ეპარქიის ორენოვნებისა, უხტანესი ამ მხარეს „ვრაც დაშტათ“ (ქართველთა ეკლი) მოიხსენიებს, სადაც მდებარეობს „ცურტავის ქვეყნა“ და ისტორიკოსი ხაზს უსვამს ამ მხარის ქართულობას. სპეციალურ თავში – „ცურტავის, იქ მყოფი პიტიახშისა და ქართველთა შესახებ“ – მოიხსენიებს გუგარელთა, ანუ ქართველთა დიდი პიტიახშის სამეუფეო ცენტრს ცურტავს[100]. გარდა იმისა, რომ ვარსქენ პიტიახშის მამას არშუშას სომეხი ისტორიკოსი „ქართლის ბდეშხს“, ან „ქართლის იშხანს“ უწოდებს, ვარსქენიც შუშანიკის წამების ქართულ და სომხურ მოკლე ტექსტებში მოიხსენიება, როგორც „ანთიპატროსი და წინამძღუარი ქართლისა“, ან „ანთიპატროსი, ქართველთა წინამძღვარი“. სომხური და ქართული ტექსტების ერცელ ვარიანტში კი ვარსქენი იხსენიება, როგორც პიტიახში „სოფლისა მის ქართლისა“[101]. „ცურტავის ქვეყანა“ ბუნებრივია, ცურტავის ეპარქიასაც მოიცავს. „ეპისტოლეთა წიგნში“ არა ერთი მინიშნებაა იმის შესახებ, რომ სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების დროსაც კი ცურტავი და მისი ეპარქია სომხეთისგან სხვა ქვეყანაში, ანუ ქართლის სამეფოში მოიაზრება, ანუ იგი საქართველოსთან იყო დაკავშირებული როგორც პოლიტიკურად, ასევე ეპარქიულად. „რადგან ჩვენთვის მანდედან დახმარებისა და ზურგის გარეშე ყოფნა არ შეიძლება, ისეთ მძლავრ გოროზს შეეყრიავართ, რომელიც მამამთავრად იწოდება; თუ არა, [უნდა] დაეტოვოთ ეს

---

[100] უხტანესი, გვ. 67.

[101] ქ. ქუთათელაძე, გოგარენე/გუგარქი სომხური წერილობითი წყაროების მიხედვით, თბ., 2005, გვ. 5.

ქვეყანა და წავიდეთ“[102]. წყაროში აღნიშნულია, რომ ცურტავის ეპარქია ქართლის და სომხეთის სარწმუნოებრივ ერთობაში შუამავლის როლს ასრულებდა – „სარწმუნოების ერთობას და ორივე ჩვენი ქვეყნის მასპინძლობას ცურტავის ეკლესია ურყევი შუამავლობით იცავდა“[103]. წყაროთა ეს მონაცემებიც ადასტურებს, რომ ცურტავი ქართლსა და სომხეთს შორის სასაზღვრო ზოლში – „ერაც დაშტში“ მდებარეობდა.

წყაროს მონაცემებიდან იგულისხმება, რომ ამ მხარეში სომხური მოსახლეობის რაღაც ნაწილი არსებობდა. მაგრამ აქ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას – იყო კი ეს მოსახლეობა მკვიდრი და ძირძველი? ეს რომ ასე ყოფილიყო უხტანესი ხაზს არ გაუსმევდა ცურტავის მხარის განსაკუთრებულ ქართულობას. აქ საქმე ეხება ცურტავის ეპარქიის სომხურენოვან მრევლს, რომელიც ქვემო ქართლის საპიტიახშოს საზოგადოების რაღაც ნაწილს წარმოადგენს, ცხადია უმრავლესობას არა. სომხურენოვანი მრევლი სხვადასხვა პოლიტიკური პროცესების შედეგად მერეც შეიძლება ჩამოყალიბებულიყო. ორივე წყარო აფიქსირებს, რომ ცურტავის ეპარქია არ არის სომხეთი, ისტორიული არმენია. თუმცა, იმავე „ეპისტოლეთა წიგნიდან“ გამომდინარე, რასაც უხტანესიც იმეორებს, სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების დროს, ცურტავში უკვე სომხურენოვანი თემი არსებობს, უფრო მეტიც, ვარსქენ პიტიახშის მეულლეს შუშანიკს ორენოვანი (ქართულ-სომხური) მსახურება დაუწესებია. რატომ დასჭირდა ღვთისმსახურებისთვის შუშანიკს სომხური ენის შემოღება, სომეხი მოსახლეობის სიმრავლის, თუ

[102] იქვე, გვ. 65.
[103] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 66.

უფრო ღრმა პოლიტიკური მიზეზის გამო?[104] ნ. ჯანაშია ფიქრობს, „რომ ქართლში გაიხოვების შემდეგაც შუშანიკი არ ივიწყებს თავის თანამეტომეებს, ცდილობს დაეხმაროს მათ შეინარჩუნონ თავისი ეროვნული სახე“[105]. მაგრამ ამ ფაქტს რომ პოლიტიკური საფუძველიც ჰქონდა მიუთითებს, საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობა სომხური საეკლესიო წრეებისათვის, რომელიც სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი უთანხმოების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ირანელთა მხარდაჭერით, სომხური პოლიტიკური ძალები ამ მხარეში სომხური ენის დანერგვას ცდილობდნენ, რომელიც ბუნებრივია, გამოიყენებოდა კონფესიისთვის და არ გამოერიცხავ, რომ იგი სომეხთა დამკვიდრების ერთ-ერთი ბერკეტი ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ქართლსაც და სომხეთსაც ერთი და იგივე მტერი ჰყავდათ, ეს უკანასკნელი ყოველთვის ცდილობდა ესარგებლა ქართლის მძიმე მდგომარეობით, და მომიჯნავე ქართული მხარეები ყველანაირი ხერხით გაეერთიანებინა.

გ. მაისურაძე აღნიშნავს, რომ „სომხური მღვდელთმსახურების დაწესება ცურტავის სომხურენოვან თემში შუშანიკის მიერ, რა თქმა უნდა ირანზე ორიენტირებული ეარსქენის პოლიტიკური კურსის ნაყოფიც იყო და ქართლის სამეფოს ამ სამხრეთ თემში ცენტრალურისაგან განსხვავებული რელიგიური და ეთნიკური სიტუაციის შექმნის ამოცანას ემსახურებოდა, რაც სეპარატისტულად განწყობილი მთავრის (ეარსქენ პიტიახში – ქ.ქ.) პოლი-

---

[104] ნ. ჯანაშია ფიქრობს, რომ შუშანიკმა სომხურენოვანი ღვთისმსახურების შემოღება მოახერხა, სანამ მეულლესთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა (ნ.ჯანაშია, შუშანიკის წამება, თბ., 1988, გვ. 250).

[105] ამასთან დაკავშირებით ნ. ჯანაშია ფიქრობს, რომ შუშანიკმა ამ ქმედებით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, „ქალესიაში გაეერთიანი ადამიანისა და საერთოდ საეკლესიო მოღვაწის სახელი“ (იქვე).

ტიკური ამბიციებისათვის ნიადაგს ქმნიდა"[106]. ნ. ჯანაშიას თქმით, ირანელები, ჩანს, „ქართლის მეფეს უპირისპირებდნენ ვარსქენსა და მის მსგავს ქართლის ფეოდალთა კლასის უძლიერეს წარმომადგენლებს"[107]. მკვლევარი სამართლიანად შენიშნავდა, რომ ასეთ სერიოზულ საკითხს მარტო შუშანიკი ვერ გადაწყვეტდა ქვემო ქართლის პიტიახშის, მისი მეუღლის ვარსქენის გარეშე და იქვე დასძენს, „რომ ეს ღონისძიება განსხვავებულ სახეს აძლევდა ცურტავის ეკლესიას. იგი ამითი მნიშვნელოვნად გამოიყოფოდა ქართლის სხვა ეკლესიებიდან. ეს კი განსაკუთრებულსა და განსხვავებულ იერს აძლევდა საერო ცხოვრებასაც. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ აზრით ხელმძღვანელობდა ვარსქენი, როდესაც ნებას რთავდა, თუ ოვითონაც ინდომებდა, სომხური მსახურების შემოღებას თავის სამთავროში"[108]. ქართლის მეფე აშკარად ვერ აკონტროლებს ქვემო ქართლის საპიტიახშოს, მისი სახელი არ მოიხსენიება არც „შუშანიკის წამებაში" და არც ბოლნისის სიონის წარწერაში. ცურტავის ეპარქიაში ქართველის გვერდით სომხურენოვანი მსახურების შემოღება მარტო წმ. შუშანიკის დამსახურება არ უნდა იყოს, არამედ იგი შესაძლებელია ირანელთა მხარდაჭერითაც მომხდარიყო. ამ მხარეში სომხურენოვანი ღვთისმსახურების შემოღება ირანელთა ანტიქართული პოლიტიკის შედეგი იყო. ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, როდესაც ქართლის მეფემ ანტიირანული კამპანია აწარმოა, მან ქვემო ქართლში სამი ახალი ქართულენოვანი ეპარქია (ბოლნისი, მანგლისი, აგარაკ-ხუნანი) შექმნა, რაც ბუნებრივია, ირანის სარ-

[106] გ. მაისურაძე, საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.), გვ. 21.

[107] ნ. ჯანაშია, ქართლი V ს. მეორე ნახევარში. ვახტანგ გორგასალი, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბ., 1986, გვ. 40.

[108] ნ.ჯანაშია, შუშანიკის წამება, გვ. 285.

წმუნოებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. არ გამოვრიცხავ, რომ ამ ეპარქიების შექმნა ცურტავის ეპარქიაში სომხურენოვანი ღვთისმსახურების წინააღმდეგაც ყოფილიყო მიმართული.

ამ კონფლიქტში გარდა სარწმუნოებისა რეალურად სომხეთსა და ქართლს შორის სადაო ტერიტორიებზე წინააღმდეგობაც აირეკლება, რადგან სომხეთს, სადაც ირანელთა მიერ გაუქმებულია მეფობა, არ აწყობს, მომიჯნავე სასაზღვრო ტერიტორიაზე, რომელიც ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შემოდის და იგი ანტიირანულ გეზს იღებს, სომხურენოვანი მრევლი და მათი საშუალებით სარწმუნოებრივი გავლენა დაკარგოს.

ვრთანეს ქერდოლის ერთ-ერთ ეპისტოლეში ცურტავს დაქვემდებარებული სამწყსო „სომხურენოვან ქვეყანად" არის მოხსენიებული: „სიწმინდისმოყვარე მართლმადიდებელთა და ჭეშმარიტია, სავანეების ხუცესთა, სოფლის მღვდელთა და ყრმათა, ყველა [და] ყოველ ერისკაცს მაგ სომხურენოვან ქვეყანათა, რომელიც ხართ ცურტავის ეკლესიის განმგებლობის ქვეშ"[109]. ეს მონაცემი ეწინააღმდეგება უხტანესის აღნიშნულ ცნობას. გამოდის, რომ ქვეყანა ქართულია, გუგარელთა დიდი პიტიახშის საბრძანებელი, სადაც ქართველები მოსახლეობენ (შდრ. „ვრაცდაშტი" – „ქართველთა ველი"), მაგრამ სომხურენოვანი? აშკარაა, რომ აქ რაღაც შეუსაბამობაა. მიეცეთ მსჯელობას. გ. მაისურაძემ ეს ინფორმაცია პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და აღნიშნავდა, რომ სომხური მოსახლეობა ცალკეულ უბნებად ცხოვრობდა, ჰყავდა ასნაურებიცა და გლეხებიც, სოფლებისა და სავანეების

[109] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 31-32

მღვდლებიც[110]. რა თქმა უნდა სომხური მოსახლეობის არ არსებობის მტკიცება არამეცნიერული იქნებოდა, მაგრამ ეს ცნობა არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით. ვრთანეს ქერდოლის მიმართვა ზოგადად მხარეს ეხება, ქვეყანას, რომელსაც სომეხი სასულიერო პირი უკვე „სომხურენოვანად“ მიიჩნევს, ანუ, სადაც უკვე დაწესებულია სომხურ ენაზე ღვთისმსახურება. მიმართვა – „სომხურენოვანი ქვეყანა“ ეთნიკურად ქართულ, სომხეთისგან განსხვავებულ მხარეზე, რომელსაც თვით სომხური წყაროები ადასტურებენ, უკვე პოლიტიკური განცხადებაა. აღნიშნული გულისხმობს, რომ სომხებს უკვე პრეტენზია აქვთ იმ ტერიტორიაზე, სადაც სომხურად ჩატარდება ღვთისმსახურება. სად არის ამ დროს ქართულენოვანი მრევლი, მაოი ასნაურები, გლეხები, სოფლებისა და სავანეების მღვდლები? ლოგიკურად ისინიც ხომ ემორჩილებიან ცურტავის სამწყსოს? თვითონ მრევლი თავის თავს „სომხურენოვანს“ არ უწოდებს, იგი მხოლოდ კირონის სარწმუნოებრივ პოზიციას ემიჯნება. ვრთანეს ქერდოლისადმი გაგზავნილ წერილში ჩანს, რომ აქ უფრო გარკვეული ჯგუფი – ძმობა იგულისხმება, რომელიც თავის პოზიციაზე იდგა და მხარს უჭერდა მოსე ცურტაველს. „ჩვენ რომ მივიღეთ წერილი თქვენგან, ვუწვენეთ მთელ ჩვენ ძმობას, რომელმაც კმაყოფილებით მოისმინა და მადლობა უძღვნა თქვენს მოძღვრებას“[111].

„ირანმა სომხობა სამხრეთ კავკასიაში უფრო სანდო ძალად ჩათვალა, რაც თავისთავად სომეხი ეროვნების საერო და სასულიერო პირთათვის ხელშემწყობი ფაქტორი იყო ამ მხარეში სომხური ეთნიკური ელემენტის მომრაელებისთვის. ამ შემთხვევაში, ცურტავის ეპის-

[110] გ. მაისურაძე, საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები, გვ. 23

[111] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 34.

კოპოსისათვის უმთავრესია კონფესიური მრწამსი გამოიყენოს ნაციონალური თვითმყობადობის შენარჩუნებისთვის. სწორედ ამიტომ არ უთანაგრძო ქალკედონის კრებას მოსე ცურტავის ეპისკოპოსმა, განსხვავებით ქართლის სხვა ეპისკოპოსებისგან, რადგან იგი თავის თავად და მრევლის ნაწილით დაკავშირებული იყო სომეხ ეთნოსთან, რომელიც ირანს წინაის ქვეშ ჰყავდა და ეროვნული ცნობიერების გადარჩენის მიზნით, სომეხ ერს სარწმუნოებრივ საკითხებზე კომპრომისზე წასვლა მოუხდა. ამიტომ იყო, რომ სომეხმა ხალხმა, რომელიც იდეოლოგიურად გაემიჯნა ბიზანტიის იმპერიას, თავისი ეთნიკური სახის შენარჩუნების მიზნით, ქრისტიანობის მონოფიზიტური მრწამსი აღიარა"[112].

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცურტაველი ეპისკოპოსები ამავე დროს, პიტიახშის კარის, ანუ სამფლობელოს ეპისკოპოსებიც არიან, ამათგან ზოგიერთი ეთნიკურად სომეხი და სომხურენოვანი, თუმცა, მათ ქართული მწიგნობრობაც უნდა სცოდნოდათ. ნ. ჯანაშია სწორად შენიშნავდა, რომ „სომხური მსახურების შემოღება გულისხმობდა სომხური ენის მცოდნე მღვდელმთავრის ყოლას, საჭირო იქნებოდა სომხური ენის მცოდნე სხვა მსახურებიც. ეტყობა ამისთვის ცურტავის საეპისკოპოსო კათედრასთან სპეციალური სკოლაც კი გახსნილა, სადაც ასწავლიდნენ სომხურსა და ქართულ მწიგნობრობას"[113].

ბუნებრივია, ცურტავის ეპარქიაში ქართულენოვანი მრევლიც არსებობდა, რომელმაც მხარი არ დაუჭირა მოსე ცურტაველს, ეთნიკურად სომეხს, რომელიც სომხური დიასპორის წარმომადგენელია და სომხური ეკლესიის მსახური. ამის მიზეზი კი ეროვნული მოტივი იყო. ქართულ

---

[112] ქ. ქუთათელაძე, ცურტავის ეპარქიის საზღვრების საკითხისათვის, თბილისის უნივერსიტეტი, მეცნიერება და ცხოვრება, I, თბ., 2010, გვ. 118

[113] ნ.ჯანაშია, შუშანიკის წამება, გვ. 249-250.

ქვეყანაში ღვთისმსახურებისთვის მეორე ენის შემოღება ზოგადად ქართულენოვანი მრევლის, ანუ მოსახლეობის შევიწროებას ნიშნავდა. თუ წყაროთა მონაცემებს გავითვალისწინებთ, დავა სწორედ ეპარქიაზეა[114], რომელსაც უკავშირდებოდა შუშანიკის მიერ შემოღებული სომხური ღვთისმსახურების გაუქმება. მხოლოდ მოსე ცურტავის ეპისკოპოსმა გააპროტესტა კირიონის პოზიცია. ფაქტია, რომ ცურტავის ეპარქიისთვის ორივე კათალიკოსი იბრძვის. არსენ საფარელის თქმით, კირიონმა მოსე ცურტავის ეპისკოპოსი განდევნა „საყდრისაგან თჳსისა“ და აბრაჰამ სომეხთა კათალიკოსმა ითხოვა „საყდარი მისი“[115]. აბრაამ სომეხთა კათალიკოსი კირიონისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ ეპისტოლეში აღნიშნავდა, რომ სომხური ღვთისმსახურების

---

[114] ზ. ალექსიძეს საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ცურტავის ეპარქიის აღმნიშვნელ ტერმინთან, კერძოდ ე.წ. „სომხითის“ საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულის არსებობასთან დაკავშირებით. ამ მოსაზრების საარგუმენტაციოდ იგი იმოწმებს არსენ საფარელის თხზულების შემდეგ ცნობას: „ და განდევნა კჳრიონ ქართლისა კათალიკოსმან მოსე ეპისკოპოსი ცურტავისაჲ საყდრისაგან თჳსისა, რომელი დაედგინა წმიდასა შუშანიკს ნაწილსა თანა სომხითისასა. და ითხოვა აბრაჰამ კჳრიონისაგან საყდარი მისი, ხოლო იგი არა ერნდა მას და განჴჳნდა ცილობაჲ იგი შორის მათსა“ (არსენ საფარელი, გვ. 82). ზ. ალექსიძის თქმით, არსენ საფარელი ხშირად ხმარობს ტერმინს „ნაწილი“, ან „ნაწილნი“, რომელშიც მკვლევრის მოსაზრებით „სამწყსო“ იგულისხმება (ზ. ალექსიძე, „ნაწილი სომხითისაჲ“ არსენ საფარელის ტრაქტატში „განყოფისათჳს ქაროლისა და სომხითისა“, მაცნე, №2, 1972, გვ. 76). იგი „ზუსტი შესატყვისია სომხური վճակ-ისა, რაც „ხვედრს“, „წილს“, „სამწყსოს“ აღნიშნავს და მრავალჯერ იხმარება „ეპისტოლეთა წიგნში“ სწორედ ცურტავის საეპისკოპოსოს აღსანიშნავად“ (იქვე). მკვლევარი იქვე დასძენს, რომ თუ ზემოაღნიშნულ ციტატაში ნაწილის მაგიერად სამწყსოს ვიგულისხმებთ, იგი უფრო გასაგები გახდება (იქვე, გვ. 77). „ნაწილსა (სამწყსოსა) თანა სომხითისასა“-ს ზ. ალექსიძე გულისხმობს ქვემო ქართლს, რომლის ერთ-ერთი სახელწოდებაა „სომხითი“.

[115] არსენ საფარელი, გვ. 82.

მოშლა „სიკვდილზე უფრო უბედურესად მიეჩვიეთო“[116]. მართალია, სომხურ წყაროებში კირონი აღნიშნავს, რომ მას მოსე არ გაუგდია, არამედ თვითონ გაიქცა, ასევე, არც სომხური მსახურება შეგვიცვლიაო, მაგრამ ამ ფაქტთან დაკავშირებით, ნ. ჯანაშია ფიქრობს, „რომ სომეხ მესვეურთა მიერ წაყენებული ბრალდებები მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს“[117]. „ეპისტოლეთა წიგნიდან“ ჩანს, რომ მისი არჩევანი საფრთხეს უქმნიდა ქართლის სამეფოში შემაღალი გუგარქის საპიტიახშოში მცხოვრებ სომხურენოვან მრევლს, რათა ქალკედონური მრწამსის გავლენით არ დაეკარგა ეროვნული ცნობიერება და კონფესიური დამოუკიდებლობა. ქალკედონური მრწამსი ირანის იდეოლოგიური ზეწოლის წინააღმდეგ დამცავი ფარი იყო. სომხობას კი იდეოლოგიურად ირანისგან ჰქონდა მხარდაჭერა, არ არის გამორიცხული, რომ მათგან კავკასიაში სომეხთა ჰეგემონობასაც შეწყობოდა ხელი. სომხობა ცდილობდა ირანელთა მხარდაჭერა პოლიტიკური მიზნით გამოეყენებინათ. განსაკუთრებული საფრთხე სომხური ეკლესიისთვის კი მოსალოდნელი იყო იქიდან, რომ ცურტავის ეპარქიის დაშლის შემთხვევაში მოისპობოდა ორენოვანი მსახურება, როგორც სამართლიანად შენიშნავს ს. ალექსიძე, კირონის მიერ ქართული ენის დამკვიდრება ღვთისმსახურებაში მიმართული იყო „ყოველი ქართლის“ შემომტკიცებისათვის და მთლიან ორგანიზმად შესაკრავად“[118]. სომხური ენის შენარჩუნებით სომხური ეკლესია სომხურენოვანი მრევლს შეინარჩუნებდა, სომხურენოვანი მრევლით კი როგორც ზემოთ ავღნიშნე, იგი ტერიტორიის დანარჩუნებას ცდილობდა ქვემო ქართლში.

---

[116] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 67.
[117] ნ.ჯანაშია, შუშანიკის წამება, გვ. 282.
[118] ს. ალექსიძე, „ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 181.

ცურტავის ეპარქიის დაშლას[119] პოლიტიკური სარჩულიც რომ ჰქონდა, მოსე ცურტაველისა და სუმბატ მარზპანის მიწერ-მოწერიდანაც ჩანს. კერძოდ, მოსე ეპისკოპოსი ქართლზე შეიარაღებულ თვდასხმასაც არ გამორიცხავს. სუმბატი კი მოსეს არიგებს: „შენ ადრეც გითხარი, რომ მივწერ-მეთქი მეფეთა-მეფეს, რათა კეთილად ბრძანოს, რომ წახვიდე შენს ეკლესიაში, დაჯდე და შენი სარწმუნოებით იპყრა შენი ხალხი ახლა ეგ შენი სული და საქმე ჯერ ღმრთის წყალობას მიანდე და მერე უფალ კათალიკოსს“[120]. შემდეგ სუმბატი ურჩევს მოსეს, რომ კიდეც შეახსენონ კირონს, რომ ჩვენ წინაპრებს ერთი სარწმუნოება ჰქონდათ და თუ განგეშორებიან მათი სისხლი თავიანთ თავს მოჰკითხონ და ჩვენ უბრალო ვიყოთ. „თუ დაუმორჩილებლობის შესახებ შევიტყობთ და უფალი ღმერთი მარჯვე დროს მოგვცემს, ვინ იცის, [იქნებ] აქვე მიიღებს საზღაურს (კირონი – ქ.ქ.) ღმრთისაგან ხორციელ უფალთა ხელით“[121]. ეს კი აშკარა მუქარაა და შურისძიების წყურვილი ქართული ეკლესიის ინტერესების დამცველთა მიმართ. ერთი სიტყვით, ირანი ანტიბიზანტიური იდეოლოგიიდან გამომდინარე, ზოგადად მტრობდა მართლმადიდებლობას, როგორც „ბერძნულს“, ასევე, „ქართულს“. ამიტომ მისი საპირისპირო მონოფიზიტური სარწმუნოების მხარდაჭერიდან გამომდინარე, სომხური ეკლესია და სომხობა საერდენ ძალად მიაჩნდათ. ზ. ალექსიძის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ,

---

[119] როდესაც მოხდა სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილება ცურტავის ორენოვანი სამწყსო დაიშალა. სომხური თემები სტ. ორბელიანის ცნობით, ახპატის ეკლესიას შეუერთდა, ქართული კი მეზობელ ეპარქიებს უნდა შეეერთებინათ, გარდა მაშავერას ხეობისა და ტაშირის მხარისა, რომელიც ცალკე დმანელის სამწყსოში უნდა გაერთიანებულიყო (ქ. ქუთათელაძე, დმანისის ეპარქია, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XI, თბ., 2009).

[120] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 83.

[121] იქვე, გვ. 84.

„ცურტავის ეპარქიაში ქართული მღვდელთმსახურების გაბატონება იყო სრულიად შეგნებული პოლიტიკა, წამოყენებული კირონ ქართლის კათალიკოსის მიერ; პოლიტიკა, რომელმაც შემდეგში გიორგი მერჩულეს საშუალება მისცა ეთქვა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. არაბობა რომ არა, როგორც ჩანს, ამ ბრწყინვალე ეროვნულ-პოლიტიკურ ფორმულას უფრო ადრე იტყოდა რომელიმე გონიერი ქართველი მოღვაწე“[122].

ამრიგად, სომხურ-ქართული დაპირისპირებული კონფესიური ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი ღვთისმსახურების ენაა. ენა ყველაზე ძლიერი ფენომენია ქართველობის განმსაზღვრელი და შემმანარჩუნებელი. ილია ჭავჭავაძე ამბობდა, რომ ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“, რადგან არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული – ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა“[123]. ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა დამპყრობელს ქართველთა წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით, ერთნაირი ხედვა აქვს, რომელიც გულისხმობს ქართული ენის შევიწროებას და ქრისტიანული სარწმუნოების სომხური მრწამსის წახალისებას. თუკი ირანი მხარს უჭერდა ქართულ მხარეში და ქართულ ეპარქიაში სომხური ენის დანერგვას, XIX საუკუნეშიც ქართული ენის აკრძალვით და სომხური ენის დანერგვით ცდილობდნენ სომხურ მონოფიზიტურ აღმსარებლობაზე გადასულ, ასევე, ქართველი კათოლიკების სომხურენოვან ტიპიკონზე გადაწერილ ქართველთა ცნობიერების შე-

[122] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 181.
[123] ილ. ჭავჭავაძე, ა'სრები, თბ., 1989, გვ. 58.

ცვლას, რომელსაც ამჯერად, ხელს უწყობდა რუსეთის იმპერია. ამ საკითხს ასე დაწვრილებით ამიტომ შევეხეთ.

სხვა ქრისტიანული ელემენტის წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით, სომხებს ხელი ეწყობოდათ მუსულმანურ ქვეყნებშიც. სასანიანთა ირანის აღნიშნული მიდგომის ტრადიცია არ დარღვეულა გვიან შუა საუკუნეებშიც. გ. მაისურაძის სწორი შენიშვნით, XVII-XVIII სს-ში ყიზილბაშური ირანისათვის „...სრულიად მიუღებელი იყო ქართველთა და რუსთა რელიგიური ერთობა, რაც თავის მხრივ განაპირობებდა სომხური მოსოფიზიტობისა და დასავლური კათოლიციზმისადმი ყიზილბაშ ხელისუფალთა ლოიალურ დამოკიდებულებას“[124]. გარდა ამისა, სომხებს შეღავათიანი პირობები ჰქონდათ ირანში, რასაც ეკონომიკური ინტერესები განაპირობებდა. სომხურ ეკლესიებში თავისუფლად მიმდინარეობდა ღვთისმსახურება, შაჰი შეღავათებს უწესებდა მათ, დნგრეულის აღდგენის და ახლის მშენებლობის უფლებასაც აძლევდა. ქართველი მართლმადიდებლები კი ასეთ პრივილეგიას მოკლებულნი იყვნენ, „უფრო მეტიც, ირანში მყოფ ქართველებს იმ შემთხვევაში შეეძლოთ შეენარჩუნებინათ ქრისტიანობა, თუ გასომხდებოდნენ“[125]. მსგავსი დამოკიდებულება იყო ოსმალეთის იმპერიაშიც. ივ. გვარამაძე ერთგან აღნიშნავდა, რომ „მთელს ქრისტიანობაში ოსმალებისათვის სომხებისთანა კარგნი არავინ იყვნენ; რადგან დიდი მტერნი და გამცემნი იყვნენ ბერძნებისა, ევროპიელებისა და ქართველებისა. მათ ფადი მაჰმადმან (მეჰმედ II – ქ.ქ.) კონსტანტინოპოლის ამღებმან სომხები გაამრავლა და პატრიარქი დაუჯდინა ბერძნების სამტროდ და სხვათა; სომხობას მრავალთაგან მრავალი სამსახური მისცა იქამდის, რომ

[124] გ. მაისურაძე, საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.), გვ. 172.
[125] იქვე.

თითქმის მესამედი ნაწილნი ისაულთა და მოხელეთა სულ სომხები იყვნენ“[126]. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, როდესაც მცირე აზიაში მუსულმანური ძალა გაბატონდა, სომხებმა ალღო აუღეს ზემოაღნიშნულ მიზეზს და ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო აპარატში დაწინაურდნენ. შ. ლომსაძის სწორი შენიშვნით, „XV-XVI სს-ში ბერძენთა წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით, თურქებმა სტამბოლში, როგორც მესამე ძალა წინ წამოწიეს სომხური ელემენტი. მიანიჭეს რა მთელი რიგი უპირატესობანი სომხურ კომპრადორულ ბურჟუაზიას, ისინი დაუპირისპირეს არა მარტო ბერძნულ სოციალ-პოლიტიკურ მიმართულებას, არამედ ბერძნულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ეკლესიასაც, რასაც მოჰყვა ქ. კონსტანტინოპოლის ცენტრალური უბნებიდან ბერძნების თანდათანობითი გამოდევნა და იქ მაშინ მათთვის უფრო მისანდო სომხური ბურჟუაზიის დამკვიდრება. რამაც მერე თავისთავად დააყენა საკითხი სტამბოლში მძლავრი სომხურ-ქრისტიანული საპატრიარქო ცენტრის დაარსებისა და იმპერიაში დარჩენილი ქრისტიანული მოსახლეობის ზონებად დანაწილების შესახებ, კონსტანტინოპოლის ბერძნულ მართლმადიდებელ და სომხურ მონოფიზიტურ საპატრიარქოებს შორის. თუ სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი ლაზეთის ქრისტიანებთან ერთად აღრიცხეს ბერძნებად, სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ რეგიონებში სოფიერთ გამონაკლისის გარდა და განსაკუთრებით ყარს-არტაჰანის ვილაიეთებში დარჩენილი ქართველების დიდი ნაწილი ეკლესიურად და შემდეგ ეროვნულადაც შეიერთა სომხურმა გრიგორიანულმა ეკლესიამ. XVIII ს-ში სომხური ელემენტის დაწინაურებას ხელი შეუწყო სომხური კათოლიკური საპატრიარქოს დაარსებამ

[126] ქ. ქუთათელაძე. ქართველთა გასომხების საკითხისათვის XIX-XX სს-ის მიჯნის ქართული პერიოდიკის მიხედვით, გვ. 511, დროება, 1880, №220.

კონსტანტინოპოლში, რომელსაც მთელს ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები კათოლიკური აღმსარებლობის ხალხი დაუკავშირეს"[127].

შემდეგი შენიშვნა ეხება ზაქარია ჭიჭინაძის მსჯელობას აგრეთვე, კახეთის მოსახლეობის სომხურ სარწმუნოებაზე და იგი, როგორც ჩანს, სომეხ მკვლევარია მოსაზრებებს ეყრდნობა. ზ. ჭიჭინაძე ჰერეთში განვითარებულ მოვლენებს, როდესაც დინარ დედოფალმა მართლმადიდებლობას დაუჭირა მხარი, კახეთზე განავრცობს, სადაც საკითხიც კი არ იდგა შუა საუკუნეებში მოსახლეობის გასომხებასთან დაკავშირებით, თუმცა, სომხურ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი სხვაგვარად ესმით. სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში კახეთ-ჰერეთთან დაკავშირებით გავრცელებულია ტენდენციური შეხედულებები. მკვლევარები ეჭვქვეშ აყენებენ კახეთ-ჰერეთის ქართულობას. პახომოვი კახეთის იმდროინდელ ეთნიკურ სახეს ხან სომხურად, ხან ქართულად მიიჩნევს – „რიგრიგობით იყო ან არმენიზაცია, ან ქართველიზაცია. ამასთან დაკავშირებით ითვლებოდა მეფობაც და რელიგიური შეხედულებაც[128]. სომეხი მეცნიერები ფიქრობენ, რომ მონოფიზიტური სარწმუნოების გავრცელების გარდა კახეთ-ჰერეთში სამეტყველო ენა სომხური იყო[129]. ეს მეცნიერული ფანტაზიები შესაძლოა წინაპირობაც გახლდათ, რომ გასომხების ფაქტის შედეგებთან ლოგიკური კავშირი დაემყარებინათ და ამით ემტკიცებინათ, რომ სტატისტიკურად კახეთ-ჰერეთში მომრავლებული სომხური მოსახლეობა აქ ოდითგანვე სახ-

---

[127] შ. ლომსაძე, მესხები, ახალციხური ქრონიკები, II, გვ. 95.

[128] Е.А. Похомов, О монете Кюрике Куропалата. Известия КИАИ в Тифлисе, т.III,1925, გვ. 41.

[129] იხ. თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, ნარკვევები სოციალურ - ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიიდან (უძველესი დროიდან XII ს-ის I მეოთხედამდე), თბ., 1970.

ლობდა. სამეფო ტიტულები „მეფე რანთა და კახთა“ და „მეფე ალვანთა“, რომლითაც ტაშირ-ძორაგეტის მეფეები იწოდებოდნენ, მიუთითებს, რომ ორივე მხარე – ქართულიც და სომხურიც ჰერეთ-ალბანეთის სრული დაუფლებისთვის იბრძვიან.

როგორც ცნობილია, X ს-ში ჰერეთში საბოლოოდ მართლმადიდებლობამ გაიმარჯვა, რომელიც ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრს დინარ დედოფალს (გუეგენ IV ერისთავთ-ერისთავის და) მიეწერება. ჰერეთი საბოლოოდ ქართული ეკლესიის საზღვრებში გაერთიანდა. რაც შეეხება კახეთს, აქ არასოდეს არ ყოფილა სარწმუნოებრივი ჭიდილი. გასომხების საკითხი მაშინაც კი არ იდგა, როდესაც კახეთ-ჰერეთში XI ს-დან სომხური წარმოშობის საგვარეულოს კვირიკიანთა წარმომადგენელი მართავდა. „დინასტიური ქორწინების შედეგად ანისის სომეხ ბაგრატუნთა გვერდითი შტოს კვირიკიანთა საგვარეულოს წარმომადგენლებმა მოახერხეს კახეთ-ჰერეთის სამეფოშიც გამეფებულიყვნენ. მათი შთამომავლები 67 წლის განმავლობაში (1037-1104) მართავდნენ სამეფოს. ტაშირ-ძორაგეტის მეფე დავით ანჰოლინმა ცოლად მოიყვანა კახეთ-ჰერეთის მეფის კვირიკე III დიდის და. მათი უმცროსი შვილი გაგიკი, რომელიც ბუნებრივია, კვირიკე III დისწულიც იყო, ბიძის გარდაცვალების შემდეგ კახეთ-ჰერეთის ტახტზე ავიდა, რადგან მას მემკვიდრე არ დარჩენია. გაგიკმა საფუძველი ჩაუყარა კვირიკიანთა მმართველობას კახეთ-ჰერეთში (ე.წ. „კახელი კვირიკიანები“). იგი ამავე დროს დედის ხაზით, დაკავშირებული იყო ადგილობრივ სამეფო დინასტიასთან, ამიტომ ამ ფაქტს კახეთ-ჰერეთში განსაკუთრებული ეთნიკური და კონფესიური ცვლილებები არ გამოუწვევია. კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით და შესაძლოა ეთნიკურადაც კვირიკიანები უფრო „გაკახელებულნი“ ჩანან, თუმცა, სომხურ ისტორიოგრაფიაში გაერცელებულია

ტენდენციური მოსაზრებები, რომლის მიხედვით, ეჭვქვეშ დგას კახეთ-ჰერეთის სამეფოს ქართულობა. პირიქით კი დოკუმენტური წყაროები ამტკიცებენ, რომ კვირიკიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი მეფეები კახეთ-ჰერეთში ადგილობრივ სამეფო სახლს ეწყმიან, რაც ადგილობრივი სამეფო დინასტიის სიძლიერეზე მიუთითებს და პრიორიტეტად პოლიტიკურად ქართულ და კონფესიურად მართლმადიდებლურ ორიენტაციას იჭერენ. ისინი გამოდიან, როგორც კახეთ-ჰერეთის დამოუკიდებელი მეფეები და არ ექვემდებარებიან, თუნდაც კვირიკიანთა საგვარეულოს ძირითად შტოს – ტაშირ-ძორაგეტის მეფეებს. ტაშირ-ძორაგეტისა და კახეთ-ჰერეთის სამეფოებს შორის არასოდეს მდგარა უფროს – უმცროსობის მიხედვით (დავით ანჰოლინი/გაგიკი – მამა და შვილი) პოლიტიკური დამოკიდებულების საკითხი. ისინი პოლიტიკურად ერთიანდებოდნენ მხოლოდ საერთო მტრის – ბაგრატ IV წინააღმდეგ, რომელიც ერთიანი ქართული მიწების გაერთიანებას ცდილობდა"[130]. მკვლევარ ჯ. სტეფნაძის სწორი შენიშვნით, კახეთში მოღვაწე კვირიკიანი მეფეები გაქართველებულნი იყვნენ[131].

ფაქტების სიმწირის გამო ზ. ჭიჭინაძე ცდილობს გვიან შუა სს-ში და XIX ს-ში კახეთში მიმდინარე გასომხების შედეგების მიზეზები ადრეულ ეპოქებს დაუკავშიროს, მაგრამ ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს. ეს შემდგომი პერიოდის კვლევებმაც დაადასტურეს. სახელოვანმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა სათანადო მასალებზე და-

---

[130] ქ. ქუთათელაძე, ქვემო ქართლი, პოლიტიკური ისტორიის საკითხები, გვ. 122-123; ქ. ქუთათელაძე, კვირიკიანთა დინასტიის კახეთ-ჰერეთის შტო, მეცნიერება და ცხოვრება, №1 (7), გვ. 477.

[131] ჯ. სტეფნაძე, კახელი კვირიკიანები და მათი როლი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში (IX ს-ის 30-იანი წლები – XII ს-ის დასაწყისი), ახალგაზრდა მეცნიერთ ნაშრომები, თბ., 1978, გვ. 22.

ყრდნობით, შეისწავლა, რომ გვიან შუა საუკუნეებში კახეთში ყარაბაღელი სომხების შემოხიზვნას რუსეთის მთავრობა უწყობდა ხელს. ჯერ კიდევ აღა მაჰმად ხანის შემოსევამდე ყარაბახელი სომხების დიდი ნაწილი გამორბოდა საქართველოსკენ იმ იმედით, რომ ირანის შაჰი საქართველოში შემოსვლას და ერეკლესთან შებრძოლებას ვერ გაბედავდა. თბილისის აოხრების შემდეგაც ყარაბაღის მელიქებიდან ორმა აბოვმა და მეჯლუმმა ერეკლეს საქართველოში თავშესაფარი სთხოვეს. ერეკლეს მელიქ აბოვისთვის ს. ბოლნისი მიუცია და კოლბის გზის დაცვა დაავალა[132]. სხვა მელიქები კი საქართველოს მეფის სურგის ავლით, რუსებთან დაქვემდებარებით და ალიანსით ცდილობდნენ ან რუსეთში შეხიზვნას, „ან იმავე პირობით საქართველოში დასახლების ნებართვა მისცემოდათ“ (ივანე 38). ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ რუსებმა ისინი მფარველობაშიც მიიღო და სხვის სახელმწიფოში დასახლების ნებაც მისცა, ოღონდ ეს საკითხი გასაიდუმლოებული იყო. ამით რუსებმა კიდევ ერთხელ დაარღვიეს გეორგიევსკის ტრაქტატი, როდესაც, ერეკლეს ზურგს უკან მის ქვეშევრდომებთან გააბეს კავშირი. ოფიციალურად რუსები შეეცდებოდნენ ერეკლე დაერწმუნებინათ, რომ სომეხი მელიქებისთვის საქართველოში შემოსვლის უფლება მიეცა. შეთანხმება მიღწეულ იქნა. სახელოვანი მეცნიერის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ამის წყალობით სომხებმა და რუსეთის მთავრობამ თავიანთ წადილს მიაღწიეს: სომხებმა მიწები მიიღეს, რუსებმა კი საქართველოში იდუმალი ქვეშევრდომები და თავიანთ გაბატონების უერთგულესი წინამავალი რაზმი გაიჩინეს“. ერეკლეს მათი ნაწილი თელავს, ნაწილი კი სიღნაღში დაუსახლებია[133]. ალბათ,

---

[132] ივ. ჯავახიშვილი. ისტორიული ნაწერები, გვ. 38.
[133] იქვე. გვ. 39.

კახეთში სომხური ელემენტის გამრავლების მიზნით შეიქმნა ზემოთ მოხსენიებული ის პარტია, რომელსაც ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ევალებოდა კახეთში ქართველთა მამულების შეძენა და იქ სომხების დასახლება. ზემოთ უკვე ვიმსჯელეთ, რომ ამ პოლიტიკის გაგრძელება იყო ასევე, 1913 წელს რუსთა ხელშეწყობით ჩასახლებული სომხების მიერ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების თბილისის გუბერნიისგან ჩამოშორების მოთხოვნა და გუმბრთან შეერთება, თუმცა ეს საკითხი ოვით კომისიების მიერ იქნა დაბლოკილი, რადგან ქვემო ქართლიც და ჯავახეთიც, საქართველოს ეს განუყოფელი ნაწილები, სისხლხორცეულად იყვნენ დაკავშირებულნი თბილისთან და შიდა ქართლთან.

დღეს „გასომხების საკითხი“ ნაკლებ პოპულარულია, მიუხედავად, სომხური დიასპორის და მათ ხელშემწყობთა დაუღალავი მუშაობისა, ამ პოლიტიკამ კრახი განიცადა. გასომხებულმა ქართველებმა კვლავ თავიანთი გვარები დაიბრუნეს, თუმცა ქართველობისთვის ძირის გამოთხრა და ზურგში ლახვრის ჩაცემა შენიღბულად მინც მიმდინარეობს. ამას ამტკიცებს თანამედროვე სომხურ გამოცემებში დაფიქსირებული რუკები, სადაც შეგნებულად არის გამეორებული ძველ გამოცემათა მონაცემები. ასევე, ჯავახეთის საკითხი, რომელიც „დამოკლეს მახვილივით“ ჰკიდია ქართველებსა და სომხებს შორის და მას ხშირად წამოგვაძახებს ხოლმე ჩვენი ჩრდილოელი „მეზობელი“. მაგრამ ხომ გაგიგონიათ, „ძალა ალმართს ხნავსო“, თუ საჭირო იქნა „ერთმორწმუნე“ რუსის ხელშეწყობით, დღევანდელ დღესაც, კვლავ სომხები იხეირებენ, ჩვენს თვალწინ გაეალბდება ისტორია და ჯავახეთის საკითხი ჩვენს გასახედნ კიდევ ერთ საშუალებათ იქნება გამოყენებული. ამიტომ ნებისმიერ პრობლემურ საკითხს გონივრულად მომზადებულები უნდა მივუდგეთ, ჯეშმარიტი ისტორია დავდოთ, ვიკვლიოთ არა სხვების

მაამებლად, არამედ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებრივად ვიაზროვნოთ, როგორც ამას ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ. მართლაც, რომ არ მოხდეს XXI ს-ის მიჯნაზე ისტორიის ასპარეზიდან ჩვენი აღგვა, საჭიროა მთელ საზოგადოებას დაენახვოს რეალური პრობლემა, მისი არსი, საშიშროება წარსულსა და თანამედროვეობაში. ქართულ-სომხური ურთიერთობების ობიექტურ გაშუქებას და მის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში მცხოვრები სომეხი ეროვნების მოსახლეობისთვისაც, რათა მათ ჩამოუყალიბდეთ საერთო ქართული სახელმწიფოებრივი თვითშეგნება. ქართველების და საქართველოში მცხოვრები სომეხი ხალხის კულტურული და პოლიტიკური სიახლოვე, ერთიანი სახელმწიფოს მოქალაქეობრივი თვითშეგნება არის ჩვენი ქვეყნის სტაბილურობის გარანტი. ჩვენს წერილს დიდი ილიას სიტყვებით ვამთავრებთ, რომლის თითოეული აზრი დღესაც არ კარგავს აქტუალობას და აფხიზლებს მიძინებულ ქართულ საზოგადოებას: „ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს კი არ აკრებინებს, როგორც იმედგადაწყვეტილს, სასოებადაკარგულს, არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავს-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი“[134].

[134] ილ. ჭავჭავაძე, აზრები, გვ. 91.

Ketevan Kutateladze

The Question of Armenization of Georgians in Zakharia Chichinadze's Scientific Works and its political bases

Summary

More than 100 years passed sience Zakharia Chichinadze devoted historical survey to "The Subject of the Georgian's Armenization". The survey had the title "The Georgian Gregorians" (the Georgian of Armenian religion), which was published in Tbilisi in 1906 under the pen-name of "Shavsheli". It concerns the question of Armenization of Georgians, or writing the Georgians into Armenian monophizical (Gregorian) religion. In 1916 on the papers of „Samshoblo" № 332, 333, 334, 335 Z. Chichinadze published a series of articles less known to scientific society „Armenia in Georgia" (the Dream of Armenian Clergy and Dashnacs), which concerned also the problems of „armenization". From news pages it is seen that this question was actual again and deserved the great attention of the society. The title "The Georgian Gregorians" means the change of faith and points connected with. it and the title "Armania in Georgia" points the results which could have followed this problem. Thus, these two works thematically filled each other. In order to have the readers the common notion how Z. Chichinadze saw the question of the Georgian's armenization on the boundary of XIX-XX c.c., I have decided to publish both therse works in one book and present it to the interested people

By this works he came out against those Armenian writers, who alleged that only the Armenians are catholic in the Caucasus and that the Georgian catholics are ethnically of Armenian origin and from the Georgians they have taken only language. In the works mentioned above Z. Chichinadze names the villages and small towns where lived the Georgians who took the Gregorian faith. He also enumerated the „armenicized" family names. The investigator considers that the reasons of „armenization" are as follows:

Buying in the lands around Tbilisi and in Kakheti by the Armenians and settling there of Armenian refugees; buying Georgian villages with their peasants by Armenian clergy with the help of Echmiadzin and then their „armenization"; running away from vicious landlords Georgians often changed the religion and took the Gregorian faith; some landlords, having an illegitimate child with their peasant-woman christen him as „Armenian" (Gregorian religion); as a result of bad times of history, having no desire to take Islam, the Georgians often took the Gregorian faith; writing down of Georgian catholic as Armenians.

The value of Z. Chichinadze's works, which were mentioned above is that, the facts described happened before his eyes, he was the eye-witness and participator. He heard himself, saw himself and walked round himself the parts of Georgia, where the question of "armenization" of the Geogians was especially sharp. he personally talked with the Georgians who were "armenicized" in two ways and lived on the territory of Georgia, divided between Russia and Osman Empire. The ones who were passed to armenian monophizical religion and the others – the catholic Georgians, who were written to Armenian catholic typicon. Zakharia Chichinadze thoroughly explained them that in both cases they were ethnically the Georgians and their mother-tongue was Georgian.

The Question of Armenization threaten the ethno-cultural type of Georgian nation, as it purposefully eradicated the Georgian language, what blow a destructive stroke to the Georgian consciousness. One of the main important segments of Georgian-Armenian contradiction in confessional relations is the language of divine service. Language is the strong phenomenon of definition and safety of the Georgians. The Great Ilia said, "the first sign of the nation is its language". For any nation language is the source of national consciousness and main weapon of moral substance. The abolishment of the language causes the death of the nation. Georgia is considered to be the country, where Georgian language is spoken and divine service is held (G. Merchule).

There is no doubt about it that the divine service language must be the mother-tongue. The continuation of Giorgoi Merchule's wise expression is the bright idea of Ilia Chavchavadze - "Native land, mother-tongue, religion". These three segments are knitted together. The main problem of armenization and its obstacle was the Georgian language. That is why the Georgian language was restricted in the armenisized Georgians. The facts witness that flock (Armenian-monophisical and Armenian-catholic are both mend) didn't understand the divine service in Armenian, that is why was distributed the church liturgical in Armenian language, written in Georgian letters. In spite of the changing of the consciousness of many Georgians, much many Georgians preserved their consciousness by means of mother-tongue and they were fixed "Armenians" only in the legal documents. According to Zakharia Chichinadze the idea of "armenization" was the restoration of "fallen Armenia" in Georgia.

In different historical ages different conquerors had the same world view in the subject of overcoming of the Georgians' resistance. It means the oppression of Georgian language and encouragement of the religion different from the Christian religion. With the aim of overcoming of the Georgians" resistance as far back as v c. by the help of Iranians was founded with the same aim bilingual (Georgian and Armenian) church service in Kvemo Kartli (Lower Kartli) Sapitiakhsho bordering with Armenia. Catholicos of Georgia Kirion rose against it. By preserving of Armenian Language the Armenian church preserved the flock speaking Armenian, which tried to take possession of the territories of Kvemo Kartli (Lower Kartli). In XIX c. as well there was the attempt by the help of Russian Empire of changing of Georgian consciousness by forbidding of Georgian language and instillation of Armenian language in the Georgians who were passed into Armenian monophizical religion and Georgian catholics who were written into Armenian tipicon. For the purpose of overcoming of resistance of another christian elements, Armenians were helped in Musulman

countries too. In Osmal Empire by the help of Osmals, for account of the Greeks as christian element, the Armenians promoted. In Kizilbash Iran if anyone wanted to preserve christianity he had to join Armenian church.

Oppressed by Musslims world, Armenians took the first strike, always found a shelter in Georgia. In Georgia there never was neither national nor religious persecution, the Georgians were always tollerant to them. During the Middle Ages the Armenia who took shelter in Georgia together with the Georgians struggled against enemy and died together. Though by the help of the third force, came into the South Caucasus time by time in different periods of history arose political contradiction on different questions, which very often were decided in favour of the Armenians by the third Force, there never was such hard blood opposition, which makes disaster between nations and caused the breaking-off of diplomatic relations. The only force which takes use of is the outside force which wishes to rule over the Caucasus, which rules the resisting parts with the principle "Separate and Rule".

The occupation forces whishing ruling over the Caucasus promoted not only phisical migration from different places, but the confessional policy of the Armenians, what had no special connection with religion but was more political. Item was to write the local Georgian population to monophisical religion, or so called "Armenization" in order to appropriate the territories and then to justify the question of its ownership.

Zakharia Chichinadze calls "Georgian Gregorians": "The Georgians of Armenian confession" And ethnical Armenians as "Armenians family","Armenians descendants", From Haos". To Zakharia Chichinadze's mind the religion must not define the nationality, or as he explains himself "family-tribe".

In this book "Georgian Gregorians Zakharia Chichinadze enumerates the armenisized names, what must have been interesting material for those who are interested in this question. Zakharia

Chichinadze himself is the origin for the studying of "Georgian Gregorians'" history.

It's very interesting that in spite of radical difference between catholic and Armenian-monophisical (Gregorian) religions, when Armenian church was aggressively disposed towards catholic church and Latin padres, catholic and Gregorian Armenians both had the same methods (discrimination of Georgian language, changing of Georgian names and so on) tried to armenisize the Georgians. In this question they had the same point of view, to make the Georgian to forget their mother-tongue and by means of Armenian language to implant the Armenian consciousness. The documental material makes it clear that the Russian Government helped them in this policy, when they bereaved autocefalia from Georgian Church and made it one of the appendage of Sinod. From news paper it's seen clearly that Armenian diaspora included not only the church, but schools, different organizations and magazines and papers. The newspaper "Sakartvelo" notes that the Armenians for centuries persecuted from their lands settle down on other lands and wand to restore near Tbilisi Armenia buried at Vani.

The promotion of Armenian element by Russian empire in every sphere was passing on the background of Georgians' abusing, when our nation was shown as knowing nothing and having nothing with doubtful and obscure reputation. To uphold the dignity of the Georgians public men raised their voices on the border of XIX-XX c.c. Ilia Chavchavadze announced their general ideas in „The Appeal of Stones".

Having lack of state system during centuries Armenian nation always tried to restore the state. Very often the conqueror countries used their desire in their own interests and incur physical losses by this not only to Armenians but to their neighbor countries too. This politics roused national hatred what used to become very often the reason of opposition. By the question of restoring of Armenian state was interested in the Russian empire. Georgia as a subject always had the dominant role in the South Caucasus by its profitable position and was

the centre of culture common to the whole Caucasus. Because of that it was not base point for Russian empire. That is why it always tried to promote other ethnical elements, which would be more devoted to Russia on the background of the Georgians' discredit. They considered the Armenians to be this cultural element, which was especially distinguished by its striving for national consolidation and always was supported by rich Armenian diaspora. On their part the Armenians, which always found political refuge in Georgia tried to legalize the desirable Georgian lands by the help of Russia.

The policy said above was in direct connection with the idea of „The Great Armenia", according to which Armenia was spread from the Caucasus up to the Mediterranean. Considerable part of the South Caucasus, which is the ownership of historian Georgia was artificially increased leaning upon Armenian element, and announced as Armenia. For this purpose takes place the promotion of Armenian elements in official posts and gathering of Armenian capital in Tbilisi. The theme of the „Great Armenia" especially sounded during World War I, when there was the great desire of imperialistic countries (Russia, England) on the background of disintegration of Ottoman Empire to change it by Armenian autonomy. The political games of great countries cost the Armenians a pretty penny. After mass pogrom of the Armenians a great number of Armenian refugees moved from Ottoman Empire to Georgia. This process too promoted the policy of armenization.

In spite of prolonged attempts, the policy of armenization was a failure. Nowadays the question of "armenization" is less popular. the armenisided Georgians returned their Georgian names. The objective elucidation and studying of Georgian-Armenian relationship has a great importance for the Armenian population living in Georgia for forming in them the common Georgian state self consciousness. The political and cultural nearness of the Georgians and Armenians living in Georgia, their civil consciousness of united country is the guarantee of stability of our country.

შინაარსი

ზ. ჭიჭინაძე, ძართველი გრიგორიანები 7

ზ. ჭიჭინაძე, სომხეთი საძართველოში 144

ძ. ძუთათელაძე, ძართველთა გასომხების საკითხი ზაძარია ჭიჭინაძის შრომებში და მისი პოლიტიკური საფუძვლები 166

გარეკანის ბეჭდვა „სოლეილ“

დიზაინი პ. ჭორჭიასი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა

2014